



International Labour Office
Programme on the Promotion of
the Declaration on Fundamental
Principles and Rights at Work
4, route des Morillons
CH-1211 Geneva 22
Switzerland

ISBN 978-92-2-823452-7



9 789228 234527



იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

სასამართლო გადაწყვეტილებების
პრეცედენტების კრებული

ტრენინგის სახელმძღვანელო
მოსამართლეებისათვის, პროკურორებისა და
პრაქტიკოსი ადვოკატებისათვის

იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური სამოქმედო პროგრამა



გამოცემულია ევროკავშირის
ფინანსური მხარდაჭერით

წინამდებარე დოკუმენტი გამოცემულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.
დოკუმენტში ასახული შეხედულებები არ უნდა იყოს აღქმული, როგორც
ევროკავშირის ოფიციალური პოზიციის ამსახველი

იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

სასამართლო გადაწყვეტილების
პრეცედენტების კრებული

საავტორო უფლება

© შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, 2010

პირველი გამოცემა, 2009

შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციები დაცულია მსოფლიო კონვენციის მეორე ოქმის საავტორო უფლების ფარგლებში. მიუხედავად ამისა, მცირე ზომის ციტატების გამოყენება ნებადართულია წყაროს მითითებით. რეპროდუქციის ან თარგმნის უფლების მოსაპოვებლად განაცხადი უნდა გაკეთდეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საგამომცემლო განყოფილებაში (უფლებები და ნებართვები – ILO Publications (Rights and Permissions)), შემდეგ მისამართზე: შრომის საერთაშორისო ბიურო, CH-1211 ჟენევა 22, შვეიცარია, დაკავშირება შესაძლებელია ელექტრონული ფოსტით: pubdroit@ilo.org.

შრომის საერთაშორისო ბიურო მიესალმება ნებართვის მოსაპოვებელ განაცხადს.

ბიბლიოთეკებს, ინსტიტუტებს და სხვა, რეპროდუქციის უფლებით დარეგისტრირებულ ორგანიზაციებს შეუძლიათ მასალის გამრავლება მათთვის გაცემული ლიცენზიების შესაბამისად. თქვენს ქვეყანაში რეპროდუქციის უფლებების მქონე ორგანიზაციის მოსაძიებლად ისარგებლეთ მისამართით: www.ifrro.org.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრებული,

გამოქვეყნებული მონაცემთა ბაზა იძულებითი შრომა და ადამიანით ვაჭრობა (ტეფიკინგი) სასამართლო გადაწყვეტილებათა პრეცედენტების კრებული,

ტრენინგის სახელმძღვანელო მოსამართლეებისათვის, პროკურორებისა და პრაქტიკოსი ადვოკატებისათვის/ შრომის საერთაშორისო ბიურო. ჟენევა: ILO, 2010, 115 გვ.

ISBN: 978-92-2-823452-7; 978-92-2-823453-4 (web pdf)

შრომის საერთაშორისო ბიურო

სახელმძღვანელო/იძულებითი შრომა/ადამიანებით ვაჭრობა/განმარტება/შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია/გაეროს კონვენცია/საერთაშორისო ხელშეკრულებები/ კომენტარი/სასამართლო გადაწყვეტილება/ საერთაშორისო სასამართლო/უზენაესი სასამართლო/განვითარებული ქვეყნები/განვითარებადი ქვეყნები

გამოქვეყნებული მონაცემების, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კრებული

გაეროს წესების შესაბამისად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ საგამომცემლო საქმიანობისათვის დასაქმებული პირები და გამოქვეყნებული მასალა არ გულისხმობს მათ მიერ აზრის გამოხატვას შრომის საერთაშორისო ბიუროს სახელით ისეთ საკითხებზე, როგორც არის ნებისმიერი ქვეყნის სამართლებრივი სტატუსი, რეგიონი ან ტერიტორია, მისი ხელმძღვანელობა ან/და მათი საზღვრების დემილიტარიზაცია.

ხელმოწერილ სტატიებში, კვლევებსა და საპასუხო წერილებში გამოხატულ მოსაზრებაზე პასუხისმგებლობა მხოლოდ მათ ავტორებს ეკისრებათ და თავისთავად, პუბლიკაცია არ წარმოადგენს შრომის საერთაშორისო ოფისის მიერ მასალაში გამოხატული აზრის მხარდაჭერას.

კომპანიების დასახელების, კომერციული პროდუქტებისა და სხვადასხვა საქმიანობის მოხსენიება არ წარმოადგენს შრომის საერთაშორისო ბიუროს მიერ მხარდაჭერას და რომელიმე კონკრეტული კომპანიის/ფირმის სახელის გამორჩენა ან არდასახელება არ ნიშნავს ამ კომპანიის/ფირმის უგულვებელყოფასა და უპატივცემულობას.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პუბლიკაციები და ელექტრონული პროდუქტი შეიძლება მოიპოვოთ წიგნის ცენტრალურ მაღაზიებში და სხვადასხვა ქვეყნების შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადგილობრივ ოფისებში, ან პირდაპირ შეგიძლიათ დაუკავშირდეთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამომცემლობას, შრომის საერთაშორისო ოფისი, CH-1211 ჟენევა 22, შვეიცარია. კრებული ან ახალი გამოცემების სია უფასოა ზემოთ მითითებულ მასამართზე, ან შემდეგი ელ-ფოსტით: pubvente@ilo.org

ისარგებლეთ ჩვენი ვებგვერდით: www.ilo.org/publns

დაბეჭდილია საქართველოში

წინასიტყვაობა

2005 წელს, საერთაშორისო ანგარიშში იძულებით შრომაზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დაკვირვების შედეგად დაფიქსირდა, რომ იძულებითი შრომის დანაშაულის შემთხვევები, ისინიც კი, რომლებიც აღიარებულია კონკრეტული ქვეყნის კანონმდებლობით, იშვიათად ისტება. უფრო მეტიც, როცა სასამართლოში იძულებით შრომის დანაშაულზე, შესაბამისი კანონის გამოყენებით, ხდება ბრალის წარდგენა, სასამართლოს მიერ დანესებული სასჯელი ბევრად უფრო მსუბუქია, ვიდრე ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე.

წლების განმავლობაში, წელი, მაგრამ სტაბილური წინსვლა შეიმჩნევა სახელმწიფოების მიერ კანონით ბრალის წარდგენის ისეთ შემთხვევებში, როგორც არის იძულებითი შრომა ან მასთან დაკავშირებული დანაშაულებრივი ქმედებები, რომელიც მოიცავს ადამიანით ვაჭრობას, შრომით ან სექსუალურ ექსპლუატაციას, ვალის გამო კაბალას, მონობას ან მონობის მსგავს საქმიანობას.

2000 წელს მიღებულ გაეროს კონვენციას, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა, 2003 წელს დაემატა ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) პროტოკოლი (ოქმი) ძლიერ და ფართომასშტაბიან ქმედებებზე უფლებამოსილებით. ამის შემდეგ, ქვეყნების დიდმა ნაწილმა ცვლილებები შეიტანა საკუთარ სისხლის სამართლისა და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, რათა კანონის ძალით დანაშაულად ედირებინათ ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შემთხვევები, რომლებსაც ადგილი აქვთ ქვემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა მიზეზების გამო: სექსუალური ექსპლუატაცია, შრომითი ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმები და ორგანოების ტრანსპლანტაცია. არსებობს ტენდენცია, რომ ტრეფიკინგის სისხლის სამართლის დანაშაულისათვის სასჯელის უფრო მკაცრი ფორმა დანესდეს და ზოგადად, ითვალისწინებდეს გრძელვადიან პატიმრობას. სამართალდამცველმა ორგანოებმა აგრეთვე, უნდა განიხილონ კონვენსაციის მნიშვნელოვანი საკითხი იმ უკანონობისათვის, რომელიც განხორციელდა იძულებითი შრომისა და ტრეფიკინგის მსხვერპლის მიმართ.

ამ სფეროში არსებული „მრავალფეროვნება“ გარკვეულ სირთულეებს უქმნის მოსამართლეებს, პროკურორებს და ზოგადად, სამართალდამცველებს. ხშირად, მათ მოეთხოვებათ იძულებითი შრომისა და მსგავსი ექსპლუატაციის შემცველი საქმის განხილვისათვის პირველ რიგში, მიმართონ კერძო პირის აგენტებს/წარმომადგენლებს (დამქირავებელს ან დამსაქმებელ სააგენტოებს). მათ უნევთ ისეთი საქმეების განხილვა, სადაც ძალადობის ბრალეულობის დამამტკიცებელი ფორმები უკიდურესად მზაკვრული ხასიათისაა და რთულად მუდგანდება. ასეთი შემთხვევები მეტწილად, ფსიქოლოგიური ზეწოლისა და მუქარის შემცველია, ვიდრე აშკარად გამოხატული თავისუფლების ფიზიკური შეზღუდვისა და ძალადობის ფაქტები. უფრო მეტიც, მათ მოეთხოვებათ საქმის განხილვა სხვადასხვა კონტექსტში და სხვადასხვა ტრადიციების კანონმდებლობების შესაბამისად, რომლებიც შეიძლება მკვეთრად განსხვავდებოდნენ ისეთი მნიშვნელობის განმარტებებშიც კი, როგორც არის ძალადობა, იძულებითი შრომა, ადამიანით ვაჭრობა, ექსპლუატაცია. გარკვეულ ქვეყნებში იძულებითი შრომა განიხილება სისხლის სამართლის კანონმდებლობით, რიგ ქვეყნებში შრომის კანონმდებლობით და არსებობენ ქვეყნები, სადაც იძულებითი შრომა განიხილება ორივე კანონმდებლობის ფარგლებში. ზოგიერთი ქვეყნის, კანონმდებლობაში დეტალურად არის განმარტებული ტრეფიკინგი და შეიძლება ცალკე თავიც კი, ეძღვნებოდეს იძულებით შრომას, ხოლო გარკვეულ ქვეყნებს ტერმინის განმარტების ფართო ცნება გააჩნიათ და მისი ფორმულირება სასამართლო ხელისუფალთა გონივრულ გადაწყვეტილებაზეა დამოკიდებული. პალერმოს ტრეფიკინგის პროტოკოლმა (ოქმმა) საერთაშორისო სამართალს წარუდგინა ტრეფიკინგის ზოგადი განმარტება (კონცეფცია) შემდგომი გამოყენებისათვის. პალერმოს პროტოკოლის არსი არის, რომ თითქმის არ არსებობს სასამართლო პრეცედენტი და იგი კარნახობს კითხვებს, როგორც კანონმდებელს, ასევე მოსამართლეს. შეიძლება თუ არა ტრეფიკინგის ფორმულირება უკავშირდებოდეს ძალადობას? თუ, ეს არის მდგომარეობა, რომელიც მხოლოდ მიუდებელ სამუშაო პირობებს ემყარება? როგორც მოგვიანებით სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტების კრებულში ვნახავთ, სახელმწიფო დონეზე ამ კითხვებზე პასუხისას განსხვავებული მიდგომები არსებობს.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის პირველი, 1930 წლის №29 კონვენცია შეიცავს იძულებითი შრომის ძირითად განმარტებას, რომლის შესაბამისად, იძულებითი შრომა არის სამუშაო ან მომსახურება, რომელიც მოეთხოვება პირს რაიმე სასჯელის მექარის პირობებში და სხვა შემთხვევაში ეს პიროვნება ნებაყოფლობით არ შეასრულებდა. კონვენცია აგრეთვე აღნიშნავს, რომ იძულებითი შრომა არის სერიოზული დანაშაული და კანონით ისჯება, რომელიც რეალურად, დანაშაულის აღმკვეთი საშუალებაა და სავალდებულო წესის მკაცრი დაცვით ხორციელდება. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა სამართლებრივი აქტი, კონვენციაში ყოვლისმომცველად არის რატიფიცირებული და ამჟამად, მათი რიცხვი 173-ს შეადგენს. აღნიშნული კონვენციის თანამედროვე კონტექსტში ეფექტიანი გამოყენება გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. დღესდღეობით, მსოფლიო მოსახლეობის 12 მილიონიდან დაახლოებით, 80% იძულებით შრომას ექვემდებარება და ექსპლუატირებულია კერძო აგენტების მიერ.

პრეცედენტების ეს კრებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ამ მიმართულებით მუშაობის დიდი ძალისხმევის ნაწილია და ხელს უწყობს იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლას ტექნიკური დახმარების სახით. 2001 წელს შეიქმნა იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური სამოქმედო პროგრამა (SAP-FL), როგორც შრომის ძირითადი სტანდარტების დამკვიდრების ხელშეწყობი საშუალება და 1998 წლიდან შევიდა „სამუშაო ადგილებზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების დეკლარაციაში“. იძულებითი შრომის თანამედროვე ფორმებზე ინტენსიური კვლევები და გამოკითხვები ჩატარდა იძულებითი შრომის წინააღმდეგ სპეციალური სამოქმედო პროგრამით (SAP-FL), რამაც გააძლიერა იმ დაინტერესებული მხარეების შესაძლებლობები, რომლებსაც სურვილი აქვთ წვლილი შეიტანონ იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლაში. სასწრაფოდ მომზადდა ინსტრუქციები (მითითებები), სახელმძღვანელოები და პროგრამული მასალა კანონმდებლებისათვის, სამართალდამცველებისათვის, სამუშაო პირობების ინსპექტორთათვის, დამსაქმებლებისათვის, ორგანიზაციებისათვის, ბიზნეს საზოგადოებისათვის და ა.შ. გვჯერა, რომ ეს პრეცედენტების კრებული მნიშვნელოვან როლს შეასრულებს არსებული ხარვეზების გამოსწორებაში. იგი მოიცავს სხვადასხვა სახელმწიფოების გამოცდილებას და განიხილავს მაგალითების ფართო სპექტრს, მათ შორის, სასამართლო გადაწყვეტილებებს, განვითარებად ქვეყნებში არსებულ იძულებით და კაბალურ პირობებში მონურ შრომას, იძულებითი შრომის შედარებით ახალ ფორმებს, ინდუსტრიულ ქვეყნებში განვითარებულ ტერფიკინგს. ზოგადად, ეს ნაშრომი წარმოადგენს ილუსტრაციას, თუ რამდენად ითვალისწინებენ სხვადასხვა ქვეყნებში სასამართლო გადაწყვეტილების დროს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციით დადგენილ ნორმებს და სამომავლოდ რამდენად სასარგებლო შეიძლება იყოს ეს ინსტრუქციები სასამართლოსათვის. ვიმედოვნებთ, რომ იურიდიული ლიტერატურის გაცნობა და ინფორმირებულობის გაზრდა იძულებითი შრომაზე, ხელს შეუწყობს პრაქტიკოსთა შორის გამოცდილების გაზიარებასა და დიალოგს, როგორც ქვეყნის სასამართლოებს, ასევე საერთაშორისო სასამართლოებს შორის. სამომავლოდ პრეცედენტების კრებულის, ახალი მასალით გასამდიდრებლად, მკითხველს ვთხოვთ, მოგვანოღონ ასლები იმ სასამართლო გადაწყვეტილებებისა, რომლებიც იძულებითი შრომას ეხება.

პრეცედენტებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების კრებული შეიქმნა ალი ჯენროუს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსულტანტისა და ყოფილი მოსამართლის მიერ, ასევე, იძულებითი შრომის წინააღმდეგ სპეციალური სამოქმედო პროგრამის სამართლებრივი საკითხების ხელმძღვანელის, გაუ იანის მითითებებით.

მადლობას ვუხდით იმ ადამიანებს, რომლებმაც დაგვითმეს დრო და გაგვიზიარეს გამოცდილება, განსაკუთრებით, როსანა კარეონს, რომელმაც არ დაიშურა დრო და ენერგია სხვადასხვა წყაროებიდან სასამართლო მასალების მოსაპოვებლად და წინასწარი ანგარიში მოამზადა. დასაფასებელი და აღსანიშნავია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვადასხვა დეპარტამენტების, რეგიონული ოფისებისა და ქვეყნების წარმომადგენელი ოფისების სპეციალისტთა დიდი ღვაწლი, კერძოდ, ხოსე რამირები - საერთაშორისო პროგრამა ბავშვთა შრომის აღკვეთისათვის (IPEC), როზინდა სილვა - (NORMES), ჯეინ ჰოჯეს - (GENDER), აურელი ჰოშერი, კაროლინ ო'რიელი, ბეატე ენდრესი - იძულებითი შრომის წინააღმდეგ სპეციალური სამოქმედო პროგრამა (Specila Action Programme -Forced Labour SAP-FL), ტაქირ შაჰ - (ისლამაბადის ოფისი) და კოენ კომპიერი - ახალი დელის ოფისი. ასევე, მადლობა გვინდა გადავუხადოთ ქვით სომპსონს - გაეროს განვითარების პროგრამის თანამშრომელს (UNDP), მარტინ ფოკვანს

– ნარკოტიკებისა და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გაეროს ოფისი (UNODC) და რიჩარდ დანზინგერს – მიგრაციის საერთაშორისო კომიტეტი (IOM), რომ დაგვითმეს დრო, მოგვანოდეს ინფორმაცია და შეხვდნენ ჩვენ მეცნიერ-მკვლევარებს.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ფრედერიკ კურზს, სასამართლო ლიგის სახალხო გენერალური პროკურორის მოადგილეს და იონგ ვან ელემეტ ჰელენს, ტრეფიკინგის პრობლემებზე ნიდერლანდების მომხსენებელი ბიუროს მკვლევარს, რომელიც მუდმივად გვანვდიდა არა მარტო ბოლო პერიოდის სასამართლო გადაწყვეტილებებს, არამედ მათ დეტალურ ანალიზს.

დაბოლოს, მადლობას ვუხდით კაროლინ სომპსონს ამ პუბლიკაციის გამოცემის სხვადასხვა ეტაპზე გაწეული დახმარებისათვის.

როჯერ პლანტი

იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის

სპეციალური სამოქმედო გეგმის ხელმძღვანელი

წინასიტყვაობა	iii
1. შესავალი	1
1.1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და იძულებითი შრომა	1
1.2. როგორ მუშაობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია	2
1.3. სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტთა კრებულის დანიშნულება	3
1.4. პრეცედენტთა კრებული - ზოგადი საკითხების მიმოხილვა	5
2. საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობა	9
2.1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის ამკრძალავი კონვენციები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეკრულება	10
2.1.1. კონვენცია იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ, 1930 (Nº29)	10
2.1.2. იძულებითი შრომის გაუქმების კონვენცია 1957 (Nº105)	11
2.1.3. ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმების ამკრძალავი კონვენცია Nº182 (1999)	11
2.1.4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრება იძულებითი შრომის მნიშვნელობაზე	12
2.2. გაეროს მონობის წინააღმდეგ კონვენცია	13
2.2.1. მონობის წინააღმდეგ კონვენცია, 1926	13
2.2.2. დამატებითი კონვენცია მონობის, მონათვაჭრობის, მონობის მსგავსი მდგომარეობებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ, 1996	13
2.3. სისხლის სამართლის საერთაშორისო ინსტრუმენტები (კანონები და სამართლებრივი აქტები)	15
2.3.1. ადამიანებით განსაკუთრებით, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმი, გაეროს დამატებითი კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, 2000	15
2.3.2. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება (სტატუტი), 1993	17
2.3.3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, 1999	17
3. იძულებითი შრომა საერთაშორისო სასამართლოებში	19
3.1. საერთაშორისო სასამართლო ყოფილი იუგოსლავიის შესახებ, დამონების ცნების შინაარსის დადგენა და დამუშავება	19
3.1.1. დამონების დადგენა	19
3.1.2. შიშის გარემო	21
3.1.3. შიშის გარემოს დეტალური განხილვა	25
4. იძულებითი შრომის საქმეების განხილვა საოლქო სასამართლოებში	27
4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო, სახელმწიფოზე პოზიტიური ვალდებულებების დაკისრება, სისხლის სამართლის ინდივიდუალური დარღვევები	27
4.1.1. სამსახურის შეთავაზება იძულების გარეშე, საქმე „ვან დერ მუსელი ბელგიის წინააღმდეგ“	27
4.1.2. უკიდურესი დაუცველობა სასჯელის მუქარას უტოლდება, საქმე „სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ“	29
4.2. დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანება (ECOWAS), სასამართლო უწყებების გაერთიანება აღიარებს პოზიტიურ ვალდებულებებს, რომ დაიცავდნენ ადამიანებს მონობისაგან	34
4.2.1. სახელმწიფოების ანგარიშვალდებულება, საქმე „ჰადიჯატოუ მანი ნიგერიის რესპუბლიკის წინააღმდეგ“	35
5. იძულებითი შრომა სამხრეთ აზიაში	39
5.1. ინდოეთი	39
5.1.1. ანაზღაურება მინიმალურ სახელფასო ზღვარს ქვემოთ, საქმე „სახალხო კავშირი დემოკრატიული უფლებებისათვის ინდოეთის პროფ კავშირის წინააღმდეგ“	20

5.1.2.	იძულებითი შრომის უარყოფის პრეზუმფციის დაშვება, „ბანდჰუა მუკტი მორჩა ინდოეთის პროფკავშირის წინააღმდეგ“	44
5.1.3.	მოჯამაგირეობისა და დამოკიდებული შრომის შეფასება	47
5.2.	პაკისტანი	49
5.2.1.	კანონის ამოქმედების პრეცედენტი სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ, საქმე „დარშან მასი სახელმწიფოს წინააღმდეგ“	49
5.2.2.	იძულებითი შრომის შემთხვევაში, ფიზიკური შეზღუდვის ფაქტორის არსებობის მნიშვნელობა, ჰაიდერაბადის სინდჰის უმაღლესი, გამსვლელი სასამართლოს გადაწყვეტილება (2002)	51
6.	იძულებითი შრომა ევროპაში	55
6.1.	ბელგია	55
6.1.1.	სამუშაო პირობების მიჩნევა ადამიანის ღირსების შელახვად, საქმე „საზოგადოებრივი სამინისტრო ვანგ ლი ვანგის, ვანგ ლის და სხვების წინააღმდეგ“	56
6.1.2.	დაუცველობის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება დამამძიმებელ გარემოებებში, საქმე „საჯარო სამინისტრო ჩენგის იონელიისა და აბდულა ბუასამის წინააღმდეგ“	57
6.2.	საფრანგეთი	57
6.2.1.	უმუშევრობის საფრთხე, როგორც ეკონომიკური დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება, საქმე „რესპუბლიკის პროკურორი მონსენიორ ბ.-ს წინააღმდეგ“	61
6.3.	ნიდერლანდები	63
6.3.1.	დაუცველობის ბოროტად გამოყენება, მაგრამ არა ექსპლუატაცია, საქმე „საზოგადოებრივი პროკურატურის სამსახური ბრალდებულის წინააღმდეგ“	63
7.	იძულებითი შრომა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში	67
7.1.	ბრაზილია	67
7.1.1.	კომპანიის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი მაღაზიების გამოყენება თანამშრომელთა კაბალისთვის, საქმე „შრომის სამინისტრო ლაზარო ხოსე ველოსოს წინააღმდეგ“.	69
7.1.2.	პირველი საპატიმრო განაჩენი იძულებითი შრომისათვის, საქმე „ფედერალური საზოგადოებრივი სამინისტრო გილბერტო ანდრადეს წინააღმდეგ“	70
7.2.	ამერიკის შეერთებული შტატები	75
7.2.1.	იძულებითი შრომა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა, ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო კანონის დარღვევებისთვის	75
7.2.2.	იძულებითი შრომა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევა, საქმე „ივანოვა „ფორდ-მოდტორ კომპანიის წინააღმდეგ“	76
7.2.3.	დამსაქმებლის მიმართ ვალის არარსებობა, როგორც იძულებითი შრომის არარსებობა, საქმე „დოე „გეფ“-ის წინააღმდეგ“,	78
7.2.4.	ტრეფიკინგი და იძულებითი შრომა, საქმე „ჯეინ დოუ რედის წინააღმდეგ“	81
7.2.5.	არასახელმწიფოებრივ სუბიექტთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულობებისათვის, საქმე „დოე „უნიკალკორპორეიშენის“ წინააღმდეგ“	82
7.2.6.	მიანმა და სტატუტი იძულებითი შრომის შესახებ, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმა	86
7.2.7.	იძულებითი შრომის არარსებობის შესახებ სასამართლო დადგენილება ზრდასრულ მოსარჩელეთა მიმართ, საქმე „როე ბრიტისტონის წინააღმდეგ“	87
7.2.8.	იძულებითი შრომა დამატებით საათებში	95
7.2.9.	იძულებითი ყმობა და იძულებითი შრომა ქვეყნის შიდა სამართლის მიხედვით	97
7.2.10.	ფსიქოლოგიური ზეწოლა იძულებით ყმობის შემთხვევაში, საქმე „ამერიკის შეერთებული შტატები კომმინსკის წინააღმდეგ“,	100
7.2.11.	იძულებითი შრომის განსაზღვრება დაუცველობის კონკრეტული სახეების მიხედვით, საქმე „ამერიკის შეერთებული შტატები ბრედლის წინააღმდეგ“	104
	აბრევიატურათა ჩამონათვალი	106

1. შესავალი

1.1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია და იძულებითი შრომა

1919 წელს დაარსდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია შრომის საერთაშორისო სტანდარტების ჩამოყალიბების, რატიფიცირების ხელისშეწყობისა და მათი განხორციელების მანდატით. 1946 წელს, ის გახდა გაეროს სპეციალიზებული სააგენტო. მას გააჩნია უნიკალური სამმხრივი სტრუქტურა, რომელიც შედგება მთავრობის, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წარმომადგენლებისგან. შრომის საერთაშორისო გენერალური კონფერენცია წელიწადში ერთხელ იმართება და შრომის ახალ საერთაშორისო სტანდარტებს შეიმუშავებს.

2007 წლისთვის შრომის საერთაშორისო გენერალურ კონფერენციამ მიიღო 188 კონვენცია, რომელიც სავალდებულოა იმ წევრი ქვეყნებისათვის, რომლებსაც რატიფიცირებული აქვთ ეს დოკუმენტები და 199 რეკომენდაცია, რომელიც არასავალდებულო ხასიათის დირექტივაა. გენერალური კონფერენციების სესიებს შორის შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ადმინისტრაციული საბჭოს მიერ იმართება, რომელიც ასევე მთავრობის დამსაქმებელთა და დასაქმებულთა წევრებისაგან შედგება.

ადრეული პერიოდიდანვე, იძულებითი შრომა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განსაკუთრებული ზრუნვის საგანი იყო. კოლონიალური მთავრობების მიერ საზოგადოებრივ (სახელმწიფო) სამსახურებში იძულებითი შრომის გამოყენების მზარდი გაციხვის ფონზე 1926 წელს, ადგილობრივ მშრომელთა საკითხებზე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციულმა საბჭომ დანიშნა ექსპერტთა კომიტეტი. პრაქტიკული რეზულტატი გახლდათ ის, რომ 1930 წელს იძულებითი შრომის კონვენცია იქნა მიღებული (N° 29), რომელიც ძალაში 1932 წელს შევიდა.

იძულებითი შრომის კონვენციის მე-2 მუხლი განმარტავს „იძულებით ან სავალდებულო შრომას“, როგორც „სამუშაოს ან სამსახურს, რომელიც მოეთხოვება, რომელიმე პირს რაიმე სასჯელის მუქარით და რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა“. კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ იყო პირველი და ერთადერთი დოკუმენტი 1999 წლამდე, რომელიც მოითხოვს შრომის აკრძალული ფორმების გამოყენებისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციის მინიჭებას.

1950-იანი წლებიდან შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აფიქსირებს და იწყებს ბრძოლას იძულებითი შრომის ისეთი ფორმების წინააღმდეგ, რომლებიც განსაკუთრებით ტოტალური რეჟიმების პირობებში განვითარდნენ. მაგალითად, პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნა და განსხვავებული შეხედულებების გამო წნეხის ქვეშ ყოფნა. კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ (N°105) მიღებული იქნა 1957 წელს და ძალაში 1959 წლიდან შევიდა. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ 1999 წელს მიიღო კონვენცია (N°182) ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმების აკრძალვის შესახებ. მოგვიანებით მიღებული არც ერთი კონვენცია არ ცვლის იძულებითი შრომის უკვე ჩამოყალიბებულ განმარტებას, რომელიც იძულებითი შრომის კონვენციაშია ფორმულირებული. აღნიშნული სამივე კონვენცია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველაზე ფართოდ რატიფიცირებული კონვენციებია. 2008 წლის სექტემბრისთვის, იძულებითი შრომის კონვენცია 173 ქვეყნის მიერ იყო რატიფიცირებული, იძულებითი შრომის გაუქმების კონვენცია 169 ქვეყნის მიერ, ხოლო კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმების აკრძალვის შესახებ – 169 ქვეყნის მიერ.

1998 წელს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მიიღო დეკლარაცია შრომის ფუნდამენტურ პრინციპებზე, რათა გააძლიეროს ამ ოთხი ძირითადი პრინციპის სამართლებრივი გამოყენება. დეკლარაცია ავალდებულებს წევრ სახელმწიფოებს პატივი სცენ ამ პრინციპებს, იმისდა მიუხედავად, აქვთ თუ არა ეს კონკრეტული კონვენცია რატიფიცირებული. იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმების აღმოფხვრა და ბავშვთა შრომის გაუქმება დეკლარაციაში ჩამოთვლილ ფუნდამენტურ პრინციპებს შორისაა.

2001 წლის ნოემბერში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციულმა

საბჭომ, კონვენციის წარმატებულად მოქმედების ხელშესაწყობად შექმნა იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის სპეციალური სამოქმედო პროგრამა (SAP-FL). სპეციალური სამოქმედო პროგრამა ატარებს კვლევებს და ახორციელებს ტექნიკურ დახმარებებს იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის სფეროში.

1.2. როგორ მუშაობს შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია

როგორც კი, სახელმწიფო კონვენციის რატიფიცირებას მოახდენს, მას მოეთხოვება რეგულარულად მოამზადოს ანგარიში კონვენციის განხორციელების პირობებსა და მაჩვენებლებზე.

1929 წელს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ დაარსა ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენების ხელისშეწყობის მიზნით. მათ ევალებათ რატიფიცირებულ კონვენციებზე მთავრობების მიერ მომზადებული დიდი რაოდენობით ანგარიშების შესწავლა. ექსპერტთა კომიტეტი შედგება ადმინისტრაციული საბჭოს მიერ 3 წლის ვადით დანიშნული 20 იურისტისგან. კომიტეტის დანიშნულებაა ობიექტური ანგარიშისა და ტექნიკური ექსპერტიზის მომზადება წევრი ქვეყნების მიერ შრომის საერთაშორისო სტანდარტების სამართლებრივი ნორმების გამოყენების შესახებ.¹ ექსპერტთა კომიტეტმა შესაძლოა გააკეთოს ორი ტიპის კომენტარი – დაკვირვებები და პირდაპირი მოთხოვნები. დაკვირვებები, რომლებიც წლიურ ანგარიშში ქვეყნდება, როგორც წესი, სერიოზული განხილვის საგანია, როგორც მაგალითი მთავრობის მიერ შეუსრულებელი ან გაჭიანურებული ნაკისრი ვალდებულებისა, ან პირიქით, მოცემულ საკითხში მნიშვნელოვანი პროგრესი შეინიშნება. განსაკუთრებულ საკითხზე ინფორმაციის ან ახსნა-განმარტების მოსაპოვებლად, პირდაპირი მოთხოვნა გამოიყენება.²

წლიური ანგარიში, რომელსაც ექსპერტთა კომიტეტი ამზადებს, მოწმდება შემათანხმებული კომიტეტის მიერ, თუ რამდენად იქნა დაცული შრომის საერთაშორისო სტანდარტები. დაკვირვების რამდენიმე შედეგი სპეციალურად შეირჩევა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენციის შემათანხმებული კომიტეტისა და სამხრეთი კომიტეტის მიერ, რაზეც მთავრობები მოაწყობენ განხილვას და გააკეთებენ კომენტარებს. შემათანხმებული კომიტეტის მიერ მომზადებული დისკუსიები და რეკომენდაციები ქვეყნდება მის საერთო ანგარიშში.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის 37-ე მუხლი ხელისუფლებას აძლევს უფლებას, რომ ნებისმიერი კონვენცია საერთაშორისო სასამართლოში განიხილოს, რაც იშვიათი შემთხვევაა. პრაქტიკაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციების სამართლებრივი საკითხების განვითარება და ჩამოყალიბება ექსპერტთა კომიტეტისა და შემათანხმებული კომიტეტის დაკვირვებებისა და რეკომენდაციების საშუალებით ხდება. ექსპერტთა კომიტეტის განცხადებით, „რამდენადაც მათი შეხედულებები არ არის უარყოფილი საერთაშორისო სასამართლოს მიერ, ისინი უნდა განიხილებოდნენ, როგორც კანონიერი და საყოველთაოდ აღიარებულნი“.³ მისი დანიშნულებაა განმარტებებისა და რეკომენდაციების კოლეგიის დაარსება, რომელსაც საჭიროების შემთხვევაში, მიმართავენ სპეციალისტები და სასამართლოები, იმისთვის, რომ შეაფასონ, თუ რამდენად მოქმედებს ქვეყანაში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დადგენილი სტანდარტები.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციას ჩვეულებრივი შემთხვევების გარდა გასაჩივრების პროცედურებით უზრუნველყოფაც ევალება. 24-ე მუხლის თანახმად, დამსაქმებლის ან დასაქმებულის ორგანიზაციას შეუძლია წარადგინოს განცხადება ნებისმიერი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც მისი აზრით, რატიფიცირებულ კონვენცი-

1 ზედამხედველობის სისტემის სრული აღწერილობა, იხილეთ: ILO handbook for procedures relating to international labour conventions and recommendations 2006, და აგრეთვე www.ilo.org/global/what_we_do/internationalLabourStandards?lang-en/index.htm.

2 ექსპერტთა კომიტეტისა და გენერალური კონფერენციის კომიტეტის მიერ ცალკეულ ქვეყნებზე გაკეთებული კომენტარები ხელმისაწვდომია შრომის საერთაშორისო სტანდარტების მონაცემთა ბაზაში. www.ilo.org/ilolex. General reports of the Committee of Experts and Conference Committee are also available there.

3 General Report of the Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations, 1990, §. 7.

ის შესაბამისად არ მოქმედებს. თუ განცხადება განხილვისათვის მიიღება, მაშინ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციული საბჭო ქმნის სამშხრივ და სამკაცრიან კომიტეტს, რომელსაც კონკრეტული შემთხვევის გამოკვლევა ევალება. შესაძლებელია განცხადებისა და პასუხის გამოქვეყნება. 26-ე მუხლის მიხედვით, კონვენციით სავალდებულო პირობების შეუსრულებლობაზე საჩივრის შემთხვევაში, ადმინისტრაციულმა საბჭომ შეიძლება დანიშნოს გამოკითხვის კომისია. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის 33-ე მუხლის შესაბამისად, თუ ქვეყანა ვერ ჩაატარებს რეკომენდაციით სავალდებულო გამოკითხვას, შეიძლება ადმინისტრაციულმა საბჭომ გენერალურ კონფერენციას მოუშალოს რეკომენდაცია, შესაბამის ქმედებებზე, ქვეყანაში კონვენციით გათვალისწინებული პირობების უზრუნველსაყოფად. კონსტიტუციის 33-ე მუხლი პირველად, 2000 წელს ამოქმედდა, მიანმაში იძულებითი შრომის შემთხვევის დაფიქსირების გამო.⁴

1.3. სასამართლო გადაწყვეტილებების პრეცედენტთა კრეპულის დანიშნულება

კრეპულის მიზანია მოსამართლეებს, პროკურორებსა და პრაქტიკოს იურისტებს გააცნოს ის მეთოდები, რომლის საშუალებითაც ქვეყნებს ან საერთაშორისო სასამართლოებს განმარტებული აქვთ „იძულებითი შრომა“. იმედია, ეს სახელმძღვანელო პრაქტიკოსებს გამოადგებათ სასამართლო საქმეების განხილვისას, ასევე პოლიტიკის შემქმნელებსა და გადაწყვეტილების მიმღებებს, რომლებიც ამზადებენ კანონპროექტებს, იძიებენ განცხადებულ ბრალდებებს და წარადგენენ ბრალეულობის დამამტკიცებელ მასალას (სამოქალაქო და სისხლის სამართლის) სასამართლო პროცესებზე ან შრომის ტრიბუნალზე. იძულებითი შრომის სამართლებრივი არსის შესწავლა ტერმინის კონტექსტის დადგენის მიზნით, უფრო ფართო მნიშვნელობის უნდა იყოს და ხელს უწყობდეს იძულებითი შრომის ფაქტების შემთხვევების დადგენასა და აღმოფხვრას.

ამ კვლევის საჭიროება ნამდვილად დიდია. კოლონიალური მთავრობების პირობებში, განვითარებული იძულებითი და სავალდებულო შრომის პასუხად, 1930 წელს მიღებული იქნა იძულებითი შრომის კონვენცია. მიუხედავად ამისა, კონვენციის და „იძულებითი შრომის“ ცნება დღეისათვის, გამძაფრებული აქტუალობით გამოირჩევა, არსებული გლობალური კრიზისის ფონზე განვითარებული ტრეფიკინგის მასშტაბებისა და განსაკუთრებით, შრომითი ექსპლუატაციის მიზნით არსებული ტრეფიკინგის გამო.

იძულებითი შრომის არსი შეიცვალა რამდენიმე ისეთი გახმაურებული გამონაკლისის გარდა, მაგალითად, როგორიც არის მიანმა, მთავარი დამნაშავეები სახელმწიფოები აღარ არიან.⁵ სამაგიეროდ, დაქირავებულისაგან აკრძალული შრომის იძულებით მოთხოვნას ცალკეული პირები ახორციელებენ. იძულებითი შრომის ძველი მოდელი, რომელიც უშუალოდ იწვევდა დაქირავებულისაგან სავალდებულო შრომით გამოწვეულ უკმაყოფილებას (პროტესტს) გარკვეული პროფესიების ან არასაკმარისი სოცუმრუნველყოფის პირობების გამო, იცვლება და სახეზე გვაქვს ახალი მოდელი, სადაც დამსაქმებელი კერძო პირი, კორპორაცია შესაძლოა ორგანიზებული დამნაშავე დაჯგუფების წევრი

4 იხილეთ: შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის, *Forced labour in Myanmar (Burma)*, Report of the Commission of Inquiry appointed under article 26 of the Constitution of the ILO to examine the observance by Myanmar of the Forced Labour Convention, 1930 (Nº. 29), 1998 [შემდგომში: *Forced labour in Myanmar*, გამოკითხვის კომისიის ანგარიში]; *Measures, including action under article 33 of the Constitution of the ILO, to secure compliance by the Government of Myanmar with the recommendations of the Commission of Inquiry established to examine the observance of the Forced Labour Convention*, Governing Body doc. GB.277/6, 277th Session, Geneva, March 2000;

5 შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გამოთვლით, მსოფლიოში დაახლოებით, 12.3 მილიონი ადამიანი იძულებითი შრომის მსხვერპლი და 9.8 მილიონი ექსპლუატირებულია კერძო აგენტის მიერ. იხილეთ: *A global alliance against forced labour*, Global Report under the follow-up to the ILO Declaration on Fundamental Principles and Rights at Work, 2005, p. 10; [შემდგომში: *Global alliance*]. იხილეთ: აგრეთვე, *Eradication of forced labour*, ექსპერტთა კომიტეტის მიერ განხორციელებული ზოგადი კვლევა კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენებაზე, ILC, 96th Session, 2007, p. 52 („In contrast to the general tendency of the worldwide decline of state practices imposing compulsory labour on the population, the Committee has been commenting for a number of years on one extremely serious case of flagrant violation of the Convention by the authorities and military in [Myanmar].“)[შემდგომში: *Eradication of forced labour*, General Survey of 2007]. აგრეთვე, არსებობს სახელმწიფოს მიერ თავსმოხვეული იძულებითი შრომის შემთხვევების სერიოზული საქმეები სხვა სახელმწიფოების პრაქტიკაში. იხილეთ: *Global alliance*, გვ. 25 (describing the situation in Tajikistan and Uzbekistan).

იყოს. ეს ნიშნავს, რომ ხდება იძულებითი შრომისა და სისხლის სამართლის დანაშაულის თანხვედრა. აგრეთვე, იძულებითი შრომის კონვენციის 25-ე მუხლი მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისაგან „იძულებითი ან სავალდებულო შრომის“ უკანონო მოთხოვნის კანონის ძალით დასჯას. ამის საჭიროება დღესდღეობით, გაცილებით დიდია, ვიდრე ოდესმე. მხოლოდ სახელმწიფო ქცევის ნორმების დაცვით, სახელმწიფოებს აღარ ძალუძთ შეასრულონ კონვენციით გათვალისწინებული ვალდებულებები. გაცილებით უპრიანია სახელმწიფოს მიერ კერძო პირის, როგორც სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენის შესაბამისად დასჯა. თუ კანონისა და სასამართლოს გზით ვერ ხერხდება იძულებითი შრომის აღკვეთა, ეს თავისთავად, კონვენციის დარღვევაა.

ეს ვალდებულება რამე განსაკუთრებული არ არის, როგორც იძულებითი შრომის კონვენციისათვის მოთხოვნა. გაერთიანებული ერების ოქმის მე-5 მუხლი ადამიანების, განსაკუთრებით, ქალების და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ (გაეროს ოქმი ტრეფიკინგის წინააღმდეგ) ანალოგიურად მოითხოვს ტრეფიკინგის სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარებას. უფრო მეტიც, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის ფარგლებში, ადამიანის უფლებების დაცვის ევროპული სასამართლო ადგენს, რომ ქვეყნები შეიძლება იყვნენ პასუხისმგებელნი ტრეფიკინგით დაზარალებულთა კომპენსაციით უზრუნველყოფაზე. იმისათვის, რომ იძულებითი შრომის სისხლის სამართლის წესით დევნა და დასჯა ეფექტიანად განხორციელდეს, მოსამართლეებსა და სხვა სამართალდამცველებს უნდა ესმოდათ როგორ განმარტავენ სასამართლოები იძულებით შრომას. ამ გამოკვლევის სამართლებრივი ჩარჩო არის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის კონვენცია, აგრეთვე ის ფაქტი, რომ ყველა სასამართლო იძულებით შრომას უშუალოდ, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციაზე დაყრდნობით არ განიხილავს. სასამართლოების ნაწილი პირდაპირ მიმართავს იძულებითი შრომის კონვენციას იმ მიზნით, რომ განმარტონ შიდასახელმწიფოებრივი კანონები ან საერთაშორისო ვალდებულებები⁶. სასამართლოების ნაწილი განიხილავს იძულებით შრომას, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიერ დადგენილი ნორმის (სტანდარტის) დარღვევას და მიუხედავად ამისა, ყველა მოცემულ შემთხვევაში, ძირითადი აზრი (კონცეფცია) უცვლელი რჩება. თითოეულ შემთხვევაში შეფასების მთავარი არსი ფაქტის დადგენაა, იყო თუ არა შესრულებული საქმე ან სამუშაო იძულებითი შრომის შემთხვევა.

აქ წარმოდგენილი მასალის მიზანი იძულებითი შრომის ყველა მაგალითის განხილვა არ არის. ეს კვლევა მეტწილად, აღწერილობითი ხასიათისაა და მკითხელს აწვდის ინფორმაციას ეკონომიკის იმ სფეროებზე, სადაც იძულებით შრომას შეიძლება ადგილი ჰქონდეს ან იმ ფაქტორებზე, რაც განაპირობებს ადამიანის ექსპლუატაციისგან დაუცველობას და ალბათ, ძალიან ცოტას მოგვითხრობს თუ როგორ ხდება სამართლებრივი კონცეფციით იძულებითი შრომის გაანალიზება. მსოფლიოში აუცილებელი გახდა უფრო მეტი კანონები შემუშავდეს იძულებითი შრომისა და ტრეფიკინგის სფეროში. ამ კრებულში თავმოყრილი შემთხვევები აღწერს იძულებითი შრომის ყველაზე გავრცელებულ კონცეფციებს და გვაჩვენებს, იძულებითმა შრომამ რა სახეცვლილება განიცადა. თავდაპირველად, სახელმწიფოს მიერ საზოგადოებაზე დამკვიდრებული იძულება იცვლება მოთხოვნით, რომელსაც კერძო მხარე ახორციელებს და როგორც წესი, ეს ეკონომიკური მოგების მიზნით ხდება. უფლება, იყო თავისუფალი იძულებითი შრომისაგან, კლასიკური მნიშვნელობით ნიშნავდა სახელმწიფოს ჩარევას ადამიანის უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად, რამაც, პასუხისმგებლობის თვალსაზრისით, ახალი მნიშვნელობა შეიძინა. ამჟამად, ეს სისხლის სამართლის დანაშაულია, რომლის პასუხისმგებლობა კერძო პირს ეკისრება. ახლა სახელმწიფოს არა მხოლოდ თავის შეკავება ევალება იძულებითი შრომის გამოყენებაზე, არამედ ვალდებულია ამ დანაშაულზე განახორციელოს სისხლის სამართლისა და სასამართლოს წესით დევნა. როგორც არ უნდა იყოს კერძო პირის მიერ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა, ეს მხოლოდ ფრაგმენტია იძულებითი შრომის წინააღმდეგ განვითარებული ბრძოლის მთლიანი სურათისა. მნიშვნელოვანია მკითხველს ახსოვდეს, რომ სისხლის სამართალი „ბლაგვი“ იარაღია და სისხლის სამართლის სასამართლო არ არის ერთადერთი გზა სამართლის მოსაპოვებლად. იძულებითი შრომა აგრეთვე, ადამიანის უფლებათა დაცვისა და შრომის კანონის საკითხია. გარკვეულ ქვეყნებში იძულებითი შრომა

6 იხილეთ: *Use of international law by domestic courts: A compendium of decisions*, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ტრენინგის ცენტრი, აგვისტო 2007, სასამართლოს განაჩენების კრებული, რომელიც გამოიყენება ზოგადად, შრომის საერთაშორისო სტანდარტების შესაქმნელად.

ეროვნული კონსტიტუციით იკრძალება, ამგვარად, იძულებით შრომაზე საქმე შეიძლება სამოქალაქო სასამართლოშიც აღიძრას, ვიდრე შრომისა და დასაქმების ტრიბუნალზე ან საკონსტიტუციო სასამართლოში განიხილება.⁷ სხვადასხვა სასამართლოებს სხვადასხვა უფლებამოსილებების გამოყენების მექანიზმები გააჩნიათ. მაშინ, როცა საკონსტიტუციო სასამართლოს უფლება აქვს გამოიტანოს განაჩენი და ქმედება აღიაროს ანტიკონსტიტუციურად, იმავდროულად, თავისუფლების აღმკვეთი ან ფულადი ჯარიმის დაწესების განაჩენის გამოტანის უფლება მას არ აქვს. სასამართლო განკარგულებების მოპოვება აუნაზღაურებელი ხელფასების კომპენსაციაზე, შესაძლებელია მხოლოდ შრომის სასამართლოს საშუალებით. მაგალითად, ბრაზილიაში შრომის სასამართლოებს არ შეუძლიათ თავისუფლების აღკვეთის ღონისძიებების გატარება. შეერთებულ შტატებში სისხლის სამართლის სასამართლოებს შეუძლიათ, მიყენებული ფინანსური და მორალური ზარალისთვის გასცენ ბრძანება კომპენსაციის ანაზღაურებაზე. საფრანგეთში, მოსარჩელეს სამოქალაქო სასამართლოში შეუძლია მოიპოვოს ბრძანება სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილ კომპენსაციაზე, მაშინაც კი, როცა მოპასუხეები (ბრალდებულები) სისხლის სამართლის სასამართლოს მიერ უდანაშაულოდ არიან ცნობილნი. შესაბამისად, სამართლებრივად რა აღმკვეთი საშუალებაა დაშვებული, დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი სასამართლოს კომპეტენციაში განიხილება იძულებითი შრომა – ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით – კონსტიტუციური, სამოქალაქო, შრომისა, თუ სისხლის სამართლის ფარგლებში და სად ხდება საპროცესო განხილვა.

1.4. პრეცედენტთა კრებული – ზოგადი საკითხების მიმოხილვა

პრეცედენტთა ეს კრებული შედგენილია, როგორც სახელმძღვანელო ცნობარი. იგი წარმოგვიდგენს ამონარიდებს სხვადასხვა კერძო სასამართლო გადაწყვეტილებებიდან, რომლებიც შედარებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დამკვირვებელი ორგანოების მიერ (observation bodies) მოპოვებულ მონაცემებთან და სხვადასხვა კვლევით ნაშრომებთან. იგი აგრეთვე მოიცავს მეცნიერ-პედაგოგების კომენტარებს. საქმის აქტიური განხილვისათვის თითოეული საქმის რეზიუმეს მთელი რიგი კითხვები მოსდევს. მივსალმებით ყველა მონაწილეს, ვინც წარმოგვიდგენს საკუთარ მოსაზრებას კონკრეტული სასამართლო სისტემის ან გამოკვლევის მეთოდების მართებულობაზე. უფრო მეტი თვალსაჩინოებისთვის, სასამართლო საქმეთა განხილვა, მოცემულია ორ ნაწილად: **საქმის ვითარება და სამართლებრივი ანალიზი**.

გარდა ამის, აღსანიშნავია, რომ პრეცედენტების კრებულში გარკვეულ საკითხებზე განმეორებით ვისაუბრებთ, ვინაიდან ეს თემები აშუქებენ იძულებითი შრომის იმ საქმეების განხილვას, რომლებიც სასამართლოების საერთო პრობლემას წარმოადგენენ.

(1) იძულებითი შრომის განმარტება, 29 კონვენციის თანახმად, შედგება სამი შემადგენელი ნაწილისაგან (1) იძულებითი სამუშაო ან მომსახურება; (2) სამუშაოს შესრულება რაიმე სასჯელის, მუქარის პირობებში; (3) რასაც პიროვნება ნებაყოფლობით (თავისი ნებით) არ შეასრულებდა. გარკვეული სასამართლოები გადაწყვეტილებების მიღებისას, აქტიურად იყენებენ ამ სამ შემადგენელ ნაწილს და იძულებითი შრომის მნიშვნელობას აკონკრეტებენ. სასამართლოების ნაწილი საერთოდ არ მიმართავს 29 კონვენციის განმარტებას და ამის ნაცვლად, ტესტის საკუთარი ფორმულირებით განსაზღვრავენ, არის თუ არა სამუშაო ნებაყოფლობითი. ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ისეთ მაგალითებზე, სადაც იძულებითი შრომის მნიშვნელობა წინააღმდეგობრივად არის განმარტებული.

(2) გარკვეული დაძაბულობა იქმნება იმ მტკიცებულებებს შორის, რომელთა დამადასტურებელი მასალაც საქმისწარმოების დოკუმენტებში არსებობს და რომლებიც საქმისწარმოების დოკუმენტებში არ მოიპოვება. ვინაიდან იძულებითი შრომა დამოკიდებულია სამუშაოს ხასიათზე შესაბამისად, სასამართლოებმა უნდა გადაწყვიტონ დასაქმებულის მიერ სასამართლოზე მიცემული ჩვენება ან პირადი მოსაზრება რამდენად საკმარისია, რომ სამუშაო იძულებითად ჩაითვალოს, თუ უნდა ჩატარდეს ობიექტური გამოკვლევა

7 შეზღუდულუნარიანი ადამიანების შემთხვევაში, სამოქალაქო, შრომისა და სისხლის სამართლის კანონების ურთიერთმოქმედების განსახილველად იხილეთ: ILO, *Achieving equal employment opportunities for people with disabilities through legislation: Guidelines*, 2007, at pp. 9-13 and pp. 71-73.

შესაბამის მონაცემზე. არის თუ არა ობიექტური ფაქტორები გარეგნულად შესამჩნევი, რაც სამუშაოს იძულებით შრომად გარდაქმნის? რა დატვირთვა უნდა მიენიჭოს დაქირავებულის შეხედულებას? ამ შემთხვევაში გაეცანით ICTY (საერთაშორისო სასამართლო ტრიბუნალი) სასამართლო პალატის გადაწყვეტილებას საქმეზე – „პროკურორი კრნოვლაცის წინააღმდეგ“ და შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „შეერთებული შტატები კომინისკის წინააღმდეგ“. გახსოვდეთ, რომ ყოველი ადამიანი განსხვავებულია და შესაბამისად, ზეწოლის ან შევიწროების ფაქტორი, ის რაც შრომას „იძულებით“ ხასიათს აძლევს, ასევე შეიძლება განსხვავებულად აღიქმებოდეს სხვადასხვა პიროვნებების მიერ.

(3) სასამართლოები იბრძვიან ძალადობის არაპირდაპირი ფორმების გამოყენების წინააღმდეგ. თუ ძალადობის ფორმა ფსიქოლოგიურია, მაშინ მისი შეფასება და გაზომვა ძალზე სუბიექტურია? დავესვსებით პაკისტანის სინდჰის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს – შეიძლება თუ არა დაქირავებული დატყვევებული იყოს არა კედლებში, ბორკილებით, არამედ „ფსიქოლოგიური ტყვეობის“ მეთოდებით? რა დამცავი მექანიზმი გააჩნია დამსაქმებელს იმ შემთხვევაში, როცა მისი ლეგიტიმური უფლება „გაფრთხილება სამსახურიდან დათხოვნის შესახებ“ აღიქმება „მუქარად“. ეს მუქარა ხომ არ გარდაქმნის სამუშაოს იძულებით შრომად? მაგალითისთვის იხილეთ შეერთებული შტატების პირველი საოლქო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე – „შეერთებული შტატები ბრედლეის წინააღმდეგ“.

(4) ზოგადად როგორ უნდა განიხილებოდეს, ეკონომიკური წნეხი? მიუხედავად იმისა რომ, ექსპერტთა კომიტეტი სავალო კაბალას აღიარებს, როგორც იძულებითი შრომის ერთ-ერთ ფორმას, ეკონომიკური სიდუხჭირე, როგორც არგუმენტი მიუღებელია, რომ დასაშვები გახდეს სამუშაოს გარდაქმნა იძულებით შრომად. თავის მხრივ, არც დამსაქმებელია უპირობოდ ვალდებული პასუხი აგოს გარე მოვლენებით განპირობებულ სიდუხჭირეზე ან იმ არაპირდაპირ ძალადობაზე, რომელიც მისი მიზეზით არ წარმოქმნილა. ყოველი შემთხვევისთვის, ერთმა ამერიკულმა სასამართლომ „ნებისმიერი სასჯელის მუქარა“ განმარტა როგორც დამსაქმებლის მიერ განხორციელებული გამიზნული ქმედება. სხვა სასამართლოებისთვის, განსაკუთრებით ინდოეთის უზენაესი სასამართლოსთვის უფრო მისაღები აღმოჩნდა ეკონომიკური იძულების ცნება. მაგალითისთვის გაეცანით საქმეს – „ბანდჰუა მუკტი მორჩა ინდოეთის პროფკავშირების წინააღმდეგ“.

(5) რომელი შემადგენელი ფაქტორი უნდა მივიჩნიოთ იმ გარემოების მიზეზად, რომელიც წარმოქმნის დაუცველობას ან სხვა პიროვნებაზე დამოკიდებულებას? ზოგიერთი ფაქტორი ცალსახად არის კანონით განსაზღვრული, კერძოდ, არასრულწლოვანობა, მიგრანტობის სტატუსი, ფიზიკური ნაკლოვანება/გონებრივი ჩამორჩენილობა და გენდერი, მაშინ როცა, სხვა დანარჩენი მოსამართლეთა გონივრული გადაწყვეტილებით არის დასადგენი. საფრანგეთში, სასამართლომ განსაზღვრა უმუშევრობის რისკი, როგორც შემქმნელი სიტუაციისა, სადაც დაქირავებული დამქირავებელზე უშუალოდ ხდება ეკონომიკურად დამოკიდებული. იხილეთ საქმე – „რესპუბლიკის პროკურორი მონსინიორ ბ-ს წინააღმდეგ“.

(6) რა როლს ასრულებს დასაქმებულის პირადი, ინდივიდუალური დაუცველობა იძულებითი შრომის ფაქტის დადგენისას? სჭირდება თუ არა ძალადობის ფაქტს დამტკიცება, როცა დაუცველობა აშკარად სახეზეა, იმის გათვალისწინებით, რომ ამ შემთხვევაში იძულების გამოყენება საჭირო აღარ არის. ინდოეთში, სასამართლოები ცდილობენ შექმნან თანაბარ პირობებში ჩაყენების სამართლებრივი პრეზუმფცია ეკონომიურად არაპრივილეგირებულ დასაქმებულთათვის. მსგავსი საქმეების განხილვას თან ახლავს ერთი საკითხის გარკვევის საჭიროება, ხომ არ არის კონკრეტული მსხვერპლის პიროვნული თვისებები ისეთი, რომ აშკარა ძალადობა ან დასჯის მუქარა საჭირო აღარ არის. როგორც ჩანს, სასამართლოები არ მოითხოვენ აშკარად გამოხატული ძალადობის მტკიცებულებას, როცა აცნობიერებენ, რომ კონკრეტული ტიპის დამარაღებული შესაძლებელია შრომით ექსპლუატირებული ყოფილიყო. თუ რამდენად არის გასათვალისწინებელი პიროვნების ინდივიდუალური დაუცველობა განხილულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე – „სილიადინი საფრანგეთის წინააღმდეგ“.

(7) რა საშუალებებს გვთავაზობს სასამართლო? ამ საქმეების ნაწილი სისხლის სამართლის კვალიფიკაციისაა და ბრალდებულის თავისუფლების აღკვეთით სრულდება. გარკვეულ შემთხვევებში, იქნება ეს სისხლის თუ სამოქალაქო სამართლის, სასამართლო განკარგულება გასცემს დამარაღებულის კომპენსაციით უზრუნველყოფის თაობაზე.

კომპენსაციის გადახდა შეიძლება მოხდეს ისეთი ფინანსური ბარალის შემთხვევაში, როგორც არის ხელფასის დაკარგვა ან არაფინანსური ბარალისთვის – მორალური ზიანი, განცდა ან ტკივილი. სასამართლოს მიერ შემოთავაზებული საშუალებები დამოკიდებულია სასამართლოს კომპეტენციის ფარგლებში არსებულ უფლებამოსილებაზე – გამოიძიოს და მოახდინოს ქონების კონფისკაცია, მიუსაჯოს თავისუფლების აღკვეთა, დაანესოს ფინანსური ჯარიმა და გასცეს ბრძანება კონფისკაციაზე. დაწესებული აღმკვეთი ზომები იმის მაჩვენებელია, თუ რამდენად ეფექტიანია სასამართლო იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლის შემთხვევაში.⁸

საბოლოოდ, ყველა ამ შემთხვევის მიმოხილვიდან აშკარა ხდება, რომ იძულებითი შრომა სულ უფრო მეტად განიხილება არა მხოლოდ, როგორც ადამიანის უფლების დარღვევა, რომელზეც პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აკისრია, არამედ, როგორც სისხლის სამართლის დანაშაული, რომელიც აღიარებულია, როგორც შიდა სახელმწიფოებრივი, ასევე საერთაშორისო სამართლის ნორმებით. გარკვეული პიროვნებები სისხლის სამართლის დანაშაულისაკენ არიან მიდრეკილნი, როცა იძულებით შრომას თავს ახვევენ დასაქმებულთა და ასეთ შემთხვევაში, სისხლის სამართლისა და სასამართლოს წესით დევნა, სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებებია. დღეისათვის, იძულებითი შრომის კონვენციამ საკითხისადმი დამოკიდებულება შეცვალა, ვინაიდან ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისად, „სამართლებრივი აქტი უნდა იყოს მუდმივად განახლებადი და დანიშნულებისამებრ, უნდა პასუხობდეს თანამედროვეობის მოთხოვნებს“⁹.

მკითხველი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოეკიდოს სასამართლოს მიერ დაუმტკიცებელი, იძულებითი შრომის ბრალდებებს (ან მასთან დაკავშირებულ საჩივრებს, როგორიცაა მოჯამაგირეობა, ვალის კაბალა, იძულებითი ყმობა ან დამონება). სასამართლოს მიერ დაუმტკიცებელი საქმეები ხშირად, ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით რთულად დასადგენია. კერძოდ, გადმოცემით აღიარებული იძულებითი შრომა შეიძლება ფაქტის შესწავლის შემთხვევაში არ დადგინდეს.

გარკვეული ყურადღება უნდა მიექცეს იძულებითი შრომის ბრალდებით იურიდიული პირის წინააღმდეგ საქმის აღძვრას საწარმოებში, სადაც დასაქმებულთა მრავალნაციონალური (MNE) კოლექტივია. სამართლებრივი დავების დროს იკვეთება მასპინძელი ქვეყნის ძალისხმევა დაიცვას უცხო ქვეყნის ქცევის ნორმების გავლენისგან საკუთარი ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობა.

იმდენად, რამდენადაც ყურადღება იძულებითი შრომის, სასამართლოსეულ განმარტებაზეა გამახვილებული, ზოგადი შეხედულებების თვალსაზრისით, წარმოდგენილი მასალა ნამდვილად არასაკმარისია. ამ კრებულში ასახულია ზოგიერთი, საყოველთაოდ აღიარებული იძულებითი შრომის ტიპური შემთხვევები, მათ შორის, როგორც არის შინამოსამსახურეთა ყმობა, ომის ტყვეების დამონება, მიგრანტები სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებზე, აუტანელი შრომა არამექანიზირებულ საწარმოებში. რაც შეეხება იძულებითი შრომის ისეთ სახეებს, რომლებიც სასამართლოში არასაკმარისად განიხილება ბუნებრივია, ამ კრებულში ვერ მოხვდა. მაგალითად, სახელმწიფოს მიერ დამკვიდრებული იძულებითი შრომა ან ციხის პირობებში არსებულ შრომაზე სასამართლოებში საქმეები ბოლომდე არასდროს სრულდება. ასევე არ განიხილება ტრადიციული მონური შრომის საქმეები.¹⁰ ისეთ ქვეყნებშიც კი, სადაც იძულებითი შრომა აღიარებულია რეალურ პრობლემად და ამ პრობლემის მოგვარებაში ჩართულია ყველა სათანადო მხარე, კერძოდ, მთავრობა, პროფკავშირები, დამსაქმებელთა ასოციაცია, არასამთავრობო სექტორი და შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, შედარებით იშვითად ხდება იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლა სისხლის სამართლისა და სასამართლოს წესით დევნის გზით. აბსოლუტურად ნათელია, რომ მთელ მსოფლიოში იძულებითი შრომის წინააღმდეგ ბრძოლა ძირითადად, სისხლის სამართლისა და სასამართლოს წესით უნდა ხდებოდეს.

8 ზოგადი მსჯელობისთვის, ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთათვის კომპენსაციის გაცემაზე იხილეთ: *Compensation for Trafficked and Exploited Persons in the OSCE Region*, OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights, Warsaw, 2008.

9 *Siliadin v. France*, European Court of Human Rights, 26 July 2005, § 121

10 მონური შრომის სისტემა ზოგჯერ, განიხილება როგორც ტრადიციული ან კლასიკური მონობა. ეს არის სისტემა, სადაც ერთ პირს აქვს მეორე პირზე საკუთრების უფლება.

2. საერთაშორისო სამართლებრივი კანონმდებლობა

შრომის კანონი, ადამიანის უფლებათა დაცვის კანონი და სისხლის სამართლის კანონი – ყველა მათგანი შეიცავს იძულებითი შრომის განმსაზღვრელ სტანდარტებს. ეს სექცია მოიცავს ყველაზე მნიშვნელოვანი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტების ანალიზს – შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, იძულებითი შრომის წინააღმდეგ კონვენციები, გაეროს მონობის წინააღმდეგ კონვენციები, გაეროს ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროტოკოლი და განსაზღვრავს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე (ICTY) როგორც სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის, ასევე სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუსს (ICC).

იძულებითი შრომის კონვენცია (Nº29) 1930 წელს, ხოლო მონობის წინააღმდეგ კონვენცია 1926 წელს შეიქმნა და წარმოადგენს დოკუმენტების ტანდემს, რათა უკეთესად იქნეს გაგებული, თუ როგორ განიხილებოდა იძულებითი შრომისა და მონობის არსი. შემდგომი პერიოდის სამართლებრივ დოკუმენტებში კერძოდ, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციაში (ICCPR, 1966), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციაში (1950) სწორედ წინა პერიოდში ჩამოყალიბებული განმარტებებზე დაყრდნობით განისაზღვრა იძულებითი შრომის და მონობის ამკრძალავი სტანდარტები.¹¹

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ენდობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის კონვენციის შემქმნელებს და ამ კონვენციას იყენებს როგორც სახელმძღვანელოს.¹² შესაბამისად, ადამიანის უფლებათა კომიტეტი, შემათანხმებელი ორგანო (Treaty body), რომელსაც ევალება პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების კონვენციის (ICCPR) განხორციელების მონიტორინგი, აღნიშნავს, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი განმარტებები არსებითია იძულებითი და სავალდებულო შრომის განმსაზღვრელი ფაქტორებისთვის.¹³

სისხლის სამართლის საქმეში ორივე, გაეროს ტრეფიკინგის პროტოკოლი, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე (ICTY) და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტები გვთავაზობენ ადამიანით ვაჭრობისა (ტრეფიკინგისა) და მონობის ცნებების ფართო განმარტებებს, რომლებიც ასევე მოიცავენ იძულებით შრომას. ეს საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტები ურთიერთგამომრიცხავი არ არის. ზოგადად, შრომითი ექსპლუატაციის რომელიმე საქმე თავისუფლად შეიძლება მიესადაგოს იძულებითი შრომის ნებისმიერი საერთაშორისო სამართლებრივი დოკუმენტის განმარტებას და არამართებულია, თუ დავუშვებთ, რომ კონკრეტული ქცევა ან ქცევის ფორმა მხოლოდ ერთი სახის ძალადობას იწვევს. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია თვლის, რომ იძულებითი შრომის განმარტება საკმაოდ ფართო ცნებაა. შესაბამისად, მოიცავს მონობის ძირითად ფორმებს, გარდა იმ დასაშვები გამონაკლისისა, როცა მონობა კვლავ გულისხმობს მეპატრონეობის უფლებას, რომელიც მონას იძულებით შრომასა და მომსახურებას არ ავალდებულებს. შესაბამისად, იძულებითი შრომის განმარტება გულისხმობს ტრეფიკინგის ძირითად ფორმებს, მათ შორის, სექსუალურ ექსპლუატაციასაც (ვინაიდან იგი შრომის ერთ-ერთი ფორმაა), მაგრამ იგი ალბათ, არ ვრცელდება ორგანოების იძულებით დონორობაზე. ვინაიდან იძულებითი შრომის ცნება მოიცავს მასთან დაკავშირებულ სხვა ცნებებს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სამედამხედველო ორგანოებს შესწავლილი აქვთ იძულებით შრომასთან დაკავშირებული სხვადასხვა შემთხვევები.

11 Sarah H. Cleveland, „Book Review: Global Labour Rights and the Alien Tort Claims Act“, in Texas Law Review, Vol. 76, May 1998, pp. 1533, 1573; აგრეთვე, იხილეთ: Marc J. Bossuyt, *Guide to the travaux préparatoires of the International Covenant on Civil and Political Rights* (Martinus Nijhoff 1987), p. 169; Manfred Nowak, *U.N. Covenant on Civil and Political Rights, CCPR Commentary* (Kehl Strasbourg 1993), p. 144.

12 ვან დერ მესელე ბელგიის წინააღმდეგ, განცხადება № 8919/80, § 32

13 *View of the Human Rights Committee*, CCPR/C/85/D/1036/2001 (Jurisprudence) at para. 7.5.



2.1. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის ამკრძალავი კონვენციები და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელშეწყობა

2.1.1. კონვენცია იძულებითი შრომის აკრძალვის შესახებ, 1930 (N°29)

ეს კონვენცია განმარტავს იძულებით შრომას, მოითხოვს სახელმწიფოებისაგან მის კრიმინალიზაციას და გამონაკლისის შემთხვევების სიას შეიცავს.

მუხლი 2, §1 განმარტავს „იძულებით და სავალდებულო შრომას“, როგორც:

**ყველა სამუშაო და მომსახურება, რომელიც სასჯელის მექანიზმის წესით
ავალდებულებს ნებისმიერ პიროვნებას და, რომელსაც აღნიშნული
პიროვნება ნებაყოფლობით არ შეასრულებდა.**

მუხლი 2. §2 გვანვდის იმ გამონაკლისთა ჩამონათვალს, რომელთა შემთხვევაშიც, შესრულებული სამუშაო იძულებით შრომად არ განიხილება, კერძოდ: 1. სავალდებულო სამხედრო სამსახური, რომელიც წმინდა სამხედრო სპეციფიკაა; 2. ჩვეულებრივი სამოქალაქო სამართლებრივი ვალდებულებები; 3. კონვენცია სტატუტის ნორმებით მოქმედ სასამართლოში; 4. საგანგებო სიტუაციების შემთხვევები; 5. მცირე მეურნეობები, რომელიც თემის წევრებისაგან შედგება და უშუალოდ ამ თემის ინტერესებს ემსახურება.

„იძულებითი და სავალდებულო შრომის თავსმოხვევა კერძო პირების, კომპანიების და გაერთიანებების სასარგებლოდ“ დაუყოვნებლივ აიკრძალა (მუხლი 4, §1), ხოლო, რაც შეეხება სახელმწიფო უწყებების მიერ განხორციელებულ იძულებითი შრომის შემთხვევებს, ისინი უკანონოდ არ აღიარეს, მაშინ როცა წევრმა სახელმწიფოებმა ნაკისრი ვალდებულების მიხედვით უნდა „აკრძალონ იძულებითი და სავალდებულო მომსახურების ყველა ფორმის გამოყენება დროის უმოკლეს პერიოდში“ (მუხლი 1, §1). გარდამავალ პერიოდში იძულებითი შრომა შეიძლებოდა გამოყენებული ყოფილიყო „სამოგადოებრივი ინტერესების საკეთილდღეოდ, როგორც გამონაკლისი ხასიათის საშუალება“ (1 მუხლი, § 2). ექსპერტთა კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად, 1998 წლიდან აიკრძალა გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი სირთულეების როგორც იძულებითი შრომის გამომწვევი მიზეზების აღიარება და ამით მისი გამართლება¹⁴. 2007 წელს, *იძულებითი შრომის აკრძალვის კონვენციაზე* ჩატარებულმა ზოგადმა კვლევითმა კომიტეტმა დაადგინა, რომ გარდამავალ პერიოდს, როგორც ცნებას, დიდი ხნის წინათ გაუვიდა ვადა და „მისი გაუქმება პროტოკოლის მიღებით უნდა მოხდეს“.¹⁵

მუხლი 25, იძულებითი შრომის სისხლის სამართლის დანაშაულის კვალიფიკაციის მინიჭება:

**იძულებითი და სავალდებულო შრომის უკანონო მოთხოვნა უნდა ისჯებოდეს
სისხლის სამართლის კანონით და ნებისმიერი წევრი ქვეყანა, სადაც
რეატიფიცირებულია ეს კონვენცია, ვალდებულია უზრუნველყოს კანონით
დაწესებული სასჯელის ადეკვატურობა და მისი მთელი სიმკაცრით
აღსრულება.**

14 ექსპერტთა კომიტეტის მიერ ჩატარებული ცალკეული დოკუმენტები კონვენციისა და რეკომენდაციების გამოყენებაზე, კერძოდ, იძულებითი შრომის აკრძალვის კონვენცია N°29, ბანგლადეში, 86-ე სესია, ჟენევა 1998 (კომიტეტი ადგენს, რომ „...შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ყველა წევრი ქვეყანა იღებს ვალდებულებას აკრძალოს იძულებითი და სავალდებულო შრომის ყველა ფორმა, დროის უმოკლეს ვადაში... ვინაიდან, 1930 წელს მიღებული კონვენცია მოგვინოძებს უმოკლეს დროში აიკრძალოს იძულებითი და სავალდებულო შრომა და დღევანდელ პერიოდში (მიღებიდან 67 წლის შემდეგ) თუ დავეყრდნობით მას, ამ პირობების ერთ-ერთი მოთხოვნა სწორედ გარდამავალი პერიოდის ფუნქციის გაუქმებაა, სხვა შემთხვევაში, იგი ეწინააღმდეგება თავად კონვენციის ძირითად არსს“).

15 *Eradication of forced labour, General Survey of 2007*, at paras. 10 & 196.

2.1.2. იძულებითი შრომის გაუქმების კონვენცია 1957 (N°105)

ეს კონვენცია არ ცვლის იძულებითი შრომის იმ განმარტებას, რომელიც მოცემულია 29-ე კონვენციაში.¹⁶ ექსპერტთა კომიტეტის ახსნა-განმარტების შესაბამისად, ეს ორი კონვენცია ერთმანეთის ურთიერთშემაჯავებელია. „მაშინ, როცა 105 კონვენცია შედარებით, ახალი სამართლებრივი ინსტრუმენტია (დოკუმენტი), რომელიც ეყრდნობა 29 კონვენციის საფუძველს, რათა აღკვეთოს იძულებითი და სავალდებულო შრომა მისი მნიშვნელობის შესაბამისად, 29 კონვენცია ადგენს იძულებითი და სავალდებულო შრომის ძირითად აკრძალვებს, რამდენიმე დასაშვები გამონაკლისის გათვალისწინებით.“¹⁷

მუხლი 1 გვანვდის ინფორმაციას, რომ იძულებითი და სავალდებულო შრომა არ უნდა გამოიყენებოდეს, როგორც:

- (ა) პოლიტიკური ზეწოლის ან აღზრდის საშუალება, როგორც დამსჯელი ღონისძიება განსხვავებული პოლიტიკური აზრის გამოხატვისთვის და/ან არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური და სოციალური სისტემის სანინააღმდეგო იდეოლოგიური მრწამსის გაზიარებისთვის;
- (ბ) ეკონომიკური განვითარების საჭიროებისათვის სამუშაო ძალის მობილიზაციისა და გამოყენების მეთოდი;
- (გ) შრომის დისციპლინის დაცვის საშუალება;
- (დ) დასჯის საშუალება გაფიცვებში მონაწილეობისთვის;
- (ე) დისკრიმინაციის საშუალება რასობრივი, სოციალური, ეროვნული ნიშნების ან სარწმუნოების მიხედვით.

2.1.3. ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმების ამკრძალავი კონვენცია 182 (1999)

კონვენციის მე-3 მუხლი განმარტავს „ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმებს“, როგორც:

- ა) მონობის ყველა ფორმის ან მისი მსგავსი ექსპლუატაციის გამოყენება, ბავშვის ყიდვა ან ბავშვით ვაჭრობა, ვალის კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება, იძულებითი ან სავალდებულო შრომა, რომელიც მოიცავს ბავშვის იძულებით დაქირავება/განწევას სამხედრო სამსახურში შეიარაღებულ კონფლიქტში მონაწილეობისათვის;
- ბ) ბავშვის პროსტიტუციის მიზნით შეძენა, შეთავაზება ან მომსახურებით სარგებლობა, ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიული ფილმებისა და წარმოდგენებისათვის;
- გ) ბავშვის შეძენა, გამოყენება ან შეთავაზება აკრძალული საქმიანობისთვის, კერძოდ, ნარკოტიკების წარმოებისა და კონტრაბანდისთვის, როგორც ეს განმარტებულია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში;
- დ) შრომა, რომელიც თავისი ბუნებით ან სამუშაო პირობებით შესაძლოა მავნებელი იყოს ბავშვის ჯანმრთელობისთვის, ზნეობისათვის და უსაფრთხოების თვალსაზრისით, რისკის შემცველი.

მე-7 მუხლის შესაბამისად, თითოეული წევრი სახელმწიფო ვალდებულია „მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა, რათა ეფექტიანად განახორციელოს და შეასრულოს ყველა პირობა კონვენციის ასამოქმედებლად, მათ შორის, სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული და სხვა შესაბამისი სანქციები“.

16 იხილეთ: *Forced labour*, General Survey by the Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations, ILC, 52nd Session, Geneva, 1968, para. 42 [hereafter: *Forced labour*, General Survey of 1968.]. იხილეთ: *Eradication of forced labour*, General Survey of 2007, at para. 11 („Convention N° 105 does not constitute a revision of Convention N° 29, but was designed to supplement it.“).

17 ILO, *Report of the Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations*, Report III (Part 1A) International Labour Conference, 85th Session, Geneva, 1998, para. 105.



2.1.4. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მოსაზრება იძულებითი შრომის მნიშვნელობაზე

მე-2 მუხლში მოცემულია იძულებითი შრომის განმარტება სამი შემადგენელი ნაწილის შესაბამისად:

- 1) იძულებითი სამუშაო ან მომსახურება;
- 2) სამუშაოს შიშის, მექარის ქვეშ შესრულება;
- 3) სამუშაო, რომელსაც პიროვნება თავისი ნებით არ შეასრულებდა.

ცალკეული დაკვირვებების, ზოგადი განცხადებების ან კვლევების მეშვეობით, ექსპერტთა კომიტეტი გვთავაზობს ამ შემადგენელ ნაწილებზე თავის მოსაზრებას. პრეცედენტების ამ კრებულში ექსპერტთა კომიტეტის მიერ წარმოდგენილია ცალკეული დაკვირვებების მასალები, რათა მკითხველს გააცნოს შსო-ის შეხედულება ამ კონკრეტულ საკითხებზე. შემდეგ გაეცნობით ექსპერტთა კომიტეტის მიერ გაკეთებული ზოგადი განცხადებების დასკვნებს იძულებითი შრომაზე. უფრო დეტალურად წარმოდგენილი ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ 2007 წლის ზოგად კვლევაში „*იძულებითი შრომის აღმოფხვრა*“.¹⁸

სამუშაო ან მომსახურება – ექსპერტთა კომიტეტის განმარტებით, იძულებითი შრომაზე სავალდებულო განათლება არ არის საკმარისი გავიგოთ რა არის „შრომა ან მომსახურება“, რომელიც შესრულებული იყო მექარის შიშის ქვეშ. შესაბამისად, პროფესიული ტრენინგების პროგრამა, როგორც წესი, არ შემოიფარგლება სავალდებულო შრომის ან მომსახურების იმ განმარტებით, რომელიც 29 კონვენციაშია მოცემული. ვინაიდან პროფესიული მომზადების ტრენინგი შესაძლოა „მოიცავდეს პრაქტიკული სამუშაოების გარკვეულ მოცულობას“, შეიძლება აუცილებელი გახდეს კონკრეტული შემთხვევების ფაქტობრივი გარემოების შესწავლა, რათა „განისაზღვროს არის თუ არა ეს კონკრეტული მაგალითი არაორაზროვნად, იძულებითი შრომის შემთხვევა თუ პირიქით, იგი მოიცავს სამუშაოს ან მომსახურების მოთხოვნას „იძულებითი და სავალდებულო შრომის“ მნიშვნელობით.“¹⁹

სასჯელის ნებისმიერი მექარა – ექსპერტთა კომიტეტის შესაბამისად, ეს ფრაზა ფართო განმარტებით უნდა განისაზღვროს. მისი „მნიშვნელობა არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ დასჯის სანქციების ფორმებით“. იგი ასევე, შეიძლება ნიშნავდეს „პრივილეგიების ან უფლებების ჩამორთმევას“, რაც გულისხმობს შეზღუდვებს დაწინაურებაზე, სხვა ადგილზე გადაყვანაზე, ახალ სამუშაო ადგილების ხელმისაწვდომობაზე, ადგილსამყოფელსა და სხვა²⁰. ყურადღება უნდა დაეთმოს ამ კომპონენტების განხილვას, განსაკუთრებით, შეიძლება თუ არა, რომ იძულებითი შრომის კონვენციის შესაბამისად, ფსიქოლოგიური ზეწოლა ან ეკონომიკური იძულება დასჯას ნიშნავდეს. ზოგადად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სადამკვირვებლო ორგანოები ცნობენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, როგორც დასჯის მექარის ფორმას. თუმცა, ეჭვობენ იმ არგუმენტის დასაშვებობაზე, როცა ზოგადი სიტუაცია და ეკონომიკური სიდუხჭირე, რის გამოც, დასაქმებული ჩერდება სამსახურში, შეიძლება განიხილებოდეს, როგორც სასჯელის მექარის ტოლფასი²¹. სამაგიეროდ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ დამსაქმებელი ან სახელმწიფო „არ შეიძლება იყოს პასუხისმგებელი ყველა გარეშე ფაქტორებით განპირობებულ ეკონომიკურ სიდუხჭირეზე და მის თანმდევ იძულებაზე, რომელიც არსებობს პრაქტიკაში... შესაბამისად, შემოსავლის გამო იძულებითი სამსახურის ფაქტორი განიხილული უნდა იყოს, როგორც პასუხისმგებელი, არსებულ სიტუაციაზე, სხვა ფაქტორებთან ერთობლიობაში²².

ნებაყოფლობით შეთავაზება – ეს შემადგენელი ნაწილი განსხვავდება „ნებისმიერი სასჯელის მექარისაგან“, მაგრამ ექსპერტთა კომიტეტი აღნიშნავს, რომ სამუშაო,

18 ყველა ზოგადი კვლევა დაწყებულია 1985 წლიდან; იხილეთ: www.ilo.org/ilolex;

19 *Abolition of forced labour*, General Survey by the Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations, ILC, 65th Session, Geneva, 1979, para. 20 [hereafter: *Abolition of forced labour*, General Survey of 1979.]. იხილეთ: *Eradication of forced labour*, General Survey of 2007, §36.

20 *Abolition of forced labour*, General Survey of 1979, op. cit., §. 21; იხილეთ: *Eradication of forced labour*, General Survey of 2007, §37. 21 See ILO, *Report of the Committee set up to examine the Article 24 representation concerning Portugal*, 1985, para. 97.

21 იხილეთ: ILO, *Report of the Committee set up to examine the Article 24 representation concerning Portugal*, 1985, para. 97.

22 ILO, *Report of the Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations*, Report III (Part 1A), International Labour Conference, 90th Session, Geneva, 2002, p. 98.

რომელიც მისაღები აღმოჩნდა და შესრულდა „ნებისმიერი სასჯელის მექანიზმით“ არ ნიშნავს, რომ სამუშაო შესრულდა ნებაყოფლობით. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მექანიზმის ქვეშ, არანაირ „ნებაყოფლობით შეთავაზებას“, ადგილი არ ჰქონია. უფრო მეტიც, სადაც სამუშაოს შეთავაზება თავიდანვე ტყუილით მოხდა, დასაქმებულის თანხმობა არ შეიძლება განიხილებოდეს, როგორც გათვითცნობიერებული ადამიანის ნებაყოფლობითი თანხმობა.²³ ყველა დროში, დასაქმებულის თავისუფალი არჩევანი სამსახურზე ხელშეუხებელია²⁴. დასაქმებულს ყოველთვის უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანის უფლება დატოვოს სამსახური. ამგვარად, აქ კითხვა შედგება ორი ნაწილისაგან: წარმოადგენდა თუ არა სამსახურზე მიცემული თანხმობა თავისუფალ არჩევანს და აქვს თუ არა დასაქმებულს უარის უფლება საკუთარ თანხმობაზე.

2.2. ბაეროს მონობის წინააღმდეგ კონვენცია

2.2.1. მონობის წინააღმდეგ კონვენცია, 1926

ერთა ლიგა დიდ პრობლემას ხედავდა აფრიკელი მონებით დაუსრულებელ ვაჭრობაში და 1924 წელს, დანიშნა მონობის შემსწავლელი დროებითი კომისია, რომელსაც საკითხის შესწავლა და ანგარიშის მომზადება დაევალა. 1926 წელს, ერთა ლიგამ მიიღო მონობის წინააღმდეგ კონვენცია, რომელიც 1927 წელს შევიდა ძალაში. ეს იყო პირველი საერთაშორისო სამართლებრივი აქტი, სადაც განმარტებულია მონობის მნიშვნელობა.

1 მუხლი განმარტავს, რომ:

მონობა ადამიანის სტატუსი ან მდგომარეობაა და მის ყველა ან რომელიმე უფლებას მასზე მესაკუთრეობის უფლების მქონე პირი განაგებს.

იყო მსჯელობა, რომ მონობა შესულიყო იძულებითი შრომის კატეგორიაში, მაგრამ, საბოლოოდ, დელეგატებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ მონობა ცალკე საკითხად განემარტათ.²⁵ იძულებითი შრომის კონვენციისგან განსხვავებით, მონობის წინააღმდეგ კონვენციისთვის დაუშვებელია ნაწილობრივი ცვლილება და გარდამავალი ეტაპი. მხარეებს „თანმიმდევრობით, დროის უმოკლეს პერიოდში უნდა განეხორციელებინათ მონობის აბსოლუტურად ყველა ფორმის გაუქმება“ (მუხლი 2, „ბ“). ერთა ლიგა თავიდანვე აფიქსირებდა პოზიციას იძულებითი შრომის მიმართ და მხარს უჭერდა ანალოგიური მიდგომის გამოყენებას, რაც გამოყენებული იქნა მონობის წინააღმდეგ“.

2.2.2. დამატებითი კონვენცია მონობის, მონათვაჭრობის, მონობის მსგავსი მდგომარეობისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ, 1996 წ.

1996 წელს, გაერომ იძულებითი შრომისა და მონობის წინააღმდეგ კონვენციებზე დაყრდნობით მიიღო დამატებითი კონვენცია მონობის გაუქმების შესახებ. შესავალშივე აღნიშნულია, რომ „მონობა, მონათვაჭრობა, მონობის მსგავსი მდგომარეობა და მონობის მსგავსი პრაქტიკა მსოფლიოში ჯერ არ არის აღმოფხვრილი“, როგორც ეს გამოხატულია 1926 წლის მონობის წინააღმდეგ კონვენციაში და არგუმენტირებულია დამატებითი კონვენციის დასკვნაში, აუცილებელია, ეროვნული და საერთაშორისო ძალისხმევა. მისი დანიშნულება იყო სავალ კაბალის, ბატონყმური ურთიერთობის, ნების წინააღმდეგ ქორწინების და ბავშვთა შრომის გარკვეული ფორმების უკანონოდ გამოცხადება.

1 მუხლი გვაუწყებს, რომ:

23 *Individual Observation Concerning Peru, 87th Session, Geneva, 1999, para. 3 (Noting that certain forms of deceitful or violent recruitment of labour were forced labour).*

24 *Abolition of forced labour, General Survey of 1979, op. cit., para. 68; Eradication of forced labour, General Survey of 2007, at para. 40.*

25 იხილეთ: Renee Colette Redman, „The League of Nations and the Right to Be Free from Enslavement: The First Human Right to Be Recognized as Customary International Law“, in *Chicago-Kent Law Review*, Vol. 70, 1994, pp. 759, 781 (იძულებითი შრომის დებატები).



ყველა წევრმა სახელმწიფომ, რომელიც მიერთებულია კონვენციასა უნდა გაატაროს პრაქტიკული და საჭირო სამართლებრივი ქმედებები, რათა თანმიმდევრულად და დროის უმოკლეს ვადაში, გააუქმოს მონობა ან უარი თქვას მონობის მსგავს ინსტიტუტებზე და საქმიანობაზე. ეს ეხება ყველა იმ ქვეყანას, სადაც ჯერ კიდევ, არსებობს მონობა, მიუხედავად იმისა, ვრცელდება თუ არა მისი ქვეყნის მაგალითზე, მონობის ის განმარტება, რომელიც დეფინიცირებულია მონობის წინააღმდეგ კონვენციის 1 მუხლში, რომელიც 1926 წელს იქნა ხელმოწერილი.

- ა) სავალო კაბალა, ეს არის სტატუსი ან მდგომარეობა, რომელიც წარმოიქმნება მევალის დაპირების შედეგად, რომ შეასრულოს მომსახურება ვალის სანაცვლოდ ან იმ პიროვნებებისგან, რომლებიც წარმოადგენენ ვალის გადახდის გარანტს, თუ მომსახურების ღირებულება, როგორც გონივრულად შეფასებული სამუშაო განეულება ვალის ლიკვიდაციის მიზნით, ან როცა მომსახურების ძირითადი მახასიათებელი და ხანგრძლივობა არ არის შესაბამისად დაფიქსირებული და განსაზღვრული;
- ბ) ბატონყმობა ეს არის მდგომარეობა ან სტატუსი დამქირავებლისა, რომელიც დადგენილია კანონით, ადრით ან შეთანხმებით. იგი ნიშნავს პიროვნების ბინადრობას და მუშაობას მიწაზე, რომელიც სხვისი კუთვნილებაა, დადგენილი სამუშაოს შესრულებას ანაზღაურების ან მის გარეშე და მდგომარეობას, რომლის შეცვლის უფლებაც მას არ აქვს;
- გ) ნებისმიერი მდგომარეობა ან საქმიანობა რისი მეშვეობითაც:
 - (i) ქალს ჩამორთმეული აქვს უარის უფლება. იგი იმყოფება ქორწინებაში ან გადაცემულია დასაქორწინებლად გარკვეული საფასურის გადახდის საფუძველზე ან შეძენილია მისი მშობლებისგან, მეურვისგან, ოჯახისგან, სხვა ადამიანისგან ან ადამიანთა ჯგუფისგან როგორც ნატურით გადასახადი;
 - (ii) ქალის მეუღლეს, ქმრის ოჯახს, ტომს/მოდგმას აქვს უფლება გადასცეს იგი სხვა პიროვნებას მიღებული ფასის ან სხვა რამის სანაცვლოდ;
 - (iii) დაქვრივების შემთხვევაში ქალი მემკვიდრეობით გადაეცემა სხვა მესაკუთრეს.
- დ) ნებისმიერი მდგომარეობა ან საქმიანობა, რისი მეშვეობით ბავშვი ან 18 წლამდე ასაკის მოზარდი გადაეცემა სხვა პიროვნებას, რომელიმე ან ორივე ღვიძლი მშობლის და/ან მეურვის მიერ შრომის ან ექსპლუატაციის მიზნით, მიუხედავად იმისა, ხდება თუ არა ბავშვის ან მოზარდის შრომის ანაზღაურება.

2.3. სისხლის სამართლის საერთაშორისო ინსტრუმენტები (კანონები და სამართლებრივი აქტები)

2.3.1. ადამიანებით განსაკუთრებით, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმი გაეროს დამატებითი კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, 2000

ადრეული პერიოდის საერთაშორისოსამართლებრივი, ტრეფიკინგის ამკრძალავი ინსტრუმენტები მოიცავდნენ მხოლოდ ქალთა ტრეფიკინგის საკითხებს განსაკუთრებით, თეთრკანიანი, ევროპელი ქალების მიმართ სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ჩადენილ დანაშაულებრივ ქმედებას.²⁶ 90-იან წლებში გაზრდილმა მიგრაციამ და საზოგადოებაში გახმაურებულმა, დიდი რეზონანსის მქონე რამდენიმე კრიმინალურმა შემთხვევამ მსოფლიოს ყურადღება ტრეფიკინგის პრობლემისკენ მიმართა, რომელიც მამაკაცთა, ქალთა და ბავშვთა ორივე სახის სექსუალურ და სამუშაო ექსპლუატაციას მოიცავდა. 1998 წელს, გაეროს ასამბლეამ დაამტკიცა რეზოლუცია საგანგებო კომიტეტის შექმნის შესახებ, რათა ტრეფიკინგის პრობლემების საპასუხოდ, ჯეროვანი ქმედებები განხორციელებულიყო. 2000 წელს, კომიტეტმა დაასრულა თავისი სამუშაო ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის კონვენციისა და ორი პროტოკოლის შექმნით. პირველი პროტოკოლი ეხება მიგრანტთა კონტრაბანდას, ხოლო მეორე – ტრეფიკინგს.²⁷ გაეროს პროტოკოლი „ადამიანებით, განსაკუთრებით, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთის და დასჯის შესახებ“ პირველი საერთაშორისო ინსტრუმენტია (სამართლებრივი დოკუმენტი), რომელიც ტრეფიკინგს განსაზღვრავს, როგორც იძულებითი შრომის შემცველს. იგი აგრეთვე, გვთავაზობს იძულების, როგორც ცნების ფართო განმარტებას და არ ცნობს მსხვერპლის თანხმობას შესასრულებელ სამუშაოზე/მომსახურებაზე, იმ შემთხვევაში, თუ იგი მიღებულია რამე აკრძალული მეთოდების გამოყენებით. შესაბამისად, იგი წარმოადგენს „ტრეფიკინგის“ მნიშვნელობის ახალ კონცეფციას და ხაზს უსვამს იძულებითი შრომის პრობლემას. ეს კონვენცია მიღებულია 2000 წლის ნოემბერში და ძალაში შევიდა 2003 წელს.

მე-3 მუხლი გვთავაზობს ნაწილობრივ განმარტებას, თუ რის წინააღმდეგ არის შექმნილი პროტოკოლი:

- ა) „ადამიანებით ტრეფიკინგი (ვაჭრობა) ნიშნავს, რეკრუტირებას (სამსახურზე დაყოლიება/სამსახურში აყვანა), ტრანსპორტირებას, გადაცემას, თავშესაფარის მიცემას ან პირის მიღებას დაშინების, ძალადობის ან ზეწოლის სხვა საშუალებების გამოყენებით, ძალით მოტაცებით, თაღლითობით და მოტყუებით, სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით, დაუცველობის გამოყენებით, ან ფულის/სარგებელის მიღება-გაცემით, რათა მიღწეული იქნეს თანხმობა იმ პიროვნებასთან, რომელიც ექსპლუატაციის მიზნით აკონტროლებს მეორე პიროვნებას. ექსპლუატაცია უნდა მოიცავდეს, როგორც მინიმუმი, სხვების პროსტიტუციით ექსპლუატაციას, ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის იდენტურ საქმიანობას, ყმობას ან ორგანოების გადანერგვას.
- ბ) ტრეფიკინგის (ადამიანით ვაჭრობის) მსხვერპლის თანხმობა წინასწარ გააზრებულ ექსპლუატაციაზე, იმ შემთხვევაში, თუ ეს თანხმობა

26 იხილეთ: საერთაშორისო ხელშეკრულება Suppression of White Slave Traffic (1904); International Convention for the Suppression of White Slave Traffic (1910); Convention for Suppression of Traffic in Persons and Exploitation of Prostitution of Others (1949).

27 გაეროს პროტოკოლი the UN Protocol against the Smuggling of Migrants by Land, Air and Sea ხანდახან ეძლევათ UN Trafficking Protocol-ში. ფრანგულად „human trafficking“ უნდა ითარგმნოს, როგორც „la traite des personnes“ მაშინ როცა „migrant smuggling“ უნდა ითარგმნოს, როგორც „trafic illicite de migrants.“ ესპანურად „human trafficking“ უნდა ითარგმნოს, როგორც „la trata de personas“ მაშინ, როცა „migrant smuggling“ უნდა ითარგმნოს, როგორც „el tráfico ilícito de migrantes“.



მიღებულია ამ მუხლის (ა) ქვეპარაგრაფში ჩამოთვლილი რომელიმე საშუალების გამოყენებით, მაშინ ეს თანხმობა ითვლება შეუსაბამოდ (არარელევანტური კანონდარღვევა).

ტრეფიკინგის ოქმის ადრეული პროექტის შესაბამისად, „იძულებით შრომა არის „ყველა სამუშაო ან მომსახურება, რომელიც შესრულებულია იძულების წესით სხვა პიროვნების მუქარით, ძალის გამოყენებით, ან ზეწოლით და რომელსაც პიროვნება ნებაყოფლობით არ შეასრულებდა და არ დათანხმდებოდა სამუშაოზე სრულფასოვანი და სწორი ინფორმაციის მიწოდების შემთხვევაში“, მას მოჰყვება გამონაკლისთა ჩამონათვალი, რომელიც ასახულია 29 კონვენციაში.²⁸ ამ ოქმის კანონპროექტის შენიშვნები შეიცავს დელეგაციებს შორის გამართულ ცხარე დებატებს, ისეთი სიტყვების მნიშვნელობის განმარტების დადგენაზე, როგორიცაა „იძულებითი“, „თანხმობა“ და „ზეწოლა“.²⁹ ზოგიერთი ქვეყანა ამტკიცებს, რომ „იძულებითი შრომის“ განმარტება უნდა დაეყრდნოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ განმარტებულ ვერსიას, მაგრამ ტრეფიკინგის პროტოკოლის საბოლოო ტექსტში არ არის მოხსენიებული 29 კონვენცია ან იძულებითი შრომის შემადგენელი ფაქტორები³⁰. მიუხედავად ამისა, გაეროს ნარკოტიკების და დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ოფისის (UNODC) მიერ მომზადებული პროტოკოლის ინსტრუქცია ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29, 105 და 182 კონვენციებს, ასევე მონობის ამკრძალავ სხვა საერთაშორისოსამართლებრივ ინსტრუმენტებს (აქტებს).³¹

ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ეყრდნობა გაეროს მიერ დეფინირებულ ტრეფიკინგის განმარტებას, რომელიც მოცემულია გაეროს ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროტოკოლში. ევროპის საბჭო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა უნივერსალური დეკლარაციის, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციის (ICCPR), შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის კონვენციისა და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის გაუქმების კონვენციის განმარტებები იძულებით შრომაზე ერთმანეთს შეესაბამება.³²

2001 წლის დასაწყისში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ მოუწოდა ყველა ანგარიშვალდებულ ქვეყანას მოეწოდებინათ ინფორმაცია გატარებული ღონისძიებების შესახებ ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და სადამსჯელო სანქციების შესახებ. ექსპერტთა კომიტეტის განმარტების შესაბამისად, ვინაიდან გაეროს ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროტოკოლის მნიშვნელოვანი ნაწილი ეხება ექსპლუატაციას, რომელიც შეიცავს იძულებით შრომას, შესაბამისად, არსებობს კავშირი ტრეფიკინგის წინააღმდეგ პროტოკოლსა და იძულებითი შრომის წინააღმდეგ კონვენციას შორის. „ნებისმიერი სიტუაცია, სადაც მავანი იძულებულია იმუშაოს, კანონიერი ძალის მქონე მისივე თანხმობის გარეშე, მიუხედავად იმისა, მოიცავს თუ არა ეს კონკრეტული შემთხვევა ტრეფიკინგს, იგი ყველა შემთხვევაში, იძულებითი შრომის კონვენციის ფარგლებში იძულებითი შრომის განმარტების შესაბამისად განიხილება.“³³

28 Revised draft protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime, A/AC.254/4/Add.3/Rev.6 at 4 (4 April 2000).

29 See Ibid. at n. 14-19.

30 იხილეთ: Revised draft protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Women and Children, Supplementing the United Nations Convention against Transnational Organized Crime, A/AC.254/4/ Add.3/ Rev.1 at n. 9 („ავსტრალია და კანადა გამოვიდნენ წინადადებით ამ პარაგრაფის შემდეგ ახალი პარაგრაფის, „იძულებითი შრომის“ განმარტების დამატების შესახებ. შესაძლოა ისინი მხარს უჭერდნენ უკვე არსებულ საერთაშორისო განმარტებას, რომელიც ჩამოყალიბებულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის 29 კონვენციაში, 1930“).

31 Legislative guide for the implementation of the Protocol to Prevent, Suppress and Punish Trafficking in Persons, Especially Women and Children, Supplementing the United Nations Convention Against Transnational Organized Crime, UNODC 2004, at n.14.

32 Council of Europe Convention on Action against Trafficking in Human Beings and its Explanatory Report, 2005, at para. 89.

33 ექსპერტთა კომიტეტის მიერ განხორციელებული ინდივიდუალური დაკვირვება 29 კონვენციის შესახებ (მექსიკა), 2007.

2.3.2. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება (სტატუტი) 1993

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის წესდება (სტატუტი) (ICTY) მოიცავს კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებების ჩამონათვალს, მათ შორის, არის დამონება, რომელიც შედის სასამართლოს იურისდიქციაში, თუმცა, ეს უკანასკნელი მის განმარტებას არ ახდენს (მუხლი 5 [C]).³⁴ „დამონების“ განმარტების შემთხვევაში, ტრიბუნალი ნაწილობრივ ეყრდნობა განმარტების იმ ვერსიას, რომელიც მოცემულია *მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულებების* კოდექსის პროექტში. 1996 წელს, კოდექსის პროექტი მიღებულია საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ. აღნიშნული კოდექსის მე-18 მუხლი შეიცავს „დამონების“ დანაშაულს, როგორც „სისტემატური ხასიათის ან ფართომასშტაბიანი ქმედება და პროვოცირებული ან იმართება მთავრობის ან ორგანიზირებული ჯგუფის მიერ“. კომენტარი მოიცავს შემდეგს:

მონობა ნიშნავს დაუდგინო ან შეუნარჩუნო პიროვნებას მონის სტატუსი, ამყოფო ყმის ან იძულებითი შრომის პირობებში, რომელიც ეწინააღმდეგება ზუსტად განსაზღვრულ და საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს, საერთაშორისო სამართლის დადგენილებებს, ისეთებს როგორებიც არის: მონობის წინააღმდეგ კონვენცია (მონობა); მონობის, მონათვაჭრობის, შესაბამისი ინსტიტუციებისა და მონობის მსგავსი საქმიანობის (მონობა და ყმობა) გაუქმების დამატებითი კონვენცია; პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენცია (მონობა და ყმობა); შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29 კონვენცია იძულებით და სავალდებულო შრომაზე (იძულებითი შრომა).³⁵

2.3.3. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტი, 1999

რომის სტატუტმა შექმნა სისხლის სამართლის დანაშაულის საერთაშორისო სასამართლო და განსაზღვრა რიგი დანაშაულებებისა, რომელიც მის იურისდიქციაში შედის, მოიცავს გენოციდის დანაშაულს, კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს, სამხედრო დანაშაულებს და აგრესიის დანაშაულს (მუხლი 5 (1) [a-d]).³⁶ მე-7 მუხლში მოცემულია კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულების ჩამონათვალი, რომელთა შორისაც არის „დამონება“ (მუხლი 7 (2)[C]) და გვანჯდის შემდეგ ახსნა-განმარტებას, კერძოდ:

„დამონება“ ნიშნავს ადამიანზე საკუთრების უფლების მქონე პირის მიერ, მონურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანების ნებისმიერი ან ყველა უფლების გამოყენებას და ისეთი ქმედების განხორციელებას, რომელიც მოიცავს ადამიანებით კერძოდ, ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობას.

მიუხედავად იმისა, რომ „მონათყვეობის“ განმარტების პირველი ნაწილი იკითხება, *მონობის კონვენციის* მსგავსად, მეორე ნაწილისა და დანაშაულებების დაზუსტებულ-დასრულებულ ჩამონათვალი გარკვევით ჩანს, რომ კანონდარდევები გულისხმობს უფრო ფართომასშტაბიან ქმედებებს. მე-7 მუხლის, (1), [C], ნაწილის შესაბამისად, დანაშაულებების ჩამონათვალი მონობის დანაშაულის პირველი შემადგენელი ნაწილი განმარტებულია შემდეგნაირად:

დამნაშავე (სისხლის სამართლის), რომელსაც ადამიანზე/ადამიანებზე საკუთრების უფლების გამოყენებით განხორციელებული აქვს ისეთი ქმედებები, როგორიც არის ადამიანის შეძენა, გაყიდვა, გაცვლა, ან თავისუფლების აღმკვეთი სხვა მსგავსი ქმედებების იძულებით მოხვევა.

34 იხილეთ: S/Res/827 (1993) (adopting the Report of the Secretary-General).

35 1996 Draft Code of Crimes against the Peace and Security of Mankind with commentaries, UN DocA/51/10 at 48.

36 A/CONF.183/9 of 17 July 1998, იხილეთ: www.icc-cpi.int/library/about/officialjournal/Rome_Statute_English.pdf.



მე-11 სქოლიოს განმარტების შესაბამისად: „გასაგებია, რომ ასეთმა თავისუფლების აღმკვეთმა ქმედებებმა შეიძლება, გარკვეულ ვითარებებში, გამოიწვიოს იძულებითი შრომის მოთხოვნა ან სხვაგვარად რომ ვთქვათ, ადამიანი დაიყვანოს მონურ მდგომარეობამდე, როგორც ეს განმარტებულია *მონობის, მონათვაჭრობის, შესაბამისი მდგომარეობისა და მონობის მსგავსი საქმიანობის გაუქმების შესახებ დამატებით კონვენციაში*, 1956 წ.“³⁷

დოკუმენტის მომზადების პროცესში, ეს სქოლიო შეტანილია არასამთავრობო სექტორის დიდი ძალისხმევის შედეგად და დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ მონობის დანაშაულის ახლებური ფორმულირება მხოლოდ მონობის განმარტებით არ შემოფარგლულიყო. მაგალითად, ჰუმან რაით ვოჩი (Numan Rights Wat) ამტკიცებდა, რომ მონობის ამსახველი მაგალითების შეზღუდვა და მონობის არსის მხოლოდ იმ ტრადიციული ფორმებით განხილვა, რომლებიც ვაჭრობა-გარიგებასა და მის „მსგავს“ საქმიანობას გულისხმობს და ადამიანის უფლებების აღმკვეთია, მნიშვნელოვნად შეზღუდავდა ტექსტს და შესაბამისად, ვეღარ მოხდებოდა თანამედროვე მსოფლიოში გავრცელებული მონობის მსგავსი საქმიანობების ასახვა.

თუ სასამართლოს იურისდიქციაში შედის ეს დანაშაული და სასამართლო უნდა იყოს ეფექტიანი, მაშინ იგი უნდა მოიცავდეს ისეთი საქმიანობების განხილვას, როგორიც არის ვალის კაბალა და იძულებითი შრომა“.³⁸ ჰუმან რაით ვოჩმა განსაკუთრებით აღნიშნა, რომ 1996 წლის საერთაშორისო სამართლის კომისიის კომენტარი *კოდექსის პროექტი მშვიდობისა და კაცობრიობის წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ* შეიცავდა იძულებით შრომას დამონების მნიშვნელობის განმარტების ფარგლებში.³⁹

37 იხილეთ: დანაშაულის შემადგენელი ფაქტორები, ICC-ASP/1/3 at 117

38 ჰუმან რაით ვოჩის კომენტარები მე-5 მოსამზადებელ კომისიაზე hrw.org/campaigns/icc/docs/prepcom-0600.htm.

39 Ibid. at n. 37 (ეყრდნობა საერთაშორისო სამართლის კომისიის ანგარიშს 48-ე სესიის მუშაობაზე).

3. იძულებითი შრომა საერთაშორისო სასამართლოებში

3.1. საერთაშორისო სასამართლო ყოფილი იუგოსლავიის შესახებ – დამონების ცნების შინაარსის დადგენა და დაზუსტება

ყოფილი იუგოსლავიის (ICTY) თაობაზე, სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალს განხილული აქვს იძულებითი შრომაზე რამდენიმე საქმე „დამონების“ სათაურით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დამონება ტრიბუნალის სტატუტის მე-5 მუხლის „ც“ პუნქტის ჩამონათვალშია. ამის გარდა, იძულებითი შრომის ბრალდების წაყენება შეიძლება როგორც ომის კანონებისა და წესების დარღვევა მე-3 მუხლის შესაბამისად, ან როგორც დევნის ფორმა, მე-5 მუხლის „ჩ“ პუნქტის შესაბამისად.⁴⁰

სისხლის სამართლის დანაშაულის საერთაშორისო ტრიბუნალმა (სსდსტ) ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე აიღო ვალდებულება დეტალურად გაეანალიზებინა დამონების აუცილებელი პირობები საქმის „პროკურორი კუნარაკის წინააღმდეგ“ განხილვისთვის, რომელიც ეფუძნებოდა სექსუალური ძალადობის ფაქტებს. დამონების განმარტება იმ ფორმულირებით, რომელიც დაკონკრეტდა კუნარაკის საქმეში, შემდეგ გამოყენებული იქნა კრონელაკის იძულებითი შრომის ბრალდებით წარმოებულ საქმეზე.

3.1.1. დამონების დადგენა

საქმე „პროკურორი კუნარაკის წინააღმდეგ“,

საქმე N^oIT-96-23 (22 თებერვალი, 2002) და

საქმე N^oIT-96-23-A (სააპელაციო პალატა, 12 ივნისი, 2000)⁴¹

ფაქტობრივი გარემოებები. კუნარაკის საქმეში, მსჯავრდებულები პასუხისმგებლობაში იყვნენ მიცემულნი დამონების ბრალდებით. მათ სახლში, რამდენიმე თვის განმავლობაში ჰყავდათ ორი გოგონა, რომლებსაც როგორც პირად საკუთრებას ისე ეპყრობოდნენ. გოგონებს ევალებოდათ სახლში ყოველდღიური საქმეების კეთება და ყველა სექსუალურ მოთხოვნილებებისადმი მორჩილება. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დამონების ბრალის წარდგენით საქმე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალზე განიხილებოდა (ICTY ყოფილი იუგოსლავიის შემთხვევაში).

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლო პალატას მოეთხოვებოდა განმარტება, თუ რა იგულისხმებოდა დამონებაში, როგორც კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულისა, მე-5 მუხლის „ც“ პუნქტის შესაბამისად. ქვემოთ ჩამოთვლილი სამართლებრივი ნორმების – მონობის კონვენციის, იძულებითი შრომის კონვენციის, ნიურნბერგის ქარტიის და პრეცედენტული სამართლის, ადამიანის უფლებების ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების, მათ შორის, *ვან დერ მესელის* საქმის და გაეროს საერთაშორისო სამართლის კომისიის ნაშრომის მიმოხილვისა და გამოყენების შედეგად, სასამართლო პალატა იღებს გადაწყვეტილებას, დამონება განიხილოს როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დანაშაული, რომელიც „შეიცავს ადამიანზე საკუთრების ნებისმიერი ან ყველა უფლებების გამოყენებას“⁴².

სასამართლო პალატამ იცოდა, რომ ეს განმარტება შეიძლება ყოფილიყო „უფრო

40 მე-5 მუხლი ზოგადად, ეხება „კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულს“. „დამონება“ და „დევნა“ ორივე არის მასში ჩამოთვლილი. მე-3 მუხლი „ეხება ომის წესებისა და კანონების დარღვევას“. მონობა გადანყდა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევა. იხილეთ: კრონელაკის სასამართლო გადაწყვეტილება – §352-353.

41 ყველა სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის ყოფილი იუგოსლავიისათვის (ICTY) საქმეები ხელმისაწვდომია www.un.org/icty/cases-e/index-e.htm.

42 კუნარაკის სასამართლო განაჩენი §539.



ფართო მნიშვნელობის, ვიდრე ტრადიციული ან ზუსტად ჩამოყალიბებული განმარტება მონობის, მონათვაჭრობის, ყმობის და იძულებითი ან სავალდებულო შრომის, რომელთა მნიშვნელობაც საერთაშორისო სამართლის სხვადასხვა კანონებშია⁴³ განმარტებული. სასამართლო ხელმძღვანელობდა საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებული კოდექსის პროექტით – *დანაშაულობები მშვიდობისა და კაცობრიობის წინაშე* და განსაკუთრებით, მისი კომენტარით პროექტის დებულებებზე, რომელიც ეხება დამონებას და შემდეგნაირად განისაზღვრება – „დაუნესო ან შეუნარჩუნო ადამიანს მონის სტატუსი, ყმობა ან იძულებითი შრომის პირობები“. საერთაშორისო სამართლის კომისიას თავად არ აქვს განსაზღვრული ეს პირობები, სამაგიეროდ, იგი ეყრდნობა არსებულ კონვენციებს განსაკუთრებით, მონობის წინააღმდეგ კონვენციას, მონობის გაუქმების დამატებით კონვენციას, პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციას და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29 და 105 კონვენციებს.⁴⁴

სასამართლო პალატამ გადაწყვიტა, რომ დამონება მოიცავდა იძულებითი შრომის ელემენტებს და შემდეგი ფაქტორები ჩათვალა შესაბამისად.

► დამონების ინდიკატორები

კუთვნილებისა და გავლენების ფაქტორები. ადამიანის დამოუკიდებლობის შეზღუდვა ან მასზე კონტროლი, არჩევანის თავისუფლება ან გადაადგილების თავისუფლება, ტრეფიკორისათვის გარკვეული შემოსავალი მოაქვს. მსხვერპლის თანხმობის ან თავისუფალი ნების არარსებობა. ხშირად ძნელად წარმოსადგენი ან რთულად დასაკავშირებელი შემთხვევების ისეთი მაგალითები, როგორიცაა: მექარა ან ძალის გამოყენება ან ზეწოლის სხვა ფორმები; ძალადობის შიში, ტყუილი ან ყალბი დაპირებები, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება; მსხვერპლის დაუცველი მდგომარეობა; დაკავება ან შეპყრობა; ფსიქოლოგიური დათრგუნვა ან სოციალურ-ეკონომიკური პირობები. დამონების კიდევ სხვა ინდიკატორები მოიცავენ: ექსპლუატაციას; იძულებითი ან სავალდებულო შრომის ან მომსახურების მოთხოვნას, ხშირად აუნაზღაურებლად და არაშესაბამისი ანაზღაურებით, მძიმე ფიზიკურ შრომას, პორნოგრაფიას, პროსტიტუციისა და ადამიანებით ვაჭრობას (ტრეფიკინგი).

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. წარდგენილ მსჯავრდებულს, დრაგოლუმ კუნარაკს მიესაჯა 28 წლით თავისუფლების აღკვეთა. ორ თანამონაწილეს, ნაკლები სიმძიმის დანაშაულისთვის, მიესაჯათ 20 და 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. სააპელაციო პალატამ ძალაში დატოვა გამოტანილი განაჩენი.

სააპელაციო არგუმენტები. მსჯავრდებულები კამათობდნენ, რომ პროკურორმა ვერ დაამტკიცა კუთვნილების ბრალდების დამადასტურებელი ფაქტები. უფრო მეტიც, მსჯავრდებულები ასაჩივრებდნენ, რომ მსხვერპლთა თანხმობის არარსებობა არ დამტკიცდა, ვინაიდან თავად მსხვერპლთა ჩვენების შესაბამისად, „მათ ჰქონდათ თავისუფლად გადაადგილების საშუალება სახლის შიგნით და მის გარეთ, შესაბამისად, შეეძლოთ გაქცევა ან ჰქონოდათ მცდელობა შეეცვალათ თავიანთი მდგომარეობა“.⁴⁵

ამის პასუხად პროკურორმა განაცხადა, რომ სასამართლო პალატამ „სწორად დაადგინა დამონების განმასხვავებელი ნიშნები“ და ეს ის შემთხვევაა, როცა მთელი რიგი ფაქტორები, როგორიცაა შეპყრობა, დაპატიმრება ან ფსიქოლოგიური დათრგუნვა ძნელად წარმოსადგენი და რთულად დასაკავშირებელია“.⁴⁶

43 Ibid. §541.

44 „მონობა ნიშნავს დაუდგინო ან შეუნარჩუნო პიროვნებას მონის სტატუსი, ამყოფო ყმის ან იძულებითი შრომის პირობებში, რომელიც ეწინააღმდეგება ზუსტად განსაზღვრულ და საყოველთაოდ აღიარებულ სტანდარტებს, საერთაშორისო სამართლის დადგენილებებს, ისეთებს როგორიცაა: მონობის წინააღმდეგ კონვენცია (მონობა); მონობის, მონათვაჭრობის, შესაბამისი ინსტიტუციებისა და მონობის მსგავსი საქმიანობის (მონობა და ყმობა) გაუქმების დამატებითი კონვენცია; პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენცია (მონობა და ყმობა) და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29 კონვენცია იძულებით და სავალდებულო შრომაზე (იძულებითი შრომა). *Draft Code of Crimes against the Peace and Security of Mankind with commentaries* (1996) at 48 (text adopted by the ILC at its 48th Session in 1996).

45 *Kunarac Appeals Judgment* §. 108.

46 Ibid §113.

სააპელაციო გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატამ მიიღო სასამართლო პალატის განსაზღვრება.

სააპელაციო პალატა იღებს სასამართლო პალატის ძირითად თემისებს, როგორც მონობის ტრადიციულ განმარტებას რომელიც მოცემულია 1926 წლის მონობის კონვენციაში და ხშირად ეყრდნობა „მონურ შრომას“, რომელმაც თავისი განვითარების პროცესში მოიცვა მონობის სხვადასხვა თანამედროვე ფორმები, რომელიც აგრეთვე, ეფუძნება ადამიანზე საკუთრების ნებისმიერი ან ყველა უფლების გამოყენებას. ამ შემთხვევაში, მონობის სხვადასხვა თანამედროვე ფორმების არსებობის პირობებში დაზარალებულზე არ უნდა ვრცელდებოდეს საკუთრების უფლების უკიდურესი ფორმები, რომელიც უკავშირდება „მონურ შრომას“. ყველა იმ შემთხვევების შემდეგი, სადაც ადამიანზე ნებისმიერი ან ყველა საკუთრების უფლება გამოიყენება, არის ის, რომ სამართლებრივი სუბიექტის განადგურება ხდება; განადგურება „მონური შრომის“ შემთხვევაში უფრო მეტია, თუმცა, განსხვავება ერთ ხარისხშია. სააპელაციო პალატა, დანაშაულის ჩადენის პერიოდის გათვალისწინებით, იღებს გადაწყვეტილებას, რომ მონობის ეს თანამედროვე ფორმები დამონების შემადგენელი ნაწილია და განიხილება, როგორც დანაშაული კაცობრიობის წინაშე, საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში.⁴⁷

3.1.2. შიშის გარემო

საქმე „პროკურორი კრნოელაკის წინააღმდეგ“,

საქმე N°IT-97-25 (15 მარტი, 2002 წ.) და

საქმეN° IT-97-25 A (სააპელაციო პალატა,17 სექტემბერი, 2003)

ფაქტობრივი გარემოებები. კრნოელაკის საქმეში წარმოდგენილ განსასჯელს ბრალი ედებოდა რამდენიმე მუხლით, რომელიც ეყრდნობა დატყვევებულების იძულებით შრომას „კპ დომ“-ის ტყვეთა ბანაკში (KP Dom Camp). ქვემოთ მოტანილი ციტატა გვაძლევს გარკვეულ მინიშნებას საზგასმულ ფაქტიურ ბრალდებებზე.

47 Ibid. §. 117.



მუხლები 16-18 (დამონება)

5.41 დაპატიმრებულები 1992 წლის მაისიდან 1994 წლის ოქტომბრამდე ექვემდებარებოდნენ იძულებით შრომას. მილორად კრნოელაკი მონაწილეობას იღებდა ამ სისხლის სამართლის დანაშაულებრივ ქმედებებში 1992 წლის მაისიდან 1993 წლის აგვისტომდე. 1992 წლის მაისის პერიოდში, მილორად კრნოელაკმა მიიღო გადაწყვეტილებები დატყვევებულთა იძულების წესით მუშაობაზე. 1992 წლის ივლისში, მილორად კრნოელაკმა ციხის სხვა მაღალჩინოსან თანამშრომლებთან შეთანხმებით შექმნა სპეციალური უნარების მქონე პატიმართაგან დაახლოებით, 70- კაციანი ჯგუფი და დაიწყო მისი ზედამხედველობა. შეპყრობილთა დიდი ნაწილი დატყვევებულნი იყვნენ 1992 წლის ბაფხულიდან 1994 წლის 5 ოქტომბრამდე იმ უმთავრესი მიზნით, რომ გამოყენებულნი ყოფილიყვნენ იძულებითი შრომისთვის. იძულებითი შრომის შემდგომი დეტალები, რომელსაც ადგილი ჰქონდა მილორად კრნოელაკის ხელმძღვანელობის პერიოდში, აღწერილია 5.42-5.45 პარაგრაფებში. დაპატიმრებულთა სახელები, რომლებიც იძულებით შრომას ექვემდებარებოდნენ მოცემულია დანართში E.

5.42 ყველა პერიოდში, რაც ამ ოფიციალურ ბრალდებას ეხებოდა, მუშათა ჯგუფის წევრებს დაცვა ყოველდღიურად იძახებდა და აიძულებდა ემუშავათ ბანაკში და მის გარეთ, დილის 7 საათიდან მინიმუმ, დღის 3-4 საათამდე. დაპატიმრებულებს შესრულებული სამუშაოსთვის ანაზღაურებას არ უხდიდნენ. სამუშაო ნებაყოფლობით არ იყო შესრულებული. ავადმყოფ და დაჭრილ პატიმრებსაც კი, იძულებით ამუშავებდნენ. მათ, ვინც უარს აცხადებდა სამუშაოზე განცალკევებულ საკნებში ანთავსებდნენ. სამუშაოს შესრულების პერიოდში, დატყვევებულებს მეთვალყურეობდნენ ციხის ზედამხედველები ან სერბი ჯარისკაცები.

5.43 დატყვევებულები მუშაობდნენ სამზარეულოში, ავეჯის ფაბრიკაში, ლითონისა და მექანიკურ საამქროებში, არემონტებდნენ სამხედრო და ნაძარცვ მანქანებს.

5.46. მილორად კრნოელაკის მონაწილეობით ან უმოქმედობით განხორციელდა საქმეები, რომელიც 5.41 - 5.45 პარაგრაფებშია აღწერილი.

მილორად კრნოელაკმა ჩაიდინა:

მუხლი 16 - დანაშაული კაცობრიობის წინაშე, ისტება ტრიბუნალის სტატუტის მე-5 მუხლის „c“ პუნქტის შესაბამისად;

ბრალდების მუხლი 18 - ომის კანონების ან წესების დარღვევა, ისტება ტრიბუნალის სტატუტის მე-3 მუხლით და აღიარებულია დანაშაულად მონობის კონვენციით და საერთაშორისო ჩვეულებითი სამართალით.

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლო პალატა აცნობიერებს, რომ დამონების ბრალდება უნდა ემყარებოდეს იძულებით შრომას.⁴⁸ კუნარაკის სასამართლოს უკვე განსაზღვრული ჰქონდა იძულებითი შრომა, როგორც დამონების ინდიკატორი, მაგრამ იგი შემდგომ არ ახდენდა იძულებითი შრომის განსაზღვრებას. კრნოელაკის სასამართლო აღნიშნავს, რომ „არანებაყოფლობითობა“ „იძულებითი და სავალდებულო შრომის“ უმთავრესი განმსაზღვრელი დეტალია და იღებს გადაწყვეტილებას: „ეს არის არსებითი მნიშვნელობის კითხვა, რომელიც უნდა განიხილებოდეს შესაბამის გარემოებებთან ერთობლიობაში, ყოველ კონკრეტული შემთხვევაზე... დასადგენია, კონკრეტულ ადამიანებს ჰქონდათ თუ არა რეალური არჩევანის საშუალება სამუშაოზე, რომელიც მათ უნდა შესრულებინათ.“⁴⁹

მიუხედავად ამისა, სასამართლო პალატამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ იძულებითი შრომის ბრალდება დატყვევებულთა უმრავლესობასთან მიმართებაში არ დადგინდა. ასევე, სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ იძულებითი შრომის ბრალდება დატყვევებულთა უმრავლესობასთან მიმართებაში არ დამტკიცდა. სასამართლო პალატამ არ მიიჩნია ინტერნირებულთა ბანაკში არსებული ზოგადი მდგომარეობა საკმარისად,

48 კრნოელაკის სასამართლო გადაწყვეტილება §357.

49 Ibid. §. 359 and n. 966 (citing Bossuyt, Guide to the travaux préparatoires of the ICCPR at 167).

რომ დადგენილიყო ფაქტი, რომ ყოველი დატყვევებულის შრომა იყო იძულებითი. „იმყოფებოდა თუ არა კონკრეტული დატყვევებული იძულებითი შრომის ქვეშ უნდა შეფასდეს ინდივიდუალური საქმის განხილვის საფუძველზე და ჰქონდა თუ არა მას რეალური არჩევანის უფლება ემუშავა ან მუშაობდა თუ არა კონკრეტული დატყვევებული იძულებით.“⁵⁰ სასამართლო პალატამ დასაბუთებულად შემდეგი ფაქტორები ჩათვალა:

- შესრულებული სამუშაოს არასაკმარისად ანაზღაურება;
- დატყვევებულთა დაუცველი მდგომარეობა;
- ბრალდება იმის შესახებ, რომ დატყვევებულები საკუთარი ნების გარეშე ან იძულების წესით მუშაობდნენ ან მოთავსებულნი იყვნენ განცალკევებულ საკნებში;
- არაადამიანური პირობების არსებობა ინტერნირებულთა ბანაკებში.

მიუხედავად ამისა, სასამართლო პალატამ ვერ ნახა უშუალოდ დამადასტურებელი ფაქტები, რომ ცალკეული ტყვეები საკუთარი ნების გარეშე მუშაობდნენ და მათ ძალას ატანდნენ. „ბრალდების მხარის ბევრმა მოწმემ (prosecution's witnesses) გამოთქვა აზრი, რომ ეს იყო ზუსტად ეს შემთხვევა, მაგრამ არანაირი მცდელობა არ ყოფილა ამ დასკვნებში გამოთქმული აზრების ფაქტობრივი დამტკიცებისა.“⁵¹ პრაქტიკულად, რამდენიმე დატყვევებულმა მისცა ჩვენება, რომ მათ არასდროს უთქვამთ უარი მუშაობაზე ან გამოუხატავთ უთანხმოება სამუშაო ბრძანებებზე. მოკლედ, სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ მათი მოსაზრება კანონის თვალსაზრისით, არასაკმარისი იყო.

► სუბიექტური შეხედულება

დაკავებულთა შეხედულებებისა და შიშების გათვალისწინებით, განსაკუთრებით, არაადამიანური პირობებისა და „კპ დომის“ (KP Dom) ზოგადი ატმოსფეროს კონტექსტში, რა თქმა უნდა, მართებულია გაირკვეს მუშაობდნენ თუ არა ისინი ნებაყოფლობით, მაგრამ დაეყრდნო, მხოლოდ მოწმეების მიერ გამოთქმულ დაუსაბუთებელ დასკვნებს ალბათ, არ იქნება გამართლებული.⁵²

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. კრნოელაკი გამართლდა დამონების და მონობის ბრალდებისაგან 16 და 18 მუხლების შესაბამისად. იგი დამნაშავედ იქნა ცნობილი სხვა რამდენიმე მუხლით, მათ შორის, კაცობრიობის წინაშე ჩადენილი დანაშაულებებისთვის, არაადამიანური ქცევისთვის და დაუნდობელი მოპყრობისთვის, ომის წესებისა და კანონების დარღვევისათვის. მას ბრალი წაუყენეს ორივე ნიშნის მიხედვით, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ხელმძღვანელს, ასევე დამოუკიდებლად განხორციელებული დანაშაულისათვის. მას 7 1/2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.

სააპელაციო არგუმენტები. ტრიბუნალის პროკურორი ამტკიცებდა, რომ სასამართლო პალატა შეცდომაში იყო შესული, როცა ფაქტები არასაკმარისად მიიჩნია არანებაყოფლობითი შრომის დასამტკიცებლად. მაშინ, როცა სასამართლო პალატა ითხოვდა მტკიცებულებას იმ ფაქტზე, რომ კონკრეტულმა პატიმარმა პროტესტი გამოთქვა მუშაობაზე ან.... ხელმძღვანელობიდან ვინმემ უთხრა, რომ „დაისჯებოდა თუ არ იმუშავებდა“. პროკურორი ამტკიცებდა, რომ სასამართლოს უნდა განეხილა ის გარემოებები, სადაც „რალაც იყო იმდენად იძულებითი, რომ გამორიცხავდა თანხმობის შესაძლებლობას“.⁵³

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება. სააპელაციო პალატა დაეთანხმა პროკურორის მოწოდებას, რომ ინტერნირებულთა ბანაკი უკიდურესად გადატვირთული იყო, ასევე ახასიათებდა განზრახ შიმშილი, არასაკმარისი გათბობა ან შეუსაბამო სამოსი, სამედიცინო მომსახურების არარსებობა, სისტემატური ცემა და ცუდად მოპყრობის სხვა ფორმები.

კპ დომის (KP Dom) ბანაკში არასერბი პატიმრების განსაკუთრებული პირობების გათვალისწინებით, მთელი რიგი დასაბუთებული ფაქტების გამო

50 Ibid. §. 372.

51 Ibid. §. 376.

52 Ibid. §. 377.

53 KrNojelac Appeal Judgment § 192.



უნდა გაკეთებულიყო დასკვნა, რომ პატიმრების ზოგადი მდგომარეობა გამორიცხავდა რაიმე თავისუფალ თანხმობას... შიშით განპირობებული მდგომარეობა ქმნიდა თავისუფალი თანხმობის დაუშვებლობას, არც პატიმრისგან იყო მოსალოდნელი, რომ იგი გააჟღერებდა რამე პროტესტს და არც ზედამხედველს ესაჭიროებოდა სასჯელით დამუქრება, თუ პატიმარი სამუშაოზე უარს იტყოდა, რომ იძულებითი შრომის ფაქტი დამტკიცებულიყო.⁵⁴

მაგრამ სააპელაციო პალატამ უარყო არგუმენტი, რომელიც წარმოადგენდა დატყვევების სუბიექტურ მოსაზრებას, რომ იგი მუშაობდა ძალდატანებით, რაც თავისთავად უკვე საკმარისია, რომ თანხმობის არარსებობა დამტკიცებულიყო. დატყვევების მიერ წამოყენებული ბრალდება ძალდატანებითი მუშაობის შესახებ უნდა დამტკიცდეს ობიექტური და არა მხოლოდ სუბიექტური ფაქტით.⁵⁵ როგორც არ უნდა იყოს, ამ კონკრეტულ საქმეში დატყვევებულთა ცენტრში არსებული პირობები „წარმოადგენდა საკმარისად ობიექტურ ფაქტებს იმის დასამტკიცებლად, რომ დატყვევებულები იყვნენ ფაქტიურად, იძულებითი შრომის პირობებში, ამგვარად დატყვევებულთა მიერ წარმოთქმული ბრალდება იყო მტკიცებულების ფაქტი, რომ სამუშაოს, რომელსაც ისინი ასრულებდნენ, იყო ძალდატანებული“ (Ibid.).

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. სააპელაციო პალატამ შეცვალა 7½ პატიმრობა და კრნოელავს 15 წლით თავისუფლების აღკვეთის გადანაცვრეტილება გამოუტანა.

კითხვები განხილვისათვის

(1) მიუხედავად იმისა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიისათვის (ICTY) არ გამოიყენებს იგივე ფაქტორებს იძულებითი შრომის შესაფასებლად, რასაც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, იგი არ შემოიფარგლება ნებაყოფლობითობის კითხვით. როგორ ახდენს სსსტ (ICTY) ყოფილი იუგოსლავიისათვის ნებაყოფლობითობის შეფასებას?

(2) კუნარაკის სასამართლოს განაჩენი შეიცავს „იძულებით შრომას“ იმ განმარტებით, რომელიც დამონების დანაშაულშია დეფინირებული, მაგრამ შემდეგ „დამონება“ განისაზღვრა, როგორც „ადამიანზე საკუთრების უფლება“. ეს განმარტება დამონების მნიშვნელობას გვაწვდის. როგორ შეიძლება ამის შესაბამისობაში მოყვანა? ერთმა ექსპერტმა გამოთქვა აზრი, რომ კუნარაკის საქმეში ყოფილი იუგოსლავიის სსსტ (ICTY) „ამტკიცებდა, რომ კუთვნილების უფლება იყო არსებითი შემადგენელი ნაწილი“, მაგრამ შემდეგ აღმოაჩინა, რომ დამონება დამტკიცებული და დადგენილი იყო „იმ გარემოებებით, რომელიც გაცილებით მარტივად შეიძლებოდა დახასიათებულიყო, როგორც კონტროლი, ვიდრე მესაკუთრეობა.“⁵⁶ შეიძლება თუ არა კუნარაკის სასამართლო დაყრდნობოდა იმ მახასიათებელს, რომელსაც ყველაფერი კუთვნილების უფლებისკენ მიჰყავდა? ეს მახასიათებლები შეიძლება თუ არა ყოფილიყო გამოსადეგი იძულებითი შრომის საქმის განხილვის შემთხვევაში?

(3) კუნარაკის საქმეში დამონების ბრალდებით გამოტანილი განაჩენი ნაწილობრივ, ეყრდნობოდა ქალების და გოგონების პორნოგრაფიის მიზნით, გაყიდვის დანაშაულს. არის თუ არა კუნარაკის საქმეში შექმნილი დამონების განმარტება შესაბამისი, მაშინ როცა არანაირ კომერციულ გარიგებას აღნიშნულ ქმედებაში ადგილი არ ჰქონია.

(4) სასამართლო პალატამ, კრნოელავის საქმეში როგორ განიხილა დაზარალებულების ჩვენება იმის შესახებ, რომ შესრულებული სამუშაო არანებაყოფლობითი ხასიათის იყო? როგორ განიხილა კრნოელავის საქმის იგივე ფაქტები სააპელაციო პალატამ?

54 Ibid. §. 194.

55 Ibid. § 195.

56 Holly Cullen, op. cit., p. 592.

(5) გადახედეთ დამონების განმარტებას, როგორც ეს მოცემულია საერთაშორისო სამართლის კომისიის მიერ მომზადებულ კოდექსის პროექტში, კუნარაკის საქმეში სსსტ ყოფილი იუგოსლავიისათვის (ICTY). დაბოლოს, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის სტატუტში. როგორ დაახასიათებდით დამონების ტექსტობრივი განმარტებების ერთმანეთთან ურთიერთობას.

3.1.3. შიშის გარემოს დეტალური განხილვა

სააპელაციო და სასამართლო პალატებს განსხვავებული დამოკიდებულება აქვთ ინტენირებულთა ბანაკებში არსებულ პირობებზე, მაგრამ „შიშის გარემოს“ ფაქტორი არ არის უცხო იძულებითი შრომის ბრალდებით აღძრულ საქმეებისთვის. მთელ რიგ სასამართლო საქმეებში, რომლებიც მიგრანტთა არალეგალურ შრომას ეხება, ამერიკის სასამართლოები აღიარებენ, რომ იძულება, რაც ასრულებინებს ადამიანს არანებაყოფლობით სამუშაოს შეიძლება იყოს „შიშის გარემოს“ შედეგი.⁵⁷ ზუსტად ისე, როგორც სააპელაციო პალატამ, კრნოელავის საქმეში დაადგინა, რომ შიშის გარემოს ფაქტორი ისეთი დამთრგუნველი იყო კპ დომში (KP Dom), რომ პატიმრებს არ მოეთხოვებოდათ ხმის ამოღება, უკმაყოფილებების გამოსახატავად სამუშაო ბრძანებებზე, ასევე ამერიკის სასამართლოებს დადგენილი აქვთ, რომ იქ, სადაც შიშის გარემოს ფაქტორი ძალიან ძლიერია, ნებისმიერი გაქცევის შესაძლებლობა გამოუყენებელია. „მუქარა და ძალადობა შიშის გარემოს შემქმნელია მუშების დასაშინებლად, რომ მათ არ დატოვონ ბანაკი. ის, რომ მუშას გაქცევის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ამას დიდი მნიშვნელობა არ ეძლევა, თუ მოპასუხე ამ უკანასკნელს ისეთი ფიზიკური შიშის ქვეშ ამყოფებდა, რომ მას ეშინოდა ტერიტორიის დატოვება.“⁵⁸

ომის პერიოდში იძულებითი შრომის გამოყენების საკითხი სამრეწველო-ინდუსტრიულ ობიექტებზე, რამდენჯერმე იქნა წამოჭრილი ექსპერტთა კომიტეტის მიერ, უახლოესი პერიოდის მაგალითია იაპონია. იგი კონვენციის დარღვევის თვალსაჩინო მაგალითია.

ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენებაზე (CEACR)

ინდივიდუალური განხილვა 29 კონვენციის, იძულებითი შრომა, 1930 (რეატიფიცირებულია 1932), იაპონია, 2003

კომიტეტმა წინასწარ განიხილა ომის პერიოდში განხორციელებული ქმედება ასობით ათასი სამუშაო ძალის იძულებითი სამხედრო სამსახურში განწვევის შესახებ აზიის სხვადასხვა ქვეყნებიდან, მათ შორის, ჩინეთიდან და კორეის რესპუბლიკიდან, რომ ემუშავათ კერძო სექტორის დაქვემდებარებაში, იაპონიის ომის პერიოდის ქარხნებში, მღაროებში და სამშენებლო ობიექტებზე. კომიტეტს აღნიშნული აქვს იაპონიის საგარეო საქმეთა მინისტრის 1946 წლის ანგარიში – *კვლევა იაპონიაში ჩინელი სამუშაო ძალისა და სამუშაო პირობების შესახებ*, სადაც დეტალურად არის გადმოცემული ძალიან მძიმე სამუშაო პირობები და დაუნდობელი მოპყრობა, მათ შორის, სიკვდილიანობის მაღალი პროცენტი 17.5 %, ხოლო გარკვეულ სამუშაოებზე 28.6 %. აგრეთვე ამ მუშებს დაპირდნენ იაპონელი მუშების იდენტურ ხელფასსა და სამუშაო პირობებს, მაგრამ რეალურად, ანაზღაურებას ძალიან მცირეს ან საერთოდ არ იღებდნენ. კომიტეტმა დაადგინა, რომ სამუშაო ძალის მასიური განწვევა იაპონიის კერძო სექტორში და ასეთ სავალალო პირობებში მუშაობა კონვენციის დარღვევა იყო.

57 *United States v. Warren*, 772 F.2d 827, 833-834 (11th Cir. 1985). „შიშის გარემოს“ ფაქტების სხვა განხილვებისთვის იხილეთ: *United States v. Alzanki*, 54 F.3d 994, 999 (1st Cir. 1995); *United States v. Boone*
58 *Warren*, op. cit., at 834.

4. იძულებითი შრომის საქმეების განხილვა საოლქო სასამართლოებში

4.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – სახელმწიფოზე პოზიტიური ვალდებულებების დაკისრება, სისხლის სამართლის ინდივიდუალური დარღვევები

მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მიერ განსახილველი საქმეების რიცხვი იზრდება, ევროკონვენციის მე-4 მუხლი ყველაზე ნაკლებად იხილება სასამართლო დავებში.⁵⁹ 2005 წლამდე, ყველა საქმე განიხილებოდა სასამართლოს ან მის მიერ შერჩეული ორგანოს მიერ. ადამიანის უფლებათა ევროპული კომისია დიდ ყურადღებას უთმობდა სახელმწიფოს მიერ დამკვიდრებულ ვალდებულებებს, ვინაიდან, როგორც ამტკიცებდნენ, ირღვეოდა კონვენციის პირობები. იძულებითი შრომის სასამართლო პრაქტიკაში არსებობს ორი განსაკუთრებული მნიშვნელობის, *ვან დერ მუსელის* და *სილიადინის საქმეები*. ორივე შემთხვევაში, სასამართლო ეყრდნობა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ დეფინირებულ, იძულებითი შრომის განმარტებას და აგრძელებს მისი შემადგენელი ნაწილების დადგენასა და გაანალიზებას. უფრო მეტიც, ამ ორ საქმეს ერთმანეთისგან 22 წელი აშორებს და ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, თუ რამდენად შეიცვალა იძულებითი შრომა ამ ორი ათწლეულის განმავლობაში. *ვან დერ მუსელის* და *სილიადინის* სასამართლო საქმეები ასევე ადასტურებს, თუ რაოდენ არსებითი მნიშვნელობისაა იძულებითი შრომის კონვენცია.

4.1.1. სამსახურის შეთავაზება იძულების გარეშე საქმე „ვან დერ მუსელი ბელგიის წინააღმდეგ“, სარჩელი № 8919/90 (23 ნოემბერი, 1983)

ფაქტობრივი გარემოებები. *ვან დერ მუსელის* საქმეში ბელგიელი ადვოკატი ამტკიცებდა, რომ მისი უფასო იურიდიული მომსახურება, რომელიც მოეთხოვებოდა მას, როგორც ადვოკატის, ტრენინგის შემადგენელი ნაწილი, არღვევდა კონვენციის მე-4 მუხლს. საბოლოოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოსარჩელის შუამდგომლობა, მაგრამ თავიდან განიხილა იძულებითი შრომის კონვენციის დარღვევის თითოეული ნაწილი.

სამართლებრივი ანალიზი. იმის გათვალისწინებით, რომ „ევროკონვენციის ავტორები მიჰყვებოდნენ პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციის პროექტის მე-8 მუხლის ავტორთა მოსაზრებებს, რომლებიც მეტწილად, წინა პერიოდში შექმნილ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენციას ეყრდნობოდნენ, კერძოდ, „იძულებითი და სავალდებულო შრომის 29 კონვენციას“, სასამართლომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის განმარტება აიღო, როგორც „საწყისი წერტილი“. 29 კონვენცია განმარტავს „იძულებით შრომას“, როგორც სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც მოეთხოვება ნებისმიერ ადამიანს შიშის მუქარის პირობებში და რომელსაც ეს ადამიანი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა.

► **სამუშაო ან მომსახურება**

ამ ფაქტორის გათვალისწინებით, სასამართლომ დაადგინა, რომ *ვან დერ მუსელი*, როგორც უფასო იურიდიული მომსახურების წარმომადგენელი, ემსახურებოდა გაჭირვებულ და უსახსრო კლიენტს და მის მიერ გაწეული მომსახურება მე-40 მუხლისათვის „სამუშაოს“ ნიშნავდა.⁶⁰

59 Warren, op. cit., at 834.

60 Siliadin v. France, op. cit., para. 33



► სასჯელის მუქარა

იმის დასადგენად, იყო თუ არა შესრულებული სამუშაო ძალდატანებითი ან იძულებითი, სასამართლომ თავდაპირველად უარყო აზრი, რომ „სამუშაო შესრულებული იყო, ნებაყოფლობით დადებული კონტრაქტის საფუძველზე“, რის გამოც მარტივად შეიძლებოდა დარღვეულიყო მე-4 მუხლი, ვინაიდან „კონტრაქტის ერთ-ერთ მხარეს აღებული აქვს სამუშაო ვალდებულება მეორის მიმართ და ექვემდებარება სანქციებს, თუ არ შეასრულებს ნაკისრ ვალდებულებას.“⁶¹ „აქ იგულისხმება სამუშაო „ნებისმიერი სასჯელის მუქარის პირობებში“, აგრეთვე, „პირის ნების წინააღმდეგ“ და სამუშაო, რომელსაც ეს პირი ნებაყოფლობით არ შეასრულებდა“. სასამართლო ხელმძღვანელობდა რა, ორივე ფაქტორის გათვალისწინებით, „ნებისმიერი“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეფინიციაციით და ექსპერტთა კომიტეტის კომენტარებით, დადგინდა, რომ პერსპექტივა იმისა, რომ ამ კონკრეტულ პიროვნებას ჩამოერთმეოდა სტაჟიორ-პრაქტიკანტის ადგილი ან უარი მიეღო ადვოკატობის რეგისტრაციაზე, იყო „საკმარისად საფრთხის შემცველი“, რომ გამოყენებული ყოფილიყო, როგორც სასჯელის მუქარა.⁶²

► ნებაყოფლობითი შეთავაზება

მესამე ფაქტორი, სასამართლოს აზრით, ვან დერ მუსელის თავდაპირველი თანხმობაა, თუმცა, აღნიშნა, რომ ეს არ იყო ერთადერთი მარეგულირებელი. სამაგიეროდ, სასამართლომ დაადგინა, რომ მომსახურებას, რომელიც მას მოეთხოვებოდა შეეძლო დაერღვია მე-4 მუხლი, თუ ეს უკანასკნელი „უდგენდა ძალიან გადაჭარბებულ სამუშაოს, ან არ იყო პროპორციული იმ სარგებლისა, რომელიც უკავშირდებოდა ამ პროფესიის მომავალ საქმიანობას“. იგი არ შეიძლებოდა ყოფილიყო მუქარა, ვინაიდან თავდაპირველად, თანხმობა ნებაყოფლობით იქნა მიღებული.⁶³ აქედან გამომდინარე, ვინაიდან მომსახურებები „არ გასცდა ადვოკატის ჩვეულებრივი საქმიანობის ფარგლებს“ და აგრეთვე, წვლილი შეიტანა ბატონი ვან დერ მუსელის პირად ტრენინგში, მომსახურება სირთულის თვალსაზრისით, არ იყო გადაჭარბებული ან არაპროპორციული. ამგვარად, მე-4 მუხლის არანაირ დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. არანაირ სამართლებრივ მისაგებელს ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან სასამართლომ დაადგინა, რომ კონვენციის არანაირი მუხლის დარღვევას ადგილი არ ჰქონია. მიუხედავად ამისა, სასამართლომ აღნიშნა, რომ ბელგიის მთავრობის მიერ ნებადართულია საქმიანობა, რომლის დროსაც, სტაჟიორ იურისტებს არ ეძლევათ ანაზღაურება შესრულებული შრომისთვის.

კითხვები განხილვისთვის

(1) გვთავაზობს თუ არა სასამართლომ მსჯელობა იმ მოსაზრებას, რომ შეიძლება ყოფილიყო გარემოებები, სადაც ვან დერ მუსელის თავდაპირველ თანხმობას დაეკარგა იურიდიული ძალა მოგვიანებით განხორციელებული ქმედებების გამო? რა გარემოებებში გარდაიქმნება დასაქმებულის თავდაპირველი თანხმობა იძულებით შრომად? შეიძლება თუ არა ნებაყოფლობით დადებული კონტრაქტი ოდესმე გადაიქცეს იძულებით შრომად?

(2) არის თუ არა ეს „დასჯის მუქარის“ მნიშვნელობის შემზღუდული ან ფართო განმარტების შედეგი? არის თუ არა ეს გამართლებული?

(3) რა არის ნებაყოფლობითობის განმსაზღვრელი ფაქტორები სასამართლომ გადანყვეტილებაში? შეიძლება თუ არა ამ ფაქტორების სხვა სიტუაციაში გამოყენება?

61 Ibid., para. 34

62 Ibid., para. 35.

63 Ibid., para. 37.

განვიხილოთ ქვემოთ მოყვანილი ციტატა 1968 წლის ზოგადი კვლევებიდან იძულებითი შრომაზე, როგორც *ვანდერ მუსელის საქმის* შესახებ მსჯელობა.

**იძულებითი შრომის კონვენციის შესახებ მომზადებული
ანგარიშების ზოგადი კვლევა**

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტი (1968)

27. 1930 წლის კონვენციის შესაბამისად, „იძულებით და სავალდებულო შრომის“ განმარტება მოიცავს შრომას ან მომსახურებას, რომელიც მოითხოვება „ნებისმიერი სასჯელის მუქარის პირობებში“. გენერალური კონფერენციის მიერ ამ საერთაშორისო ინსტრუმენტის პროექტის განხილვის პროცესში ნათელი იყო, რომ *სასჯელში* აქ არ იგულისხმებოდა მხოლოდ დამსჯელი სანქციები და შეიძლება იგულისხმებოდეს დასჯის ის ფორმა, რომელიც მოიცავს უფლებებისა და პრივილეგიების დაკარგვას. ეს შეიძლება მოხდეს, მაგალითად, იქ, სადაც ადამიანები ცდილობენ დაასრულონ სამუშაო, კანონიერი შეზღუდვების დარღვევით, შეიძლება სხვის მიერ არ იქნენ სამსახურში აყვანილნი, ამდენად იძულებულნი არიან გააგრძელონ კონკრეტული სამუშაო იმის შიშით, რომ მუშაობის თავისუფალი არჩევანის უფლება არ ჩამოართვან.

**4.1.2. უკიდურესი დაუცველობა სასჯელის მუქარას უტოლდება
საქმე „სილიადინის საფრანგეთის წინააღმდეგ“,
სარჩელი N°73316/01 (26 ივლისი, 2005)**

ფაქტობრივი გარემოება. *სილიადინის* საქმეში მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ საფრანგეთის სისხლის სამართლის სამართლებრივი ნორმები მას სავალდებულოდ ვერ იცავდა ყმობისგან ან იძულებითი შრომისგან. 1994 წელს 15 წლის სივალა-აკოფა სილიადინი ტოგოდან ჩამოვიდა საფრანგეთში და მამამისმა მოახერხა, რომ სკოლიდან დაბრუნების შემდეგ მას ოჯახში ემუშავა და ვიზაც მოგვარებული ჰქონოდა. რეალურად, ეს გოგო გახდა ბ.-ის ოჯახის უფასო დამლაგებელი, მას ჩამოართვეს პასპორტი. ქვემოთ მოტანილი ციტატა სასამართლოს ფაქტობრივი აღწერილობიდან:

ის კვირაში შვიდ დღეს მუშაობდა, დასვენების დღეების გარეშე, იშვიათად და გამონაკლის შემთხვევებში ეძლეოდა უფლება კვირაობით დასწრებოდა მესა/წირვას. მისი სამუშაო დღე იწყებოდა დილით, 7:30სთ, რათა მოემზადებინა საუზმე, ჩაეცვა ბავშვებისთვის და წაეყვანა საბავშვო ბაღში ან დასასვენებელ ადგილებში, ეზრუნა ბავშვზე, გაეკეთებინა სხვადასხვა საოჯახო საქმე, გაერეცხა და დაეუთოვებინა ტანსაცმელი. საღამოს ამზადებდა სადილს, უვლიდა უფროს ბავშვებს, რეცხავდა ჭურჭელს და დასაძინებლად მიდიოდა სადღაც, 10:30სთ-ზე. 1995 წლის დეკემბერში მოსარჩელემ შეძლო გაქცევა ჰაიტელის ეროვნების ადამიანის დახმარებით, რომელმაც ხუთი თუ ექვსი თვით წაიყვანა. ის უვლიდა ამ უკანასკნელის ორ ბავშვს, განთავსებული იყო შესაბამის საცხოვრებელ ადგილზე, შესაბამისი საკვებით და იღებდა 2500 ფრანგულ ფრანკს, ყოველთვიურ ანაზღაურებას.

შემდეგ მამის მხრიდან ბიძის რჩევით, რომელსაც ურთიერთობა ჰქონდა ბატონ და ქალბატონ ბ.-თან დაუბრუნდა წყვილს, რომლებმაც აიღეს ვალდებულება მოენერიგებინათ მისი იმიგრანტის სტატუსი. მიუხედავად ამისა, მდგომარეობა უცვლელი რჩებოდა. მოსარჩელე აგრძელებდა საოჯახო საქმის კეთებას და უვლიდა ორ ბავშვს. მას ეძინა ბავშვების საძინებელში, იატაკზე დაგებული ქვეშაგებელზე, შემდეგ დასაკვც ლოგინზე, ეცვა გამონაცვალ ტანსაცმელი, არ უხდიდნენ ხელფასს და არ დადიოდა სკოლაში (პარიზი 14-17).

სილიადინმა ბოლოს მოახერხა თავის პასპორტის მოპოვება და თავის მდგომარეობა გაანდო



მეზობელს, რომელმაც ეს საგანგაშო მდგომარეობა აცნობა დამონების თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ კომიტეტს (CCEM, Comite Contre l' Esclavage Moderne). პარიზში არსებული ეს არასამთავრობო ორგანიზაცია ეხმარება შინამოსამსახურებრივი ყმობით დაზარალებულებს. CCEM შეიტანა საჩივარი პოლიციაში, რომელმაც რეიდი მოაწყო მითითებულ სახლში. ბატონ და ქალბატონ ბ-ს წარედგინათ ბრალდება საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსის 225, 13 და 225, 14 მუხლებით.⁶⁴ ისინი დამნაშავედ იქნენ ცნობილი პირველი ბრალდების და არა მეორე ბრალდების მუხლით. პარიზის სააპელაციო სასამართლოში გასაჩივრების შედეგად განსასჯელები გაამართლეს და ყველა ბრალდება მოუხსნეს. სახელმწიფო პროკურორმა გადაწყვიტა არ გაესაჩივრებინათ ეს გადაწყვეტილება საკასაციო სასამართლოში, რის შედეგადაც, მხოლოდ მოსარჩელის სამოქალაქო სარჩელი წავიდა უზენაეს სასამართლოში. საკასაციო სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება სამოქალაქო სარჩელზე, ვინაიდან დაადგინა, რომ დასკვნები არ იყო ფაქტებით დასაბუთებული. ვერსალის უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს წინასწარი გადაწყვეტილებით, სასამართლომ დაადგინა მოსარჩელისათვის სამოქალაქო ზიანის მიყენების ფაქტი, მაგრამ განსასჯელისათვის სისხლის სამართლის ბრალეულობის მოხსნის გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ევროპის სასამართლოს წინაშე სილიადინმა განაცხადა, რომ საფრანგეთს ჰქონდა პოზიტიური ვალდებულებები მიეღო სისხლის სამართლის კოდექსში ისეთი კანონები, რომლებიც ადეკვატურად აღკვეთავდა და დასჯიდა ასეთ დანაშაულებებს. არსებული სისხლის სამართლის კანონები ბუნდოვანი და არასაკმარისად იყო განმარტებული.

სილიადინის განცხადებით, „თუ არ არსებობს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ადეკვატური სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს უშუალოდ დანაშაულის ჩამდენ პირთა დასჯას და დანაშაულის პრევენციას, ვერ ვიტყვით, რომ მხოლოდ სამოქალაქო პროცესი, რომელსაც მიყენებული ზიანის ანაზღაურების გადაწყვეტილება გამოაქვს, საკმარისი მექანიზმია, რომ მსხვერპლი ადეკვატურად იყოს დაცული მის პიროვნებაზე თავდასხმებისაგან.“ (პარაგ. 69).

მთავრობამ უპასუხა, რომ ამ ტიპის ქმედებებისთვის არსებობს სამართლებრივი აღდგენის საშუალებები, როგორც სისხლის სამართლის ასევე, სამოქალაქო კანონმდებლობაში და ის ბრალდებები, რომლებიც წარედგინათ ბატონ და ქალბატონ ბ-ს სხვა საქმეების განხილვის შემთხვევებში, მოპასუხის დამნაშავედ ცნობით დასრულდა. მთავრობის აზრით, საფრანგეთს დაკმაყოფილებული ჰქონდა ყველა ის პოზიტიური ვალდებულება, რაც კი შეიძლება არსებობდეს. (§ 75-76).

სამართლებრივი ანალიზი. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა სასამართლო განიხილავდა, საკითხს, აკისრებდა თუ არა მე-4 მუხლი სახელმწიფოებს პოზიტიურ ვალდებულებებს და სასამართლოს გადაწყვეტილებით გაირკვა, რომ აკისრებდა. სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში ნაწილობრივ ეფუძნება მე-4 მუხლს, რომელიც დემოკრატიული საზოგადოების ერთ-ერთ ყველაზე ფუნდამენტური ღირებულებაა, რომელიც ევროპის საბჭოს წესებს განსაზღვრავს (§ 82.). შემდგომ, იგი იძულებითი შრომის კონვენციის მე-4 მუხლით აწესებს აბსოლუტურ აკრძალვას იძულებით შრომაზე, სხვა კერძო პირის სასარგებლოდ.

[ამ] გარემოებებში სასამართლო იღებს დადგენილებას, რომ კონვენციის მე-4 მუხლთან არასაკმარისი შეთავსების შემთხვევაში, როცა ქმედება იმართება მხოლოდ სახელმწიფოს მთავრობის მიერ, მაშინ ეს ქმედებები, იქნებიან ნაკლებად თანმიმდევრული საერთაშორისო სამართლებრივ კანონმდებლობასთან, განსაკუთრებით, ამ საკითხთან მიმართებაში, რაც ნიშნავს, რომ მათი განხორციელება ნაკლებად ეფექტური იქნება. შესაბამისად, ამ დებულებიდან გამომდინარე, აუცილებელია, რომ მთავრობებს ჰქონდეთ პოზიტიური ვალდებულებები.... სისხლის სამართლის კანონების მისაღებად, რომელიც კანონით დასჯის იმ ქმედებებს, რომელიც

64 მუხლი 225-13: „ეს იქნება დანაშაული.... მიაღწიო ადამიანისგან, მომსახურებას ანაზღაურების გარეშე ან ისეთ ფასად, რაც აშკარად დისპროპორციულია შესრულებული სამუშაოს, მიაღწიო უპირატესობას ადამიანის დაუცველობისა და დამოკიდებულობის ხარჯზე.“ მუხლი 225-14 – „ეს იქნება დანაშაული თუ აცხოვრებ და ამუშავებ ადამიანს ადამიანური ღირსებისათვის შეუფერებელ გარემოში, უპირატესობის მოპოვებით მისი დაუცველობისა და დამოკიდებულობის ხარჯზე.“

განმარტებულია კონვენციის მე-4 მუხლით და უზრუნველყოფს ამ კანონების გამოყენებას (§89).

რაც შეეხება იმის დადგენას, იყო თუ არა აღნიშნული ქმედებით მე-4 მუხლი დარღვეული, სასამართლომ განიხილა მოსარჩელის ბრალდებები. „მისი გადაადგილების თავისუფლება იყო შეზღუდული, ჩამორთმეული ჰქონდა პასპორტი, მისი იმიგრანტის სტატუსი იყო საეჭვო, ვიდრე არალეგალი გახდებოდა და ამასთან, ბატონი და ქალბატონი ბ. შიშის გარემოში ამყოფებდნენ, კერძოდ, დაიჭერდნენ და გააძევებდნენ.“⁶⁵ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის განმარტებაზე დაყრდნობით, სასამართლომ განიხილა და იმსჯელა სამ შემადგენელ ფაქტორზე.⁶⁶

► ნებისმიერი სასჯელის მუქარა

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ საქმეში, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე არ ყოფილა დაშინებული „სასჯელით“, ფაქტია, რომ იგი იმყოფებოდა შიშის ტოლფასს გარემოში, იმ თვალსაზრისით, რომ სერიოზულად აღექვა საშიშროება (მუქარა). ის იყო მოზარდი, უცხო ქვეყანაში, უკანონოდ იმყოფებოდა საფრანგეთის ტერიტორიაზე და ცხოვრობდა შიშით, რომ პოლიცია დააპატიმრებდა. რა თქმა უნდა, ბატონმა და ქალბატონმა ბ-მა ჩამოუყალიბეს ეს შიში და დააჯერეს, რომ მისი სტატუსი დარეგულირდებოდა. შესაბამისად, სასამართლო მიიჩნევს, რომ პირველი ფაქტორი – შიში არსებობდა, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მოსარჩელე, იმ პერიოდში, არასრულწლოვანი იყო. ეს იყო ფაქტი, რაც სასამართლომ გამოკვეთა.

► ნებაყოფლობითი შეთავაზება

რაც შეეხება, ასრულებდა თუ არა ამ სამუშაოს თავისი საკუთარი სურვილით, ამ საქმის ფაქტებიდან ნათელია, რომ არასერიოზულია იმის მტკიცება, რომ ის ამას საკუთარი სურვილით აკეთებდა, თუნდაც იმ მარტივი მიზეზით, რომ მისთვის სხვა არჩევანი არ მიუციათ.⁶⁷

სასამართლომ დაასკვნა, რომ კონვენციის მე-4 მუხლის განმარტების შესაბამისად, სილიადინი ექვემდებარებოდა იძულებით შრომას. შემდეგ სასამართლომ განიხილა, მისი მდგომარეობა მონობა იყო, თუ ყმობა. დაადგინეს, რომ მონობის განმარტება შეესაბამო იყო, ვინაიდან ბატონი და ქალბატონი ბ. „არ გამოიყენებდნენ მონობის უმთავრეს მახასიათებელს“, მასზე კანონიერი საკუთრების უფლებას“, სასამართლო შეიჩერდა „ყმობის“ მსჯელობაზე. ევროსაბჭოს წინა პერიოდში „ყმობა“ შემდეგნაირად ჰქონდა განმარტებული – „იმ ვალდებულებების გარდა, რომ შეასრულო გარკვეული სამუშაოები ყმობის პირობებში, იცხოვრო სხვის საკუთრებაში და არ ჰქონდეს სტატუსის შეცვლის საშუალება.“⁶⁸ ამგვარად, „ყმობა“ იყო „ვალდებულება შეასრულო სამუშაო სხვისი ზეწოლის პირობებში“.⁶⁹ სასამართლომ დადგენილ ყმობასთან დაკავშირებით განსაზღვრა შემდეგი ფაქტორები:

- სილიადინის სამუშაო დღეში, თითქმის თხუთმეტი საათი გრძელდებოდა, კვირაში შვიდი დღის განმავლობაში;
- მისი არჩევანი არ ყოფილა ბატონი და ქალბატონი ბ-ს ოჯახში მუშაობა;
- როგორც არასრულწლოვანს, მას არანაირი რესურსი არ გააჩნდა, იყო დაუცველი და იზოლირებული, არ გააჩნდა არსებობის არანაირი საშუალება გარდა იმისა, რომ ცხოვრობდა ბატონ და ქალბატონ ბ-ის სახლში.
- ის მთლიანად დამოკიდებული იყო ბატონი და ქალბატონი ბ-ის მოწყალეობაზე, რადგან მას ჩამორთმეული ჰქონდა საბუთები, მას დაპირდნენ, რომ იმიგრანტის სტატუსს მოაგვარებდნენ, რაც არასდროს არ მომხდარა.

65 Siliadin v. France, op. cit., para. 94.

66 Ibid., § 115-117.

67 Ibid., § 118-119.

68 Ibid., § 123 (citing *Van Droogenbroeck v. Belgium*, 9 July 1980, Series V, vol. 44, p. 30).

69 Ibid., § 124.



- ამის გარდა, მოსარჩელეს, რომელსაც ეშინოდა არ ყოფილიყო პოლიციის მიერ დაპატიმრებული, არც ერთ შემთხვევაში არ ჰქონდა სახლის დატოვების უფლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ბავშვები მიჰყავდა სკოლაში ან სხვა ღონისძიებებზე. მამასადამე, მას არ ჰქონდა თავისუფალად გადაადგილების უფლება და თავისუფალი დრო.
- მიუხედავად მამამისზე მიცემული დაპირებებისა, მას არ მისცეს სკოლაში სწავლის გაგრძელების უფლება. მოსარჩელეს არანაირი იმედი არ ჰქონდა, რომ მისი მდგომარეობა შეიძლება გაუმჯობესებულიყო და ის მთლიანად იყო დამოკიდებული ოკაზის უფროსებზე.⁷⁰

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს აქვს უფლება გასცეს განკარგულება „სამართლიან კომპენსაციაზე“ დაზარალებულის სასარგებლოდ. სილიადინი არ ასაჩივრებდა მიყენებულ ზიანს, სამაგიეროდ, ის ასაჩივრებდა გასავალსა და ხარჯებს. სასამართლომ გასცა განკარგულება ხარჯებისა და გასავალის სრულ ანაზღაურებაზე, რაც შეადგენდა € 26,209.69, შესაბამის პროცენტის დამატებით. საფრანგეთის სასამართლოებმა სილიადინს ფსიქოლოგიური ზარალი-სათვის € 15, 245 აუნაზღაურეს. ამ ზარალის ანაზღაურების გადანაწილება ვერსალის სააპელაციო სასამართლომ მიიღო. ამის გარდა, მას აუნაზღაურეს € 31, 238, როგორც გადაუხდელი ხელფასი და ეს გადანაწილება პარიზის საწარმოო ტრიბუნალმა მიიღო.

კითხვები განხილვისათვის

- (1) განსაზღვრა თუ არა სასამართლომ რა საშიშროება ან მუქარა იყო სილიადინის მიმართ? რატომ გადანაწილა სასამართლომ, რომ სილიადინის შემთხვევაში, დანაშაული იყო „საშიშროება“ (მუქარა) და არა „დასჯის მუქარა“?
- (2) ინდივიდუალური დაუცველობა რა გავლენას ახდენს „დასჯის მუქარის“ ფაქტორის გაანალიზებაზე;
- (3) სასამართლოს მსჯელობის შესაბამისად, შეიძლება თუ არა არასრულწლოვანი, არაღვრილი მიგრანტი გადააწყდეს მოსალოდნელ შედეგებს, რომელიც უდრის სასჯელის მუქარას?
- (4) რატომ არ დაუთმო სასამართლომ ამდენი დრო *ნებაყოფლობითობის* საკითხის განხილვას, ისე როგორც ეს *ვან დერ მუსელის* საქმის განხილვის შემთხვევაში გააკეთა. დიდია განსხვავება სილიადინისა და *ვან დერ მუსელის* პიროვნებებს შორის, ასაკის, განათლების, ეროვნების წარმომავლობის და მოქალაქეობის გამო. ჰქონდა თუ არა ამ განსხვავებებს მნიშვნელობა და რატომ?
- (5) ყმობის განმსაზღვრელი ფაქტები შეიძლება თუ არა იყოს „იძულებითი შრომის განმსაზღვრელი ფაქტები? რა განსხვავებაა იძულებით შრომასა და ყმობას შორის? ერთი სტენოგრაფისტი აღწერს *სილიადინის საქმეს*, როგორც მონობასა და იძულებით შრომას შორის არსებულ კლასიკურ განსხვავებას, რომლის აზრითაც, „ყმობა“ ავსებს ამ ორ შორის არსებულ ნებისმიერ სივრცეს“. ⁷¹ ეთანხმებით თუ არა ამ განმარტებას?
- (6) როგორც ერთმა ექსპერტმა აღნიშნა, *სილიადინის* საქმეში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ციტირება ორი მიზეზით არის განპირობებული. ერთ-ერთი მიზეზია „ხელი შეუწყოს სამართლებრივი დებულებების განსაზღვრებას პრაქტიკული მასალის ფარგლებში“⁷². რა არის მეორე მიზეზი, რომ სასამართლო ეყრდნობა იძულებითი შრომის კონვენციას?

70 Ibid., § 126-128.

71 Holly Cullen, “Siliadin v. France: Positive Obligations Under Article 4 of the European Convention on Human Rights”, in *Human Rights Law Review*, Vol. 6, 2006, pp. 585, 592.

72 იხილეთ: Virginia Mantouvalou, „Servitude and Forced Labour in the 21st Century: The Human Rights of Domestic Workers“, in *Industrial Law Journal*, Vol. 35, December 2006, pp. 395, 406-407.

(7) არის თუ არ სილიადინის დაუცველობა დამძიმებული იმ ფაქტორით, რომ იგი ქალია?⁷³ არის თუ არა ეს საკითხი რელევანტური, იმ ქვეყნებში, სადაც გენდერული თანასწორობა სისტემა შედარებით განვითარებულია? რატომ არ განიხილა ეს საკითხი სასამართლომ?

ექსპერტთა კომიტეტის კომენტარების განხილვა „რესტავაციის“ მაგალითზე, ბავშვები ჰაიტიზე და პარალელების გავლენა სილიადინის საქმეთან. აღსანიშნავია, რომ კომიტეტი არ განიხილავს ბავშვის მიერ შესრულებული ყველა საოჯახო საქმეს, როგორც იძულებით შრომას.

ექსპერტთა კომიტეტის კომენტარები კონვენციებისა და რეკომენდაციების გამოყენებაზე (CEACR), 75-ე სესია N°29 კონვენციის შესახებ, 2004

„რესტავაციის“ ბავშვები ჰაიტიზე

„რესტავაციის“ ბავშვებით შინამოსამსახურებრივი შრომა ძალიან ჩვეულებრივი მოვლენაა ჰაიტიზე და ზოგადად, იგი იძულებით შრომას ან მონობას მოიცავს. „რესტავაცი“ გამოიყენებს ღარიბი ოჯახების ბავშვებს, ძირითადად, სოფლებიდან. ოჯახები გზავნიან ბავშვებს შედარებით შეძლებულ ოჯახებში საცხოვრებლად, საოჯახო საქმეების გასაკეთებლად დასაძინებელი ადგილის სანაცვლოდ. ბევრ შემთხვევაში ღარიბი ოჯახები იღებენ შემოსავალს მიმღები (რესიპიენტი) ოჯახებიდან, საკუთარი შვილების მონებად სარფიანი გაყიდვით. გარკვეული დაანგარიშებით, დაახლოებით, 300 000 „რესტავაცი“ ბავშვია ჰაიტიზე. „რესტავაციის“ ბავშვების ძალიან მცირე რაოდენობა იღებს განათლებას, მთლიანად, მხოლოდ 20% დადის სკოლაში, და 1%-ზე ნაკლები აღწევს საშუალო სკოლამდე.... კომიტეტის დაკვირვებების შესაბამისად, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვების მიერ შესრულებული სახლის ყველა სამუშაო არ უტოლდება იძულებით შრომას. იმისთვის, რომ დადგინდეს ხვდება თუ არა ეს კონკრეტული სიტუაცია კონვენციის ფარგლებში – ძალიან მნიშვნელოვანია გაირკვეს, რა პირობებში ასრულებენ ბავშვები სამუშაოს და, შევადაროთ იძულებითი შრომის განმარტებას, განსაკუთრებით, თანხმობის კანონიერების, ბავშვის ასაკისა და სამუშაოს დატოვების შესაძლებლობის გათვალისწინებით.

73 ტრეფიკინგის სფეროში, კვლევის ყურადღების ცენტრში ხშირად, სექსუალური ექსპლუატაციით განპირობებული ტრეფიკინგია, სავარაუდო მსხვერპლთა ძირითადი ნაწილი ქალებია. იხილეთ: *Stopping forced labour*, op. cit., at pp. 49-50. The ILO. იძულებითი შრომის მაჩვენებლების მიხედვით, ეკონომიკური ექსპლუატაციის მსხვერპლთა შორის ქალები და გოგონები 56% შეადგენენ, მაშინ როცა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის შემთხვევაში 98%-ს. იხილეთ: *A global alliance*, op. cit., at p. 15. ეკონომიკური ფაქტორების აღწერილობისთვის, რომლებიც უკანონო მზარდი ემიგრანტების, როგორც ადგილობრივი სამუშაო ძალის დასაქმების უკან დგას. იხილეთ: Gijsbert Van Liemt, *Human trafficking in Europe: An economic perspective*, ILO Working Paper, 2004, pp. 5, 9.



საოჯახო საქმით იძულებითი შრომის კონვენციის დარღვევის შემთხვევას, ქვემოთ განვიხილავთ საუდის არაბეთის მაგალითზე.

**ექსპერტთა კომიტეტის კომენტარები კონვენციებისა
და რეკომენდაციების გამოყენებაზე (CEACR)**

**29 კონვენციის ინდივიდუალური პირდაპირი მოთხოვნა,
იძულებითი შრომა 1930, საუდის არაბეთმა წარადგინა 1998 წელს**

კომიტეტმა განიხილა, რომ მთელ რიგ შემთხვევებში, მაშინაც კი, როცა იძულებითი და სავალდებულო შრომა აკრძალულია, პრინციპში დამქირავებლები შეიძლება იყვნენ ისეთ მდგომარეობაში, რომ შეძლონ გადაჭარბებული კონტროლის გამოყენება დაქირავებულებზე, განსაკუთრებით უცხოელ მუშებზე და სხვებზე, მაგალითად, სოფლის მეურნეობის სექტორში და ოჯახებში დასაქმებულებზე, ისინი, ვისზეც შრომის კანონმდებლობა არ ვრცელდება...

მუშები ხშირად, ექვემდებარებიან ისეთ მდგომარეობას, როცა მათი დასაქმება თითქმის მონობად გარდაიქმნება. პირველად, დამქირავებელი ან დამსაქმებელი სააგენტო ჩვეულების წესით, ართმევს პასპორტს, ვითომ უსაფრთხოების მიზნით, საბოლოოდ კი, პასპორტის მფლობელს აღარ შეუძლია თავისუფლად გადაადგილება და ნამდვილად ვერ დატოვებს ქვეყანას ან თავისუფლად ვერ გამოიცვლის დამსაქმებელს. მეორე ყველაზე გავრცელებული შემთხვევა არის დაქირავებულის არანაზღაურება, ხშირად, ზედმედ თვეების განმავლობაში. დაქირავებულს არ ძალუძს სხვა სამუშაოს მოძებნა იმ რისკის შიშით, რომ დაკარგავს გამომუშავებულ ანაზღაურებას.

კონვენციის 25-ე მუხლი მოითხოვს, რომ „კანონით გათვალისწინებული სასჯელი უნდა იყოს მკაცრად აღსრულებადი“. თუ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის 26-ე მუხლის ფარგლებში დანიშნული გამოკითხვის კომისია დაადგენს თუნდაც ერთ ფაქტს, რომ იძულებით შრომაზე დანესებული პირობითად სამართლებრივი აკრძალვა ვერ შესრულდა, მაშინ ასეთი ქმედება ფასდება, როგორც კონვენციის 25-ე მუხლის დარღვევა.⁷⁴

4.2. დასავლეთ აფრიკის სახელმწიფოების ეკონომიკური გაერთიანება (ECOWAS) სასამართლო უწყებების გაერთიანება აღიარებს პოზიტიურ პალდეზულებებს, რომ დაიცავენ აღამიანებს მონობისაგან

მიუხედავად მონობის გაუქმებისა, ნიგერიაში და დასავლეთ აფრიკის სხვა სახელმწიფოებში მონობის გადმონაშთები კვლავ არსებობს. მონების შთამომავლები შეიძლება მუშაობდნენ სახლში მოსამსახურეებად, უვლიდნენ შინაურ ცხოველებს და უძღვებოდნენ სოფლის მეურნეობას. „მუქარა და სასჯელი მიღებული ინფორმაციის თანახმად, კვლავ გამოიყენება მონების გაქცევის შემთხვევების აღსაკვეთად. განსხვავებული სოციალური და ფსიქოლოგიური ფაქტორებიც თავის როლს ასრულებენ, მაგალითად, ურთიერთობების შიში... შიში უცნობი გარემოს მიმართ, ან ყველაფერის მიმართ, რაც ტრადიციული მეპატრონის სახლს მიღმა ხდება.“⁷⁵ 2003 წელს, ნიგერიამ სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შეიტანა, რის შედეგადაც, მონობის დანაშაული სისხლის სამართლის კანონით ისჯება და 30 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. შესაბამისად, იძულებითი შრომა აიკრძალა და შრომის კოდექსი უზრუნველყოფს დამნაშავის ერთ თვემდე თავისუფლების აღკვეთას.

⁷⁴ *Forced labour in Myanmar*, Report of the Commission of Inquiry, op. cit., §. 514.

⁷⁵ *A Global Alliance against Forced Labour* at para. 203.

4.2.1. სახელმწიფოების ანგარიშვალდებულება საქმე „ჰადიჯატოუ მანი ნიგერიის რესპუბლიკის წინააღმდეგ“, სასამართლო უწყებების გაერთიანება (27 ოქტომბერი, 2008)

ფაქტობრივი გარემოებები. ჰადიჯატოუ მანი დაიბადა დაწესებულ მონათა კლასში. 1999 წელს, 12 წლის ასაკში ის მიყიდეს მამაკაცს სახელად, ელ ჰადუ სოულიმანე ნაროუა.⁷⁶ ნაროუა აიძულებდა მას სახლში და მინდორში მუშაობას, აგრეთვე სისტემატურად ახდენდა მასზე სექსუალურ ძალადობას. ქალმა მას სამი შვილი გაუჩინა, რომელთაგანაც ორი გადარჩა. 2005 წელს, ნაროუამ მას მისცა მონობის გაუქმების სერტიფიკატი (certificate d'affranchissement (d'esclave)). დოკუმენტი იუწყებოდა, რომ დღიდან ხელის მოწერისა, იგი თავისუფალია და აღარავის მონა აღარ იყო. მიუხედავად ამისა, მისმა ყოფილმა მეპატრონემ ქალს განუცხადა, რომ იგი უნდა დარჩენილიყო მის ცოლად ხუთცოლიანობის ტრადიციის შესაბამისად, რომელსაც „ვაჰია“ ეწოდება. ჰადიჯატოუ მანი იბრძოდა საკუთარი თავისუფლების მოსაპოვებლად ადგილობრივ სამოქალაქო საქმეთა ტრიბუნალში, კოტუმირეში, რომელმაც დაადგინა, რომ ვინაიდან არ არსებობდა არანაირი ქორწინება, იგი თავისუფალი იყო. ნაროუამ გაასაჩივრა გადაწყვეტილება და უმაღლესი ინსტანციის ტრიბუნალმა (GTI Tribuna de Grand Instance) შეცვალა ქვედა ინსტანციის გადაწყვეტილება. უმაღლესი ინსტანციის ტრიბუნალმა დაადგინა, რომ ნიგერიის ჩვეულებითი სამართალის შესაბამისად, მონა გოგონა ჰადიჯატოუ მანი იყო ქორწინებაში საკუთარ მეპატრონესთან, გათავისუფლებამდე. ჰადიჯატოუმ გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში, რომელმაც ქვედა ინსტანციის სასამართლოს დაუბრუნა უმაღლესი ინსტანციის ტრიბუნალის (GTI) გადაწყვეტილება.

ამ დროისათვის ჰადიჯატოუ დაქორწინდა რჩეულ მამაკაცზე, საკუთარი ძმის თანხმობით. შემდეგ ნაროუამ შეიტანა საჩივარი ორქმრიანობაზე, ჰადიჯატოუს წინააღმდეგ. ჰადიჯატოუ, მისი მეუღლე და ძმა 6 თვით დააპატიმრეს. ჰადიჯატოუმ გაასაჩივრა და პატიმრობის ორი თვის შემდეგ მიიღო პირობითი გათავისუფლება. 2008 წლის აპრილში, მან სარჩელი წარადგინა დასავლეთ აფრიკის ქვეყნების ეკონომიკური გაერთიანების (ECOWAS) სასამართლო უწყებების გაერთიანებაში და ამტკიცებდა, რომ ნიგერია არღვევდა ECOWAS-ის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, ადამიანთა უფლებების აფრიკულ ქარტიას (African Charter of Human and Peoples Rights), პოლიტიკური და სამოქალაქო უფლებების საერთაშორისო კონვენციას (ICCPR), კონვენციას ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმების აღმოფხვრის შესახებ, მონობის კონვენციას და მონობის გაუქმების დამატებით კონვენციას. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ECOWAS სასამართლო იხილავდა მონობის საქმეს.

სამართლებრივი ანალიზი. ECOWAS-ის სასამართლოს წინაშე ჰადიჯატოუ აცხადებდა, რომ ის დაბადებიდან მონათა კლასის წარმომადგენელია და მთელი პერიოდის განმავლობაში ეპყრობოდნენ, როგორც მონას, ვიდრე თავის ყოფილ მეპატრონესთან ელ ჰადუ სოულიმან ნაროუასთან ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდა. ნიგერიამ უპასუხა, რომ იგი არ იყო მონა, მაგრამ იყო ნაროუას მეუღლე, ისინი ერთად ცხოვრობდნენ და იყვნენ მეტნაკლებად ბედნიერნი, როგორც ყველა სხვა წყვილი.

სასამართლომ არაორაზროვნად მიიღო გადაწყვეტილება, რომ ჰადიჯატოუს ეპყრობოდნენ, როგორც მონას თითქმის ათი წლის განმავლობაში, იგი ექვემდებარებოდა ფსიქოლოგიურ მწიკრს, ფიზიკურ ძალადობას, სექსუალურ ექსპლუატაციას, იძულებით შრომას სახლისა და მინდორის სამუშაოებზე და მის გადაადგილებაზე ხორციელდებოდა კონტროლი. ამ მატერიალური მტკიცებულებების გარდა, იყო მორალური ფაქტორი, რომელიც შედგებოდა იმ ფაქტისგან, რომ ელ ჰადუ სოულიმანე ნაროუა აპირებდა მასზე კუთვნილების უფლების გამოყენებას, მას შემდეგ, რაც იგი გათავისუფლდა იქნა მონობიდან. ჰადიჯატოუს მდგომარეობის მახასიათებლები შეესაბამებოდა მონისა და დამონების განმარტებას 1926 წლის მონობის კონვენციის შესაბამისად, როგორც განმარტებული იყო სსსტ ყოფილი იუგოსლავიისათვის (ICTY) სააპელაციო პალატის გადაწყვეტილებაში კუნარაკის საქმის განაჩენზე. სასამართლომ აგრეთვე, გამოიყენა ციტატები ნიურნბერგის სამხედრო ტრიბუნალიდან, რომ შეიძლება მონები არსებობდნენ წამებისა და ცუდად მოპყრობის გარეშე.

76 ამ საქმის ისტორია ეყრდნობა ანტისლავიკარი ინტერვიუებზე, Briefing Paper: Hadijatou Mani Koraou v. Niger at the ECOWAS Court of Justice (2008).



მონები შეიძლება იყვნენ კარგად ნაკვებნი, კარგად ჩაცმულნი, კომფორტულად განთავსებულნი, მაგრამ ჯერ კიდევ რჩებიან მონებად, თუ კუთვნილი თავისუფლება მკაცრი შეზღუდვის კანონიერი ქმედებით არ აქვთ ჩამორთმეული. შეიძლება ჩამოვიშოროთ ცუდად მოპყრობის ყველა მტკიცებულება, ზედამხედველობა, შიმშილობა, ცემა და სხვა ბარბაროსული ქმედებები, მაგრამ მონობის დასაშვებობის ფაქტორი - სავალდებულო, აუნაზღაურებელი შრომა ალბათ, ისევ დარჩება. არ არსებობს გარემოება, რასაც შეიძლება კეთილგანწყობილი მონობა ეწოდოს. არანებაყოფლობითი ყმობა, მაშინაც კი, როცა დარეგულირებულია ადამიანური ურთიერთობებით, მაინც მონობაა. იცოდეთ თუ რა ტიპის ურთიერთობა არსებობს დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის, არსებითია.⁷⁷

მონობის აღმკვეთი ვალდებულებების ფაქტორიდან გამომდინარე, სასამართლომ დაადგინა, რომ ნიგერიაში ვერ უზრუნველყო ჰადიჯატოუს დაცვა. ქვეყანამ მიიღო ან დაუშვა მონობის საქმიანობა. სასამართლომ მოახდინა შესაბამისი ქვეყნის მოსამართლის ციტირება, რომელიც ამტკიცებდა, რომ „თავისუფალი მამაკაცის მონა ქალზე დაქორწინება კანონიერია, იმ შემთხვევაში, თუ მას არ შეეძლო თავისუფალ ქალზე ქორწინება, ეშინოდა აღმოჩენილიყო ორცოლიანი“ და დასკვნა, რომ ჰადიჯატოუს მონის სტატუსის აღიარებით და მისი არგაკიცხვით მან ცნო მონობა ან როგორც, მინიმუმ, დააფიქსირა შემწყნარებლობა ამ საქმიანობის მიმართ. ჰადიჯატოუს ჰქონდა უფლება ყოფილიყო დაცული ნიგერიის რესპუბლიკის მთავრობისაგან, რომელიმე ადმინისტრაციული ან სასამართლო ორგანოსაგან და ამ უფლების გამოყენებაზე მას უარი ეთქვა. ნიგერია პასუხისმგებელი იყო ამ ქმედებაზე.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. ჰადიჯატოუს მიყენებული ზარალისათვის აუნაზღაურეს 10 მილიონი ფრანკი, CFA.

**ექსპერტთა კომიტეტი კონვენციების და
რეკომენდაციების გამოყენებაზე (CEACR)
29 კონვენციის ინდივიდუალური დავკირვება, ნიგერია, 2008
(რატიფიცირებული 1961)**

კომიტეტმა დავკირვების შედეგად დაადგინა, რომ ნიგერიაში იყო მონობის არქაული ფორმები, რომელიც აღმოჩენილია მომთაბარე ტომებში. გარკვეულ ეთნიკურ ჯგუფებში მონობის სტატუსი დაბადებიდანვე გადაეცემათ. მონა მეპატრონის განკარგულებაშია უფასოდ ან გადახდის სანაცვლოდ. მეპატრონესა და მონას შორის ურთიერთობა პირდაპირ ექსპლუატაციას ეფუძნება. მონები მუშაობენ თავიანთი მეპატრონეებისათვის ანაზღაურების გარეშე, მეტწილად, მეცხვარეებად, მეურნეობებში და შინამოსამსახურეებად. კომიტეტმა აღნიშნა, რომ მთავრობის აღიარებით, მონობა მთლიანად აღმოფხვრილი არ იყო ქვეყანაში და უამრავი ქმედება იქნა განხორციელებული იძულებითი შრომის დასაძლევად. შრომა, რომელიც თითქმის მონობამდეა დასული ადამიანების ექსპლუატაციას მოიცავდა. კანონმდებლობის თვალსაზრისით, 2003 წლის 13 ივნისს, სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები იქნა შეტანილი, კერძოდ, Act N°2003-025 მონობის შესახებ პარაგრაფი. კომიტეტი აღნიშნავს, რომ მთავრობა 2005 წლის მოხსენებაში აცხადებს, რომ სასამართლოს მიერ არავინ არ არის მსჯავრდებულად აღიარებული, ვინაიდან არანაირი სარჩელი არ ყოფილა დაზარალებულების მხრიდან.

⁷⁷ §79 ციტატა კუნარაკის სასამართლო გადაწყვეტილებიდან; §525 (ICTY სასამართლო პალატა, 22 თებერვალი, 2001).

5. იძულებითი შრომა სამხრეთ აზიაში

ინდოეთსა და პაკისტანში იძულებითი შრომის სამართალი შემოწმებას რამდენიმე მიზეზის გამო საჭიროებს. პირველ რიგში, ორივე ქვეყანაში არსებობს კონსტიტუციური დებულებანი, რომლებიც კრძალავს იძულებითი შრომას. ინდოეთის კონსტიტუციის 23-ე მუხლი განმარტავს, რომ: „იკრძალება ადამიანებით ვაჭრობა, მათხოვრობა და იძულებითი შრომის სხვა მსგავსი ფორმები და ამ დებულების ნებისმიერი სახით დარღვევა ის-ტება კანონის თანახმად.“ პაკისტანის კონსტიტუციის მე-11(2) მუხლი განმარტავს, რომ: „იძულებითი შრომისა და ტრეფიკინგის ნებისმიერი ფორმა აკრძალულია.“

მეორე, ორივე ქვეყანაში სახალხო ინტერესთა დაცვის (PIL) აქტივისტთა ტრადიცია არსებობს, რასაც სასამართლო ინსტანციებმა ხელი შეუწეეს მთელი რიგი პროცედურული ინოვაციების დანერგვით. მაგალითისთვის, სასამართლოებმა შეიმუშავეს შუამდგომლობის ექსპანსიური და ლიბერალური კონცეფცია, რომლის თანახმადაც, მესამე მხარის წარმომადგენელ ორგანიზაციებს, როგორებიცაა სავაჭრო კავშირები და არასამთავრობო ორგანიზაციები, საშუალება ეძლევათ აღძრან სარჩელი. ასევე, სასამართლოებმა გამოიყენეს პროცედურული მოქნილობა, როდესაც ფუნდამენტური უფლებების გასაძლიერებლად წერილობითი პეტიცია დაუშვეს წერილების, ტელეგრამების ან საგაზეთო სტატიების სახით და ამასთან, ზოგიერთ ინსტანციაში საგამოძიებო კომისიებს საწინააღმდეგო გარემოებების დადგენის საშუალება მისცეს. დაბოლოს, ფუნდამენტური უფლებების საკითხებზე მუშაობისას, სასამართლოებმა ვრცელი შემამსუბუქებელი ზომები დაუშვეს.⁷⁹

გარდა ამისა, ორივე ქვეყანა იძულებითი შრომის გზით, ვალის ანაზღაურების მძლავრად გაბატონებულ პრაქტიკას იზიარებს. იძულებითი შრომის გზით ვალის ანაზღაურება იძულებითი შრომის სპეციფიკური ფორმაა, სადაც ძალდატანების ელემენტი ვალის არსებობიდან გამომდინარეობს.⁸⁰ დამატებითი კონვენცია მონობის გაუქმების, მონებით ვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და პრაქტიკის შესახებ „იძულებითი შრომის გზით ვალის ანაზღაურებას“ განმარტავს, როგორც „სტატუსს ან მდგომარეობას, რომელიც წარმოიშობა მსესხებლის მიერ საკუთარი მომსახურების ან მისი კონტროლის ქვეშ მყოფი ადამიანის მომსახურების თავდების სახით დაყენებისას, ვალის უზრუნველსაყოფად იმ შემთხვევაში, თუ ამ მომსახურების ჯეროვნად დადგენილი ღირებულება არ გამოიყენება ვალის სალიკვიდაციოდ ან ამ მომსახურების ხანგრძლივობა და ხასიათი არ არის შეზღუდული ან განსაზღვრული“. ⁸¹ მიუხედავად იმისა, რომ 29 კონვენცია არ განსაზღვრავს კონკრეტულად ვალის კაბალას, ექსპერტთა კომიტეტმა იძულებითი შრომის გზით ვალის ანაზღაურება იძულებითი შრომის სფეროში გააერთიანა.⁸²

79 ინდოეთის სასამართლოებში საზოგადოების ინტერესების დაცვის შესახებ ინფორმაცია იხილეთ Y.R. Haragopal Reddy, *Bonded Labour System in India* (Deep & Deep Publications 1995), pp. 67-69; Vijayashri Sripathi, „Toward Fifty Years of Constitutionalism and Fundamental Rights in India: Looking Back to See Ahead (1950-2000)“, in *American University International Law Review*, Vol. 14, pp. 413, 453-458 (discussing expansion of locus standi, creation of epistolary jurisdiction, appointment of fact-finding commissioners, and ordering remedial measures) (1998). პაკისტანის სასამართლოებში საზოგადოების ინტერესების დაცვის შესახებ ინფორმაცია იხილეთ Parvez Hassan & Azim Azfar, „Securing Environmental Rights through Public Interest Litigation in South Asia“, in *Virginia Environmental Law Journal*, Vol. 22, 2004, pp. 231-236 and n. 72

80 Ravi S. Srivastava, *Bonded Labour in India: Its Incidence and Pattern* (ILO Working Paper 2005), p.1.

81 მუხლი 1(ა)

82 105-ე კონვენციის პრეამბულა განიხილავს დამატებით კონვენციას მონობის გაუქმების შესახებ და აღნიშნავს, რომ იგი კრძალავს ვალის კაბალას და ყმობას. გარდა ამისა, 182-ე კონვენცია მიიჩნევს ვალის კაბალას ბავშვთა შრომის უკიდურესად მძიმე ფორმად.



5.1. ინდოეთი

5.1.1. ანაზღაურება მინიმალურ სახელფასო ზღვარსქვემოთ სახალხო კავშირი დემოკრატიული უფლებებისთვის ინდოეთის პროფკავშირის წინააღმდეგ, A.I.R. 1982 S.C. 1473 (19 სექტემბერი, 1982 წ.)

ფაქტობრივი გარემოება. სახალხო კავშირი დემოკრატიული უფლებებისთვის, რომელიც ასევე, ცნობილია „აზიური თამაშების საქმის“ (Asian Games Case) სახელით, სასამართლოში ინდოეთის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის - ბჰაგვატისადმი გაგზავნილი წერილის საფუძველზე მოხვდა. სახალხო ინტერესების დამცველი ორგანიზაციის მიერ გაგზავნილ წერილში, რომელიც საზოგადოებრივ მეცნიერებათა (სოციოლოგია) სამი სპეციალისტის გამოძიებას ეფუძნებოდა, წარმოდგენილი იყო მტკიცებულება ინდოეთის პროფკავშირის, დელის განვითარების წარმომადგენლობისა და დელის ადმინისტრაციის მიერ შრომის კანონების დარღვევის თაობაზე, რომელსაც „აზიური თამაშების“ სამშენებლო პროექტებისთვის საჭირო მუშების დაქირავებისას ჰქონდა ადგილი. შემდგომში, მიმართვა განხილული იქნა, როგორც წერილობითი პეტიცია კონსტიტუციური უფლების, კერძოდ, 23-ე მუხლის ასამოქმედებლად, რომელიც კრძალავს იძულებით შრომას. მოპასუხეებმა და მოსარჩელემ წარმოადგინეს ფიციტ მიცემული წერილობითი ჩვენება, რის საფუძველზეც პეტიცია დავის საგანი გახდა. ძირითადი ბრალდება ეხებოდა ფაქტს, რომ კონტრაქტორები შრომის ანაზღაურებას უხდიდნენ კომისრებს - ჯგუფის ხელმძღვანელებს, რომლებიც მუშებს ამ თანხიდან საკომისიო გადასახადს უკავებდნენ და დღეში სამართლებრივად დაშვებულ მინიმალურ ხელფასზე ნაკლებს - 9.25 რუპიას უხდიდნენ. უზენაესი სასამართლოს წინაშე საკითხი შემდეგნაირად იდგა: ესადაგებოდა თუ არა 23-ე მუხლის იძულებითი შრომის დებულება ზემოთ ხსენებულ მუშათა შემთხვევას, რომელთაც მინიმალურ სახელფასო განაკვეთზე ნაკლებს უხდიდნენ.

სამართლებრივი ანალიზი. პირველ რიგში, სასამართლო დაეფუძნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29 კონვენციას, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო კონვენციას და აღნიშნა, რომ 23-ე მუხლი „იგივე წარმოშობისაა და კრძალავს ნებისმიერი ფორმით გამოვლენილ იძულებით შრომას“. აშშ-ში მოჭამაგირეობის ორი საქმის შემთხვევაში, კერძოდ, „ბეილი ალაბამას წინააღმდეგ“ და „პალოკი უილიამსის წინააღმდეგ“, სასამართლომ დაადგინა, რომ 23-ე მუხლი გამოყენებული იქნას „იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმის წინააღმდეგ იმ შემთხვევაშიც კი, თუ იძულებითი შრომის ასახვა კონტრაქტში მოხდა ნებაყოფლობით იმ პირის მიერ, რომელმაც სამუშაოს ან მომსახურების უზრუნველყოფის ვალდებულება ამ კონტრაქტით აიღო“. შემდგომში, სასამართლომ უმეტესი ნაწილი იმის დადგენას მიუძღვნა, თუ რა იგულისხმებოდა ტერმინში - „იძულებითი შრომა“ გამოყენებულ სიტყვაში - „იძულებითი“.

► რა არის იძულება?

23-ე მუხლი კრძალავს „იძულებით შრომას“, რაც გულისხმობს შრომას ან მომსახურებას, რომლის შესრულებაც პირს იძულებით უხდება. „იძულება“, რომელიც სამუშაოს ან მომსახურებას აქცევს „იძულებით შრომად“ შესაძლოა რამდენიმე მიზეზით წარმოიშვას. ეს შესაძლებელია იყოს ფიზიკური ძალა, რომელიც პირს აიძულებს შეასრულოს სამუშაო ან უზრუნველყოს მომსახურება მეორე პირისთვის, ან შესაძლებელია ეს იყოს კანონით დადგენილი პირობები, მაგალითად, პატიმრობა ან ჯარიმა, იმ შემთხვევაში, როდესაც დაქირავებული პირი ვერ ასრულებს სამუშაოს ან მომსახურებას. ეს იძულება შესაძლოა გამოწვეული იყოს შიმშილის, სიღარიბის, გაჭირვებისა და ხელმოკლეობის გამოც.

ნებისმიერი ფაქტორი, რაც ადამიანს ართმევს ალტერნატივას და იძულებულს ხდის აირჩიოს ერთი კონკრეტული ვარიანტი, შესაძლოა განვიხილოთ, როგორც „იძულება“. იმ შემთხვევაში კი, თუ სამუშაო ან მომსახურება ხორციელდება, როგორც ამგვარი „იძულების“ შედეგი, ის

განიხილება როგორც „იძულებითი შრომა“. თუ ადამიანს არ აქვს ლუკმა-პური ან შიმშილის ზღვარზე, არ გააჩნია არავითარი რესურსი შეებრძოლოს დაავადებას ან გამოკვების ცოლ-შვილი, ან თუნდაც დაფაროს საკუთარი სიშიშველე, უკიდურესმა, მძიმე გაჭირვებამ დაუზიანა ხერხემალი და უმწეობისა და სასონარკვეთილების მდგომარეობამდე მიიყვანა, და არ არსებობს არანაირი სამუშაო, რომელიც მის სიღარიბეს აღმოფხვრიდა, მას აღარ რჩება არჩევანი გარდა იმისა, რომ დათანხმდეს ნებისმიერ იმ სამუშაოს, რაც გამოჩნდება, მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული ანაზღაურება მინიმალურ ზღვარზე ნაკლებია. ასეთ დროს, იგი არ იმყოფება იმ პოზიციაში, რომ მოლაპარაკება აწარმოოს დამქირავებელთან და იძულებულია დათანხმდეს შემოთავაზებულ პირობებს. ასეთ ვითარებაში ის მოქმედებს არა როგორც თავისუფალი ადამიანი, რომელსაც აქვს არჩევანის საშუალება, არამედ ის ეკონომიკური გარემოებების ტყვეობაშია. ასე, რომ მის მიერ შესრულებული ნებისმიერი სამუშაო ნათლად წარმოადგენს „იძულებით შრომას“. არ არსებობს მიზეზი, რომ სიტყვა „იძულებითი“ ინტერპრეტირებული იქნას ძალიან ვიწრო გაგებით და მისი გაიგივება მოხდეს მხოლოდ ფიზიკურ ან სამართლებრივ „იძულებასთან“, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ეროვნული ქარტია, ქვეყნის ფუნდამენტური დოკუმენტი, გვპირდება ისეთი ახალი რესპუბლიკის აშენებას, სადაც სოციალურ-ეკონომიკური სამართალი ყველასთვის თანაბრად იარსებებს და ყველას ექნება მუშაობის, განათლების მიღებისა და სათანადო საცხოვრებელი პირობების უფლება.

► ეკონომიკური იძულება

მაშასადამე, სიტყვა „იძულება“ უნდა განიმარტოს არა მხოლოდ, როგორც ფიზიკური ან სამართლებრივი იძულება, არამედ როგორც ძალდატანება, რომელიც განპირობებულია ეკონომიკური მდგომარეობით, არ უტოვებს რა პირს არჩევანის უფლებას გაჭირვების ჟამს და იძულებულს ხდის უზრუნველყოს სამუშაო ან მომსახურება მიუხედავად იმისა, რომ იგი მინიმალურ დადგენილ ზღვარზე ნაკლებ ანაზღაურებას მიიღებს. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვითვალისწინებთ მოსაზრებას, რომ პირი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოს ან მომსახურებას სხვა პირისთვის მინიმალურ დადგენილ ზღვარზე ნაკლები ანაზღაურების პირობებში, მკაფიოდ ხვდება 23-ე მუხლით განსაზღვრული „იძულებითი შრომის“ არეალსა და საზღვრებში.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. სასარჩელო განცხადების განხილვისა და მის მიმართ შედავების უარყოფის შემდეგ, სასამართლოს 1982 წლის 11 მაისის განკარგულების საფუძველზე, გაიცა დირექტივა, რომ მინიმალური ხელფასი ან უფრო მაღალი ხელფასი, საჭიროების შემთხვევაში, გადახდილი უნდა იქნას კონტრაქტორების მიერ პირდაპირ მუშებისათვის, ჯამდარების ჩარევის გარეშე და ჯამდარებს არ ჰქონდათ უფლება საკომისიოს სახით დაეკლოთ ან აენაზღაურებინათ ნებისმიერი თანხა მინიმალური ხელფასიდან. იმავე ბრძანებით, სასამართლომ დანიშნა სამი ომბუდსმენი და დაავალა მათ სამუშაო ადგილებზე პერიოდული შემოწმებები, რათა განესაზღვრათ რამდენად ხორციელდებოდა შრომის კანონები და იღებდნენ თუ არა მუშები მათთვის განკუთვნილ დახმარებებსა და ხელფასებს.

ინდოეთის უზენაესმა სასამართლომ დასკვნა, რომ მინიმალურ ხელფასზე დაბალი ანაზღაურების სანაცვლოდ, შესრულებული სამუშაო არის იძულებითი შრომა, ზოგადად, არ იქნა მიღებული შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ⁸³ (აბსოლუტური გაგებით, ის

83 იხილეთ: გლობალური ალიანსი, op., cit., პარაგრაფი 13 („იძულებითი შრომა არ შეიძლება გაიგივებული იქნას მხოლოდ დაბალ ხელფასებთან ან ცუდ სამუშაო პირობებთან. გარდა ამისა, იგი არ მოიცავს წმინდა ეკონომიკური საჭიროების სიტუაციებს, როდესაც დაქირავებულ პირს არ შეუძლია სამსახურის მიტოვება სამუშაო ალტერნატივების რეალური თუ სავარაუდო არარსებობის გამო.“); ILO, *Human trafficking and forced labour exploitation: Guidance for legislation and law enforcement*, Special Action Programme to Combat Forced Labour, Geneva, 2005, p. 19 („ცხადია, იძულებითი შრომა მოიცავს იმ საქმიანობას, რომელიც უფრო სერიოზულია, ვიდრე შრომის კანონებისა და შრომის პირობების მხოლოდ უპატივცემლობა. მაგალითად,



შეიძლება ინდოეთის მიერაც კი, აღარ იქნეს მიღებული. მთავრობის ერთ-ერთ ანგარიშში მითითებულია, რომ მინიმალურ ხელფასზე დაბალი ანაზღაურების ყველა ფაქტი არ უნდა იქნეს განხილული დამოკიდებული შრომის სისტემის (გაუქმების) აქტის საფუძველზე.⁸⁴ ექსპერტთა კომიტეტმა უარყო მოსაზრება, რომ ეკონომიკური შეზღუდვები, რომელიც აიძულებს მუშას დათანხმდეს დაბალანაზღაურებად სამუშაოს, შეიძლება, ცალკე აღებული, განვიხილოთ კონვენციის ფარგლებში. ამგვარად, ირლანდიის პროფკავშირების მიერ გაკეთებული განცხადებების საპასუხოდ, რომ უმუშევარი მუშები იძულებულები იყვნენ მიეღოთ დაბალანაზღაურებადი და შეუფერებელი სამუშაო მთავრობის დასაქმების და სამოქმედო გეგმის ფარგლებში, კომიტეტმა გადაცხადა:

უმუშევრობისა და სამუშაოს ნაკლებობის პრობლემა ყველგან დაბალი რანგის სამუშაოების გარდა, ნიშნავს, რომ ადამიანებს შეიძლება არ სურდეთ სამუშაოს შესრულება, მაგრამ ასრულებდნენ საკუთარი თავის სარჩენად, ჩვეულებრივ, ასეთი ქმედება არ კვალიფიცირდება, როგორც კონვენციის ფარგლებში განსახილველი საკითხი.⁸⁵

პორტუგალიის მიერ იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ კონვენციის 24-ე მუხლის შეუსრულებლობასთან დაკავშირებით, წარმომადგენლობის მხრიდან წაყენებული ბრალდების საპასუხოდ, კომიტეტმა განაცხადა, რომ „უმუშევრობის დონის ზოგადი ზრდის ფონზე, სხვა სამუშაოს არარსებობის რისკი თავისთავად არ შეიძლება განხილული იქნეს, როგორც სასჯელის მუქარა, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ აიძულოს დაქირავებული მუშა დარჩეს მისი დამქირავებლის სამსახურში“.⁸⁶

თუმცა, უზენაესი სასამართლოს ახსნა-განმარტების გამოცხადებული შეიძლება მოიძებნოს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სხვა განცხადებებში. თუ არსებობს ეკონომიკური შეზღუდვები, მთავრობა იყენებს ამ სიტუაციას და სთავაზობს დაბალ ხელფასებს, მაშინ ეს „გარკვეულწილად, შეიძლება პასუხი იყოს იმ სიტუაციაზე, რომელიც მას არ შეუქმნია“.⁸⁷ ჩილეში პროფკავშირები დავობდა, რომ მთავრობამ დაარღვია იძულებითი შრომის შესახებ კონვენცია, გადაუხადა რა, მინიმალურ ხელფასზე ნაკლები იმ მუშებს, რომლებიც ჩართულები იყვნენ დასაქმების ოფიციალურ პროგრამებში და კომიტეტს ეჭვები გაუჩნდა ამ პროგრამების „ნებაყოფლობით შინაარსთან“ დაკავშირებით. კომიტეტმა აღნიშნა, რომ გამართლებული იქნებოდა დავასკვნათ, რომ მთავრობის ამ პროგრამებში ჩართული პირები „აქ, უკეთესი ალტერნატივის არარსებობის გამო აღმოჩნდნენ, რათა მიეღოთ გარკვეული, თუნდაც მცირე შემოსავალი“.⁸⁸

კითხვები განხილვისათვის

(1) თავისთავად, „ეკონომიკური გაჭირვება“ არის თუ არა „ნებისმიერი დასჯის მუქარა“? თუ უნდა მოხდეს ეკონომიკური სიტუაციის გარკვეული გამწვავება დამქირავებლის მიერ, რათა მივიღეთ იძულებითი შრომის იმ განსაზღვრებამდე, რომელიც მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ?

(2) სენეგალის შემთხვევაში, სამი მხარისგან შემდგარმა კომიტეტმა, რომელიც ჩამოყალიბდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 24-ე მუხლით

დაქირავებული პირისათვის დადგენილი მინიმალური ხელფასის გადაუხდელობა არ წარმოადგენს იძულებით შრომას. თუმცა, ქმედება, რომელიც ხელს შეუშლის დაქირავებულ პირს დატოვოს მისი სამუშაო ადგილი ჩვეულებრივ, ექცევა იძულებითი შრომის ფარგლებში.“).

84 იხ. R.S. Srivastava, *Bonded Labour in India: Its Incidence and Pattern*, ILO Working Paper, 2005 at n. 7.

85 Individual Direct Request by the Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations Concerning Convention No. 29, Forced Labour, 1930 Ireland, ILO, 2001.

86 Report of the Committee set up to examine the representation made by the General Confederation of Portuguese Workers under article 24 of the Constitution, 1985, para. 97.

87 Report of the Committee set up to examine the representation alleging Non-observance of Convention No. 105 by Senegal, 1995.

88 Report of the Committee set up to examine the representation alleging Non-observance of Convention No. 29 by Chile, 1985.

განსაზღვრული ბრალდების გამოსაძიებლად, განაცხადა, რომ „იმის მიუხედავად, რომ ეკონომიკურმა შეზღუდვებმა შეიძლება ხელი შეუწყოს იძულებით შრომას“ და ადგილი ექნებოდა დარღვევას, თუკი მთავრობა „არ იქნებოდა პასუხისმგებელი გაძლიერებული ეკონომიკური შეზღუდვების შექმნისათვის, არც მათი გამოყენებისათვის შესთავაზებდა რა, სამუშაოს ადამიანებს, რომლებსაც არ ჰქონდათ სხვა არჩევანი იმ პირობებით, რომლებიც ჩვეულებრივ, მიუღებელი იქნებოდა“.⁸⁹ რატომ აწესებს კომიტეტი მოთხოვნას, რომ კანონდამრღვევი გარკვეულ როლს ასრულებს არსებული ეკონომიკური სიტუაციის სათავესოდ გამოყენებაში?

(3) შეიძლება თუ არა, რომ დაქირავებული პირი თავისუფლად და ნებაყოფლობით დაეთანხმოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლებ ანაზღაურებას? შეიძლება, რომ დაქირავებული პირი ნებაყოფლობით დაეთანხმოს მინიმალურ ხელფასზე ნაკლებ ანაზღაურებას „სტაბილური სამუშაოს საპასუხოდ, გაურკვეველი შრომის ბაზრის პირობებში?“⁹⁰ როდის უნდა გაეცნოს სასამართლო კონტრაქტის ფარგლებს გარეთ არსებულ რეალობას, რათა ნახოს, არის თუ არა ძალთა არათანაბარი განაწილება მხარეებს შორის შეთანხმების დროს?⁹¹ გასათვალისწინებელია ციტატა უმენაესი სასამართლოს ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებიდან: „ისინი სუსტი მხარის წარმომადგენლები არიან და მონობის უღელქვეშ მოლაპარაკების რესურსი უკვე ამოწურულია. სასამართლოს ინტერვენციის მიუხედავად, ამგვარი წარმატებით ვითარდება ექსპლუატაცია.“⁹²

(4) თუ აისად გეიმსის საქმეს გავაანალიზებთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იძულებითი შრომის განსაზღვრების სამი ელემენტის მიხედვით, კერძოდ, მუშაობა თუ მომსახურება, რომელიმე სასჯელით დამუქრება და იძულებითი შეთავაზება – რა დასკვნას გავაკეთებთ?

(5) გაეროს ტრეფიკინგის პროტოკოლის The Travaux Préparatoires განსაზღვრავს „დაუცველობის ბოროტად გამოყენებას“ იმ სიტუაციასთან მიმართებაში, როდესაც „მასში ჩართულ პირს არა აქვს რეალური და მისაღები ალტერნატივა, გარდა იმისა, რომ დამორჩილდეს (მისი მდგომარეობის) ბოროტად გამოყენების ფაქტს“. ეს იგივეა, რასაც აქ, სასამართლო განიხილავს დაქირავებული პირის არჩევანთან მიმართებაში? შეიძლება იძულების განსაზღვრა, როგორც არჩევანის არარსებობა?

89 *Report on Senegal*, op. cit., para. 31.

90 იხ. *Global alliance*, op. cit., n. 14.

91 მსგავსად ამისა, არსებობს შემთხვევები, როცა კონტრაქტის პირობების მიღმა არსებულ სიტუაციას უნდა მიექცეს ყურადღება, რაც მისაღები მეთოდია, რომ განისაზღვროს არსებული შრომითი ურთიერთობები შემდგომი მსჯელობისათვის იხ. ILO, *The Employment Relationship: An Annotated Guide to Recommendation N° 198*, 17 May 2007.

92 *Bandhua Mukti Morcha v. Union of India*, 1991 INSC 190, 1991 SCR (3) 524, 544.



5.1.2. იძულებითი შრომის უარყოფის პრეზუმფციის დაშვება
„ბანდჰუა მუკტი მორჩა“ ინდოეთის პროფკავშირის წინააღმდეგ,
A.I.R. 1984, S.C. 820

ფაქტობრივი გარემოება. არასამთავრობო ორგანიზაციამ – „ბანდჰუა მუკტი მორჩა“ (დამოკიდებული შრომისაგან გათავისუფლების ფორონტი) წერილით მიმართა მოსამართლე ბჰაგვატის, სადაც ამტკიცებდა, რომ დამოკიდებული შრომის სისტემის (გაუქმების) შესახებ აქტის საწინააღმდეგოდ, ჰარიანას შტატის ქვის საბადოებში, კაბალური პირობების გარდა, მრავალი მუშა დამოკიდებული შრომისა და არარადამიანურ პირობებში საქმიანობდა. სასამართლომ ეს წერილი განიხილა, როგორც სასარჩელო განცხადება და დანიშნა ორი იურისტი, რომლებსაც მიენიჭათ უფლებამოსილება მოენახულებინათ ქვის საბადოები და გამოეკითხათ წერილობით თხოვნაში მოხსენიებული მუშები.

კომისიამ აღმოაჩინა, რომ მუშებს არ ჰქონდათ უფლება დაეტოვებინათ საბადოები, არ ჰქონდათ სუფთა სასმელი წყალი, ცხოვრობდნენ თივისგან გაკეთებულ ქოხებში და არ გააჩნდათ ქვეშაგებელი. გამოკითხულ მუშათა უმრავლესობამ განაცხადა, რომ ხელფასის სახით იღებდა ძალიან მცირე ანაზღაურებას საბადოს მოიჭარებებისაგან ან ქვის სამტეხლო მოწყობილობების მფლობელთაგან, ვინაიდან მათ საკუთარი ფულით უნდა შეეძინათ ასაფეთქებელი მასალა და გაენიათ სხვა ხარჯები“. მუშებმა განაცხადეს, რომ „მათ ძალით ამუშავებდა კონტრაქტორი, არ ჰქონდათ თავიანთი სამუშაო ადგილის დატოვების უფლება და იყვნენ დაკავალებული“.

იმისათვის, რომ გვერდი აევლოთ დაკავალებული მუშახელის რეაბილიტაციასთან დაკავშირებული მოთხოვნებისთვის, რომლებიც შტატებისათვის დაწესდა დამოკიდებული შრომის სისტემის (გაუქმების) შესახებ აქტის მიხედვით, ჰარიანას შტატმა განაცხადა, რომ მუშების მიერ გაწეული „იძულებითი შრომის“ მიუხედავად, აღნიშნული აქტის მიხედვით, ისინი არ იყვნენ დაკავალებული მუშები.

სამართლებრივი ანალიზი. თავდაპირველად, სასამართლომ აღნიშნა, რომ აქტი „მიღებულია კონსტიტუციის 23-ე მუხლის ამოქმედების მიზნით, რომელიც კრძალავს ადამიანებით ვაჭრობას, მათხოვრობასა და იძულებითი შრომის სხვა მსგავს ფორმებს“. სასამართლომ, თავისთავად, ახსნა-განმარტების გარეშე, ცნო მოსაზრება, რომ „დამოკიდებული შრომა იძულებითი შრომის ფორმაა“. თავად აქტი უფლებამოსილებას აძლევდა საოლქო მოსამართლეებს გამოეძიათ, „გამოყენებული იქნა თუ არა დამოკიდებული შრომის სისტემა ან იძულებითი შრომის ნებისმიერი სხვა ფორმა“⁹³ მათი იურისდიქციის ფარგლებში. იმის მიუხედავად, რომ „აქტის ძირითადი არსია, რომ იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმა შეწყვეტილიყო, სასამართლომ მიიჩნია, რომ ძალიან რთული იქნებოდა, თითოეულ მუშას დაემტკიცებინა მის მიერ დამქირავებლისაგან ავანსის ან სხვა სახის მატერიალური კომპენსაციის მიღების ფაქტი. სავარაუდოდ, მუშა წერა-კითხვის უცოდინარი იქნებოდა და არ ექნებოდა ამგვარი ავანსის მიღების დოკუმენტური მტკიცებულება, ხოლო დამქირავებელი, სავარაუდოდ, უარყოფდა მისთვის ოდესმე ავანსის გადახდის ფაქტს.

► **ძალაუფლებათა უთანასწორობის გავლენა**

დაბეჭითებით უნდა განვაცხადოთ, რომ დაკავალებულმა მუშებმა ჯერ უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი ეწევიან იძულებით შრომას მათ მიერ მიღებული ავანსის ან ნებისმიერი სხვა მატერიალური კომპენსაციის სანაცვლოდ, და მხოლოდ ამის შემდეგ ექნებათ მათ აღნიშნული აქტით გათვალისწინებული სარგებლის მიღების საშუალება, იგივეა, მათ სთხოვთ შეასრულონ უკიდურესად რთული ან შეუძლებელი დავალება. მუშებს ალბათ, მათთვის სასარგებლო მტკიცებულება არ ექნებათ და ვინაიდან, აქტის მიხედვით დამოკიდებული შრომის პირობებით პირის დასაქმება სისხლის სამართლის დანაშაულია, დამქირავებელი დაუყოვნებლივ, ყოველგვარი ყოყმანის გარეშე, უარყოფს დაკავალებული მუშებისათვის რაიმე სახის ავანსის ან მატერიალური კომპენსაციის მიცემის ფაქტს.

93 Bonded Labour System (Abolition) Act 1976, Section 12.

► უარყოფის პრეზუმფციის დაშვება

სისასტიკეა მოვითხოვოთ, რომ დაკაბალებულმა მუშამ, სოციალური უზრუნველყოფის კანონმდებლობით გათვალისწინებული სარგებლის მიღების მიზნით, გაიაროს სასამართლო პროცესის ფორმალუბები და ფაქტის დასაფიქსირებლად საჭირო პროცედურა. ამგვარი პროცესი ამაოა, ვინაიდან დაკაბალებული მუშა ვერ შეძლებს გაიაროს სასამართლოსთვის საჭირო ოფიციალური (ფორმალური) პროცესი და მტკიცებულების დამადასტურებელი მასალის ჩვეულებრივი რეგისტრაცია სილატაკის, უცოდინარობის, სოციალური და ეკონომიკური ჩამორჩენილობის გამო. თუ აუცილებელი გახდება ამგვარი პროცედურის გავლა, ქვეყნის მთავრობას შეუძლია ამოიღოს აღნიშნული აქტი საკანონმდებლო სისტემიდან. ამჟამად, სტატისტიკურად დადგენილია, რომ დაკაბალებული მუშების უმრავლესობა დაბალი კასტების, ტომების ან სხვა ჩამორჩენილი კლასების წარმომადგენლები არიან. ჩვეულებრივ პირობებში, როგორც სასამართლო ხელისუფლება აღნიშნავს, ამგვარი ფენის წამომადგენელი არ აღმოჩნდება იმ მდგომარეობაში, სადაც მას მოეთხოვება იმუშაოს იძულებით ხელფასის გარეშე ან ნომინალური ხელფასის ფასად, თუ იგი არ მიიღებდა რაიმე სახის ავანსს ან სხვა მატერიალურ კომპენსაციას დამქირავებლისაგან. თუ მას, იმ საბაბით, რომ არ დაუბრუნებია ეს ავანსი ან სხვა სახის მატერიალური კომპენსაცია, არ მოეთხოვებოდა დამქირავებლისათვის მომსახურების განევა, ან მოკლებული იქნებოდა მუშაობის თავისუფლებას ან თავისუფლად გადაადგილების უფლებას. ამიტომ, ნებისმიერ დროს, როცა ვხდებით ფაქტს, როდესაც მუშა იძულებულია განახორციელოს იძულებითი სამუშაო, სასამართლომ უნდა ივარაუდოს, რომ მის მიმართ წაყენებული იქნა ეს მოთხოვნა ავანსის ან მატერიალური კომპენსაციის სანაცვლოდ, რომლებიც მან მიიღო და ამის გამო დაკაბალებულია. ეს ვარაუდი შეიძლება უარყოფს დამქირავებელმა და ასევე, შტატის მმართველმა, თუ ის ამგვარად გადაწყვეტს, მაგრამ ვიდრე არ მომზადდება საკმარისი მასალა ამ პრეზუმფციის უარსაყოფად (**rebutting presumption**), სასამართლომ უნდა აწარმოოს საკმე იმის თაობაზე, რომ ეს დაქირავებული პირი დაკაბალებული მუშაა, რომელიც უფლებამოსილია ისარგებლოს ამ აქტით გათვალისწინებული სარგებელით.

სასამართლომ უფლებამოსილი იურისტების ანგარიშში ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ზოგიერთ მუშას არ ეძლეოდა უფლება დაეტოვებინა საბადოები და იქ, კონტრაქტორების იძულებით იმყოფებოდნენ. გარდა ამისა, „ბანდჰუა მუკტი მორჩამ“ დიდი რაოდენობით მოიპოვა მუშების წერილობითი ჩვენებები, სადაც ისინი აცხადებდნენ, რომ ჰქონდათ დიდი ვალები და არ ჰქონდათ უფლება დატოვონ სამუშაო ადგილი, ვალის სრულად დაფარვამდე. მიუხედავად ამ ფაქტისა, სასამართლომ უარი განაცხადა გამოეკვლია, იყვნენ თუ არა წარგზავნილ იურისტთა ანგარიშში ან წერილობით თხოვნაში მითითებული მუშები მართლაც, იძულებით მომუშავე ან დაკაბალებული მუშები. სანაცვლოდ, სასამართლომ დანიშნა შრომის ექსპერტი, რათა მას ჩაეტარებინა გამოძიება და საჭიროების შემთხვევაში, გაეთავისუფლებინა, დაკაბალებული მუშები.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. იმის გამო, რომ დაკაბალებული მუშები, რომლებიც იდენტიფიცირებული და გათავისუფლებულები არიან, მაგრამ არ არიან რეაბილიტირებულები კვლავაც რჩებიან იმ რისკის წინაშე, რომ „დაუბრუნდნენ ყმობის მდგომარეობას რაიმე სახის იძულების არარსებობის პირობებშიც“. სასამართლომ თავისი მოსაზრება ჩამოაყალიბა 21-ე დირექტივის სახით, რომელიც ჰარიანას შტატისა და ცენტრალური მთავრობის მიერ უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოს დაკაბალებული მუშების გათავისუფლება, რეაბილიტაცია და კომპენსაცია. სასამართლომ არ უარყო სასარჩელო განცხადება და საკითხი ღიად დატოვა შემდგომი მონიტორინგისათვის. სასამართლო წარმოების შემდგომ ეტაპებზე, მისი დირექტივების განხორციელების შეფასების მიზნით, სასამართლომ დანიშნა შრომის ექსპერტები.⁹⁴ თუმცა, 1991 წლის გადაწყვეტილებაში სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი უფლებამოსილება „ამგარი საკითხების დასარეგულირებლად გარკვეულწილად შეზღუდულია“. „ეს არ არის

94 *Bandhua Mukti Morcha v. Union of India*, 1991 INSC 190 (13 August 1991).



საქმეები, რომელთა მონიტორინგი ადვილად შეუძლია სასამართლოს და ამასთან კიდევ უფრო ნაკლები საშუალება აქვს უმაღლეს სასამართლოს მსგავსი მონიტორინგისათვის“. სასამართლომ მიმართა ჰარიანას შტატს, რათა მან „უზრუნველყოს“, რომ მუშებმა „საქმიანობა გაუმჯობესებულ სამუშაო პირობებში განაგრძონ და მათ, ვისაც სურს დაბრუნება თავიანთ მშობლიურ მხარეში, გათავისუფლებულები იქნებიან დამოკიდებული შრომისაგან.“⁹⁵

კითხვები განხილვისათვის

- (1)** ნიშნავს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ ყველა იძულებითი შრომა არის დამოკიდებული შრომა? რა შეიძლება ითქვას სხვა ფაქტორებზე, რომელთა გამოც შრომა შეიძლება არასასურველი ან იძულებითი გახდეს?
- (2)** ნიშნავს თუ არა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ თუ მუშას მუდმივად გააჩნია დამქირავებლის ვალი, საქმე გვაქვს იძულებით შრომასთან?
- (3)** სასამართლო ხაზს უსვამს ობიექტურ ფაქტს – ვალის არსებობას და უშვებს, რომ შრომა, რომელიც დაქირავებულია სესხის გადახდის მიზნით, არის იძულებითი შრომა. ეს ეწინააღმდეგება იძულებითი შრომის იმ განსაზღვრებას, რომელიც აქვს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციას? როგორ შეიძლება შეფასდეს ამ საქმის ფაქტები, თუ მათი ანალიზი 29 კონვენციის მიხედვით მოხდება?
- (4)** მუშების სავარაუდო სიღატაკისა და წერა-კითვის უცოდინარობის გამო, სასამართლო მათ სასარგებლოდ ქმნის უარყოფის იურიდიულ პრეზუმფციას. ანუ, სასამართლო აღიარებს, რომ მუშები და დამქირავებლები არ იმყოფებიან თანაბარ პირობებში სასამართლო დარბაზის გარეთ და ცდილობს, რომ კომპენსირება მოახდინოს ამ უთანასწორობისათვის? თქვენ მიგაჩნიათ, რომ ეს სასამართლოს შესაბამისი ფუნქციაა? შეგიძლიათ სხვა მაგალითების მოტანა?
- (5)** ვნახოთ, როგორ აღწერს ინდოეთში არსებულ დამოკიდებულ შრომას სამართლის პროფესორი შრივასტავა: „დამოკიდებული შრომითი ურთიერთობები წმინდა შრომითი ხელშეკრულებები არ არის, მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლებს შეუძლიათ ნებაყოფლობით გააფორმონ ისინი ეკონომიკური საჭიროების გამო. თანამშრომლების მიერ ამგვარი ურთიერთობების დაწყებისთანავე, თავს იჩენს მრავალი ასიმეტრია და ამგვარი ხელშეკრულებებიდან გამოსვლის მაღალი ფასი, არ წარმოადგენდნენ ხელშეკრულების პირობებს, რამდენადაც თანამშრომლებმა ეს თავდაპირველად იცოდნენ“.⁹⁶ არის თუ არა შრომა ნებაყოფლობითი, თუ მუშა აფორმებს კონტრაქტს ცრუ დაპირებების საფუძველზე?

⁹⁵ Ibid

⁹⁶ *Bonded labour in India*, op. cit., p. 2.

5.1.3. მოჭამაგირეობისა და დამოკიდებული შრომის შეფასება

ინდოეთის უზენაეს სასამართლოზე ზეგავლენა მოახდინა ამერიკაში დაფიქსირებულმა მოჭამაგირეობის შესახებ სასამართლოს ორმა საქმემ – ბელი ალაბამას წინააღმდეგ და პოლოკი უილიამსის წინააღმდეგ. მართლაც, ხშირად, სამხრეთ აზიაში გავრცელებული დამოკიდებული შრომის სისტემის შედარება ხდება მოჭამაგირეობის იმ სისტემასთან, რომელიც შეერთებულ შტატებში წარმოიშვა კონსტიტუციით მონობის აკრძალვის ძალაში შესვლის შემდეგ.⁹⁷ აშშ-ში დაფიქსირებული მოჭამაგირეობის ადრეულ საქმეებში აღნიშნული იყო, რომ მიუხედავად იმისა, რომ იძულებითი შრომა შეიძლება შეფასდეს, როგორც ნებაყოფლობითი – რამდენადაც იგი ეფუძნებოდა ნებაყოფლობით გაფორმებულ კონტრაქტს – შედეგად, მაინც შრომის იძულებითი დამოკიდებულება მიიღებოდა. სასამართლო განხილვა აქცენტს აკეთებდა მიღებულ მდგომარეობაზე და არა მისი წარმოშობის პირობებზე.

კლიატი შეერთებული შტატების წინააღმდეგ, 197 US 207, 215 (აშშ, უზენაესი სასამართლო, 1905)

რა არის მოჭამაგირეობა? იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც სავალდებულო მომსახურების მდგომარეობა, რომელიც ეფუძნება მოჭამაგირის მიერ ბატონის მიმართ ვალის ქონას და არსებით ფაქტს წარმოადგენს. მას ეფუძნება იძულებითი მომსახურების მდგომარეობა. მოჭამაგირეობა კლასიფიცირდება როგორც ნებაყოფლობითი ან არანებაყოფლობითი, მაგრამ ეს წარმოშობის განსხვავებულობას გულისხმობს და არა იძულებითი დამოკიდებულების ხასიათს. ამასთან მოჭამაგირეობა, როგორც არ უნდა იყოს იგი წარმოშობილი, არის სავალდებულო მომსახურება - არანებაყოფლობითი დამოკიდებულება. მართალია, მოჭამაგირეს შეუძლია თავი გაითავისუფლოს ვალის გადახდის გზით, თუმცა, სხვა შემთხვევაში, იგი იძულებულია განიოს მომსახურება. მკვეთრი განსხვავება არსებობს მოჭამაგირისა და მუშაობის ნებაყოფლობით შესრულებას⁹⁸ ან ვალის გადახდის სანაცვლოდ მომსახურების განევას შორის. ამ უკანასკნელის შემთხვევაში, მევალეს, იმის მიუხედავად, რომ დაქირავებულია ვალის გადახდისათვის მუშაობის ან მომსახურების განევის გზით და ნებისმიერი სხვა კონტრაქტორის მსგავსად, ეკისრება ვალდებულება იმ ზიანისათვის, რომელიც დაკავშირებულია კონტრაქტის დარღვევასთან, შეუძლია ნებისმიერ დროს განწყვიტოს და არანაირ კანონს თუ ძალას არ შეუძლია აიძულოს იგი გასწიოს ან გააგრძელოს ეს მომსახურება.

დამოკიდებული შრომის სისტემის (გაუქმების) აქტი (1976) განსაზღვრავს „დამოკიდებულ შრომას“, როგორც „დამოკიდებული შრომის სისტემის“ ფარგლებში განეულ მომსახურებას.

იგი შემდეგნაირად განსაზღვრავს „დამოკიდებული შრომის სისტემას“: იძულებითი ან ნაწილობრივ იძულებითი შრომის სისტემა, რომლის ფარგლებშიც მოვალე აფორმებს, გააფორმა ან სავარაუდოდ, გააფორმებს ხელშეკრულებას კრედიტორთან იმის გათვალისწინებით, რომ:

- (i) ვინაიდან მან ან მისმა პირდაპირმა წინაპარმა ან შთამომავალმა მიიღო ავანსი (იმის მიუხედავად, ამგვარი ავანსი დოკუმენტურად არის თუ არა დადასტურებული) და ვინაიდან, ამ ავანსისათვის გადასახდელია პროცენტი, მისი არსებობის შემთხვევაში, ან
- (ii) ნებისმიერი ჩვეულებრივი ან სოციალური ვალდებულების შესაბამისად, ან
- (iii) ნებისმიერი იმ ვალდებულების შესაბამისად, რომელიც გადაეცა მას მემკვიდრეობით, ან

97 იხ. Y.R. Haragopal Reddy, op. cit., p. 75 (მოჭამაგირეობის შემთხვევათა ზრდის განხილვა სამხრეთის შტატებში, სამოქალაქო ომის შემდგომ და აღნიშნავს, რომ „ამერიკული მოჭამაგირეობა არის ინდოეთში არსებული ვალის კაბალის მსგავსი“); Tobias Barrington Wolff, „The Thirteenth Amendment and Slavery in the Global Economy“, in 102 *Columbia Law Review*, Vol. 102, 2002, pp. 963, 989 (განმარტავს ვალის კაბალას, როგორც მოჭამაგირეობის ტრადიციულ ფორმას, „როდესაც მუშა იძულებულია იმუშაოს, რათა გადაიხადოს ვალი“.)

98 ამ დოკუმენტში გამოყენებულია მართლწერა „labor“, ისევე, როგორც წყაროდ გამოყენებულ მასალაში.



- (iv) ნებისმიერი მატერიალური კომპენსაციისათვის, რომელიც მიიღო მან ან მისმა პირდაპირმა წინაპრებმა ან შთამომავლებმა, ან
- (v) ვინაიდან იგი დაიბადა რომელიმე კონკრეტულ კასტაში ან თემში.

იგი:

- (1) გასწევს, თავად ან მისი ოჯახის წევრის სახით, ან მასზე დამოკიდებული ნებისმიერი სხვა პირის სახით, სამუშაოს ან მომსახურებას, კრედიტორისათვის ან კრედიტორის სასარგებლოდ, განსაზღვრული პერიოდის ან განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში, ან ხელფასის გარეშე ან ნომინალური ხელფასის ფასად;
- (2) დაკარგავს მუშაობის თავისუფლებას ან სხვა საარსებო საშუალებებს განსაზღვრული პერიოდის ან განუსაზღვრელი პერიოდის განმავლობაში;
- (3) დაკარგავს ინდოეთის ტერიტორიაზე თავისუფლად გადაადგილების უფლებას;
- (4) დაკარგავს უფლებას მიისაკუთროს ან გაყიდოს საბაზრო ფასად ნებისმიერი მისი ქონება ან მისი ოჯახის წევრის ან მასზე დამოკიდებული ნებისმიერი პირის შრომით შექმნილი პროდუქტი.⁹⁹

აქტის მე-4 ნაწილი კრძალავს დამოკიდებული შრომის სისტემას და ითვალისწინებს, რომ „არც ერთა პირმა... არ უნდა აიძულოს მეორე პირი გასწიოს ნებისმიერი სახის დამოკიდებული სამუშაო ან იძულებითი შრომის ნებისმიერი სხვა ფორმა“. პროფესორი რავი შრივასტავა ამტკიცებს, რომ დამოკიდებული შრომა „ეხება დაქირავებულსა და დამქირავებელს შორის იმ გრძელვადიან ურთიერთობას, რომელიც გამყარებულია სესხით, ნებით ან ძალით, რაც ართმევს დაქირავებულს სხვადასხვა თავისუფლებებს, მათ შორის, უფლებას აირჩიოს დამქირავებელი, გააფორმოს განახლებული კონტრაქტი იმავე დამქირავებელთან ან მოლაპარაკებები აწარმოოს კონტრაქტის პირობებთან დაკავშირებით“.¹⁰⁰ ამგვარად, „ინდურ კონტექსტში“, კრედიტორსა და დებიტორს შორის ურთიერთობები არ წარმოადგენს დამოკიდებულების აუცილებელ პირობას, ვინაიდან დამოკიდებულების ის იურიდიული განმარტება, რომელიც არსებობს ინდოეთში, მოიცავს იძულებითი შრომის სხვადასხვა კატეგორიას“.¹⁰¹

99 The Bonded Labour System (Abolition) Act 1976, Section 2(g).

100 *Bonded labour in India*, op. cit., p. 2.

101 *Bonded labour in India*, op. cit., p. 4.

5.2. პაკისტანი

5.2.1 კანონის ამოქმედების პრეცედენტი სასამართლო გადაწყვეტილების შემდეგ საქმე „დარშან მასი სახელმწიფოს წინააღმდეგ“, P.L.D. 1990 S.C. 513

ფაქტობრივი გარემოებები. ერთ-ერთი პირველი სასამართლო საქმე, რომელმაც პაკისტანში საზოგადოების ინტერესი გამოიწვია, დაიწყო დეპუტით, რომელიც 1988 წლის ბაფხულში, უმაღლესი სასამართლოს მთავარმა მოსამართლემ აგურის საწარმოს მუშებისგან მიიღო და დახმარებას სთხოვდნენ. სასამართლომ იგი მიიჩნია სასარჩელო განცხადებად, კონსტიტუციით მინიჭებული ძირითადი უფლებების უზრუნველყოფის შესახებ მე-11 მუხლის ჩათვლით, რომელიც კრძალავდა იძულებით შრომას, ადამიანებით ვაჭრობასა (ტრეფიკინგს) და ბავშვთა შრომას.

საქმე „კლიატი ამერიკის შეერთებული შტატების წინააღმდეგ“, 197 US 207, 215 (აშშ უზენაესი სასამართლო, 1905)

დეპუტა: ვითხოვთ ჩვენი ოჯახების დაცვასა და მათთვის ლუკმა-პურს. ჩვენ აგურის გამოსაწვავი საწარმოს მუშები ვართ და ვალის სანაცვლოდ ვმუშაობთ. სასამართლოს მიერ ჩვენ გათავისუფლებულები ვართ, თუმცა, ყოველი მესამე გატაცებულია ყოფილი მეპატრონის მიერ. ჩვენი ქალები და ბავშვები შიშში ცხოვრობენ. ჩვენ შევიტანეთ საჩივარი, მაგრამ მას შედეგი არ მოჰყვა. ვიმალეებით როგორც მხეცები, დაცვისა და საკვების გარეშე. გვეშინია და ვშიშვლობთ. გთხოვთ, დაგვეხმაროთ...

გვინდა ადამიანურად ვიცხოვროთ. კანონი არ გვიცავს. დარშან მასი (რეჰმატაი) და 20 თანმხლები პირი ქალებითა და ბავშვებით. ცენტრალური ბაზარი, გულბერგი, ლაჰორი.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. სასამართლომ მოითხოვა პოლიციის მიერ გამოძიების ჩატარება დაკავებულთა გათავისუფლების მიზნით და ადვოკატთა კოლეგიის ზემდგომ წარმომადგენლებს ასევე, დაევაღათ კანონიერი გამოძიების პროცესში დახმარების განევა. ქვემოთ მოვითხანთ ამონარიდს ერთ-ერთი მათგანის ანგარიშიდან. ექსპერტთა ანგარიშის გაცნობისა და რიგი მოსმენების შემდეგ, სასამართლომ გამოსცა რამდენიმე დირექტივა ვალის გაპირობებული იძულებითი შრომის პრაქტიკის აღმოფხვრის მიზნით გასატარებელი გრძელვადიანი ღონისძიებების შესახებ. სასამართლო შეეცადა დაეშალა სავალო ვალდებულებაზე დამყარებული შრომის სისტემა და აკრძალა ავანსების სისტემის (*peshgis*), იძულების ან პოლიციის ძალის გამოყენება გაქცეული მუშების დაბრუნების თუ მათი ადგილზე დამაგრების მიზნით. ავანსების ძველი სისტემა ისევ არსებობდა, თუმცა, მათი უზრუნველყოფა მხოლოდ სამართლებრივი საშუალებებით იყო დასაშვები, ხოლო აგურის საწარმოს მფლობელებს საგანგებოდ აეკრძალათ არაკანონიერი მეთოდების გამოყენება ვალის დასაბრუნებლად, როგორცაა იძულება ან პოლიციის მექარა. სასამართლომ ასევე დაადგინა, რომ აგურის საწარმოს მფლობელებს ეკრძალებოდათ დაკარგული ან წვიმისგან დაზიანებული აგურების ხარჯის დაქვითვა მუშების ანაზღაურებიდან. დაბოლოს, სასამართლომ აკრძალა შუამავალი კონტრაქტორების გამოყენება.¹⁰² სასამართლომ გადაწყვეტილების ფართოდ გავრცელების მიზნით, იგი ურდუსა და ინგლისურ ენებზე გამოსცა.

102 იხილეთ საბოლოო განაჩენი (final order), თარიღი 15-3-1989.



**ამონარიდი უმაღლესი სასამართლოსთვის პუნჯაბის
გენერალური ადვოკატის მიერ წარდგენილი ანგარიშიდან**

11. დამსაქმებლისა და დასაქმებულის ურთიერთობა

(ბ) ავანსების სისტემის კიდევ ერთი მანკიერებაა, ვინაიდან ავანსი მუშას ეძლევა არა მის საკეთილდღეოდ, არამედ ცხოვრების ბოლომდე დასამონებლად და მისი ვალი დაუსრულებლად იზრდება.¹⁰³ ეს არის „მუდმივად მზარდი“ თანხა, რომელიც ხან ერთი და ხან მეორე მიზეზით იზრდება... მუშა მთელი ცხოვრების მანძილზე ვერ იშორებს ვალს და მისი გარდაცვალების შემთხვევაში, ოჯახზე გადადის მისი დაბრუნების ვალდებულება...

(თ) არც ერთ მუშას არა აქვს უფლება მიატოვოს დამქირავებლის მიერ მიცემული სამუშაო. თუ სურს სამუშაოს მიტოვება, იგი ვალდებულია დააბრუნოს ავანსის დარჩენილი ოდენობა, რომელიც ყოველთვის ათასებს აღწევს. რამდენადაც, მუშას არ შეუძლია დამსაქმებლისათვის ასეთი ოდენობის თანხის გადახდა, იგი ეძებს თავშესაფარს სხვა დამსაქმებელთან, რომელიც გაისტუმრებს მის ვალს წინამორბედ მფლობელთან და მუშას საკუთარი ძალაუფლების ქვეშ მოაქცევს. ამრიგად, მუშა მონასავით იყიდება აგურის საწარმოების მფლობელებს შორის, მთელი მისი ცხოვრების განმავლობაში. თუ მიუხედავად ყველა ამ ბორკილებისა, მუშამ მაინც მოახერხა თავის დაღწევა, მას სდევნიან და ემუქრებიან შუამავლები (JAMADAR)¹⁰⁴, იგი აბრუნებს გაქცეულ მუშას დამსაქმებელთან და თითქმის ყოველთვის, გაქცეულ მუშას პოულობენ და უკან აბრუნებენ.

12. ისტორიული წინაპირობები

(ა) აგურის დამზადების სექტორში მუშათა არასათანადოდ მოპყრობის გამომწვევი მიზეზები წარსულიდან მოდის. აგურის საწარმოები დიდი ქალაქებიდან მოშორებითაა განლაგებული. შესაბამისად, აგურის საწარმოს მუშებს არ აქვთ ცივილიზაციის ის სიკეთეები, რაც ქალაქებში ხელმისაწვდომია. ვინაიდან საწარმოები ერთმანეთისგან დაშორებითაა განლაგებული, მუშებს სხვადასხვა საწარმოებიდან ერთმანეთთან კავშირი არ აქვთ. ამ იზოლირებულობის გამო, სხვადასხვა ქარხნების მუშები არასდროს იკრიბებიან, რომ მოითხოვონ უკეთესი საცხოვრებელი და სამუშაო პირობები. მუშების უმრავლესობა წარმოების ამ სექტორში ქრისტიანია და რამდენადაც ისინი უმცირესობას შეადგენენ, შესაძლოა ისინი თავს არ გრძნობენ საკმარისად თავდაჯერებულად, რომ წინ აღუდგნენ აგურის საწარმოს მეპატრონეთა ცუდ მოპყრობას, ვინც ყველანაირი რესურსებისა და პოლიტიკური კონტაქტებით უზრუნველყოფილ უმრავლესობას წარმოადგენენ.

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლომ განხილვის გარეშე დაადგინა, რომ სავალო ვალდებულებით გამოწვეული შრომა წარმოადგენს იძულებით შრომას. „ყველამ აღიარა, რომ საქმე ეხებოდა ძირითადი უფლებების უზრუნველყოფას და ამის შესახებ კითხვა არ დასმულა“. (1990 PLD SC at 545) ზოგჯერ სასამართლო და მხარეები განიხილავენ იძულებით და სავალო ვალდებულებაზე დაფუძნებულ შრომას, როგორც ურთიერთთანაცვლებად ტერმინებს. სასამართლომ აღნიშნა, რომ „მუშების საჩივარი ეხებოდა იძულებითი შრომის ცალკეულ შემთხვევებსა და არასწორ შრომით პრაქტიკას“. აღნიშნული საჩივრები და აგურის საწარმოების მეპატრონეების საჩივრები „იმგვარად იქნა განხილული, რომ გამოძიებულიყო იძულებითი/სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომისა და არასწორი შრომითი პრაქტიკის სიღრმე და მასშტაბები“. (1990 PLD SC at 529). თუმცა, სასამართლოს წინადადებით, მომავალში, შესაძლოა საჭირო გახდეს კანონმდებლობაში „იძულებითი შრომის“ ტერმინის განსაზღვრება, რომელიც მოიცავს მის სხვადასხვა ფორმებს, რათა მინიმუმამდე დაიყვანოს გაუგებრობა მისი რეალური მიზნების შესახებ“. (Ibid. at 545).

დარშან მასის საქმეზე უმაღლესი სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ,

¹⁰³ Peshgi ნიშნავს ფულად ავანსს.

¹⁰⁴ jamadar არის შუამავალი ან ჯგუფის მეთაური.

ეროვნულმა საკანონმდებლო ორგანომ მიიღო 1992 წლის *სავალო ვალდებულებაზე დაფუძნებული შრომის სისტემის გაუქმების აქტი*. აქტი ერთი მხრივ, ითვალისწინებს, რომ „სავალო ვალდებულებაზე დაფუძნებული შრომის სისტემა უქმდება და ამ სისტემით დაბეჯებული თითოეული მუშა თავისუფლდება და ეხსნება რაიმე სახის სავალდებულო სამსახურის განწესის ვალდებულება“. აქტის ძალით, ასევე გაუქმდა ყველა არსებული დავალიანება. ექსპერტთა კომიტეტმა განსაკუთრებით გაუსვა ხაზი, რომ სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომა, აქტში მოცემული განსაზღვრების მიხედვით, იძულებითი შრომის ერთ-ერთ სახეობას წარმოადგენს.

**ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების
განხორციელების საკითხებზე (CEACR)**

ინდივიდუალური დაკვირვებები 29 კონვენციის შესახებ (1996)

კონვენციის მიხედვით, მთავრობამ გაატარა ღონისძიებები იძულებითი თუ სავალდებულო შრომის აღკვეთის მიზნით, რომელიც შემდეგნაირად არის განსაზღვრული 2 (1) მუხლით: „ყველა სამუშაო ან მომსახურება, რომელიც განეულება პირის მიერ დასჯის მუქარის ქვეშ და ადგილი არ ჰქონია აღნიშნული პირის მიერ საკუთარი სამსახურის ნებაყოფლობით შეთავაზებას“. სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომა, როგორც განსაზღვრულია პაკისტანის 1992 წლის სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომის სისტემის გაუქმების აქტით №III, იძულებითი შრომის მხოლოდ ერთ სახეობას წარმოადგენს, რომელიც კონვენციის მე-2(1) მუხლით იკრძალება.

5.2.2. იძულებითი შრომის შემთხვევაში, ფიზიკური შეზღუდვის

ფაქტორის არსებობის მნიშვნელობა

**ჰაიდერაბადის სინდჰის უმაღლესი, გამსვლელი სასამართლოს
გადანყვეტილება (2002)**

ფაქტობრივი გარემოებები. სინდჰის პროვინციაში, მიწათმფლობელებს „zamindar“-ებს, ხოლო მოიჯარეებს – „hari“-ებს უწოდებენ. „Hari“-ები „მოწილე მოიჯარეები“ არიან, ვინც სხვის მიწას ამუშავებს მოსავლის წილის ან მიღებული მოგების წილის სანაცვლოდ.¹⁰⁵ სინდჰსა და ბალოჩისტანში სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომის შესახებ კვლევაში ავტორები აღნიშნავენ, რომ მოსავლის განაწილების განსხვავებულმა პრაქტიკამ წარმოშვა სიღარიბისა და სავალდებულო შრომის განსხვავებული დონე. ზოგიერთ მოიჯარე ფერმერების ოჯახებში ვალის დაგროვება არ ხდება, ხოლო მომთაბარე „hari“ ოჯახებს, ვინც ძირითადად, უმცირესობათა თემებს წარმოადგენენ, მიწათმფლობელთა ვალი მმართვეთ. „სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომის მხრივ, აღსანიშნავია, რომ იგი ხაზს უსვამს აშკარად კანონიერი და ნებაყოფლობითი ეკონომიკური ურთიერთობების გამოყენებას იძულებითი შრომის საშუალებად“.¹⁰⁶

2000 წელს, სინდჰის უმაღლეს სასამართლოში მოიჯარეებმა 94 განაცხადი შეიტანეს გათავისუფლების მოთხოვნით. ისინი განიხილეს არა სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომის სისტემის გაუქმების აქტის, არამედ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 491-ე ნაწილის მიხედვით, რომელიც ფაქტიურად, habeas corpus-ს წარმოადგენს და უფლებას აძლევს სასამართლოს გაათავისუფლოს უკანონოდ ან არამართებულად დაკავებული ნებისმიერი პირი, რომელიც საჯარო ან კერძო პატიმრობაში იმყოფება. უმაღლესმა სასამართლომ შექმნა მოსამართლეთა საგანგებო კოლეგია და ყველა საქმე კონსოლიდირებულად განიხილა. სასამართლომ წარმოადგინა განცხადებები, სადაც ნათქვამი იყო, რომ ცალკეული პირები და ზოგჯერ თემებიც კი, „მიწის მესაკუთრეთა ხელში იყვნენ, და მათ მიწას ამუშავებდნენ.“ „უმეტესწილად, სავარაუდოდ, დაკავებული პირები „hari“-ები იყვნენ. უმეტეს შემთხვევაში, ისინი მიეკუთვნებოდნენ ბჰილი/კჰოლის ტომებს. თითქმის ყველა შემთხვევაში, ადგილი არ

105 Maliha H. Hussein et al., *Bonded labour in agriculture: A rapid assessment in Sindh and Balochistan, Pakistan*, ILO Working Paper, March 2004, p. 3.

106 Bonded labour in agriculture, op cit., p. 12.



ჰქონდა ფიზიკურ დატყვევებას, თუმცა, არსებობდა უთანხმოება თანხის თაობაზე, რომელიც მიწათმფლობელისგან სესხით ჰქონდათ მოიჭარებეს აღებული.

რასულ ბუქს პალეჯომ (Rasul Bux Palejo) წარადგინა მომჩივანთა საქმე სინდჰ ჰარის ასოციაციის სახელით. ქვემოთ მოცემულია სასამართლოს მიერ მისი არგუმენტის შეჯამება:

ბატონმა პალეჯომ წარმოადგინა ბჰიილის თემის სარჩელის მოკლე მონახაზი. თემი ამტკიცებს, რომ ისინი მივიწყებული და ჩაგრული ჰინდუ ტომიდან არიან, მკვიდრ მოსახლეობას წარმოადგენენ და თავს მოჭამაგირეობით ირჩენენ. იგი ასევე ამტკიცებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ასეთი ადამიანები შესაძლოა ფიზიკურად თავისუფლები იყვნენ, ამ სიტყვის ზოგადი მნიშვნელობით, მაგრამ იზღუდებიან ყველა პრაქტიკული მიზნებიდან გამომდინარე, რაც აბრკოლებს მათი გადაადგილების თავისუფლებას... იგი ასევე ამტკიცებდა, რომ „hari“-ები პრაქტიკულად, სოფლის წინამძღოლის ან მესაკუთრის (Waderas) მონებად რჩებოდნენ დაბადების დღიდან.

ბატონმა პალეჯომ, როგორც მოსარჩელეთა წარმომადგენელმა, სასამართლოს ასევე განუმარტა, რომ დაკავება უფრო „ფსიქოლოგიური“ იყო, ვიდრე ფიზიკური. მან „მოიჭარებების“ სიტუაცია იმ ბავშვის მდგომარეობას შეადარა, როცა მას გამუდმებით უმეორებენ, რომ არ გასცდეს გარკვეულ ტერიტორიას. ის ამტკიცებდა, რომ „hari“-ებს არ უნდა აეკრძალოთ სხვაგან გადასვლა ან შეეზღუდოთ გადაადგილება „მხოლოდ იმიტომ, რომ მათ მიწის მეპატრონის ვალი მმართვებთ“.

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლომ ხსენებული არგუმენტები მხედველობაში არ მიიღო. მან აღნიშნა, რომ როდესაც პოლიციამ შეამოწმა კერძო საპატიმროები და გაათავისუფლა მოიჭარეები, მათ არ აღენიშნებოდათ „შეუფერებელი ან უკანონო დაკავების ფიზიკური კვალი ან მინიშნება“. რაც შეეხება ბატონი პალეჯოს მიერ აღწერილ „ფსიქოლოგიურ“ პატიმრობას, სასამართლომ მიიჩნია, რომ იგი „თეორიულად“ საინტერესო იყო, მაგრამ მსგავსი ფსიქოლოგიური პატიმრობის პრაქტიკულად გამოვლენის თვალსაზრისით, პრობლემურია.

მიწის მეპატრონეთა სახელით, ადვოკატი ამტკიცებდა, რომ მოიჭარეებს აღებული ჰქონდათ ვალი და მდგომარეობის მოგვარება უნდა განხორციელებულიყო სინდჰის საიჯარო აქტის (Sindh Tenancy Act) დებულებების მიხედვით. „აღინიშნა, რომ განაცხადების შეტანა სასამართლოში მიზნად ისახავდა სინდჰის საიჯარო აქტის დებულებების დაკნინებას“. ადვოკატმა ასევე განაცხადა, რომ გათავისუფლების მოთხოვნა ყალბი იყო, რადგან დაკავებულებს „არ ჰყავდათ მიჩენილი დაცვა და არც ბორკილები ედოთ“. სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი და დაადგინა, რომ საკითხი რეგულირდებოდა სინდჰის საიჯარო აქტის მიხედვით და შესაბამისი ტრიბუნალით. როცა ურთიერთობა დაკავებულსა და დაკავების ორგანიზებაში ბრალდებულს შორის კანონით ან კონტრაქტით რეგულირდება, „მაშინ საუკეთესო გამოსავალი სასამართლოსათვის არის მხარეებისთვის კამათის საშუალების მიცემა და მდგომარეობის მოგვარება იმ კანონის მიხედვით, რომელიც არეგულირებს მათ ურთიერთობებს. ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ურთიერთობა დაკავებულთა და იმ კერძო პირთა შორის, ვისაც ბრალი ედება მათ დაკავებაში, არის „hari“-ისა და „zamindar“-ის ურთიერთობა, რომელიც 1950 წლის სინდჰის საიჯარო აქტით რეგულირდება.“

დასკვნისას, სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ დაკავების შესახებ განცხადებები სიმართლეს არ შეესაბამებოდა. „დაკავებულებს არც მცველები ჰყავდათ და არც რაიმე ზეწოლას განიცდიდნენ. დაკავებულთა სახლების გარშემო არ ყოფილა აღმართული რაიმე სახის შემზღუდავი კედელი. არსებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ დაკავებულები მოპასუხეთა მოიჭარეები იყვნენ და მათი საკითხი უნდა გადაწყდეს ზემოხსენებული კანონის ფარგლებში. ამ საქმის მასალები, ფაქტები და კონკრეტული გარემოებები ცხადყოფს, რომ სარჩელი გამაღიზიანებელი და მცდარია“.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. სინდჰის უმაღლესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა სარჩელი. გადაწყვეტილება გასაჩივრდა უზენაეს სასამართლოში პაკისტანის ადამიანის უფლებათა კომისიის მიერ.¹⁰⁷

107 Bonded agricultural labourers in lower Sindh Province – Pakistan: Submission to the UN Working Group on Contemporary Forms of Slavery, Anti-Slavery International, May 2002.

კითხვები განხილვისათვის

(1) რატომ თვლის უზენაესი სასამართლო და ფედერალური შარიათის სასამართლო აგურის ქარხნების მუშებთან დაკავშირებულ საქმეს, სავალო ვალდებულებით განპირობებული შრომის საქმედ, როცა სინდჰის უმაღლესი სასამართლო არ მიიჩნევს მინის მფლობელთათვის ვალში მყოფი „hari“-ების მდგომარეობას სავალო დამოკიდებულებით განპირობებული შრომის საკითხად? სინდჰის უმაღლესი სასამართლო უფრო მეტად, მინის მეპატრონეთა არგუმენტებს იზიარებს, რადგან წუხს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების, როგორიცაა თესვა და მოსავლის აღება, დროულობასთან დაკავშირებით? არის თუ არა მოიჭარე ფერმერის დამოკიდებულება მინის მეპატრონესთან უფრო ნაკლები ხარისხით შრომითი ურთიერთობა და უფრო მეტად, მიმდინარე სოციალური ურთიერთობა?

(2) სინდჰის უმაღლესი სასამართლო არ ეთანხმება „ფსიქოლოგიური“ პატიმრობის იდეას, რომელიც არ გულისხმობს მცველებისა თუ ზღუდეების არსებობას. ენათესავება თუ არა ფსიქოლოგიური პატიმრობა ფსიქოლოგიურ ძალადობას ან დაუცველობით ბოროტად სარგებლობას? არის თუ არა სინდჰის უმაღლესი სასამართლო მართალი, როცა ფიქრობს პრაქტიკულობაზე რეალურ სამყაროში? როგორ უნდა გამოვლინდეს ფსიქოლოგიური პატიმრობის მდგომარეობა?

This image shows a blank sheet of white paper with horizontal ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.

6. იძულებითი შრომა ევროპაში

ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებზე, რა თქმა უნდა, ვრცელდება *ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების შესახებ* და მისი ინტერპრენტაციები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა „სილიადინისა“ და „ფონ დერ მუსსელეს“ საქმეები. გარდა ამისა, ევროგაერთიანების წევრი ქვეყნებისთვის სავალდებულო ხასიათს ატარებს ადამიანით ვაჭრობასთან (ტრეფიკინგთან) ბრძოლის ჩარჩო გადანყვეტილება, რომელიც შეესაბამება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ოქმში მოცემულ მის განსაზღვრებას. წევრი სახელმწიფოებს დაეკისრათ ვალდებულება, რომ ჩარჩო დირექტივის დებულებები ასახულიყო ადგილობრივ კანონმდებლობაში, 2004 წლის აგვისტოსთვის. გარდა ამისა, *ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ*, რომელიც ასევე მნიშვნელოვნად ეყრდნობა ოქმის განსაზღვრებას, ძალაში 2008 წელს შევიდა.

მიუხედავად იმისა, რომ მრავალ ევროპულ ქვეყანას გააჩნდა სამართლებრივი ნორმები, რომელიც დანაშაულის კატეგორიას ანიჭებდა ტრეფიკინგსა და მიგრანტთა უკანონო შეყვანას ქვეყანაში, ტრეფიკინგის გამოყენება შრომის ექსპლუატაციის მიზნით, შედარებით ახალი ცნება იყო. სამი ქვეყანა, რომელთა მაგალითებიც მოტანილია წინამდებარე გამოცემაში, განსხვავებულ მიდგომას გვიჩვენებს შრომის ექსპლუატაციის მიზნით ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიმართ.

ბელგიაში, შრომის ექსპლუატაციის მიზნით, ადამიანებით ვაჭრობის სამართლებრივი ელემენტები არ მოიცავს „საშუალებებს“. ექსპლუატაცია განიმარტება, როგორც „ადამიანური ღირსების“ შემლახავი პირობები. საფრანგეთში, სისხლის სამართლის დანაშაულია დაუცველობის ბოროტად გამოყენების გზით ვინმეს ძალადობრივი დასაქმება „ადამიანის ღირსების“ შემლახავ პირობებში. *კანონი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ* მიღებულია 2003 წელს, ხოლო შესწორებები 2007 წელს შევიდა. ნიდერლანდებში ექსპლუატაციის განმარტება გულისხმობს იძულებით შრომას, მაგრამ ექსპლუატაციის ნამდვილი მნიშვნელობა ჯერ კიდევ, ხანგრძლივი განხილვის თემად რჩება.

6.1. ბელგია

2005 წლის 10 აგვისტოს მიღებული კანონის დამტკიცებით, ბელგიამ ახალი თავი დაამატა *სისხლის სამართლის კოდექსში*, რომელიც მოიცავს 433d და 433h მუხლებს. მანამდე, ბელგიის კანონები ზღუდავდა „ტრეფიკინგის“ დანაშაულის გამოყენებას უცხოელთა მიმართ და არ განასხვავებდა „ტრეფიკინგსა“ და „კონტრაბანდას“. ტრეფიკინგის ახალი განმარტება მოცემულია 433d მუხლში. განმარტების „აქტების“ ნაწილი ემყარება *გაეროს ოქმს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ* და *ევროგაერთიანების ჩარჩო დირექტივას*. ჩამოთვლილია რამდენიმე „მიზანი“, მათ შორის, „ადამიანთა დასაქმება ან ხელშეწყობა ისეთ პირობებში, რომელიც შეუთავსებელია ადამიანურ ღირსებასთან“. „საშუალებები“ როგორიცაა: გეწოლა, მუქარა, ძალადობა ან დაუცველობის ბოროტად გამოყენება – ბელგიის კანონების მიხედვით, არ შეადგენს ტრეფიკინგის დანაშაულის ელემენტს. თუმცა, ისინი ცალკეა განხილული, როგორც დამამძიმებელი გარემოებები.

კანონში ტრეფიკინგის განმარტებიდან „საშუალებების“ ამოღების მიზანი იყო დანაშაულებათა სასამართლო წესით განხილვის გამარტივება. 2005 წლის 10 აგვისტოს კანონის travaux préparatoires (*მოსამზადებელი მასალები*) მიუთითებს, რომ კანონმდებლებში აზრთა სხვადასხვაობა წარმოიშვა ლიეჟეს სააპელაციო სასამართლოს 2001 წლის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელმაც გაამართლა ცოლ-ქმარი ახალგაზრდა აფრიკელი გოგონას მოსამსახურედ დასაქმების გამო. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ მოპასუხეების მხრიდან ადგილი არ ჰქონდა დაუცველობის ბოროტად გამოყენებას. მიუხედავად იმისა, რომ მოსამსახურეს უხდიდნენ მინიმალურ გასამრჯელოს და მისი პასპორტი ინახებოდა სეიფში, რომელიც მისთვის ხელმისაწვდომი



არ იყო.¹⁰⁸ ახალი კანონი მიზნად ისახავდა დანაშაულების განსაზღვრას ექსპლუატაციის და არა საშუალებების საფუძველზე.

საკამათოა, თუ რამდენად უახლოვდება ბელგიის კანონი განსაზღვრებას, რომელიც გაეროს ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ ოქმშია მოცემული. მიუხედავად იმისა, რომ გაეროს ოქმი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ და ევროგაერთიანების ჩარჩო გადანყვეტილება/დირექტივა „ექსპლუატაციას“ ამომწურავად არ განმარტავს, ზოგიერთმა დამკვირვებელმა გამოხატა შეშფოთება, რომ ბელგიის კანონი პოტენციურად უფრო შეზღუდული იყო. „სქესობრივი ექსპლუატაციის“ მაგივრად, ბელგიის კანონი მიზანს შემოფარგლავს პროსტიტუციითა და ბავშვთა პორნოგრაფიით. ზოგადად, იძულებითი შრომის მაგივრად, ბელგიის კანონი მოიცავს „დასაქმებას ადამიანური ღირსების შემლახავ პირობებში“. ფრედერიკ კურცი, გენერალური პროკურორის მოადგილე, მიუხედავად ამისა, წერს, რომ ახალი კანონი სცდება პროტოკოლის მინიმალური მოთხოვნების ზღვარს. „იგი მოიცავს არა მარტო იძულებითი შრომისა და მონობის საკითხებს, არამედ ისეთ შემთხვევებსაც, როგორიცაა დაბალი ხელფასები, არაჯანსაღი ან საშიში სამუშაო პირობები“.¹⁰⁹

გემოთ თქმულის მიუხედავად, „ადამიანური ღირსების“ ცნება შესაძლოა ძნელად დასამტკიცებელი იყოს. მაგალითად, თანაბარი შესაძლებლობებისა და რასიზმის წინააღმდეგ (The Centre for Equal Opportunities and Opposition to Racism (CEEOR)) მეზრძოლმა ცენტრმა გააკრიტიკა ტერმინი „ადამიანურ ღირსებასთან შეუთავსებელი“, რადგან „იგი არ წარმოადგენს სამართლებრივ ცნებას, რომელიც უკეთ არის ფორმულირებული, ვიდრე „დაუცველობის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება“.¹¹⁰ 2006 წელს, ბრიუგეს რაიონულმა სასამართლომ საქმეში გამოავლინა „ადამიანის ღირსების შემლახავი“ პირობები, როცა ერთი ან მეტი პირის სამუშაო პირობები არ შეესაბამებოდა 1996 წლის 4 აგვისტოში, სოციალური კანონმდებლობით დადგენილ სტანდარტებს. აღნიშნულ შემთხვევაში ლიტველი მუშების სამუშაო საათები იყო გაცილებით ხანგრძლივი, ხელფასები – გაცილებით დაბალი, ხოლო საცხოვრებელი პირობები – დაუცველი და არაჯანსაღი. ისინი ცხოვრობდნენ დამხმარე სათავსოში, რომელიც ადამიანის საცხოვრებლად განკუთვნილი არ იყო.¹¹¹

6.1.1. სამუშაო პირობების მიჩნევა ადამიანის ღირსების შელახვად, საქმე „საზოგადოებრივი სამინიტრო ვანგ ლი ვანგის, ვანგ ლის და სხვების წინააღმდეგ“, ლიუჟეს სააპელაციო სასამართლო, გადანყვეტილება №. 2007/245 (24 იანვარი, 2007 წელი)

ფაქტობრივი გარემოებები. ჩინელმა წყვილმა შეისყიდა უძრავი ქონება, სადაც აპირებდა რესტორნის გახსნას. მათ დახმარებას უწევდა ორი პირი, ორივე გვარად ვანგი, ვინაც სამუშაოდ დაიქირავა ორი ჩინელი არალეგალური მიგრანტი. იმ დროისთვის, როცა ისინი დაიქირავეს, რესტორნის შენობა ჯერ კიდევ დაუსრულებელ სამშენებლო კონსტრუქციას წარმოადგენდა. ორი მამაკაცი ცხოვრობდა სამუშაო ადგილას და არაფერი გააჩნდათ გარდა ლეიბისა, რომელზეც ეძინათ. ისინი ჭამდნენ იატაკზე, რადგან არ ჰქონდათ მაგიდა, ასევე აბაზანა ან ცხელი წყალი. ისინი მუშაობდნენ ყოველდღე, უქმეების ჩათვლით, 12-13 საათის განმავლობაში და მათ არასისტემატურად უხდიდნენ, ამასთან ანაზღაურების საკითხი საკამათო იყო.

სამართლებრივი ანალიზი. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ ტრეფიკინგის ყველა ელემენტი სახეზე იყო. მუშები გათავსებულები იყვნენ უკიდურესად შეურაცხმყოფელ და არასანიტარულ საცხოვრებელ პირობებში. მათ ფიზიკურად და ფსიქოლოგიურად ცუდად ექცეოდნენ. ერთ-ერთ მუშას რამდენჯერმე გაართყეს. გარდა ამისა, მუშებმა

108 Liège Court of Appeal, 25 April 2001.

109 Frédéric Kurz, *Lutte contre le travail forcé, l'exploitation économique et la traite des êtres humains: des concepts légaux à l'application judiciaire*, Chroniques de droit social, 2008, 317-330.

110 Ibid. at 35.

111 Correctionele rechtbank van Brugge, 14e Kamer, 25 April 2006 (described in Jill E.B. Coster van Voorhout, *Human trafficking for labour exploitation: Interpreting the crime*, Utrecht Law Review, Vol. 3, Issue 2 (December 2007).

არ იცოდნენ ფრანგული და არ გააჩნდათ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები. მათ აიძულებდნენ არ დაეთოვებინათ შენობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ დამნაშავეებისთვის ცნობილი იყო მათი არალეგალური სტატუსის შესახებ და გააფრთხილეს კიდევ ისინი, რომ გაქცეულიყვნენ, თუ მათ პოლიცია მიაკითხავდა.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. ორ, ძირითად მოპასუხეს მიესაჯა ერთ-წლიანი პატიმრობა თითოეულს და დაეკისრა 500 ევროს გადახდა. გარდა ამისა, თითოეულს, ოთხი მოპასუხიდან დაეკისრა თითოეული სამოქალაქო მხარისთვის 2,500 ევროს გადახდა.

6.1.2. დაუცველობის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება
დამამძიმებელ გარემოებებში
საქმე „საჯარო სამინისტრო ჩენგის იონელისა და
აბდულა ბუასამის წინააღმდეგ“
ვერვიერსის პირველი ინსტანციის სასამართლო,
გადაწყვეტილება №. 69.98.954/06 (15 იანვარი, 2007)

ფაქტობრივი გარემოებები. მაჰმეთ ორმანიჩი, არალეგალური მიგრანტი თურქეთიდან, ორი თვის განმავლობაში მუშაობდა ჩენგის იონელისა და აბდულა ბუასამის საცხოვრებელ სახლში. 2006 წლის 24 იანვარს, სოციალური სამსახურის ინსპექტორმა აღმოაჩინა, რომ ორმანიჩი ნებართვის გარეშე მუშაობდა და მას გასამრჯელოს არ უხდიდნენ. გასამრჯელოს მაგივრად მას აძლევდნენ არარეალიზებულ პროდუქციას.

სამართლებრივი ანალიზი. მოპასუხეებს ბრალი დაედოთ 2005 წლის 10 აგვისტოს კანონის დარღვევაში „ორმანიჩი მეჰმეთის დასაქმებით, მგზავრობისა და საზღვარზე გადმოყვანის უზრუნველყოფით, ან მისი მასპინძლობით, რათა დაესაქმებინათ იგი ან დაემკობათ მისი დასაქმება პირობებში, რომელიც ადამიანის ღირსებას ლახავს“. კერძოდ, მათ დაიჭირავეს ორმანიჩი არასანიტარულ პირობებში სამუშაოდ და გასამრჯელოზე, რომელიც გარანტირებულ მინიმალურ ხელფასზე ნაკლები იყო. უფრო მეტიც, გასამრჯელო შედგებოდა ძველი ხილისა და ბოსტნეულისგან. ეს დანაშაული მათ ჩაიდინეს დამამძიმებელ გარემოებებში, ორმანიჩის დაუცველობის ბოროტად გამოყენებით, რაც მისი არალეგალური სტატუსითა და არასტაბილური სოციალური მდგომარეობით გამოიხატებოდა.

მოპასუხეებმა აღიარეს, რომ მათ დაასაქმეს ორმანიჩი პურის საცხობში დასახმარებლად, პირველად, იუნელის, შემდეგ ბუასამის ზედამხედველობით. სასამართლომ დაადგინა, რომ 2005 წლის 10 აგვისტოს კანონის მიხედვით, დასაქმება პირობებში, რომელიც ადამიანის ღირსებას ლახავს, შესაძლოა მოხდეს დასაქმებულის თანხმობის გარეშეც. ორმანიჩი აცხადებდა, რომ იგი მუშაობდა 3-4 დღე კვირაში, დილის 5 საათიდან შუადღემდე ან 1 საათამდე. იგი გასამრჯელოდ გაუსაღებელი კვების პროდუქტებს იღებდა. მიუხედავად ბუასამის მტკიცებისა, რომ მან ორმანიჩს 30 ევრო გადაუხადა, სასამართლომ მიიჩნია, რომ არც მტკიცებულება არსებობდა და არც აღნიშნული თანხა იყო აშკარად საკმარისი შესრულებული სამუშაოსთვის.

სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული ელემენტები „უდავოდ“ შეადგენდა ეკონომიკურ ექსპლუატაციას და ორმანიჩი, გარდა ამისა, დაუცველ მდგომარეობაშიც იყო. მისი ქვეყანაში თავშესაფრის მოთხოვნა არ იქნა დაკმაყოფილებული, მას ალარ ჰქონდა სოციალური დახმარების მიღების უფლება, ჰყავდა მეუღლე და სამი შვილი, რომელთაგან ერთ-ერთი ავად იყო. „აშკარაა, რომ ეს სიტუაცია მას განსაკუთრებით მორჩილს ხდიდა დამსაქმებელთა მიმართ“. სასამართლომ ასევე, ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ერთ-ერთმა მოპასუხემ, ბუასამმა, აღიარა სოციალური სამსახურის ინსპექტორთან, რომ მისი აზრით, ორმანიჩს რომ არჩევანი ჰქონოდა, იონელთან მუშაობას ალარ მოისურვებდა.

სასამართლომ ორივე მოპასუხე დამნაშავედ ცნო 2005 წლის 10 აგვისტოს კანონის დარღვევაში.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. ჩენგის იონელს მიესაჯა 14-თვიანი პატიმრობა და 5500 ევროს გადახდა. აბდულა ბუასამს მიესაჯა ერთწლიანი პირობითი პატიმრობა და 5500 ევროს გადახდა. ორმანიჩმა არ ისურვა სამოქალაქო მხარედ



მონაწილეობის მიღება და შესაბამისად, მის მიმართ არ დადგენილა ზიანის ანაზღაურების ზომები.

მინისტერიალის დირექტივა:

გამოძიებისა და სასამართლო წესით დევნის პოლიტიკა ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სფეროში


ტრეფიკინგის საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავდა ინდიკატორების ჩამონათვალი, რომელიც დაერთო 2007 წლის იანვარში ძალაში შესულ ადმინისტრაციულ დირექტივას COL 20/06. იგულისხმებოდა, რომ ეს იყო არასრული ჩამონათვალი, რომელიც საშუალებას მისცემდა გამომძიებლებსა და პროკურორებს გაეკეთებინათ დასკვნა ტრეფიკინგის მუხლით საქმის აღძვრის შესახებ. ინდიკატორები დაჯგუფებულია ცალკეული თემატიკის მიხედვით, როგორიცაა: გადაადგილება, პირადობის დამადასტურებელი და სამგზავრო დოკუმენტები, სამუშაო პირობები, საცხოვრებელი, ფიზიკური ჯანმრთელობა, გადაადგილების თავისუფლება და წარმოშობის ქვეყანა. ქვემოთ მოტანილია ამონარიდი ინდიკატორების ჩამონათვალიდან.

- უკიდურესად მძიმე სამუშაო პირობები ან ხანგრძლივი სამუშაო საათები;
- სოციალური დაცვისა და შეღავათების არარსებობა;
- დამსაქმებლის მიერ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტების კონფისკაცია;
- მუქარა, დაშინება, შეურაცხყოფა და ძალადობა მუშების მიმართ;
- სამუშაო ადგილას სანიტარული პირობების, გათბობის ან ელექტროენერგიით მომარაგების არარსებობა;
- ერთი და იგივე ადგილზე ცხოვრება და მუშაობა;
- სასაღილო ადგილის არქონა;
- ანაზღაურების არქონა ან მცირედი ანაზღაურება;
- დაქვითვები ალკურვილობის, სამუშაო სპეცტანსაცმლის, საკვებისა და საცხოვრებლისთვის;
- დამატებით სამუშაო საათებში აუნაზღაურებელი შრომა;
- დამსაქმებლის მიმართ ვალის არსებობა.

კითხვები განხილვისათვის

იონელისა და ბუასამის შემთხვევაში, მუშა მაჰმედ ორმაჩი, აშკარად დაემორჩილა აღნიშნულ პირობებს და ანაზღაურების სახით მიეღო ნარჩენი პროდუქტები. სასამართლომ დაადგინა, რომ კანონის მიხედვით, თანხმობა/დამორჩილება არარელევანტურია. გაეროს ოქმში ტრეფიკინგის შესახებ, თანხმობა არარელევანტურია თუ ერთ-ერთი აკრძალული საშუალებაა გამოყენებული. თუმცა, ბელგიის კანონის მიხედვით, საშუალებები წარმოადგენს მხოლოდ დამამძიმებელი გარემოებების ფორმას და არა დანაშაულის ძირითად ელემენტს. ამრიგად, ბელგიაში მუშას არ შეუძლია დაემორჩილოს/დათანხმდეს პირობებს, რომელიც ადამიანის ღირსებას ლახავს. შეადარეთ აღნიშნული მდგომარეობა იძულებითი შრომის განსაზღვრებას, რომელიც 29 კონვენციაშია მოცემული. შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, რა თქმა უნდა, აწესებს მინიმალურ სტანდარტებს და ქვეყნები თავისუფალია შეიმუშაოს დაცვის უფრო მეტი მექანიზმები. უკეთ იცავს თუ არა ბელგიის კანონი ექსპლუატირებულ მუშებს?

This image shows a single sheet of white paper with horizontal blue or grey ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.



6.2 საფრანგეთი

2003 წელს, საფრანგეთში მიიღეს მუხლები 225-4, რომელიც „ადამიანებით ვაჭრობას“ (ტრეფიკინგს) შემდეგნაირად განსაზღვრავს: „პირის დასაქმება, მგზავრობა, საზღვარზე გადაყვანა და საცხოვრებლის უზრუნველყოფა ან მისი მასპინძლობა ანაზღაურების ან რაიმე სხვა გამორჩენის სანაცვლოდ, ცნობილი თუ უცნობი მესამე მხარისთვის გადასაცემად, რომ აღნიშნული პირის მიმართ შესაძლებელი გახდეს შემდეგი დანაშაულებრივი ქმედებების ჩადენა, როგორიცაა: გაყიდვა, სქესობრივი ძალადობა, ექსპლუატაცია მათხოვრობის მიზნით, ადამიანურ ღირსებასთან შეუფერებელი საცხოვრებელი ან სამუშაო პირობების თავსმოხვევა, ან ადამიანის იძულება ჩაიდინოს დანაშაული ან კანონდარღვევა.“ იგი ისჯება შვიდწლიანი პატიმრობით და ჯარიმით 150,000 ევროს ოდენობით. თუმცა, 225-4 მუხლის გამოყენება უფრო ნაკლებად ხდება, სხვა ორ დებულებასთან შედარებით. 225-13 მუხლის მიხედვით, სისხლის სამართლის დანაშაულია „მომსახურების გამოძალვა აუნაზღაურებლად ან ისეთი ანაზღაურებით, რომელიც აშკარად არ შეესატყვისება სამსახურს, რომელიც განეულია პირის მიერ, ვისი დაუცველობა ან დამოკიდებულება აშკარაა ან ცნობილია სამართალდამრღვევი პირისთვის“. 225-14 მუხლი კრძალავს „ადამიანის ღირსების შემლახავი საცხოვრებელი ან სამუშაო პირობების თავსმოხვევას პირისთვის, ვისი დაუცველობა ან დამოკიდებულება აშკარაა ან ცნობილია სამართალდამრღვევი პირისთვის“. „სილიადინის“ საქმეში ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ გააკრიტიკა აღნიშნული კანონების პირველადი ვერსიები ზედმეტი ბუნდოვანების გამო.¹¹² ფრანგულ სასამართლოებში იძულებითი შრომის კონცეფციის შესწავლა შესაძლებელია 225-13 და 225-14 მუხლების გამოყენებით.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიერ იძულებითი შრომის დადგენილ განსაზღვრებაში, ადამიანის ქცევის ნება ან სურვილი გადამწყვეტია, თუმცა სუბიექტური კრიტერიუმია იძულებითი შრომის შემთხვევის დასადგენად. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის დაკვირვებით, მხოლოდ არადაშვამაყოფილებელი სამუშაო პირობები არ გულისხმობს იძულებით შრომას, რადგან სამუშაო პირობები ქვეყნების მიხედვით, განსხვავებულია, მათი ეკონომიკური განვითარების დონიდან გამომდინარე. თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ სამუშაო პირობები თავისთავად არ წარმოადგენს იძულებითი შრომის დამადასტურებელ მტკიცებულებას, ზოგიერთი მათგანი, რომელიც შრომით კანონმდებლობას არ შეესაბამება (ანაზღაურება გაცილებით დაბალია, ვიდრე დადგენილია კანონით ან ერთობლივი შეთანხმებებით, ან სამუშაო საათები დაშვებულზე უფრო ხანგრძლივია, ან სამუშაო გარემო ზედმეტად მომთხოვნიია) უნდა იქნას გამოძიებული, როგორც სამხილი. ამრიგად, სამუშაო პირობები დაკავშირებულია იძულებით შრომასთან, თუმცა, მას არ განსაზღვრავს.

225-13 და 225-14 მუხლებში ფრანგი კანონმდებლები აშკარა უპირატესობას ანიჭებენ ხელშესახებ გარემოებებსა და ფაქტორებს. დანაშაულებრივი ქმედებაა აუნაზღაურებელი შრომის მიღწევა კონკრეტული პირის დაუცველობის ბოროტად გამოყენების ან მისი დამამცირებელ სამუშაო და საცხოვრებელ პირობებში მოქცევის გზით. მნიშვნელობა არა აქვს მსხვერპლი ნებაყოფლობით ასრულებს სამუშაოს თუ არა, რადგან მისაღებად არ ჩაითვლება პირის თანხმობა, რომელიც დაუცველ მდგომარეობაში იმყოფება. აღნიშნული ემთხვევა ტრეფიკინგის შესახებ ოქმს, რომელიც ადგენს, რომ დაუცველობის ბოროტად გამოყენება ერთ-ერთი საშუალებაა, რომელიც თანხმობას არარელევანტურს ხდის. იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის მიხედვით, დასჯის მექანა და ნებაყოფლობითობა განიხილება როგორც ორი განყენებული ელემენტი, თუმცა ექსპერტთა კომიტეტი აღიარებს, რომ ეს ორი საკითხი ერთმანეთს მოიცავს.

¹¹² Siliadin v. France at paras. 147-148.

**6.2.1. უმუშევრობის საფრთხე, როგორც ეკონომიკური
დამოკიდებულების ბოროტად გამოყენება
საქმე „რესპუბლიკის პროკურორი მონსენიორ ბ.-ს“ წინააღმდეგ“,
გადაწყვეტილება N^o 97/8641, პიოტიერის სააპელაციო
სასამართლო (26 თებერვალი, 2001)**

ფაქტობრივი გარემოებები. მონსენიორმა ბ-მ მსუბუქი მრეწველობის სექტორში დააარსა კომპანია ვენდრეში და საფრანგეთში რამდენიმე ათეული მუშა დაასაქმა. საამქროში მათ ეკრძალებოდათ თავის აწევა, საუბარი ან გაღიმება. მონსენიორი ბ. მეთვალყურეობას უწევდა მუშებს და წესების დარღვევის – გაღიმების ან საუბრისთვის მათ სჯიდა. გარდა ამისა, მონსენიორი ბ. ზაფხულში, აუტანელი სიცხის მიუხედავად, კარის გაღებაზე უარს ამბობდა. ზამთარში იგი თიშავდა გათბობის სისტემას და საშინელ სიცივეში მოითხოვდა, რომ მუშაობისას მუშებს პალტოები გაეხადათ. მონსენიორ ბ. მუდმივად ემუქრებოდა მუშებს კომპანიის დახურვით და სამუშაოს იძულებით დაკარგვით.

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლომ პირველ რიგში, განიხილა დამოკიდებულების საკითხი. აღინიშნა, რომ მონსენიორ ბ-მ დაიჭირა ან არაკვალიფიცირებული მუშები და ეკონომიკური კრიზისის შედეგად, მსუბუქი მრეწველობის სექტორი სერიოზულად დაზარალდა. გარდა ამისა, კომპანია დაარსდა ვენდრეს ფერმერულ რეგიონში, სადაც უმუშევრობის საკითხი მწვავედ იდგა. „ამიტომ, მონსენიორ ბ-ს მუშები ისეთ მდგომარეობაში იყვნენ, რომ სამსახურის დაკარგვა მათთვის კატასტროფული შედეგების მომტანი იქნებოდა“. ამრიგად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ზოგად ეკონომიკურ მდგომარეობას შესაძლოა გამოეწვია მუშების მხრიდან დამოკიდებულების ფაქტორის გაჩენა.

შემდეგ, სასამართლომ დაადგინა, რომ მონსენიორ ბ-ს მუშები უკიდურესად მკაცრ დისციპლინას ექვემდებარებოდნენ, რთულ ფიზიკურ პირობებში მუშაობდნენ და სხვადასხვა სახის დამცირებებს იტანდნენ. მათ მუდმივად ახსენებდნენ, რომ მათი მუშაობის გაგრძელება დამსაქმებელზე იყო დამოკიდებული. სასამართლომ დაასკვნა, რომ ყველა აღნიშნული გარემოება ერთად აღებული, შეადგენდა პირობებს, რომელიც ადამიანის ღირსების შემლახავი იყო.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. მონსენიორ ბ-ს მიესაჯა ორი წლის პატიმრობა და 100 000 ფრანკის გადახდა. თანმდევ სამოქალაქო საქმეში, 225-14 მუხლის მიხედვით, დაზარალებულებზე გაიწა 3 000 ფრანკის კომპენსაცია.

6.3. ნიღერლანდები

2005 წლის იანვარში, ჰოლანდიის სისხლის სამართლის კოდექსის ძველი დებულება ტრეფიკინგის შესახებ შეიცვალა ახალი, გავრცობილი მუხლით 273a. მისი მიზანი იყო გაეროს ტრეფიკინგის შესახებ ოქმითა და ევროგაერთიანების ჩარჩო დირექტივით დაკისრებული ვალდებულებების შესრულება. ახალი აქტის ნაწილი, რომელიც „საშუალებებს“ ეხება, ტრეფიკინგის შესახებ ოქმის განსაზღვრების მსგავსია, ხოლო „ექსპლუატაციის“ განსაზღვრება მოიცავს „სხვა ადამიანის ექსპლუატაციას პროსტიტუციის და სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმების მიზნით, იძულებით ან სავალდებულო შრომასა თუ მომსახურებას, მონობას, მონობის მსგავს პრაქტიკას ან ყმობას“.

ჰოლანდიის ეროვნული მომხსენებლის მიხედვით, 273f მუხლი არ მოიცავს ყველა „დანაშაულებრივ ქმედებას“ შრომითი ურთიერთობების სფეროში.

თუ ადგილი არ აქვს ბოროტად გამოყენების მძიმე შემთხვევებს, საკითხი უნდა განიხილებოდეს ტრეფიკინგის გარდა არსებული სხვა ნორმებით. ბოროტად გამოყენების სიმძიმის შეფასებისას, განმსაზღვრელი ფაქტორებია: პირობები, სადაც მსხვერპლი იმყოფება ან იძულებით მუშაობს, ასევე შესრულებული სამუშაოს ხასიათიც მნიშვნელოვანია. საერთაშორისო კანონმდებლობით, მნიშვნელოვანია ირღვევა თუ არა მსხვერპლის ძირითადი ადამიანური უფლებები (ან საფრთხე ექმნება თუ არა მათ დაცვას) კონკრეტული ქმედებით. თუ პასუხი დადებითია, ადგილი აქვს ბოროტად გამოყენების მძიმე შემთხვევას, რაც კვალიფიცირდება როგორც ექსპლუატაცია ადამიანით ვაჭრობის კონტექსტში.¹¹³

2007 წლის ოქტომბრისთვის, 273f მუხლის ძალაში შესვლიდან ჰოლანდიურ სასამართლოში აღიძრა სულ მცირე, 7 სარჩელი შრომითი ტრეფიკინგის შესახებ. აქედან, ხუთი გამამართლებელი განაჩენით დასრულდა. დანარჩენ ორ შემთხვევაში, როცა დამნაშავეს შეეფარდა სასჯელის ზომა, ერთი ეხებოდა საქმეს, სადაც სამართალდამრღვევები გასამართლდნენ, ხოლო მეორე შემთხვევაში – მსხვერპლი გონებრივად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე იყო.¹¹⁴ ექსპლუატაციის ზუსტი მნიშვნელობა ჯერ კიდევ, სასამართლოების განხილვის საგანად რჩება, თუმცა ირკვევა, რომ ექსპლუატაციის განსაზღვრება საფრანგეთთან და ბელგიასთან შედარებით, ჰოლანდიაში უფრო ზუსტია. ჰოლანდიური პრეცედენტული სამართალი ითხოვს სერიოზული დანაშაულის არსებობას, რომ აღიაროს ადამიანის ძირითად უფლებათა დარღვევის ფაქტი. ასე მაგალითად, ბულგარელთა საქმეში, რომლებიც კანაფის ნათესების განადგურებისთვის დაიჭირავეს, რაიონულმა სასამართლომ არ მიიჩნია, რომ ადგილი ჰქონდა ექსპლუატაციას, მიუხედავად მტკიცებულებებისა, რომ ბულგარელებს ცუდად ექცეოდნენ, უხდინენ მინიმალურზე ნაკლებ ანაზღაურებას და ისინი არაკანონიერ სამუშაოს ასრულებდნენ.¹¹⁵

6.3.1. დაუცველობის ბოროტად გამოყენება, მაგრამ არა ექსპლუატაცია საქმე „საზოგადოებრივი პროკურატურის სამსახური ბრალდებულის წინააღმდეგ“ გადანყვეტილება №. 07.976405-06, გვოლეს რაიონული სასამართლო (29 აპრილი, 2009 წელი)

ფაქტობრივი გარემოებები. ქვეყანაში არალეგალურად მყოფი ინდოელი მუშები დაასაქმეს ტოფუს (სოიოს ყველის) დამამზადებელ საწარმოში. მათ საკმაოდ დიდი ვალი აიღეს ინდოეთიდან მგზავრობის ხარჯების დასაფარად, არ იცოდნენ ჰოლანდიური ენა და არც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტები გააჩნდათ. ისინი მუშაობდნენ

¹¹³ Trafficking in Human Beings: Fifth Report of the Dutch National Rapporteur (2007) at 12.

¹¹⁴ E-mail from Jonge van Ellemeet, Bureau of the Dutch Rapporteur on Trafficking in Human Beings, dated 28 October 2008.

¹¹⁵ District Court's-Gravenhage, LJN AZ2707



სამუშაო საათებზე მეტს, თუმცა დამატებითი დროის ანაზღაურების გარეშე. არ გააჩნდათ ჯანმრთელობის დაზღვევა და არ ხდებოდა გადასახადების და სოციალური უსაფრთხოების შენატანების გადახდა. მათ დასაქმების საშუალება გამოძებნეს საკუთარი სამსახურის შეთავაზებით, ამსტერდამის სიქჰურ ტაძარში.

სასამართლოს ამოცანა იყო დაედგინა, რომ საწარმოს მფლობელი ძმების მიერ დაირღვა თუ არა *სისხლის სამართლის კოდექსის 273f* მუხლი.

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი ორი ელემენტისგან შედგებოდა: (1) გამოყენებული საშუალებები და (2) ექსპლუატაცია. პირველ ყოვლისა, გასარკვევი იყო მოპასუხეებმა ბოროტად გამოიყენეს თუ არა მუშების დაუცველობა, რადგან წარმოდგენილ მასალებში არ არსებობდა რაიმე მტკიცებულება ზეწოლის ან მოტყუების შესახებ. სასამართლოს რომ ეცნო მოპასუხეები დამნაშავედ დაუცველობის ბოროტად გამოყენებაში, უნდა დადგენილიყო მათი ქმედების წინასწარგანზრახულობა.

ეს გულისხმობს სამართალდამრღვევის ან დამრღვევების მხრიდან გარკვეულ ინიციატივასა და ქმედებას, რომლის მიხედვით მათ მიზანმიმართულად ისარგებლეს მსხვერპლთა სუსტი ან უფრო დაუცველი მდგომარეობით.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მუშები დაუცველ მდგომარეობაში იყვნენ მათი ნიდერლანდებში არალეგალური ყოფნის გამო. მათ არ იცოდნენ ჰოლანდიური ენა და არ ჰქონდათ პირადობის დამადასტურებელი საბუთები. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ ბრალდებულმა „საკუთარი ინიციატივით უზრუნველყო მათი მგზავრობა და საცხოვრებელი, შეიფარა არალეგალური მიგრანტები (შეუქმნა საცხოვრებელი და სამუშაო გარემო), მათი დაუცველი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით და იმ მიზნით, რომ საწარმოსთვის იაფი მუშახელის აყვანით მიეღოთ სარგებელი“.

მეორე საკითხი უფრო რთული იყო. სასამართლომ იხელმძღვანელა *ადამიანებით ვაჭრობის შესახებ ეროვნული მომხსენებლის მეხუთე ანგარიშში* მოცემული კრიტერიუმებით. *მეხუთე ანგარიშში* მითითებული იყო ტრეფიკინგის სავარაუდო კრიტერიუმები და „სიტუაცია უტოლდება ექსპლუატაციას, თუ არსებობს ამ პრობლემათაგან ერთ-ერთი და მსხვერპლს არ აქვს სიტუაციიდან თავის დაღწევის თავისუფლება, ან გონივრულად მიიჩნევა, რომ მას არ აქვს ამის გაკეთების თავისუფლება“.¹¹⁶ სასამართლომ მართებულად მიიჩნია აღნიშნული განმარტება და აღნიშნა, რომ ეროვნული მომხსენებელი ეყრდნობოდა საერთაშორისოდ აღიარებულ განსაზღვრებებს, როგორიცაა „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია“ და „შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ“. სასამართლომ დაასკვნა, რომ სიტუაცია „სოციალურად არასასურველი“ იყო, თუმცა, არ უტოლდებოდა ექსპლუატაციას *273f* -ე მუხლის მიხედვით.

კერძოდ, სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა მტკიცებულებები, რომ „დარღვევები შეადგენდა ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას“. სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ ინდოელების მიერ ვალის აღება უკავშირდება მათ ნიდერლანდებში ჩამოსვლას, მათ არ ემართათ ბრალდებულთა ვალი, ამიტომ ადგილი არ ჰქონდა სავალ ვალდებულებით განპირობებულ შრომით ურთიერთობას. ასევე, ბრალდებულები ან მათი ნათესავები არ განკარგავდნენ ინდოელთა პირადობის დამადასტურებელ საბუთებს. ამიტომ, ეს საქმე არ შეიძლება ჩაითვალოს არაკანონიერი შრომითი ურთიერთობის, მრავლობითი დამოკიდებულებების, ან თავისუფლების შეზღუდვის შემთხვევად, რომ ინდოელებს არ ჰქონდათ სხვა არჩევანი ბრალდებულის და მისი ძმის საწარმოში მუშაობის გარდა.“

მოპასუხე დამნაშავედ იქნა ცნობილი არალეგალური ბინადრობის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ დანაშაულსა და იურიდიული პირის მიერ სისხლის სამართლის ქმედების ჩადენის უფლებამოსილების გაცემაში. ტრეფიკინგის მუხლში გამართლების გადანაცვებილება გასაჩივრების პროცესშია.

¹¹⁶ *Fifth Report of the Dutch National Rapporteur*, op cit., at 158.

კითხვები განხილვისათვის

(1) სასამართლო მიიჩნევს, რომ ადგილი ჰქონდა მსხვერპლთა დაუცველობით ბოროტად სარგებლობის, თუმცა, არა ექსპლუატაციის ფაქტს. ეს ფაქტები რომ განხილულიყო ფრანგული კანონმდებლობით, თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა შედეგი?

(2) ეს საკითხები რომ განხილულიყო იძულებული შრომის შესახებ კონვენციის მიხედვით, თქვენი აზრით, როგორი იქნებოდა შედეგი?

(3) სასამართლო „ექსპლუატაციას“ საკმაოდ ობიექტური ფაქტორების საფუძველზე აფასებს, როგორიცაა: ემართათ თუ არა მუშებს დამქირავებლის ვალი და მის მიერ ხომ არ ჰქონდა ადგილი მათი პირადობის დამადასტურებელი საბუთების კონფისკაციის ფაქტს. სასამართლო არ ახორციელებს დაწვრილებით გამოკითხვას იმის შესახებ, სამუშაო რამდენად ნებაყოფლობითად სრულდებოდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, საკითხის განხილვა არასდროს მიდის იმის დადგენამდე, მუშები აცნობიერებდნენ თუ არა, რომ მათ ჰქონდათ სამუშაოს მიტოვების თავისუფლება. თუ შეგიძლიათ წარმოადგინოთ საკითხის გაანალიზების სხვა გზა? როგორ ფიქრობთ, სუბიექტური კრიტერიუმების განხილვამდე, ხომ არ უნდა განიხილებოდეს ობიექტური კრიტერიუმები? ან ობიექტურ, გარეგან ფაქტორებს თუ შეუძლიათ დასაქმებული პირის სულიერ მდგომარეობაზე მინიშნება?

This image shows a blank sheet of white paper with horizontal ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.



ამონარიდი პოლანდიის ეროვნული მომხსენებლის მეხუთე ანგარიშიდან

ეროვნული მომხსენებლის მიერ გამოყენებული ექსპლუატაციის კრიტერიუმები მოიცავს შემდეგი გარემოებების ერთობლიობას: თავისუფლების შეზღუდვა, როგორც მუდმივი გარემოება და სულ მცირე, ერთი ქვემოთ მოტანილი გარემოება, რომელიც მიუთითებს იძულებით ან სავალდებულო შრომასა თუ მომსახურებაზე:

- ძალის გამოყენება, (ან მუქარა), ფიზიკური ან სქესობრივი ძალადობის ან არალეგალური ბინადრობის ან დასაქმების ფაქტზე დასმენის შესახებ; კონკრეტული გარემოებებით განპირობებული ძალაუფლების ბოროტად გამოყენება; დაუცველობის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება;
- ცუდი სამუშაო პირობები, მათ შორის, არაზომიერი სამუშაო საათები, ნაკლები ანაზღაურება და საშიში სამუშაოს შესრულება პროფესიული რეკვიზიტების გარეშე;
- მრავლობითი დამოკიდებულობა, მათ შორის, მუშაობა ვალების გასტუმრების სანაცვლოდ და იმავე ადამიანზე დამოკიდებულობა, მაგალითად, საცხოვრებელსა და პირადობის დამადასტურებელ საბუთებზე.

ამრიგად, სიტუაცია უტოლდება ექსპლუატაციას, თუ აღნიშნული პრობლემებიდან რომელიმე სახეზეა და მსხვერპლს არ აქვს არსებული სიტუაციიდან თავის დაღწევის საშუალება, ან გონივრულად მიაჩნია, რომ მას არ აქვს ამის გაკეთების თავისუფლება. პრაქტიკაში, მუდმივმა და ცვალებადმა ფაქტორებმა შესაძლოა ერთმანეთი გადაფაროს. თავისუფლების ნაკლებობას შესაძლოა თან ახლდეს უკიდურესად მძიმე სამუშაო პირობები ან დაუცველობის მდგომარეობის ბოროტად გამოყენება შესაძლოა, ისეთი მძიმე იყოს, რომ მსხვერპლს არ გააჩნდეს სხვა გამოსავალი, ექსპლუატაციაზე დამორჩილების გარდა. სიტუაციის შეფასებისას, მხედველობაშია მისაღები საქმის ყველა გარემოება, როგორიცაა ხანგრძლივობა, ორგანიზების ხარისხი და მსხვერპლის ასაკი.¹¹⁷

¹¹⁷ Fifth Report of the Dutch National Rapporteur, op. cit., at 158.

7. იძულებითი შრომა ცენტრალურ და სამხრეთ ამერიკაში

7.1. ბრაზილია

მიუხედავად იმისა, რომ მონობა ბრაზილიაში ოფიციალურად, 1888 წელს გაუქმდა, იძულებითი შრომის პრაქტიკამ 1960-იან წლებში ხელახლა იჩინა თავი, რაც ამაზონის ტყის მასივების განადგურებას უკავშირდებოდა. იძულებითი შრომა ეკონომიკის ისეთ სექტორებშია გავრცელებული, როგორიცაა: მესაქონლეობა, ქვანახშირის წარმოება, მეტყვეობა და ხე-ტყის დამუშავება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოყვანა. 1994 წელს, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ადმინისტრაციულმა საბჭომ ჩამოაყალიბა სამხრეთი კომიტეტი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის 24-ე მუხლის მიხედვით წარმოდგენილი განაცხადის განხილვის მიზნით, რომელიც ეხებოდა ბრაზილიის მიერ კონვენციის 29-ე და 105-ე მუხლების დარღვევას. განაცხადი წარმოდგენილი იყო ლათინური ამერიკის მშრომელთა ცენტრალური კონფედერაციის მიერ და ამტკიცებდა, რომ:

მუშების დაქირავება ხორციელდებოდა ტყუილი დაპირებების საფუძველზე, ხდებოდა მათი მოცილება წარმოშობის ან საცხოვრებელი ადგილებიდან, მიჯაჭვულნი იყვნენ იზოლირებულ და ძნელად მისაწვდომ სამუშაო ადგილებს, მათ ართმევდნენ სამუშაო დოკუმენტაციას (carteiras), აიძულებდნენ ემუშავათ არაადამიანურ პირობებში, ხშირად, ანაზღაურების გარეშე. ზოგჯერ, მხოლოდ მწირი საკვების სანაცვლოდ, აიძულებდნენ ემუშავათ ხანგრძლივად, ეცხოვრათ საცხოვრებელში, რომელიც არ უზრუნველყოფდა მათ უსაფრთხოებას ან სათანადო პირობებს ჯანმრთელობისთვის და ფიზიკური და მორალური ძალადობის გზით უკრძალავდნენ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას.¹¹⁸

განაცხადისა და ბრაზილიის მთავრობის მიერ წარმოდგენილი საპასუხო განმარტებების განხილვის შემდეგ, კომიტეტმა მტკიცებები საფუძვლიანად მიიჩნია და დაადგინა, რომ სიტუაცია იძულებითი შრომის შესახებ ორივე კონვენციის დარღვევას წარმოადგენდა.

მას შემდეგ, ბრაზილიის მთავრობამ წამოიწყო მთელი რიგი კამპანიები იძულებითი შრომის (trabalho escravo) წინააღმდეგ, ჩამოაყალიბა შრომის ინსპექციის მობილური ჯგუფი. ფედერალური პოლიციის დაცვითა და დახმარებით, გაიგზავნა ჯგუფები ფაზენდების ინსპექტირებისთვის მთელი ქვეყნის მასშტაბით, რასაც მრავალი მუშის გათავისუფლება მოჰყვა. მობილურ ჯგუფებს არ შეეძლოთ სისხლის სამართლის საქმის აღძვრა, მათ უფლებამოსილებაში ადმინისტრაციული სანქციებისა და ჯარიმების დაკისრება შედიოდა. შრომის სამინისტროს მონაცემების მიხედვით, 1995 წლიდან 2007 წლის ივლისისთვის მობილური საინსპექციო ჯგუფების მიერ გათავისუფლდა 25 064 მუშა.

ბრაზილიაში ასევე, რამდენჯერმე განხორციელდა სისხლის სამართლის კანონებში შესწორებების შეტანა. სისხლის სამართლის კოდექსის 149-ე ნაწილი კრძალავს ადამიანის ისეთ პირობებში იძულებით ჩაყენებას, რომელიც მონობას უტოლდება. 2003 წლის დეკემბერში, კანონმდებლობაში შეტანილია ცვლილება, რომელიც განსაზღვრავს „პირობებს, რომელიც უტოლდება მონობას“ და გულისხმობს „მუშათა იძულებას დაემორჩილონ დამქანცველ სამუშაო განრიგს ან არაადამიანურ სამუშაო პირობებს, მუშათა გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გზით, ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის, ვალის დადებით“.¹¹⁹ თუმცა, მონობის მსგავსი მდგომარეობის

118 კომიტეტის ანგარიში, რომელმაც განიხილა ლათინური ამერიკის მშრომელთა ცენტრალური კონფედერაციის განაცხადი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის 24-ე მუხლის საფუძველზე, რომელიც ეხებოდა ბრაზილიის მიერ 1930 წლის (29) იძულებითი შრომის შესახებ კონვენციისა და 1957 წლის (105) იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ კონვენციის შესაძლო დარღვევებს. 1995, აბზაცი 9.

119 Act №. 10803 of 11 December 2003; ob. Report of the Committee of Experts: Individual Observation on Brazil, 2005. James L. Bischoff, „Forced Labour in Brazil: International Criminal Law as the Ultima Ratio Modality of Human Rights Protection“, in Leiden Journal of International Law, Vol. 19, 2006, at p. 172.



შექმნა შესაძლებელია გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვის გარეშე.¹²⁰ 149-ე ნაწილის მიხედვით, დანაშაულის კვალიფიცირებისათვის საკმარისია ისეთი სიტუაციის არსებობა, როცა ხდება ვალით მანიპულირება – მუშა ფულის გარეშე რჩება და იქმნება მდგომარეობა, როცა იგი სრულად დამოკიდებული ხდება დამსაქმებელზე. ასევე, როცა იზოლირებული/მოშორებული რაიონებიდან დაქირავებულ მუშებს აიძულებენ არ დაუბრუნდნენ მშობლიურ ადგილებს (სამუშაო დოკუმენტების ჩამორთმევის გზით).¹²¹ შესწორებების შედეგად, 149-ე ნაწილი ასევე, ითვალისწინებს სასჯელს სამუშაო ადგილზე მუშათა იძულებით დაკავებისთვის, როცა ხდება შეიარაღებული მცველების გამოყენება, ან პირადობის დამადასტურებელი საბუთების კონფისკაცია. 149-ე ნაწილით ასევე, ისჯება მუშათა დაქირავება ან მგზავრობის უზრუნველყოფა მონური შრომისთვის. სასჯელი ითვალისწინებს 2-8 წლამდე პატიმრობას. სისხლის სამართლის კოდექსის 207-ე ნაწილი კრძალავს მოტყუებით დასაქმებას (aliciamento), რაც გულისხმობს „მუშის შეტყუებას ან მოხიბვლას სამუშაოდ გადავიდეს მოშორებულ/იზოლირებულ ადგილას“.¹²² დღის წესრიგში დგას საკონსტიტუციო ცვლილებების განხორციელებაც PEC 438/2001, რომელიც იმ მიზნის ექსპროპრიაციას დააკანონებს, სადაც მონური შრომის ფაქტები იქნება გამოვლენილი. აღნიშნულ საკონსტიტუციო ცვლილებას ჯერ კანონის ძალა არა აქვს, თუმცა 2004 წლის საქმეზე „შრომის სამინისტრო Jorge Mutran Export & Import Ltd.-ს წინააღმდეგ“, სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მამულის დაყადაღების შესახებ. მამულში რეგულარულად ვლინდებოდა მონური შრომის ფაქტები და სასამართლომ მიიჩნია, რომ მეპატრონემ დაარღვია ფედერალური კონსტიტუციის ნორმები, რომელიც ითვალისწინებდა საკუთრების გამოყენებას განსაზღვრული სოციალური ფუნქციების შესასრულებლად.¹²³ მოპასუხეს ასევე, დაეკისრა 1 350 440 რეალის გადახდა კოლექტიური მორალური ზიანის კომპენსაციის მიზნით.

გარდა ამისა, მთავრობა იყენებს „ბინძურ სიებს“ იმ მიწათმფლობელთა და კომპანიათა საზოგადოებისთვის გასაცნობად, რომლებიც მონურ შრომას იყენებდნენ. „ბინძურ სიებში“ შესულ დამსაქმებლებს ეკრძალებათ სახელმწიფო ფინანსური ინსტიტუტებიდან და ზოგიერთი კერძო ორგანიზაციიდანაც, კრედიტის მიღება.

მიუხედავად აღნიშნულისა, გამოვლენილ დანაშაულებათა მხოლოდ მცირე ნაწილი ისჯება და დაპატიმრებების შემთხვევებიც იშვიათია. 149-ე ნაწილით გათვალისწინებული მინიმალური სასჯელი საშუალებას აძლევს სასამართლოს შეამციროს სასჯელის ზომა ან შეცვალოს იგი საზოგადოებრივი სამსახურით, რაც ხშირად ხდება. 1995–2003 წლებში, 149-ე ნაწილის მიხედვით დაპატიმრებულია დამნაშავეთა მხოლოდ მცირე რაოდენობა, და არც ერთ მათგანს არ მოუხდია სასჯელი ციხეში.¹²⁴ თუმცა, ზოგიერთი შრომითი დავის განმხილველი სასამართლოს მიერ აქტიურად გამოიყენება ადმინისტრაციული სანქციები და წესდება გადასახადები ორივე სახის მორალური (ტკივილისა და ტანჯის მიყენებისთვის) ზიანისა და გადაუხდელი ანაზღაურების კონპენსირებისათვის. ქვემოთ მოტანილი საქმეები იძულებითი შრომის შესახებ აღძრული საქმეების ორი განსხვავებული შედეგია. პირველი, აღიძრა შრომის სამინისტროს მიერ შრომითი დავების განმხილველ სასამართლოში, ხოლო მეორე, წარმოადგენდა სისხლის სამართლის საქმეს, რომელსაც ფედერალური სასამართლო განიხილავდა.

120 Código Penal e sua Interpretação Jurisprudencial, RT, São Paulo, 5ª edição, 1995, p. 1832 in Public Federal Ministry v. Carlos Alberto de Oliveira, 10 June 2005.

121 Federal Public Ministry v. Carlos Alberto de Oliveira, 10 June 2005.

122 Código Penal Interpretado, Júlio Fabbrini Mirabete, 3ª Ed., Atlas, comentários ao artigo 207 do Código Penal, p. 1508, in Federal Public Ministry v. Carlos Alberto de Oliveira, 10 June 2005.

123 იხილეთ: Leonardo Sakamoto, „Trabalho Escravo N° Brasil do Seculo XX1“, ILO, 2005, at F.1.1.

124 Bischoff, op cit., at p. 171-172.

**7.1.1. კომპანიის თანამშრომლებისათვის განკუთვნილი მაღაზიების
გამოყენება თანამშრომელთა კაბალისთვის
საქმე „შრომის სამინისტრო ლაზარო ხოსე ველოსოს
წინააღმდეგ“ (ფაზენდა სან ლუიზი) სასამართლო
გადაწყვეტილება N^o. 218/2002, (30 აპრილი, 2003)**

2001 წლის იანვარში, ინსპექციის მობილურმა ჯგუფმა შეამოწმა ფაზენდა სან ლუიზი და დაადგინა, რომ მუშები იმყოფებოდნენ „არაადამიანურ პირობებში და სრულიად აღკვეთილი ჰქონდათ გადაადგილების თავისუფლება“. მუშები არ იღებდნენ ანაზღაურებას, სამედიცინო დახმარებას, სასმელად იყენებდნენ საქონლისთვის განკუთვნილ წყალს და მუდმივი სავალი ვალდებულება გააჩნდათ მიწის მესაკუთრის მიმართ. 2002 წლის ნოემბერში, შრომის სამინისტრომ გამოსცა პირველადი ვერდიქტი, რომ მიწის მესაკუთრე ლაზარო ხოსე ველოსო არღვევდა ფედერალურ კონსტიტუციას, რომელიც კრძალავს „არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას“, და ასევე, სისხლის სამართლის კოდექსის 149-ე ნაწილს. მიწის მფლობელს აღნიშნულით მიეცა დრო მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. თუმცა, მის მიერ არ იქნა უზრუნველყოფილი არსებული მდგომარეობის გაუმჯობესება მამულში და მე-8 რეგიონის შრომის რეგიონულმა ტრიბუნალმა შეუცვლელად დატოვა წინასწარი ვერდიქტი.

სასამართლო გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მუშებს მუდმივად ემართათ მიწის მეპატრონის ვალი, რადგან იგი საკვების, სამოსისა და სამუშაო იარაღების მომარაგების წყაროს წარმოადგენდა. მიუხედავად მიწის მეპატრონის მტკიცებისა, რომ სასოფლო-სასაბუღარო მსგავსი პრაქტიკა გავრცელებული იყო, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა. სასამართლომ მიიჩნია, რომ მიწის მეპატრონე მაღაზიას არ იყენებდა მუშების დასახმარებლად, პირიქით, გამოიყენებოდა „ახალი დავალიანებების გასაჩენად, რითაც მუშა მიჯაჭვული ხდებოდა მის მიწაზე“. ამრიგად, თვით აღნიშნული მაღაზია წარმოადგენდა სავალე ვალდებულების წარმოქმნისა და განმტკიცების საშუალებას.

სასამართლომ მიიჩნია, რომ საწარმოო სისტემა, რომელიც მუშის დავალიანებაზეა აგებული, სამმაგად საზიანოა. პირველ რიგში, მუშები ზარალდებიან არაადამიანური სამუშაო პირობებისგან და არ იღებენ კუთვნილ გასამრჯელოს, მეორე, ზარალდება საზოგადოება, რადგან დამსაქმებელი არ იხდის გადასახადებს ან სოციალურ კონტრიბუციებს და მე-სამე, სახელმწიფოს მხრიდან აუცილებელია საზოგადოებრივი რესურსების საგულისხმო ნაწილის ინვესტირება, რომ აღმოიფხვრას საწარმოო სისტემები, რომელიც ემყარება ვალის სანაცვლოდ გაწეულ პირად ყმობას.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. სასამართლო გადაწყვეტილებით, მიწის მფლობელს დაეკისრა 50 000 ბრაზილიური რეალის გადახდა, როგორც კომპენსაცია მშრომელთა კოლექტიური მორალური ზიანისთვის, სხვა დამატებით სასჯელთან ერთად, რომელიც დაეკისრა მას მუშების კუთვნილი ანაზღაურების გაუცემლობის გამო.



**საქმე „ფედერალური სამინისტრო ხოსე გომეს
დოს სანტოს ნეტოს წინააღმდეგ“**

**სასამართლო გადაწყვეტილება N°2007.5101.811659-4 (რიო დე ჟანეიროს
სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო, (22 აპრილი, 2008 წელი)**

როგორ შეიძლება ვალის გამოყენება, რომ მუშა კაბალურ მდგომარეობაში აღმოჩნდეს? ხოსე გომეს დოს სანტოს ნეტო დამნაშავედ ცნეს მუშების მონურ პირობებში ჩაყენებისთვის. მუშებს ქირაობდნენ ტყუილი დაპირებებით, რომ ისინი ყოველთვიურად, 600 რეალს მიიღებდნენ სათევზაო ბადეების გაყიდვით. მათ ამუშავებდნენ ყოველდღიურად, დილის 7 საათიდან საღამოს 11 საათამდე, კვირაში სულ, 112 საათი. ერთ-ერთ მუშას, ჯარბელს თავდაპირველად, დააკისრეს 4000 რეალის გადახდა „დასაქმების გადასახადის“ სახით (მგზავრობის ხარჯები და ხელფასიდან ავანსი საოჯახო ხარჯებისთვის). 4 წლის შემდეგ, როდესაც შრომის ინსპექცია ფაზენდაში შევიდა, მისი ვალი არათუ შემცირებულიყო, არამედ 4190 რეალამდე იყო გაზრდილი. ერთ მუშას საწყისი ვალი 2000 რეალი ჰქონდა, რომელიც 3000 რეალამდე იყო გაზრდილი. როგორც ველოსოს საქმეში, მუშები იძულებული იყვნენ შეეძინათ საკვები, სამოსი, სამედიცინო მარაგი და სამუშაო იარაღები მაღაზიაში, რომელიც დამქირავებლის საკუთრებას წარმოადგენდა, სადაც ფასები 25% მაღალი იყო საბაზრო ფასებზე. ასეთი დამსაქმებლები ზემოქმედებდნენ მუშათა მორალურ ვალდებულებაზე, რომლებსაც არ სურთ სამუშაოს მიტოვება, ვიდრე ვალს არ გაისტუმრებენ. თუ აღნიშნული საკმარისი არ იყო ზეწოლისთვის, ასეთი დამსაქმებლები იყენებენ მუქარას მუშების, ან მათი ოჯახების მიმართ. კონკრეტულად, ამ ფერმაში, ინსპექტორებმა გამოავლინეს მუშები, რომელთა დავალიანებაც 2000 რეალიდან – 8000 რეალამდე მერყეობდა. ყველა მუშამ განაცხადა, რომ მათ არ შეეძლოთ დამქირავებლისგან წასვლა, ვიდრე ვალს არ გაისტუმრებდნენ.

**7.1.2. პირველი საპატიმრო განაჩენი იძულებითი შრომისათვის
საქმე „ფედერალური საზოგადოებრივი სამინისტრო გილბერტო
ანდრადეს წინააღმდეგ“
სასამართლო გადაწყვეტილება N°2000.37.00.002913-2,
მარანიოს შტატის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო,
(23 აპრილი, 2008)**

2004 წლის ნოემბერში, ინსპექციის მობილურმა ჯგუფმა შეამოწმა ფაზენდა ბოა-ფე კარუ და გამოავლინა 19 მუშა, მათ შორის 16 წლის ბიჭი, რომლებიც მონურ პირობებში იმყოფებოდნენ. მუშათა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარი იყო. მათ არ ჰქონდათ სასმელი წყალი, სანიტარული პირობები, საცხოვრებლად ვარგისი გარემო და უსაფრთხოების იარაღები. ისინი იძულებულნი იყვნენ შეეძინათ საკვები და სამუშაო იარაღები მეპატრონის მაღაზიაში, ხოლო დანახარჯები ექვითებოდათ ანაზღაურებიდან. გარდა ამისა, ანდრადეს მიწაზე აღმოჩნდა უცნობი ადამიანების გვამები, თუმცა მათი გარდაცვალების მიზეზების გამოვლენა ცალკე პროცედურის მიხედვით განხორციელდა.

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლო გადაწყვეტილებით, ფედერალური სასამართლოს კომპეტენციაში შედიოდა ისეთი საქმეების განხილვა, რომელიც ეხებოდა მონობას, რადგან ისინი არღვევენ არა მარტო ადამიანის ფუნდამენტურ უფლებებს, მათ შორის, ადამიანური ღირსების კონსტიტუციის გამყარებულ უფლებას, არამედ შესაბამის საზოგადოებრივ ფასეულობებსაც და შრომითი ორგანიზაციების წესებს.

შრომის ინსპექტორებმა სასამართლოზე დაადასტურეს, რომ მათ მიერ ფაზენდაში გამოვლენილი სიტუაცია ყველაზე უარესი იყო, რაც მათ ენახათ. მუშები ცხოვრობდნენ ბრეგენტით ან თივით გადახურულ ფარდულებში, რომელსაც არ ჰქონდა კედლები ან იატაკი და მათ წვიმისგანაც კი, არ იცავდა. მათ არ ჰქონდათ სასმელი წყალი და მდინარის წყალს სვამდნენ. არ გააჩნდათ სანიტარული პირობები და ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება იმავე ადგილას უწევდათ, საიდანაც იღებდნენ წყალს საჭმლის მოსამ-

გადებლად. მათ სამუშაო დოკუმენტებზე არ იყო გაფორმებული ხელმოწერები და ინსპექციის დროისათვის, ზოგიერთ მუშას ანაზღაურება 5 თვის განმავლობაში არ ჰქონდა მიღებული. ისინი მუშაობდნენ განთიადიდან შებინდებამდე, კვირას დასვენების უფლების გარეშე. თუ ისინი არ იმუშავებდნენ, აღნიშნული საათები ორმაგი დღიური განაკვეთის ოდენობით ექვითებოდათ. მათ არ ჰქონდათ წერილების გაგზავნისა და მიღების უფლება. მათ არ გააჩნდათ გადაუდებელი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი მარაგი.

მუშებს ეკრძალებოდათ ფერმის დატოვება და ასეთი მცდელობის აღკვეთის მიზნით, მუდმივი მუქარის ქვეშ იმყოფებოდნენ. ფერმის უკიდურესად იზოლირებული მდებარეობა კიდევ უფრო შეუძლებელს ხდიდა გაქცევის მცდელობას – იგი უახლოესი ქალაქიდან 220 კილომეტრით იყო დაშორებული. მუშების გადაადგილების თავისუფლების დამაბრკოლებელი, გადაუღასავი პრობლემა სწორედ ასეთი იზოლირებულობა იყო და ისინიც, მთლიანად დამქირავებლის ნება-სურვილზე იყვნენ დამოკიდებულნი. გეოგრაფიული მდებარეობა და შიშის ფაქტორი გაქცევის შესაძლებლობას პრაქტიკულად, გამორიცხავდა.

მუშები სანცის ვალს იღებდნენ დამქირავებლის მიერ სამსახურში აყვანისთანავე. შემდეგ ვალი ხელოვნურად ნარჩუნდებოდა, რადგან მათ უნევდათ ფერმამდე მგზავრობის საფასურის გადახდა, და შემდგომში, ყველაფრის (სამოსი, საკვები, წამლები და სამუშაო იარაღები) შეძენა ფერმის მაღაზიაში, საბაზრო ფასებზე გაცილებით ძვირად.

სასამართლომ გილბერტო ანდრადე ცნო დამნაშავედ არაკანონიერი დასაქმებისთვის, ანაზღაურებადი სამსახურის შესახებ ტყუილი დაპირებების საფუძველზე, ადამიანების იძულებაში ეცხოვრათ და ემუშავათ დამამცირებელ საცხოვრებელ და სამუშაო პირობებში და მათი გადაადგილების უფლების შეზღუდვაში. სასამართლოს გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა, რომ მან ჩაიდინა აღნიშნული დანაშაულებანი დამოუკიდებლად, შეგნებულად და წინასწარ განზრახვით, ჩააყენა მუშები დამამცირებელ პირობებში მხოლოდ იმისათვის, რომ ფინანსური მოგება ენახა უფასო მუშახელის ექსპლუატაციის გზით.

► დამამძიმებელი გარემოებები

სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია ბრალდებულის ქცევა – იგი მუშებს შიშისა და ძალადობის გარემოში ამყოფებდა და დემონსტრირებულად ატარებდა იარაღს მათ დასაშინებლად. იგი ცდილობდა შეექმნა სასტიკი ადამიანის რეპუტაცია, რისთვისაც სცემდა მუშებს. შედეგად, მუშებს გაქცევის ეშინოდათ. შრომის ინსპექციის მიერ გათავისუფლებულ მუშებს არ უნდოდათ იმავე ქალაქში დარჩენაც კი, რადგან შურისძიების ეშინოდათ. ბრალდებულმა გამოავლინა ეგოისტობა და სასტიკი გულგრილობა მუშების მიმართ, როცა შეეძლო მოქცეოდა მათ კანონის შესაბამისად.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. ანდრადე დამნაშავედ სცნეს სისხლის სამართლის 149-ე (მონური შრომა), 211-ე (გვამის გადამალვა) და 207-ე (უკანონო დასაქმება) ნაწილებით და შეეფარდა 14-წლიანი პატიმრობა. სასამართლო გადაწყვეტილებით, მიუხედავად იმისა, რომ ტექნიკურად, ბრალდებულისთვის ეს პირველი კანონდარღვევა იყო, იგი აპელაციაში გასაჩივრებისას არ გაათავისუფლეს, რადგან მის მიმართ აღძრული საქმე ითვალისწინებდა რამდენიმე სხვა დანაშაულს იძულებითი შრომის მუხლით. მას ასევე, დაეკისრა გადასახადი, რომელიც ითვალისწინებს დღიური კომპენსაციის გადახდას, როგორც მოსაგებელს, იძულებითი შრომის შემთხვევებში. თავდაპირველად, სასამართლო განსაზღვრავს, თუ რამდენი დღის კომპენსაცია უნდა დაეკისროს მსჯავრდებულს, რაც დამოკიდებულია ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეზე. დღე განისაზღვრება მსჯავრდებულის ქონებრივი მდგომარეობით. თუ არ არსებობს მისი ქონებრივი მდგომარეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, დღიური კომპენსაციის ღირებულება განისაზღვრება მინიმალური ხელფასით, მაქსიმალური – 30-ჯერ დღიური ხელფასის ოდენობით.¹²⁵ გილბერტო ანდრადეს შემთხვევაში, სასამართლომ გაითვალისწინა, რომ მის საკუთრებაში იყო 7 ფერმა, 2 ბინა და ერთი საცხოვრებელი სახლი და დაადგინა, რომ დღიური კომპენსაციის ღირებულება უდრიდა მინიმალური ხელფასის ხუთმაგ ოდენობას. შესაბამისად, მას დაეკისრა 7200 მინიმალური ხელფასის გადახდა.

125 Federal Public Ministry v. Jonas Gomes do Nascimento, Judgement N°2008.00005-0-5, Penal Court of Pará, 18 Abril 2008.



კითხვები განხილვისათვის

(1) იძულებითი შრომა ბრაზილიაში ხასიათდება მამულების უკიდურესი იზოლირებულობითა და მეპატრონეთა მაღაზიების გამოყენებით, დაქირავებულთა სავალი ვალდებულებაში ჩასათრევად. იმის გათვალისწინებით, რომ სამუშაო ადგილები სასოფლო ტიპის დასახლებებშია, ადგილობრივი, მამულში არსებული მაღაზიების არსებობა აუცილებელიც შეიძლება იყოს. როგორ უნდა მიუდგეს სასამართლო საწარმოებთან არსებული მაღაზიების გამოყენებას, რომელიც კრედიტში აძლევს საქონელს მუშებს და შემდეგ ფინანსურ დამოკიდებულებაში ამყოფებს მათ დავალიანებების გამო? ოდესმე, შესაძლებელი იქნება ასეთი პრაქტიკის ლეგალიზება?

(2) გარდა სისხლისსამართლებრივი დევნისა, ხელისუფლება შეეცადა იძულებითი შრომის აღკვეთას შერცხვენის გზით – შედგა „ბინძური სიები“, სადაც შევიდა დამნაშავეთა სახელები, ისევე, როგორც დაქირავებულ მუშათა გამოვლენისა და მათი გათავისუფლების გზით. ბევრი აღნიშნულ ზომებს არასაკმარისად მიიჩნევს. მართლაც, ზემოთ განხილულ საქმეებში ბრალდებულები მანამდეც ამხილეს მონური შრომის ამკრძალველი კანონების დარღვევაში. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მიხედვით, 29 კონვენციის 25-ე მუხლის თანახმად, მთავრობებს ეკისრებათ ვალდებულება განსაზღვრონ სასჯელის ადეკვატური ზომა კანონებში და მათი მკაცრად დაცვა. ადეკვატურია ზომები, რომელიც „საკმარისად დამაჯერებელია, რომ ბოლო მოეღოს მსგავს პრაქტიკას“.¹²⁶ როგორ შეაფასებდით ბრაზილიის შესაბამისობას 25-ე მუხლთან? როგორ უნდა მოიქცნენ განმეორებითი დარღვევების ჩამდენთა მიმართ?

(3) 29 კონვენცია კრძალავს იძულებით შრომას და მოითხოვს ქვეყნებისგან მისთვის დანაშაულის კლასიფიკაციის მინიჭებას, თუმცა, კონვენცია დუმს ექსპლუატირებულ მუშათათვის კომპენსაციის გაცემის შესახებ. ბრაზილიაში, დამნაშავეებს ხშირად, ეკისრებათ კომპენსაციის გადახდა მუშებისთვის და ნაკლებად ეფარდებათ პატიმრობა. თქვენი აზრით, რა უფრო მნიშვნელოვანია? რომელი ზომა უფრო მეტად უზრუნველყოფს იძულებითი შრომის პრაქტიკის აღკვეთას?

(4) შეადარეთ იძულებითი შრომის პრაქტიკა ბრაზილიაში მონობის კრიტერიუმებთან, რომელიც განისაზღვრა კუნარაკის სასამართლო პალატის მიერ (იხ. ნაწილი 3.2.1). არსებობს სულ მცირე, ერთი მოსაზრება, რომ ბრაზილიაში მუშების მდგომარეობის საფუძველზე აუცილებელია სისხლის სამართლის საქმის აღძვრა მონობის მუხლით, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების (რომის სტატუტი) მიხედვით.¹²⁷ თქვენ როგორ შეადარებდით იძულებითი შრომის გამოცდილებას ბრაზილიაში მონობასთან დაკავშირებულ საერთაშორისო ხასიათის დანაშაულებასთან?

126 *Eradication of forced labour*, General Survey of 2007, at para. 135.

127 Bischoff, op cit., at p. 190.

გაითვალისწინეთ ბრაზილიასა და პერუში არსებული, მსგავს პრაქტიკასთან დაკავშირებით შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ექსპერტთა კომიტეტის მიერ გამოთქმული კომენტარები.

**ბრაზილიის მიერ იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის
სავარაუდო დარღვევების შესახებ შრომის საერთაშორისო
ორგანიზაციის კონვენციის 24-ე მუხლის საფუძველზე წარმოდგენილი
განაცხადის შემსწავლელი კომიტეტის ანგარიში**

24. პროფკავშირის მტკიცებით, მას შემდეგ, რაც მუშები გადაჰყავთ წარმოშობის ან მუდმივი განსახლების ადგილებიდან, ისინი დგებიან რეალობის წინაშე, როცა ნაწილობრივი ავანსის, მგზავრობის ხარჯების, სამუშაო იარაღების შესყიდვისა და სხვა ხარჯების გათვალისწინებით, მათი კონტრაქტი ემყარება დავალიანებებს. სამუშაო ადგილზე დავალიანება იზრდება, რადგან სურსათის ერთადერთი წყაროა კომპანიის კუთვნილი მაღაზია. ვალის გადახდა მუშისათვის ნიშნავს თვეებისა და წლების განმავლობაშიც კი, ანაზღაურების გარეშე შრომას.

25. მომჩივანი ორგანიზაციის მტკიცებები მოიცავს ვრცელ ინფორმაციას მონური შრომით დაკავებულ მუშათა მდგომარეობის შესახებ. ყველა შემთხვევისთვის, საერთოა მუშის სრული დამოკიდებულება, დასაქმების პირობების შეწყვეტის შეუძლებლობა დაგროვილი ვალების გამო და სამუშაოზე მოტყუებით აყვანის პრაქტიკა, რომელიც ემყარება ცრუ დაპირებებს გასამრჯელოს ოდენობის თაობაზე. გასამრჯელო, რომელიც ხშირად სამართლებრივად დაშვებულ მინიმუმზე ნაკლებია, არ ანაზღაურდება, ან გადახდა ხდება მხოლოდ ნაწილობრივ, იმ ოდენობით, რომელიც არ არის საკმარისი ვალის დასაფარად და შესაბამისად, ვალი განუწყვეტელივ იზრდება. საჩივარში წარმოდგენილი ინფორმაცია ხშირად ეხება ფიზიკური დასჯის გავრცელებულ პრაქტიკას... რომ საცხოვრებელი ხშირად დროებითია, სანიტარული მდგომარეობა – გაუსაძლისი, ხოლო სამუშაო საათები – ძალიან ხანგრძლივი (12-16 საათი დღეში) და მუშები, რომლებიც გაქცევას ცდილობენ ისტებიან წამებით (მუშების მონაყოლიდან, ვინც მოახერხა მამულებიდან გაქცევა), ალკოჰოლური სასმელების მწარმოებელი კომპანიის „CACHOEIRA“-ს შემთხვევაში (რიო ბრილანტეში), ჩვენებები ეხება მოტყუებით დასაქმებას; დოკუმენტების კონფისკაციას; გასამრჯელოს გადაუხდელობას; ფიზიკური ძალადობის (წამების) გამოყენებას შეიარაღებული მცველების მიერ იმ მუშების მიმართ, ვინც უკმაყოფილებას გამოთქვამდა; არაადამიანური სამუშაო და საცხოვრებელი პირობები; საკვები (ბრინჯი და ფქვილი) დღეში ერთხელ, რომელიც გაურეცხავ თუნუქის ქილებში ეძლეოდათ მუშებს და რომლის ხარჯიც ექვითებოდათ გასამრჯელოდან; არასრულწლოვანთა და მკვიდრი მოსახლეობის ექსპლუატაცია. კასტანალის ფაზენდაში (არიპუანაში), მუშებმა განაცხადეს, რომ არ შეეძლოთ სამუშაო ადგილის მითოვება „ვალის“ გასტუმრების გარეშე, რომელზე ვალდებულებაც ნაკისრი ჰქონდათ დამქირავებლის წინაშე, სიკვდილის მექარის შიშით. აიძულებდნენ შეეძინათ სურსათი საწარმოოს მაღაზიაში, ხოლო ხარჯები ექვითებოდათ ხელფასიდან, რომელიც არასდროს იყო საკმარისი ვალის დასაფარად.

61. იძულებითი შრომის შესახებ 29 და 105 კონვენციების საფუძველზე და მომჩივანი ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილი მტკიცებების განხილვის შედეგად, კომიტეტმა დაასკვნა, რომ მტკიცებები იმის შესახებ, რომ ზოგიერთ რეგიონსა და წარმოებაში ათასობით მუშა, მათ შორის, არასრულწლოვანი, სავალე ვალდებულებით გამოწვეული იძულებითი შრომის პირობებში იმყოფება, საფუძვლიანია, და სიტუაცია წარმოადგენს ბრაზილიის მიერ რატიფიცირებული იძულებითი შრომის შესახებ 29 და 105 კონვენციების დარღვევას.



**ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების
განხორციელების საკითხებზე (CEACR)
ინდივიდუალური დაკვირვებები 29 კონვენციის შესახებ (1930)
კომენტარი პერუში „enganche“ სისტემის შესახებ (1991)**

კომიტეტი აღნიშნავს, რომ ზოგიერთი თემი იმყოფება სავალო ვალდებულებაში (debt bondage) მსხვილ ან საშუალო აგრარულ ან/და სატყეო მეურნეობების მიმართ და შეადგენს აუნაზღაურებელ ან ნაწილობრივ ანაზღაურებად მუშახელს, რომლებზეც ვრცელდება ავანსების – „enganche“ სისტემა. ხშირ შემთხვევაში, ასეთ დამოკიდებულებას გააჩნია მონობის მახასიათებლები.

კომიტეტი ითვალისწინებს მითითებებს „enganche“ შესახებ, რომ იგი არის სისტემა, რომლის საშუალებითაც ხდება მკვიდრი მოსახლეობის/სამუშაო ძალის ექსპლუატაცია ე.წ. ავანსების საშუალებით, რომელიც მუშას გადაუხადა დამქირავებელმა და შესაძლოა გამოხატული იყოს სამუშაო იარაღებით, სურსათით ან ფულით, რომელსაც მუშა გამოიყენებს ხის დასამუშავებლად და სანყისი ვალის გასასტუმრებლად და შემოსავლის გამომუშავებისთვის ოჯახის შესანახად. ავანსისა და დარიცხული პროცენტების გადახდის ვალდებულების გამო, ადგილობრივი მუშები ექცევიან ჩაკეტილი წრის ტყვეობაში, რომელშიც ექსპლუატაცია და სიღარიბე ცხოვრების უცვლელ ნესს წარმოადგენს.

**ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების
განხორციელების საკითხებზე (CEACR)
ინდივიდუალური დაკვირვებები 29 კონვენციის შესახებ (1930)
კომენტარები პერუს შესახებ, (2008)**

კომენტარებში, რომელსაც კომიტეტი წლების განმავლობაში ამზადებდა, უთითებდა იძულებითი შრომის პრაქტიკაზე (როგორცაა მონობა, სავალო ვალდებულება ან უშუალო დამოკიდებულება), რომელიც მკვიდრი მოსახლეობის თემებს ეხებოდა, განსაკუთრებით, ატალაიას რეგიონში, ისეთ სექტორებში, როგორიცაა: სოფლის მეურნეობა, მეცხოველეობა და მეტყვეობა.

მრავალსექტორიანი კომიტეტის დასკვნით ანგარიშში აღნიშნულია, რომ „ატალაიის მკვიდრი მოსახლეობის თემები, ასევე ცნობილი არიან, როგორც „ტყვეები“ და იძულებითი ყმობის პირობებში დასაქმებულები არიან მეცხოველეობასა თუ ხე-ტყის გადამამუშავებელი მრეწველობის მსხვილ და საშუალო საწარმოებში და შეადგენენ „ავანსების“ („habilitacion“ იგივე „enganche“) სისტემის ფარგლებში უფასო ან ნახევრად ანაზღაურებად მუშახელს. აღნიშნული სისტემა გულისხმობს დამსაქმებლის მიერ ავანსის გაცემას მკვიდრ მუშაზე, რომელიც შეიძლება გამოხატული იყოს სამუშაო იარაღების, საკვებისა თუ ფულადი ერთეულებით, რომელსაც სავარაუდოდ, მუშა გაისტუმრებს და შემოსავალსაც მიიღებს. ამრიგად, სანყისი ვალისა და დარიცხული პროცენტების გადახდის ვალდებულების შედეგად, მკვიდრი მუშები ებმებიან ექსპლუატაციისა და სიღარიბის ჩაკეტილ წრეში, რომელიც მათ პერმანენტულ მდგომარეობად იქცევა“.

კომიტეტი აღნიშნავს, რომ მისი პირველადი კომენტარის საპასუხოდ, მთავრობამ განაცხადა, რომ მას არ დაკისრებია რაიმე სასჯელი იძულებითი შრომასთან დაკავშირებით. იმის გათვალისწინებით, რომ მსგავსი სიტუაციების არსებობა დადასტურდა, სასჯელის არარსებობა მიუთითებს სასამართლო სისტემის უუნარობაზე, აღკვეთოს მსგავსი პრაქტიკა და დასაჯოს დამნაშავენი.

7.2. ამერიკის შეერთებული შტატები

ამერიკის შეერთებულ შტატებში იძულებითი შრომის შესახებ მრავალი საქმეა აღძრული, რომელიც ასახავს ქვეყნის კლასიკური მონობის გამოცდილებას და მის საკანონმდებლო და სამართლებრივ მცდელობებს მეცხრამეტე საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული, რომელიც მიმართულია მონობის მსგავსი პრაქტიკის აღმოფხვრისაკენ. გარდა ამისა, გარკვეული ინდივიდუალური პროცედურული და ნორმატიული გარემოებების გამო, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებმა განიხილა სამოქალაქო საქმეები, რომელიც მიმართული იყო იძულებითი შრომის წინააღმდეგ სხვა ქვეყნებში. აღნიშნული სარჩელები განიხილებოდა უშუალოდ, *იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის* ან *საერთაშორისო ჩვეულებით სამართალზე* დაყრდნობით. ამიტომ, იძულებითი შრომა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში ორ სრულიად განსხვავებულ კონტექსტში განიხილება. საქმე განიხილება *საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის მიხედვით*, *შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტის შესახებ* აშკარა ან ფარული მითითებით და ასევე, სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტების ფარგლებში, რომელიც იძულებით ყმობას, ვალთ განპირობებულ მოჯამაგირეობას და იძულებით შრომას კრძალავს. წინამდებარე ნაწილი ეძღვნება სამართლებრივ ნორმებს იძულებითი შრომის შესახებ, როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივი კონტექსტის მიხედვით.

7.2.1. იძულებითი შრომა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო კანონის დარღვევებისათვის

ამერიკის შეერთებული შტატები არ მიერთებია *კონვენციას იძულებითი შრომის შესახებ* (1930 წ. № 29), თუმცა, მის მიერ რატიფიცირებულია *კონვენცია იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ* (1957 №105). მიუხედავად ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში აღიძვრება საქმეები იძულებითი შრომის საკითხებზე, *უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის* ფარგლებში.¹²⁸ იმის მიუხედავად, რომ კონგრესის მიერ 1789 წელს დამტკიცდა, თითქმის ორი საუკუნის წინათ, იგი უყურადღებოდ იყო დატოვებული. 1980 წელს, მეორე ოლქის სააპელაციო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „ფილარტეგა პენა ირაალას წინააღმდეგ“. მოკლული სტუდენტის დამ და მამამ შეიტანა სარჩელი პენა ირაალას, პოლიციის ოფიცრის წინააღმდეგ, სადაც ამტკიცებდნენ, რომ მას ეკისრებოდა პასუხისმგებლობა წამებასა და მკვლელობაზე. როგორც ერთ-ერთმა ექსპერტმა აღნიშნა: „შეუძლებელია ამ გადაწყვეტილების მნიშვნელობის ზედმეტად შეფასება. ფილარტეგამ გამოიყენა კანონი, რომელიც აქამდე არ ყოფილა გამოყენებული და მისი საშუალებით დაადგინა შესაგებელი ამერიკის შეერთებული შტატების ფედერალურ სასამართლოში ადამიანის უფლებათა მძიმე დარღვევების წინააღმდეგ, რომელიც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის კომპეტენციებს ეტოლდება.“¹²⁹

ფილარტეგადან მოყოლებული, ადამიანის უფლებათა დამცველები იყენებენ კანონს, როგორც ინსტრუმენტს, საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებათა წინააღმდეგ, წარმატებით ამტკიცებენ რა, რომ იგი ეხება, როგორც იურისდიქციას ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოში, ასევე ადამიანის უფლებათა დარღვევების შესახებ საქმის აღძვრის საფუძველია საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ფარგლებში. ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოების იურისდიქციით აღიარებულია რამდენიმე საერთაშორისო ინსტრუმენტი.¹³⁰ *უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების*

128 სტატუტი ზოგჯერ მოიხსენიება როგორც აქტი *უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ*. იგი ითვალისწინებს, რომ ამერიკის ფედერალურ სააგენტოებს „გააჩნია იურისდიქცია ნებისმიერ საქმეზე, უცხოელთა მიერ ჩადენილ სამოქალაქო სამართალდარღვევათა შესახებ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა დარღვეულია საერთაშორისო სამართალი ან ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეკრულება. აშშ-ს კანონთა კრებული, 28-ე თავი, 1350-ე მუხლი.

129 Virginia Monken Gomez, „The Sosa Standard: What Does it Mean for Future ATS Litigation?“, 33 in *Pepperdine Law Review*, Vol. 33, January 2006, pp. 469, 473.

130 საერთაშორისო ნორმებზე დაფუძნებული სასამართლო გადაწყვეტილებები: see *Filartiga v. Pena-*



შესახებ კანონის საფუძველზე, საქმის აღძვრისთვის აუცილებელია სამი კრიტერიუმის დაკმაყოფილება, კერძოდ: (1) მოსარჩელე უცხოელია; (2) სავარაუდოდ, დარღვეულია სამოქალაქო უფლებები; (3) დარღვეულია საერთაშორისო სამართლის, ე.ი. საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმები.¹³¹ ბოლო ელემენტმა ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებში გაურკვევლობა გამოიწვია და ნაწილობრივ, განმარტა ამერიკის შეერთებული შტატების უზენაესმა სასამართლომ ბოლოდროინდელი გადაწყვეტილებით საქმეზე „სოსა ალვარეს – მაჩაინის წინააღმდეგ“, US 692 (2004). იძულებითი შრომის შესახებ ორი ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება, რომელიც უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის საფუძველზე იქნა მიღებული არის საქმე „დოელი „უნიკალ კორპორაციის“ წინააღმდეგ“, რომელიც მიანმაში იძულებითი შრომის ფაქტებს ეხებოდა და საქმე „როე ბრიტანეთის წინააღმდეგ“, რომელიც ლიბერიაში კაუჩუკის პლანტაციის მუშებს ეხებოდა და წარმოადგენდა პირველ საქმეს, რომელიც გადაწყდა უზენაესი სასამართლოს მიერ „სოსას“ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ. ჩვენ აღნიშნულ საკითხებს სიღრმისეულად განვიხილავთ და ასევე, გადავხედავთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იძულებითი შრომის შესახებ ამერიკაში.

7.2.2 იძულებითი შრომა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევა

საქმე „ივანოვა „ფორდ მოტორ კომპანის“ წინააღმდეგ“, 67 F. Supp 2d 424 (D.N.J. 1999)

ფაქტობრივი გარემოებები. ეს ერთ-ერთი იმ საქმეთაგანია, რომელიც ეხებოდა იძულებითი შრომის გამოყენებას გერმანიისა ან/და იაპონიის ხელისუფლებისა და კორპორაციების მიერ მეორე მსოფლიო ომის დროს.¹³² მიუხედავად იმისა, რომ სასამართლომ საბოლოოდ არ დააკმაყოფილა სარჩელი რამდენიმე გარემოების, მათ შორის, ხანდაზმულობის გამო, ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა დადგინდა კანონის იურისდიქცია „ფორდ მოტორ კომპანიაზე“ და მის გერმანულ ფილიალზე „ფორდ ვერკე AG“, როგორც კერძო მხარეზე, მოსარჩელის საჩივართან მიმართებაში იძულებითი შრომის შესახებ.

მოსარჩელე ამტკიცებდა, რომ იგი გაიტაცა ნაცისტურმა ჯარებმა რუსეთიდან და გერმანიაში გადაიყვანა, სადაც „ფორდ ვერკეს“ წარმომადგენელმა შეისყიდა იგი და გადააგზავნა „ფორდ ვერკეს“ ქარხანაში, კიოლნში.

კიოლნში ყოფნისას, „ფორდ ვერკემ“ ივანოვა განათავსა დაახლოებით, სამოცდახუთ უკრაინელ დეპორტირებულთან ერთად ხის ბარაკში, სადაც არ იყო გათბობა, წყალმომარაგება და სანიტარული წერტილები. მათ ეძინათ სამსართულიან სანოლებზე, ქვეშაგებელის გარეშე, ხოლო ღამით

Irala, 630 F.2d 876 (2d Cir. 1980) (წამება); *Hilao v. Estate of Marcos*, 103 F.3d 789 (9th Cir. 1996) (თვითნებური დაკავება, წამება); *Abebe-Jira v. Negewo*, 72 F.3d 844 (11th Cir. 1996) (არასამართლებრივი ანგარიშსწორება, წამება, თვითნებური დაკავება); *Kadic v. Karadzic*, 70 F.3d 232 (2d Cir. 1995) (გენოციდი, ომის დანაშაულებები); *Xuncax v. Gramajo*, 886 F. Supp. 162 (D. Mass. 1995) (წამება, არასამართლებრივი ანგარიშსწორება, გაუჩინარება და თვითნებური დაკავება) „ფილარტეგას“ საქმეში, მოპასუხემ თავი აარიდა დაკისრებული ვალდებულების შესრულებას, როცა საქმე დაბრუნდა პირველი ინსტანციის სასამართლოში. პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება ფილარტეგას ოჯახის სასარგებლოდ და მიაკუთვნა მათ 10 მილიონი აშშ დოლარის კომპენსაცია მიღებული ზარალისთვის, თუმცა, კომპენსაციის ამოღების პროცესი წარუმატებლად დასრულდა. „ფილარტეგას“ საქმის შემდეგ, მოსარჩელებმა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, როგორიცაა არგენტინა, ბოსნია, ჩილე, ელ სალვადორი, ეთიოპია, გვატემალა, ჰაიტი, მიანმა და ფილიპინები. ასევე მიმართეს სარჩელით სასამართლოს. უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის (ATS) გამოყენების შესახებ, იხილეთ: Beth Stephens, „The Door is Still Ajar“ for Human Rights Litigation in US Courts“, in *Brooklyn Law Review*, Vol. 70, 2004-2005 p. 533; Virginia Monken Gomez, op. cit.; Elizabeth Defeis, „Litigating Human Rights Abuses in United States Courts: Recent Developments“, in *ILSA Journal of International & Comparative Law*, Vol. 10, 2004, p. 319.

131 *Kadic v. Karadzic*, 70 F.3d 232, 238 (2d Cir. 1995).

132 *In re World War II Era Japanese Forced Labor Litigation*, 164 F. Supp. 2d 1160 (N.D. Cal. 2001) (საქმის შეწყვეტა სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის შესახებ სტატუტის საფუძველზე); *Deutsch v. Turner Corp.*, 324 F.3d 692 (9th Cir. 2003); (სახელმწიფო სტატუტის არაკონსტიტუციურობის ცნობა, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლებრივი დევნის ხანდაზმულობის შესახებ სტატუტის მოქმედების ვადას მსგავსი სარჩელების შემთხვევაში).

მათ კეტავდნენ. 1942-1945 წლებში „ფორდ ვერკე“ ივანოვასაგან მოითხოვდა მძიმე ფიზიკური შრომის შესრულებას კიოლნის ქარხანაში. ივანოვას მოვალეობაში შედიოდა სამხედრო-სატვირთო მანქანების ძრავის ბლოკებში ხვრელების ჩარხვა. იძულებით მომუშავეებზე ზედამხედველობას აწარმოებდნენ „ფორდ ვერკეს“ უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები, და ზოგჯერ, რეზინის ხელკეტებს იყენებდნენ მათ საცემად, ვინც სანარმოო ნორმას ვერ ასრულებდა.¹³³

ივანოვა ეყრდნობოდა ჰააგის კონვენციასა და ჟენევის მეოთხე კონვენციას, როგორც საერთაშორისო ჩვეულებით სამართალს, თუმცა, მისი სარჩელი უშუალოდ საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის საფუძველზე იყო აგებული.

სამართლებრივი ანალიზი. სასამართლო გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ „აუნაზ-ლაურებელი, იძულებითი შრომის გამოყენება მეორე მსოფლიო ომის დროს აშკარად საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით დადგენილ ნორმების დარღვევას წარმოადგენდა. საჩივარი ამტკიცებს, რომ ივანოვა „პრაქტიკულად გაყიდეს“... მსგავსი მტკიცებები საკმარისია მომჩივანის მონაწილეობის დასამტკიცებლად მონობით ვაჭრობაში... საერთაშორისო სამართლის ყველა წყარო ნათლად მიუთითებს, რომ ომის დროს, სამოქალაქო პირთა დამონება საერთაშორისო სამართლის დარღვევაა“¹³⁴ და დამონების შესახებ დასკვნის გასამაგრებლად, სასამართლომ მოიყვანა ნიურნბერგის პრინციპები და სამართლის რომის სტატუტი.

შემდეგ, სასამართლომ განიხილა მოპასუხე მხარის არგუმენტი, რომ *უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონი* ეხება მხოლოდ სახელმწიფო სუბიექტებს. სასამართლომ დაადგინა, რომ იგი „უმეტესწილად ეთანხმებოდა“ სხვა სასამართლო გადაწყვეტილებებს, რომ მონობით ვაჭრობა დანაშაულია, რომელიც საერთაშორისო სამართლით ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას ითვალისწინებს. დასკვნაში აღნიშნულია, რომ *საგარეო ურთიერთობათა შესახებ კანონის (მესამე) შესწორებული ვარიანტის 702 და 404 ნაწილები* კრძალავს მონობას და მონებით ვაჭრობას. თუმცა, საბოლოოდ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა აღნიშნული სარჩელი. სასამართლომ დაადგინა, რომ ივანოვამ წარმოადგინა სახელმწიფოს მიერ საკმარისი ქმედება. „სარჩელი ამტკიცებს, რომ მოპასუხეები მოქმედებდნენ ნაცისტური ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად, სამოქალაქო პირთა ექსპლუატაციისათვის. აღნიშნული წარმომადგენს მტკიცებას, რომ მოპასუხეები სახელმწიფო სუბიექტებია და ამიტომ ეკისრებათ პასუხისმგებლობა *კანონის* ნებისმიერი ინტერპრეტაციის შემთხვევაში.“¹³⁵

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. მოპასუხეებს უარი ეთქვა შუამდგომლობაზე სარჩელის ძირითად ნაწილში, თუმცა, შუამდგომლობა არასაკმარისი დასაბუთებულობის გამო ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, საჩივარი სრულად არ დაკმაყოფილებულა.

კითხვები განხილვისათვის

(1) კანონის შესწორებული ვერსია კრძალავს მონობასა და მონობით ვაჭრობას, თუმცა არ ახსენებს იძულებით შრომას. მიაქციეთ ყურადღება, რომ სასამართლომ „იძულებითი შრომის“ შესახებ მტკიცება ჩამოაყალიბა, როგორც „მონობით ვაჭრობა“. საჭირო იყო თუ არა ამის გაკეთება ვერდიქტის გამოტანისთვის?

(2) აუცილებელია თუ არა, რომ სასამართლოებისა და ექსპერტ-ანალიტიკოსებმა დაიცვან განსხვავება მონობასა და იძულებით შრომას შორის? პრაქტიკაში რა შედეგი მოაქვს მსგავს დაყოფას/განსხვავებას?

133 67 F. Supp. 2d at 433-434.

134 Ibid. at 440.

135 5 Ibid. at 445-446.



7.2.3 დამსაქმებლის მიმართ ვალის არარსებობა, როგორც იძულებითი შრომის არარსებობა საქმე „დოე „გეფ“-ის წინააღმდეგ, გადაწყვეტილება 2001 WL 1842389 (D.N. Mar. 1. 2001)

ფაქტობრივი გარემოებები. მოსარჩელებმა, ჩინური სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა ამერიკის ტერიტორიაზე, საიპანში შეიტანა სარჩელი იმ ფაბრიკებისა (შემდგომში „კონტრაქტორი მოპასუხეები“ და სამკერვალო კომპანიების (შემდგომში „საბითუმო მოვაჭრე მოპასუხეები“) წინააღმდეგ, რომლებიც მათ მიერ წარმოებულ ტანსაცმელს ყიდულობდნენ. მოსარჩელე მხარე ამტკიცებდა, რომ დარღვეულია შრომის მრავალი კანონი, მათ შორის, *უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონიც*, იძულებითი შრომის გამოყენებით. მუშები ამტკიცებდნენ, რომ მათ აიძულებდნენ შრომას დავალიანების სანაცვლოდ, რომელიც მათ ემართათ დამსაქმებლების მიმართ. სარჩელში ნათქვამი იყო, რომ:

მათ მუდმივად ეშინიათ იმისა, რომ დამქირავებლები განყვეტენ მათთან შრომით ურთიერთობას, რის გამოც ვეღარ შეძლებენ მუშაობის გაგრძელებას, დაექვემდებარებიან დეპორტაციას და მათი დასაქმებისთვის გადასახდელი ვალი, რომელიც დაქირავებისას აიღეს, კიდევ უფრო გაიზრდება.¹³⁶

სამართლებრივი ანალიზი. მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელები ასევე ამტკიცებდნენ, რომ მათ ეკრძალებოდათ გადაადგილება ფაბრიკის პერიმეტრის მიღმა, ზოგიერთი მათგანი მოხვდა ცრუ პატიმრობაში, ხოლო ერთ-ერთი მოპასუხე ფიზიკური ანგარისწორებით დაემუქრა თანამშრომლებს და მათ ოჯახებს ჩინეთში. სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი არასათანადოდ იყო წარმოდგენილი იძულებითი ყმობის ნაწილში და უფრო მნიშვნელოვანი იყო მათი დავალიანება დამსაქმებელთა მიმართ. სასამართლომ მოსარჩელის განცხადებიდან შემდეგი ნაწილი გამოყო:

[მოპასუხეები] ემუქრებიან დათხოვნით ან ხელფასის დაკავებით, უმეტესწილად, უკანონოდ და არასამსახურებრივი მიზეზების გამო, არამედ იმისთვის, რომ უზრუნველყონ მუდმივი დომინანტობა და [მოსარჩელეთა] სიცოცხლეზე კონტროლი გამუდმებით იმის მტკიცებით, რომ კონტრაქტორ-მოპასუხეებს აბსოლუტური ძალაუფლება გააჩნიათ დაქირავებულ მუშახელზე. ამასთან მუშათა ნებისმიერი მცდელობა დაეცვათ საკუთარი უფლებები ან გამოეხატათ პროტესტი ცუდი მოპყრობის გამო, იწვევს მკაცრ რეაქციას; მუშები ხშირად ისჯებიან ფაბრიკიდან გაძევებითა და ბარაკებში გამომწყვდევით ერთიდან ოთხ დღემდე ანაზღაურების დაკავებით, ან საერთოდ დათხოვნით და დეპორტირებით (ამგზავრებენ თვითმფრინავით). მსგავსი ქმედებების ეკონომიკური შედეგია [მოსარჩელების] ეკონომიკური და ფსიქოლოგიური დამოკიდებულება კონტრაქტორებზე — მოპასუხეებზე, რადგან თუ მუშებს დაითხოვენ, მათი დასაქმებისთვის გადახდილი თანხა არ უბრუნდებათ, ან ავტომატურად იქცევა დავალიანებად და ისინი დანაზოგს კარგავენ.

სასამართლომ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მოსარჩელები „აკეთებდნენ არჩევანს, რომ ემუშავათ“, ანახლებდნენ ერთწლიანი დასაქმების კონტრაქტებს და დაასკვნა, რომ აღნიშნულის მიზეზი იყო ვალი და არა მუქარა და ფიზიკური და იურიდიული ბეწოლა.

► საჯარო კაბალა

სასამართლოს მიერ არაერთხელ იქნა დადგენილი, რომ სამსახურიდან წამოსვლით გამოწვეული ფინანსური შედეგები წარმოადგენს არჩევანს არასათანადო პირობებში მუშაობის გაგრძელებასა და სამუშაოს შეწყვეტას შორის. მიუხედავად იმისა, რომ ეს არ არის სასიამოვნო არჩევანი, მაინც არჩევანია. თუმცა, როცა შრომა მიბმულია დავალიანებაზე დამქირავებლის

¹³⁶ 2001 WL 1842389 at * 21.

მიმართ და დამქირავებელი ფიზიკურ პირს მიმართავს, რომ აიძულოს მუშა იშრომოს, ვიდრე არ გაისტუმრებს ვალს, ან როცა სამუშაოს შეუსრულებლობით გამოწვეული შედეგები და შესაბამისად, ვალის გაუსტუმრებლობა იმდენად სავალალოა და ჩვეულებითი სამართლებრივი თავდაცვის საშუალებებს მიღმა, რომ მუშა იძულებულია იშრომოს, დგება მოჯამაგირეობის მდგომარეობა და ეს წარმოადგენს მოსარჩელის მტკიცებების არსს.

იმის მიუხედავად, რომ სასამართლო დადგენილებით მოსარჩელემ საკმარისი ფაქტები წარმოადგინა მოჯამაგირეობის მდგომარეობის დასაბუთებლად, სასამართლომ უარი თქვა სარჩელის განხილვაზე „იძულებითი შრომის შესახებ უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ“ კანონის ფარგლებში.

არგუმენტაციის დროს მცირედი იყო განსხვავება „მონობასა“ და „იძულებით შრომას“ შორის. სასამართლომ აღნიშნა, რომ სხვა სასამართლოებმა დაადგინა, რომ მხოლოდ „გენოციდი, ომის დანაშაულებანი და მონობა“ შეიძლება გახდეს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი. რამდენადაც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ შეძლო სარჩელის წარდგენა „უფრო ნაკლებად აღმაშფოთებელი ქმედების — იძულებითი ყმობის ფაქტზე“, მან არ ჩათვალა საჭიროდ იმის დადგენა, უტოლდებოდა თუ არა იძულებითი შრომა მონობას.

მას შემდეგ, რაც ნაწილობრივ უარი ეთქვათ მოპასუხეებს შუამდგომლობაზე, კერძოდ, არ განხილულიყო მოსარჩელის პირველი შესწორებული განაცხადი, მოსარჩელემ შეიტანა მეორე შესწორებული სარჩელი. სასამართლომ მოისმინა მოპასუხე მხარის არგუმენტი საჩივრის დაუკმაყოფილებლობის მოთხოვნის შესახებ და შეცვალა საწყისი გადაწყვეტილება მოჯამაგირეობის მდგომარეობის შესახებ, რადგანაც გაირკვა, რომ დავალიანება არსებობდა არა მოპასუხეების, არამედ დასაქმების სააგენტოების მიმართ.

▶ **დავალიანება, მაგრამ არა დამსაქმებლის მიმართ**

სასამართლო ადგენს, რომ მოსარჩელემ არასათანადოდ წარმოადგინა სარჩელი მოპასუხეთა მიმართ მოჯამაგირეობის მდგომარეობის არსებობის შესახებ. თავდაპირველად, სასამართლომ მიიჩნია, რომ ვალი დამსაქმებელი სააგენტოს მიმართ წარმოადგენდა ვალს უშუალოდ დამსაქმებლის მიმართ. თუმცა, მეორე შესწორებული სარჩელი არ შეიცავს საკმარის მტკიცებულებებს, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება დავასკვნათ, რომ ვალი დამსაქმებელი სააგენტოს მიმართ წარმოადგენდა ვალს უშუალოდ დამქირავებლის მიმართ... მოსარჩელეთა არგუმენტი, რომ სამუშაო შეთანხმება აიძულებს მათ იმუშაონ სამუშაო კონტრაქტების ვადის ამოწურვამდე, იმის გამო, რომ მისი მიტოვების შემთხვევაში ეკონომიკური სიდუხჭირის წინაშე აღმოჩნდებიან, საკმარისი არ არის სარჩელის განსახილველად მოჯამაგირეობის მდგომარეობის კუთხით, რადგან მოსარჩელებს ჯერ კიდევ არ დაუსაბუთებიათ, რომ არსებობს დავალიანება მოპასუხეთა მიმართ და მოსარჩელებს არ გააჩნიათ სხვა არჩევანი გარდა იმისა, რომ იმუშაონ დავალიანების გასასტუმრებლად.¹³⁷

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. მოჯამაგირეობის მდგომარეობის (condition of peonage) და იძულებითი ყმობის (involuntary servitude) ნაწილში სარჩელის დაუკმაყოფილებლობის გამო საქმე გაგრძელდა სხვა სარჩელების საფუძველზე. მხარეები საბოლოოდ შეთანხმდნენ, რომ ჩამოყალიბდებოდა 20 მილიონი დოლარის ოდენობის ფონდი 30 000 მუშის ხელფასის გადასახდელად და მონიტორინგის დამოუკიდებელი სისტემის შესამუშავებლად, არამექანიზებულ ქარხნაში მუშაობის ბოროტად გამოყენების აღმოსაფხვრელად. 20 მილიონი დოლარიდან, 5.8 მილიონი განკუთვნილი იყო უშუალოდ მუშებისთვის ანაზღაურების გასაცემად.¹³⁸

137 *Does I v. The Gap*, 2002 WL 1000068 (D.N.Mar.I.) at * 17.

138 საქმის შესახებ სრული ინფორმაცია იხილეთ: www.globalexchange.org/campaigns/sweatshops/saipan („The Saipan Victory“). ინფორმაცია, თუ როგორ განვითარდა მოვლენები საქმის მორიგებით დასრულების შემდეგ, იხილეთ: Rebecca Clarren, „Paradise Lost: Greed, Sex Slavery, Forced Abortions and Right-Wing Moralists“, in *Ms. Magazine*, Spring 2006. საქმის მორიგებით დასრულების მიზეზი ძირითადად, სასამართლო დასკვნა გახდა, სადაც მოსარჩელემ საკმარისად დაასაბუთა ის ფაქტი, რომ საბითუმო მოვაჭრეები

(1) სასამართლომ მიიჩნია ერთობ მნიშვნელოვნად ის ფაქტი, რომ მოსარჩევეები სისტემატურად ანახლებდნენ შრომით კონტრაქტებს. ეს იმაზე მეტყველებს, რომ ისინი ირჩევდნენ მუშაობის გაგრძელებას. მეორე მხრივ, ეს ასევე მეტყველებს იმაზე, რომ შესაძლებელი იყო მოჯამაგირეობის მდგომარეობის არსებობაც, იმ შემთხვევაში, თუ დავალიანება იქნებოდა უშუალო დამსაქმებელთა მიმართ. თუ შრომითი კონტრაქტის იძულებით გაგრძელება დავალიანების გამო შესაძლოა გულისხმობდეს მოჯამაგირეობის მდგომარეობის (condition of peonage) არსებობას, რატომ არ არის საკმარისი იძულებითი ყმობის (involuntary servitude) დასაბუთება?

(2) გადახედეთ ციტატას ზემოთ მოტანილი „კლიატის“ საქმიდან, სადაც უზენაესმა სასამართლომ მოჯამაგირეობის მდგომარეობა (condition of peonage) და იძულებითი ყმობა (involuntary servitude) ერთმანეთს გაუთანაბრა. ასევე გადახედეთ სავალო კაბალის (debt bondage) განმარტებას, რომელიც მოცემულია მონობის გაუქმების შესახებ კონვენციაში. სასამართლოს ეს გადაწყვეტილება მეტყველებს თუ არა მოჯამაგირეობის მდგომარეობის (condition of peonage) არასწორ ინტერპრეტირებაზე?

(3) სასამართლო აცხადებს, რომ სამუშაოს გაგრძელება არასასიამოვნო პირობებში და უარყოფითი ფინანსური შედეგების წინაშე დადგომა სამსახურის დაკარგვის შედეგად, წარმოადგენს არჩევანს, რომელსაც აკეთებს დასაქმებული პირი. როგორ მიგაჩნიათ, ექსპერტთა კომიტეტი დაეთანხმებოდა ამ განცხადებას? რას იტყვით ინდოეთის უზენაეს სასამართლოზე? თქვენ ეთანხმებით სასამართლოს პოზიციას?

[illegible]

80

7.2.4. ტრეფიკინგი და იძულებითი შრომა

საქმე „ჯეინ დოუ რედის წინააღმდეგ“

გადაწყვეტილება 2003 WL 23893010 (N.D.Cal. 2003)¹³⁹

ფაქტობრივი გარემოებები. წინამდებარე საქმე კარგი მაგალითია, თუ როგორ შეიძლება ტრეფიკინგისა და იძულებითი შრომის სარჩელი ერთ საქმეში გაერთიანდეს.¹⁴⁰ იგი ასევე, წარმოადგენს უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის (Alien Tort Statute) გამოყენების უჩვეულო შემთხვევას, რადგან მოვლენათა უმეტესობა ამერიკის შეერთებულ შტატებში განვითარდა. თერთმეტი მოსარჩელე, ყველა მათგანი იყო გოგონა ან ახალგაზრდა ქალი, ამტკიცებდა, რომ ლაქირედი ბალი რედმა, მისი ოჯახის წევრებმა და მისი უძრავი ქონების სააგენტოს თანამშრომლებმა მოტყუებით ჩამოიყვანეს ისინი ამერიკის შეერთებულ შტატებში ინდოეთიდან ტყუილი დაპირებებით, რომ მათ მიეცემოდათ განათლებისა და დასაქმების საშუალება. თუმცა, ქვეყანაში ჩამოსვლის შემდეგ, მოპასუხეებმა აიძულეს ისინი ემუშავათ არანორმირებული სამუშაო განრიგით, უმძიმეს პირობებში, ადგილი ჰქონდა სქესობრივ ძალადობას და მათ ფიზიკურად უსწორდებოდნენ. „მოპასუხეები იყენებდნენ მოსარჩელეთა ახალგაზრდობასა და გამოუცდელობას, კასტურ მდგომარეობას, სიღარიბეს, ამერიკის შეერთებული შტატების სამართლებრივი სისტემის და ინგლისური ენის უცოდინრობას და საიმეგრაციო სტატუსს მოპასუხეთა პირადი სიამოვნებისა და სარგებელის მისაღებად“.¹⁴¹ სხვა ფაქტებთან ერთად, მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ მოპასუხეთა ქცევა არღვევდა კონსტიტუციის მეცამეტე შესწორებას (კრძალავს მონობას) და საერთაშორისო კანონს იძულებითი შრომის, სავალო ვალდებულების და ადამიანთა ტრეფიკინგის შესახებ სარჩელის მეოთხე ნაწილში გამოყენებულია იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის განმარტება იძულებითი შრომის შემადგენელი ელემენტების შესახებ. მეხუთე პუნქტში ციტირებულია კონვენცია იძულებითი შრომის შესახებ, და სხვა საერთაშორისო ინსტრუმენტები, მოჭამაგირეობის მდგომარეობის (condition of peonage) და იძულებითი ყმობის (involuntary servitude) შესახებ, რომელიც საერთაშორისო სამართლის დარღვევაა.

**ამონარიდი მეორე შესწორებული განაცხადიდან
მეოთხე პუნქტი: მოსარჩელეთა მოჭამაგირეობის,
იძულებითი ყმობისა და იძულებითი შრომის შესახებ**

150. როგორც აღინიშნა, მოპასუხეები იყენებდნენ ძალას, მუქარას და დაშინებას მოსარჩელეთა ტყვეობაში დასატოვებლად, აიძულებდნენ ემუშავათ მოპასუხეთათვის კანონით გათვალისწინებული სრული ან ადეკვატური ანაზღაურების გარეშე. მოპასუხეები შეთანხმების ძალით აიძულებდნენ მოსარჩელებს ემუშავათ მუქარისა და პრაქტიკული დასჯის საფრთხის ქვეშ, რომელიც მოსარჩელებს ფიზიკურ, სქესობრივ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და ფსიქოლოგიურ ზიანს აყენებდა.

სამართლებრივი ანალიზი. მოპასუხეები ამტკიცებდნენ, რომ იძულებითი შრომის შესახებ მტკიცებები უნდა უტოლდებოდეს „ფაქტობრივ მონობას“, რომ გახდეს სასამართლო განხილვის საგანი. სასამართლო არ დაეთანხმა და განაცხადა, რომ მრავალი საქმისა და საერთაშორისო ინსტრუმენტის საშუალებებით, დადგინდა, რომ „მონობის თანამედროვე ფორმები არღვევს საერთაშორისო იმპერატიული სამართლის ნორმებს, არა ნაკლებ, ვიდრე ისტორიული მონური შრომა“.¹⁴² მოპასუხე მხარე ასევე ამტკიცებდა, რომ „არ არსებობს მტკიცებულებები, რომ [მოსარჩელები] იმყოფებოდნენ ტყვეობაში საროსკიპოში ან ექვემდებარებოდნენ მძიმე შრომას არამექანიზებულ ქარხნებში“.

¹³⁹ რამდენადაც აღნიშნული გადაწყვეტილება არ გამოქვეყნებულა, მას არ გააჩნია პრეცედენტული სამართლის სტატუსი ამერიკის შეერთებული შტატების სასამართლოებისთვის. აქ მოგვყავს მხოლოდ სამართლებრივი განსჯის მაგალითად იძულებითი შრომის საკითხის გარშემო.

¹⁴⁰ თანმდევი სისხლის სამართლის საქმეზე გადაწყვეტილება მიღებულ იქნა აშშ კანონთა კრებულის მე-18 თავის 1584-ე მუხლის საფუძველზე (იძულებითი ყმობა) და მოპასუხე მხარე დამნაშავედ იქნა ცნობილი.

¹⁴¹ 2003 WL 23893010 at N°1.

¹⁴² Ibid. at N° 8.



სასამართლომ არც ეს შუამდგომლობა დააკმაყოფილა:

ამჟაბაა, რომ საჩივარი ეხება იძულებით შრომას, რომელიც აკრძალულია საერთაშორისო სამართლით. იგი აკმაყოფილებს [სათანადო პროცესუალურ] მოთხოვნებს, რადგან განმარტავს თუ როგორ ჩამოიყვანეს მოსარჩელები ამერიკის შეერთებულ შტატებში და აიძულებს ემუშავათ სურვილის წინააღმდეგ, როგორ აიძულებდნენ მოპასუხეები მუშაობას მუქარის, ფიზიკური და სქესობრივი ძალადობის, თაღლითობისა და უკანონო, შეუფერებელი სამუშაო პირობების შექმნის გზით. აღნიშნული მტკიცებულებები საკმარისია, რომ აღიძრას სარჩელი იძულებითი შრომის, სავალო ვალდებულებისა და ტრეფიკინგის დანაშაულის ფაქტებზე.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. სასამართლომდე მხარეები მორიგდნენ 8.9 მილიონ აშშ დოლარზე. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეში, რედი დამნაშავედ ცნეს შეთქმულებისა და არასრულწლოვანთა გადაყვანისთვის უკანონო სქესობრივ საქმიანობაში ჩასაბმელად და დააკისრეს 2 მილიონი აშშ დოლარის გადახდა ოთხი დაზარალებულისთვის სისხლის სამართლის დანაშაულის კომპენსაციის სახით.¹⁴³

7.2.5. არასახელმწიფოებრივ სუბიექტთა ინდივიდუალური პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულობებისათვის საქმე „დოე „უნიკალ კორპორეიშენის წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება 395 F.3d 978 (9th Cir. 2003)

ფაქტობრივი გარემოებები. ბირმის სოფლების მაცხოვრებლებმა შეიტანეს სარჩელი მიანმას მთავრობისა და ამერიკული ნავთობკომპანიის „უნიკალის“ წინააღმდეგ მიანმას სამხედრო ძალების წარმომადგენელთა მიმართ ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტებზე, რომელიც ნავთობსადენის პროექტის ხელშეწყობის მიზნით იქნა ჩადენილი.¹⁴⁴ რაიონულმა სასამართლომ დააკმაყოფილა მოპასუხეთა შუამდგომლობა საქმის გამართვის უფლებითი წესით წარმოების მოთხოვნის შესახებ.¹⁴⁵ ძირითადი საკითხი იყო „უნიკალის“ პასუხისმგებლობა სამართალდარღვევებზე, რომელიც ჩადენილი იქნა მოსარჩელეთა მიმართ მიანმას სამხედრო მოსამსახურეთა მიერ გაზის მილსადენის პროექტის ხელშეწყობის მიზნით. მილსადენის პროექტი იყო ერთობლივი პროექტი, რომელიც ფრანგული ნავთობკომპანია „ტოტალის“ და მიანმას მთავრობის მიერ ხორციელდებოდა. არსებობდა თუ არა „უნიკალის“ პასუხისმგებლობის საკითხი მოსარჩელეთა მიმართ დამოკიდებული იყო, თუ რამდენად იდგა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი იძულებითი შრომასთან დაკავშირებულ დანაშაულზე. თუმცა, ყველა სასამართლომ, რომელმაც განიხილა საკითხი, დაასკვნა, რომ იძულებითი შრომა საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ჩამოყალიბებულ ნორმას წარმოადგენდა.

143 სამოქალაქო დავის მორიგებით დასრულების შესახებ ინფორმაცია იხილეთ: *For a description of the civil settlement, see Matthew Artz, „Reddy Victims Sue Their Own Lawyers“, in Berkeley Daily Planet, 28 June 2005; „Civil Lawsuit Settled in Reddy Sex-Slave Case“, in Berkeley Daily Planet, 9 April 2004.* სისხლის სამართლის სარჩელის აღწერილობისთვის იხილეთ: *California Man Admits He Brought Indian Girls to US for Sexual Exploitation, Pleads Guilty to Federal Charges“, Department of Justice Press Release, 7 March 2001.*

144 (C.D. Cal. 1997), გამსვლელმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბირმის მთავრობის წინააღმდეგ შეტანილი სარჩელი უცხოელთა სუვერენული იმუნიტეტის აქტის საფუძველზე, თუმცა დაადგინა, რომ სასამართლოს იურისდიქცია ვრცელდებოდა ამერიკული ნავთობკომპანიის წინააღმდეგ შეტანილ სარჩელზე უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ სარჩელთა აქტის ფარგლებში. საქმეში „ბირმის გაერთიანებული კავშირის ეროვნული კოალიციური მთავრობა „უნიკალის“ წინააღმდეგ“ 176 F.R.D. 329 (C.D. Cal. 1997) („Roe I“), სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბირმის დე-ფაქტო ხელისუფლების სარჩელი დასაბუთებულობის ნაკლებობის გამო (lack of standing), თუმცა, დაადგინა, რომ ბირმის პროფკავშირების სარჩელი დასაბუთებული იყო სამსახურებრივი დაუდევრობის საკითხში და ერთ-ერთი მოსარჩელის სარჩელი იძულებითი შრომის შესახებ წარმოებაში იქნებოდა მიღებული.

145 *John Doe I et al v. Unocal Corp; John Doe III et al v. Unocal Corp, 110 F. Supp. 2d 1294 (C.D. Cal.2000) (two consolidated actions).*

**ამონარიდი საქმიდან „ბირმის გაერთიანებული კავშირის
ეროვნული კოალიციური მთავრობა „უნიკალის“
წინააღმდეგ“, 176 F.R.D. 329 (C.D.Cal.1997)**

მოსარჩელე ჯონ დოე, ამჟამად ლტოლვილი ტაილანდში, ამტკიცებს, რომ კანონიერებისა და წესრიგის აღდგენის სახელმწიფო საბჭო (SLORC) ახორციელებდა ზეწოლას და ანაზღაურების გარეშე, სიცოცხლის შექარის ძალით, იძულებით ამუშავებდა სხვადასხვა სარკინიგზო და მილსადენის პროექტებზე, რომელიც დაკავშირებული იყო ან ემსახურებოდა უშუალოდ პროექტის მიზნებს. კერძოდ, იგი ამტკიცებს, რომ მას იძულებით ამუშავებდნენ ჯუნგლების საფარის გასაწმენდად, იე-ტავოს სარკინიგზო ხაზის გასწვრივ, სამხედრო ბარაკების მშენებლობაზე კანონიერებისა და წესრიგის აღდგენის სახელმწიფო საბჭოს სამხედრო ბანაკისათვის მილსადენის რეგიონში. ასევე, აიძულებდნენ ემუშავა ბარაკებისა და ვერტმფრენების დასაჯდომი პლატფორმის მშენებლობაზე, გაენმინდა ჯუნგლების საფარი და მიწა, ემუშავა მშენებლობისთვის საჭირო ლოდების საჭრელზე, ეზიდა სამშენებლო სამუშაოებისთვის განკუთვნილი სილა და ლოდები ჰენიზელ ბოკის კუნძულზე, სადაც მისი მტკიცებით, განთავსებულია პროექტის დამხმარე ინფრასტრუქტურა. (Ibid. at 48) იგი ამტკიცებს, რომ ხშირად გამხდარა სხვა იძულებით მომუშავეთა მიმართ ჩადენილი ფიზიკური ძალადობისა და სისასტიკის მოწმე, მათ შორის იყო ერთი მუშაც, რომელსაც სცემდნენ, ვიდრე მას სისხლით ღებინება არ დაეწყო. შემდეგ იგი მიაბეს ძელზე და ასე დატოვეს 15 საათის განმავლობაში.

სამართლებრივი ანალიზი. პირველად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შესაძლებელია ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრება ქმედებებზე, რომელიც უტოლდება მონობას ან მონობით ვაჭრობას. ძირითადად, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მუშაობაზე, კერძოდ, მიანმაში იძულებითი შრომის გამოძიების შესახებ კომისიის ანგარიშზე დაყრდნობით, სასამართლო დაეთანხმა მოსარჩელეთა წინადადებას, რომ იძულებითი შრომა წარმოადგენს „თანამედროვე მონობას“, რომლის მიმართაც შესაძლოა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დაკისრება. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იძულებითი შრომის აქტები, რომ ჩაედინა კერძო სუბიექტს, როგორიცაა „უნიკალი“, დადგებოდა მისი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. მიუხედავად ამისა, მოსარჩელე ასევე ამტკიცებდა, რომ „უნიკალი“ სამართლებრივად პასუხისმგებელი იყო სამხედრო შენაერთების ქმედებებზე. სასამართლომ დაადგინა, რომ იმისთვის, რომ პასუხისმგებლობა გავრცელებულიყო „უნიკალზე“, საჭირო იყო ნავთობკომპანიის მხრიდან, აღნიშნულ პროცესებში აქტიური მონაწილეობის ფაქტების დადგენა.

ამ შემთხვევაში, არ არსებობს ფაქტები, რომელიც მეტყველებს, რომ „უნიკალი“ ცდილობდა იძულებითი ან მონური შრომის გამოყენებას. პირიქით, [ნავთობკომპანიებმა „გამოხატეს შეშფოთება, რომ მიანმას მთავრობა იყენებდა იძულებით შრომას პროექტთან დაკავშირებით. თავის მხრივ, სამხედროები შეეცადნენ დაეფარათ იძულებითი შრომის გამოყენების ფაქტები. თუმცა, არსებობს მტკიცებულებები, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ „უნიკალისთვის“ ცნობილი იყო იძულებითი შრომის გამოყენების შესახებ და იგი სარგებლობდა ამით. თუმცა, მიუხედავად ასეთი მინიშნებებისა, აღნიშნული არ არის საკმარისი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საერთაშორისო სამართლის ფარგლებში და ამიტომ, სარჩელი „უნიკალის“ მიერ იძულებითი შრომის გამოყენების შესახებ ვერ იქნება განხილული უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ აქტის ფარგლებში (Alien Tort Claims Act) ¹⁴⁶

146 110 F. Supp. 2d at 1310.



ამონარიდი მეორე სასარჩელო განაცხადიდან, იძულებითი შრომის თაობაზე

167. მოპასუხეები აიძულებდნენ მოსარჩელებს... ემუშავათ მათზე სასჯელის მუქარისა და რეალური დასჯის მუქარით, რომელიც ფიზიკური და ფსიქოლოგიური საფრთხის წინაშე აყენებდა მათ, მათი ოჯახის წევრებსა და ახლობლებს. მოპასუხეებმა ასევე, მოსარჩელები მოწყვიტეს მუდმივი განსახლების ადგილებს.

168. მოპასუხეები იყენებენ მოსარჩელეთა იძულებით შრომას, რომელიც წარმოადგენს მონობისა და მონობასთან გათანაბრებული პრაქტიკის აკრძალვის დარღვევას და იძულებითი შრომის აკრძალვის დარღვევას, 155-ე აბზაცში აღწერილი კანონების ფარგლებში, რომელშიც მოცემულია მონობისა და იძულებითი შრომის შესახებ საერთაშორისო ინსტრუმენტებისა და საერთაშორისო ჩვეულებითი კანონების ჩამონათვალი.

სამართლებრივი ანალიზი სააპელაციო სასამართლოში. აშშ-ს მეცხრე საოლქო სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გამარტივებული სამართალწარმოების უფლება ვერ იქნებოდა გაცემული, რადგან არსებობდა კითხვები, ეხმარებოდა და უბიძგებდა თუ არა ნავთობკომპანია მიანმას სამხედრო პირებს იძულებითი შრომის გამოყენებისაკენ.¹⁴⁷ სასამართლომ პირველ რიგში, (რაც მნიშვნელოვანი ფაქტია) დაადგინა, რომ „იძულებითი შრომა იმდენად ფართოდაა დაგმობილი, რომ იგი უტოლდება იმპერატიული სამართალდარღვევის სტატუსს“¹⁴⁸. მეორე, სასამართლომ განიხილა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საკითხი. წარმოადგენდა თუ არა იძულებითი შრომა ისეთ დანაშაულს, რომელიც არ მოითხოვდა სახელმწიფოსგან ქმედებას ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დასაკისრებლად? მეცხრე საოლქო სასამართლომ გადახედა მოჭამაგირეობის (peonage) და იძულებითი ყმობის (involuntary servitude) შემთხვევებს, ისევე, როგორც უკანასკნელ პერიოდში აღძრულ სარჩელებს უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის ფარგლებში და დაადგინა, რომ „იძულებითი შრომა წარმოადგენს მონობის თანამედროვე ვარიანტს, რომელიც, როგორც მონობით ვაჭრობის ტრადიციული ფორმები, არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რეაგირებას პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის“ უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის ფარგლებში.¹⁴⁹

რაც შეეხება, იყო თუ არა „უნიკალი“ პასუხისმგებელი იძულებითი შრომის აქტებზე, რომელიც ჩადენილი იყო სამხედრო პირების მიერ, სასამართლომ არ მიიღო რაიონული სასამართლოს „აქტიური მონაწილეობის“ სტანდარტი. სასამართლომ დაადგინა, რომ საკმარისი იყო „პრაქტიკული დახმარება ან წახალისება, რომელსაც საგულისხმო გავლენის მოხდენა შეუძლია დანაშაულის ჩადენაზე“.¹⁵⁰ იმის გათვალისწინებით, რომ დაისვა კითხვები, თუ რამდენად თავსდებოდა „უნიკალის“ ქმედებები აღნიშნულ სტანდარტში, სააპელაციო სასამართლომ გააუქმა რაიონული სასამართლოს თანხმობა „უნიკალის“ შუამდგომლობაზე გამარტივებული წარმოების გამოყენების შესახებ იძულებითი შრომის სარჩელთან დაკავშირებით.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება მართებულად იქნა აღიარებული, როგორც უდიდესი გამარჯვება მუშათა უფლებებისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის განსამტკიცებლად აშშ-ის სასამართლოებში.¹⁵¹

147 *Doe I v. Unocal Corporation*, 395 F.3d 932 (9th Cir. 2002).

148 *jus cogens* იმპერატიული სამართლის ნორმა „რომლისგან გადახვევაც დაუშვებელია და რომლის მოდიფიცირება შესაძლებელია მხოლოდ იგივე ხასიათის ზოგადი საერთაშორისო კანონის შემდგომი ნორმით“. *ვენის კონვენცია ხელშეკრულებების შესახებ*, მუხლი 53, 1969 წლის მაისი, 1155 U.N.T.S. 332, 8 I.L.M. 679.

149 395 F.3d 932, 947.

150 საინტერესოა, რომ მეცხრე გამსვლელი სასამართლო დაეყრდნო რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის და ყოფილი იუგოსლავიის თაობაზე სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებს, მათ შორის, საქმეს „პროკურორი კუნარასის წინააღმდეგ“ საერთაშორისო სისხლის სამართალში დანაშაულის ხელის შეწყობისა და წაქეზების შესახებ სტანდარტების ფორმულირებისას.

151 ელექტრონული იურიდიული კვლევის პორტალში „Westlaw“ უკანასკნელი მონაცემებით დარეგისტრირებულია 393 სტატია, რომელშიც ნახსენებია საქმე „დოე „უნიკალის“ წინააღმდეგ. იხ.: Armin Rosencranz, „*Doe v. Unocal, Holding Corporations Liable for Human Rights Abuses on their Watch*“, in

შემდგომში, მეცხრე გამსვლელმა სასამართლომ დააკმაყოფილა „უნიკალის“ შუამდგომლობა განეხილა საქმე სრული შემადგენლობით.¹⁵² მხარეებმა შეძლეს მორიგება მხარეთა არგუმენტების ზეპირი გაცვლის შემდეგ, ვიდრე მეცხრე გამსვლელმა სასამართლომ გამოიტანა სასამართლო გადაწყვეტილება.

კითხვები განხილვისათვის

ერთ-ერთმა მეცნიერმა კომენტარისას, აღნიშნა, რომ უფრო დაბალი ინსტანციის სასამართლოს აზრმა „არამართებულად გააზავა განსხვავება მონობით ვაჭრობასა და იძულებით შრომას შორის“.¹⁵³ მიუხედავად ამისა, იგი ამტკიცებს, რომ იძულებითი შრომა დამოუკიდებელია, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის ნორმა და აღნიშნულით ხელმძღვანელობისას, სასამართლოს უფრო მყარი საფუძველი ექნებოდა. მეორე ექსპერტმა გააკრიტიკა მეცხრე გამსვლელი სასამართლოს მოსაზრება თითქმის იგივე ქმედებისთვის — მონობის ცნების არასათანადოდ გაფართოებისთვის, რომ მოეცვა იძულებითი შრომაც, თუმცა, საპირისპირო დასკვნამდე მივიდა. რამდენადაც საერთაშორისო შეთანხმებები, მათ შორის, 29 კონვენცია, „იძლევა გამოწვევის შემთხვევებში, სანქციას, რომ სახელმწიფოებმა შესაძლოა საკუთარი მოქალაქეები“ დაუქვემდებაროს იძულებით შრომას, იგი არ წარმოადგენს ნორმას, რომლისგან გადახვევაც დაშვებული არაა. თუ საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევს, რომ გადახვევები დასაშვებია „იძულებითი შრომა დამოუკიდებლად არ გამხდარა იმპერატიული სამართლის ნორმა“.¹⁵⁴ მართალია, რომ საერთაშორისო ინსტრუმენტებით დაშვებულია გადახვევები იძულებითი შრომის აკრძალვიდან, როცა იგი ჩადენილია კერძო პირების მიერ? მნიშვნელოვანია თუ არა, რომ 29 კონვენცია დეტალურად განსაზღვრავს იძულებით შრომას და არ მოიცავს არც ერთს ხუთი გამოწვევისიდან, რომელიც გათვალისწინებულია მუხლით 2(2)? შესაძლებელია, რომ იძულებით შრომას ჰქონდეს იმპერატიული სამართლის ნორმის მახასიათებელი, როცა გამოიყენება ინდივიდების და არა სახელმწიფოების მიმართ?

Chapman Law Review, Vol. 8, (Spring 2005), p. 135; John Haberstroh, „The Alien Tort Claims Act & Doe v. Unocal: A Paquete Habana Approach to the Rescue“, in Denver Journal International Law & Policy, Vol. 22, Spring 2004, p. 231.

152 საქმის მოსმენა სრული შემადგენლობით (*en banc*) საქმეში „დოე „უნიკალის“ წინააღმდეგ Doe I v. Unocal Corp., 395 F.3d 978 (9th Cir. 2003). საქმის მოსმენა სრული შემადგენლობით გულისხმობს სასამართლოს სრული შემადგენლობით საქმის განხილვას და არა მხოლოდ ქვორუმით. აშშ სააპელაციო სასამართლოებში ქვორუმი წარმოადგენს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია. მას შემდეგ, რაც კოლეგია მიიღებს გადაწყვეტილებას, მხარეს შეუძლია მოითხოვოს საქმის მოსმენა სრული შემადგენლობით. შემდეგ, სასამართლოს სრული შემადგენლობა იღებს გადაწყვეტილებას მოხდეს თუ არა საქმის ხელახალი მოსმენა სრული შემადგენლობით. მხოლოდ უკიდურესად მნიშვნელოვან საქმეებზე ხდება დადებითი გადაწყვეტილების მიღება. ეს სასამართლოს აძლევს საშუალებას სრული შემადგენლობით გაეცნოს საქმეს და მიიღოს მასზე გადაწყვეტილება. სრული შემადგენლობით მიღებულ გადაწყვეტილებას კოლეგიის მიღებულ გადაწყვეტილებაზე უპირატესი ძალა აქვს.

153 H. Knox Thames, „Forced Labor and Private Individual Liability in US Courts“, in Michigan State University DCL Journal International Law, Vol. 9, Spring 2000, p. 153.

154 Tawny Aine Bridgeford, „Imputing Human Rights Obligations on Multinational Corporations: The Ninth Circuit Strikes Again in Judicial Activism“, in American University International Law Review, Vol. 18, 2003, pp. 1009, 1046.



7.2.6. მიანმა და სტატუტი იძულებითი შრომის შესახებ, როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმა

1996 წლის ივნისში, მუშათა დელეგაციამ ოცდახუთი კაცის შემადგენლობით აღძრა სარჩელი შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის 26-ე მუხლით მიანმარის წინააღმდეგ იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის დარღვევის გამო. ადმინისტრაციულმა საბჭომ საქმე საგამოძიებო კომისიას გადაუგზავნა, რომელმაც მოინახულა რეგიონი 250 მოწმისგან ჩვენების მისაღებად. კომისიამ ანგარიში განიხილა ზოგადი საერთაშორისო სამართალი მონობის, იძულებითი შრომისა და სხვა მონობის მსგავსი პრაქტიკის შესახებ.¹⁵⁵ კომისიის დასკვნით, საერთაშორისო სამართალში არსებობს „იმპერატიული ნორმა, რომელიც კრძალავს რაიმე დათმობას იძულებით შრომასთან მიმართებაში“.¹⁵⁶ ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც „ხელს უწყობს, წახალისებს, იღებს ან შემწყნარებლურია იძულებითი შრომის მიმართ მის ტერიტორიაზე, ჩადის უკანონო ქმედებას, რომელზეც ეკისრება საერთაშორისო პასუხისმგებლობა“.¹⁵⁷ რაც შეეხება ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, კომისიამ განაცხადა, რომ ნებისმიერი პირი „ვინც არღვევს აღნიშნულ იმპერატიულ ნორმას წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის დამნაშავეს და შესაბამისად, მიეცემა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურად“.¹⁵⁸

იმის გათვალისწინებით, რომ 29 კონვენციის პირველი მუხლის მე-2 აბზაცით ნებადართულია „გარდამავალი პერიოდი“, რომლის დროსაც სახელმწიფოებს შეეძლოთ მიემართათ იძულებითი ან სავალდებულო შრომისთვის, საგამოძიებო კომისიამ დაადგინა, რომ ექსპერტთა კომიტეტის გადანყვებილებით, გარდამავალი პერიოდი აღარ იყო ხელმისაწვდომი ქვეყნებისთვის, როგორც დაცვის საშუალება იძულებითი შრომის გამოყენებისას.¹⁵⁹ კომისია დაეთანხმა ამ აზრს, რადგან დაადგინა, რომ იძულებითი შრომის აკრძალვა „წარმოადგენდა იმპერატიულ ნორმას და გადახვევა დაუშვებელია“.¹⁶⁰

გაცვანით ამონარიდს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიშიდან მიანმის შესახებ.

ამონარიდი ანგარიშიდან „იძულებითი შრომა მიანმაში (ბირმა)“

ანგარიში მომზადდა საგამოძიებო კომისიის მიერ, რომელიც შეიქმნა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის კონსტიტუციის 26-ე მუხლის საფუძველზე მიანმას მიერ იძულებითი შრომის შესახებ კონვენციის დაცვის შეფასების მიზნით

528. კომისიას ხელთ აქვს უამრავი მტკიცებულება, რომელიც მეტყველებს იძულებითი შრომის ფართოდ გავრცელებულ პრაქტიკაზე სამოქალაქო მოსახლეობაში მიანმას მთელ ტერიტორიაზე, რომელიც დამკვიდრებულია ხელისუფლებისა და სამხედრო ძალების მიერ სატრანსპორტო, სამშენებლო, სამხედრო ბანაკების მომსახურებისა და სამხედრო სექტორის ხელშეწყობის სხვა საქმიანობისთვის. ასევე, სოფლის მეურნეობის სფეროში, ხე-ტყის გადამამუშავებელი და სხვა სახის სამრეწველო პროექტებისთვის, რომელიც ხორციელდება ხელისუფლების ან სამხედრო უწყების მიერ, ზოგჯერ, კერძო პირთა სასარგებლოდ, გზების, სარკინიგზო ხაზების, ხიდების მოვლა-მშენებლობის და სხვადასხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოებისა და სხვა მრავალი სახის სამუშაოს შესასრულებლად, რომელთაგან არც ერთი არ შედის კონვენციის მე-2 (2) მუხლით დადგენილ გამონაკლისთა სიაში.

155 *Forced labour in Myanmar*, Report of the Commission of Inquiry, op. cit., at Part IV (Examination of the Case by the Commission).

156 Ibid. at para. 203.

157 Ibid.

158 Ibid. at para. 204.

159 Ibid. at 218.

160 Ibid.

530. სამუშაოზე გამოუცხადებლობა ისტება „სოფლის აქტის“ მიხედვით, რაც გულისხმობს საურავის გადახდას ან დაპატიმრებას არა უმეტეს ერთი თვის ვადით, ან ორივეს ერთად; ხოლო „ქალაქის აქტის“ მიხედვით, მხოლოდ საურავს. პრაქტიკაში, იძულებითი შრომა გამოიყენება გამომძალველობისთვის, სავალდებულო შრომის გადავადების სანაცვლოდ, თუმცა, ასევე გამოიყენება სიცოცხლის მექარისა და საფრთხის თავიდან ასაცილებლად და კანონით სასჯელისგან დასახსნელად, რომელიც გამოიყენება მათ მიმართ, ვისაც არ სურს, აყოვნებს, ან არ შეუძლია იძულებითი შრომის მოთხოვნის შესრულება; მსგავსი სასჯელი ან სამაგიეროს მიგება გულისხმობს როგორც ფულის გამოძალვას, ასევე ფიზიკურ შეურაცხყოფას, ცემას, წამებას, გაუპატიურებასა და მკვლელობას.

536. დაბოლოს, კონვენციის მუხლი 1, 1-ელი აბზაციტ დადგენილი ვალდებულება იძულებითი ან სავალდებულო შრომის აღკვეთის შესახებ დაირღვა მიანმას მიერ ეროვნული კანონმდებლობით, განსაკუთრებით, „სოფლის აქტისა“ და „ქალაქის აქტით“, ისევე როგორც პრაქტიკული ქმედებებით, რომელიც სისტემატურ და გავრცელებულ ხასიატს ატარებს და აბსოლუტურად უგულვებელყოფს მიანმას მოსახლეობის ადამიანურ ღირსებას, უსაფრთხოებას, ჯანმრთელობასა და მინიმალურ მოთხოვნებს.

7.2.7. სასამართლო დადგენილება ზრდასრულ მოსარჩელეთა მიმართ იძულებითი შრომის არარსებობის შესახებ
საქმე „როე ბრიტსტონის წინააღმდეგ“,
გადაწყვეტილება 492 F. Supp. 2d 988 (S.D. Ind. 2007)

ფაქტობრივი გარემოებები. „უნიკალის“ შესახებ მეცხრე გამსვლელი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდეგ, უზენაესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება საქმეზე „სოსა ალვარესი მაჩაინის წინააღმდეგ“. ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ დაადგინა, რომ 1789 წელს, როცა ძალაში შევიდა *უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონი (Alien Tort Statute)*, კონგრესი მზად იყო ეცნო მხოლოდ შემდეგი დანაშაულობები: უსაფრთხო ქცევის ნორმების დარღვევა, ელჩთა უფლებების დარღვევა და საავტორო უფლებების დარღვევა. სათანადო სამართლებრივი სიფრთხილიტ, სასამართლოებს მაინც შეეძლოთ ეღიარებინათ ახალი დანაშაულობები იმ პირობით, რომ ისინი ფართოდ იქნებოდა აღიარებული ცივილიზებული მსოფლიოს მიერ და მათი განსაზღვრა მოხდებოდა ისეთივე სკრუპულოზობით, როგორც მე-18 საუკუნის სამოქალაქო უფლებების დარღვევები განიხილებოდა.¹⁶¹ ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ალვარეს-მაჩაინის სარჩელმა თვითნებური დაკავების შესახებ ვერ შეძლო ხსენებული სტანდარტის დაკმაყოფილება.

სამართლებრივი ძალაუფლების გამოყენება [უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის ფარგლებში ახალ სარჩელთა აღიარების მიზნით] უნდა ემყარებოდეს მოსაზრებას, რომ ფართოდ გავრცელებულ კარს ფხიზელი თვალი სდარაჯობს და დღეისათვის იგი ღიაა საერთაშორისო ნორმების მხოლოდ ვიწრო წრისთვის... დარწმუნებული ვართ, რომ ფედერალურმა სასამართლოებმა არ უნდა მიიღონ კერძო სარჩელები ფედერალური ზოგადი სამართლის ფარგლებში, საერთაშორისო სამართლის ნორმების დარღვევების ფაქტებზე, რომელთა შინაარსიც ნაკლებად განსაზღვრულია და უფრო ნაკლებადაა მიღებული ცივილიზებული ერების მიერ, ვიდრე ის ისტორიული პარადიგმები, რომელიც ცნობილი იყო უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის ძალაში შესვლის დროისთვის.¹⁶²

სასამართლომ დადებითად შეაფასა ის ფაქტი, რომ აღნიშნული სტანდარტი შესაბამი-

¹⁶¹ 542 US 692, 725 (US Sup. Ct. 2004).

¹⁶² Ibid. at 729, 732.



სობაში იყო ზოგიერთ სასამართლო გადაწყვეტილებებთან. აღნიშნულ საკითხზე სასამართლოს რაიმე კონკრეტული არ დაუდგენია კერძო სუბიექტთა პასუხისმგებლობის შესახებ აღნიშნული ნორმის მიმართ, თუმცა გაკეთდა კომენტარი, რომ გადაწყვეტილების მიღებისას, აღნიშნული საკითხი მხედველობაში იყო მისაღები.¹⁶³

პირველი საქმე, რომელმაც „სოსას“ საქმის შემდეგ იძულებითი შრომის საკითხზე წამოჭრა და რეაგირებაც შესაძლებელი გახდა უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის ფარგლებში, იყო „როე ბრიტისტონის წინააღმდეგ“. სარჩელი აღიძრა ზრდასრული და ბავშვი მუშების მიერ, რომელთა ძირითადი მოვალეობა იყო კაუჩუკის ხეებზე მუშაობა ლიბერიის სანვავი კაუჩუკის საწარმოში.¹⁶⁴ მოსარჩელები ამტკიცებდნენ, რომ ადგილი ჰქონდა საერთაშორისო სამართლის დარღვევებს იძულებით შრომასთან დაკავშირებით, უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის მიხედვით. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ორი მიზეზის გამო. ჯერ ერთი, ეს იყო პირველი გადაწყვეტილება „სოსას“ საქმის შემდეგ, რომელმაც აღიარა, რომ იძულებითი შრომის ზოგიერთი შემთხვევა შესაძლოა წარმოადგენდეს საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლის დარღვევას. და მეორე, ორივე — მოსარჩელე და მოპასუხე, საბოლოოდ, სასამართლოც აპელირებდნენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მასალებზე. მხარეებმა აღიარეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ავტორიტეტი იძულებითი შრომის ინტერპრეტირებისას და განსახილველი საკითხი გადაიჭრა ისე, როგორც შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია მიუდგა აღნიშნული საქმის კონკრეტულ ფაქტებს.

ამონარიდი სარჩელიდან „როე ბრიტისტონის წინააღმდეგ“

1. სარჩელის ხასიათი

3. პლანტაციაში დასაქმებული მუშების მტკიცებით, სხვა გარემოებებთან ერთად, ისინი სიღარიბისა და იძულების ტყვეობაში იყვნენ, დროში გაყინულ პლანტაციაში, რომელსაც ფაიერსტონი მართავდა ისეთივე წესით, როგორც იგი პირველად, გახსნისას მუშაობდა. პლანტაციის მუშებს ჩამორთმეული აქვთ უფლებები, იზოლირებულნი და დამოკიდებულნი არიან ფაიერსტონზე – საკვებით დაწყებული და თავშესაფრით დამთავრებული. გარდაუვალი შიმშილის საფრთხე ემუქრებათ უმცირესი საჩივრისთვის, ხოლო კომპანია სიამოვნებით იყენებს აღნიშნულ სიტუაციას მუშების ექსპლუატაციისთვის, ისევე, როგორც ამას აკეთებდა 1926 წლიდან მოყოლებული...

4. პლანტაციაში დასაქმებულია მცირეწლოვანი ბავშვები, რომელთა მამებიც პლანტაციის მუშები არიან. სიღარიბისა და იძულების გამო ბავშვები სრული დატვირთვით მუშაობენ სახიფათო პირობებში, მამებთან ერთად, რათა დაამუშაონ ხეების განსაზღვრული ოდენობა. სამუშაოს ნორმას თითოეულ ოჯახზე მოპასუხეები განსაზღვრავდნენ და აღნიშნულის შესრულებას მამები მხოლოდ შვილების დახმარებით თუ შეძლებდნენ. ხშირად, მათ დედებიც უერთდებიან და მუშაობენ განთიადიდან შებინდებამდე...

5. მოსარჩელეთა ორივე ჯგუფი, საკუთარი და სხვა, მათ მსგავს სიტუაციაში მყოფ პირთა სახელით, მიმართავენ სასამართლოს სარჩელით უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის საფუძველზე. კერძოდ, იძულებითი შრომის ფაქტებზე, რომელიც მონობის თანამედროვე ეკვივალენტს წარმოადგენს.

163 Ibid. at n. 20.

164 იძულებითი შრომის პრობლემა ლიბერიასა და ფაიერსტონის პლანტაციაში უკიდურესად მწვავედ დგას 1920-ანი წლებიდან მოყოლებული. 1930 წელს, ლიბერიაში გაიგზავნა სამი წევრისგან შემდგარი საგამოძიებო კომისია, რომელმაც გამოავლინა სამუშაოდ განწევვისა და ვალდებით განპირობებული შრომის გავრცელებული შემთხვევები. ფაიერსტონის პლანტაციაში ადგილი ჰქონდა როგორც ნებაყოფლობითი, ასევე იძულებითი შრომის პრაქტიკას. იხ.: See Report of the International Commission of Inquiry into the Existence of Slavery and Forced Labor in the Republic of Liberia, US Department of State, 1931, pp. 133-135.

IV. მოსარჩელებისთვის მიყენებულ ზიანთან დაკავშირებული ფაქტები

42. თავდაპირველად, პლანტაციის გახსნისას, ლიბერელები იარაღის ძალით წაიყვანეს. მას შემდეგ ათწლეულების განმავლობაში, ფაიერსტონი დე-ფაქტო ინარჩუნებდა ტომების წინამძღოლებისგან სამუშაოდ ვარგისი მამაკაცების შესყიდვის სისტემას. ფაიერსტონმა შეიმუშავა კეთილშობილი მიზნების თუ სახელის მქონე ინიციატივა „უმალესი წინამძღოლების დახმარების გეგმის“ სახით, რომელიც ითვალისწინებდა ტომების წინამძღოლებისთვის მუშათა კვოტების დანესება პლანტაციაში სამუშაოდ, თითოეულ მამაკაცზე ანაზღაურების გაცემით. მხოლოდ 1955 წელს, 90 ათასი აშშ დოლარი არის გადახდილი ასეთი გზით აყვანილ მუშახელში, განაცხადა ფაიერსტონმა.

43. ბევრი, თუ უმეტესობა არა, ამჟამინდელი მუშებიდან ფაიერსტონის პლანტაციაში, მათ შორის, მოსარჩელები, წარმოადგენენ იძულებით დაქირავებული მუშების შთამომავლებს, რომლებიც პირველად ფაიერსტონის პლანტაციაში სამუშაოდ, იარაღის მექარით ჩაიყვანეს. ბევრი ახლანდელი მუშა პირველი ნაკადის მესამე და მეოთხე თაობის წარმომადგენელია და იშვიათად დაუდგამს ფეხი ფაიერსტონის კონტროლირებადი საკუთრების გარეთ.

46. ...ახლა დღიური ნორმა იმდენად დიდია, რომ მინიმუმის შესრულებისთვის მუშები ყოველ დღე, 12-14 საათის განმავლობაში შრომობენ და ამასთან ევალებათ საკუთარი ოჯახის წევრების მიყვანაც, ბავშვების ჩათვლით, საოჯახო ნორმის შესასრულებლად, რაც საშუალებას აძლევს ოჯახს გამოიმუშაოს საკმარისი თანხა კომპანიის კუთვნილი მაღაზიიდან საკვების შესაძენად.

47... დღიური 3.19 დოლარის (გადასახადების ჩათვლით) მისაღებად, მუშამ უნდა მოიაროს სულ მცირე 1,125 ხე. თუ ხეების რაოდენობა იქნება 750... მაშინ, იგი მხოლოდ 1.59 დოლარს მიიღებს. ზუსტად ეს არის იძულებითი შრომისა და ბავშვთა შრომის არსი. განსხვავება 3.19 დოლარსა და 1.59 შორის იგივეა, რაც უბრალოდ, არსებობასა და შიმშილობას შორის..

48. ალბათ, არ არსებობს მუშა ფაიერსტონის პლანტაციაში, რომელსაც შეუძლია დღიური ნორმის შესრულება — 1,125 ხის ჩამოვლა, აგრეთვე ჭურჭლის რეცხვა, ხეების დამუშავება და ტვირთის სამჯერ, თითო ჯერზე 150 ფუნტი სიმძიმის ლატექსის ზიდვა... ამჟამად, რომ ვერც ერთი მუშა შეძლებს დღიური ნორმის შესრულებას და უნდა გამოიყენოს ოჯახის წევრები, მათ შორის, ბავშვები შიმშილობის თავიდან ასაცილებლად...

49. ...ლიბერიაში უზომოდ მაღალია უმუშევრობის დონე, სოფლად იგი 80%-ზე მეტს აღწევს, რაც ფაიერსტონს საშუალებას აძლევს, რომ დაბეჭითებით თქვას, რომ თუ ვინმეს წასვლა სურს, შეუძლია წავიდეს და შეუერთდეს მოშიმშილე უმუშევართა რიგებს.

64. პლანტაციის მუშები თანამედროვე მონები არიან, რომელთაც აიძულებენ იმუშაონ სიღარიბის, შიმშილის შიშით, რაც ერთი საჩივრის დაცდენისთანავე ემუქრებათ. მუშა პლანტაციის მდებარეობის გამოც იზოლირებულია და საკვების მხრივ, სრულიად დამოკიდებულია ფაიერსტონის პლანტაციაზე. მათი ერთადერთი სახლია კომპანიის მიერ მიცემული ერთოთახიანი მიწურები. მიზერული ანაზღაურება, რომელსაც მუშები იღებენ გათვლილია, რომ არ ჰქონდეთ საკმარისი სახსრები ტრანსპორტირებისათვის, პლანტაციიდან თავის დასაღწევად. პლანტაციას უკვე თაობებია მიჯაჭვული სიღარიბის, შიმშილისა და გარე სამყაროს უცოდინრობის გამო, ცხოვრობენ სიღარიბის მოჭადლოებულ წრეში და შვილებს ფაიერსტონის პლანტაციის მუშების შემდეგ თაობად ზრდიან.



66. პლანტაციის ყველა მუშა ეძებს სამართალს, საკუთარი სამუშაოს არჩევანის თავისუფლებას, საშუალებას იმუშაოს იძულების გარეშე, ჰქონდეს ნორმალური სამუშაო ურთიერთობები, ისარგებლოს ხელფასით, რომელიც ერგებათ ლიბერიის კანონით, მათ შორის, დასვენების დღეებითა და უქმეებით. ყველაზე მეტად ისინი ცდილობენ ბოლო მოუღონ პირობებს, რომელმაც ჩამოაყალიბა ფაიერსტონის პლანტაცია, სადაც უყურებენ, თუ როგორ ერთიანდებიან მათი შვილები კაუჩუკის ხეზე მომუშავე მუშათა რიგებში, რაიმე სამომავლო პერსპექტივის გარეშე — გარდა უბადრუკობისა, რომელსაც მთელი ცხოვრება განიცდიან.

სარჩელი დახმარების მოთხოვნის შესახებ

მუხლი 1. პლანტაციის ყველა მუშის იძულებითი შრომა

88. თავი პირველი. პლანტაციის მუშები — მოსარჩელები განიცდიდნენ შიშს საკუთარი სიცოცხლის გამო, შეზღუდული ჰქონდათ თავისუფლება და იძულებულნი იყვნენ აეტანათ მძიმე ფიზიკური ან/და ფსიქოლოგიური ძალადობა, რაც მიზნად ისახავდა მათ დასაქმებას ფაიერსტონის პლანტაციაში, მიუხედავად საშინელი პირობებისა, სადაც უწევდათ ყოფნა.

დამატებით მონათხრობში, მოსარჩელებმა დააკონკრეტეს საკუთარი არგუმენტები, რომ იძულებითი შრომა აკმაყოფილებს „სოსას“ სტანდარტს, უცხოელთა მიმართ სამოქალაქო სამართალდარღვევების შესახებ კანონის ფარგლებში განხილვისათვის.¹⁶⁵ კერძოდ, მოსარჩელებმა მაგალითად მოიყვანეს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის დეკლარაცია სამუშაო ადგილზე ფუნდამენტური პრინციპებისა და უფლებების შესახებ, რომელშიც შევიდა იძულებითი შრომაც, რაც ცხადყოფს, რომ არსებობს უნივერსალური კონსენსუსი იძულებითი და ბავშვთა შრომის აკრძალვის შესახებ. მოსარჩელები ასევე ეყრდნობოდნენ საგამოძიებო კომისიის ანგარიშს — „იძულებითი შრომა მიახლოებული (ბირმა)“, იმ არგუმენტის გასამაგრებლად, რომ არსებობდა იმპერატიული ნორმა იძულებითი შრომის წინააღმდეგ.

მოპასუხე მხარემ მოითხოვა სარჩელის გაუქმება იმ არგუმენტით, რომ მუშებს შეეძლოთ კაუჩუკის პლანტაციის დატოვება ნებისმიერ დროს, თავიანთი სურვილისამებრ. პასუხად, მოსარჩელებმა განაცხადა, რომ მათი შრომა არ იყო ნებაყოფლობითი. პირიქით, ისინი მუშაობდნენ ძალდატანებისა და შიშის ატმოსფეროში, რომელიც ასევე გულისხმობდა „უსაფრთხოების ცნობილ ძალებს“ ყოფილი გენერლის, „ომის დამნაშავე ჩარლზ ტეილორის“ ხელმძღვანელობით.¹⁶⁶ მოსარჩელებმა მხარემ ასევე განაცხადა, რომ ისინი „იბადებოდნენ იძულებითი შრომის სისტემაში“, და აღნიშნა, რომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია აღიარებს თანხმობის არარსებობას იმ შემთხვევაში, როცა პირი დაბადებულია მონობაში ან სავალ ვალდებულების მდგომარეობაში ან აღნიშნული სტატუსი მიღებული აქვს მემკვიდრეობით.¹⁶⁷ მოსარჩელებმა განსაკუთრებით ხაზი გაუსვა „დათხოვნის მუქარას, მომავალი დასაქმების საშუალებების, საკვების, თავშესაფრისა და სხვა აუცილებელი საჭიროებების აღკვეთას“, რაც შეადგენს „დასჯის მუქარის ელემენტებს“ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის იძულებითი შრომის განმარტების მიხედვით.¹⁶⁸ მოპასუხე მხარის განცხადებას, რომ მუშებს შეეძლოთ დაეტოვებინათ სამუშაო ადგილები, მოსარჩელებმა წერილობით უპასუხა, კერძოდ:

ცხოვრების მანძილზე მუდმივი იზოლაცია, გარეშე დახმარების მიღების შესაძლებლობის არარსებობა, იძულებითი შრომის გარემოში დაბადებულის მენტალიტეტი, უკიდურესი სიღარიბე და არაადამიანური სამუშაო პირობები,

¹⁶⁵ Plaintiffs' Supplemental Brief in Reply to Defendants' Supplemental Brief, Case №. 1:06-cv-00627-DFH-VSS (7 Aug. 2006).

¹⁶⁶ Plaintiffs' Memorandum of Points and Authorities in Opposition to Defendants' Motion to Dismiss (20 March 2006).

¹⁶⁷ Ibid. at 10.

¹⁶⁸ Ibid. at 7 n.2.

შიშის ატმოსფერო, რომელიც ფაიერსტოუნის უსაფრთხოების ძალების მიერ იქმნებოდა, იძლევა დასკვნის საშუალებას, რომ მოსარჩელე ექვემდებარებოდა ზენოლას, რომელიც აიძულებდა მას ემუშავა ფაიერსტოუნის პლანტაციაში მისი სურვილის საწინააღმდეგოდ.¹⁶⁹

მოპასუხე მხარემ, მემორანდუმის პასუხად, ასევე უხვად გამოიყენა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მასალები. პირველი, მათ მოიყვანეს ციტატა გლობალური ანგარიშიდან და განმარტეს, რომ იძულებითი შრომის არსი კარგად არ არის ცნობილი და „განსხვავება იძულებითი შრომის, ამ ტერმინის მკაცრად სამართლებრივი შინაარსის და უკიდურესად მძიმე სამუშაო პირობებს შორის, შესაძლოა ზოგჯერ ერთობ ძნელი გასარკვევი იყოს“.¹⁷⁰ რაც შეეხება დასჯის მექანზიმს, მოპასუხე მხარემ განაცხადა, რომ დასჯად ვერ ჩაითვლება...

...„დათხოვნის მექანზიმ“ ან „მომავალი დასაქმების აღკვეთა“.
ვერავის აიძულებ შეასრულოს იძულებითი შრომა — მისი ნებისმიერი განმარტების მიხედვით, „დასჯის“ შიშით, რაც სამუშაო ურთიერთობების შეწყვეტით გამოიხატება. უფრო მეტიც, მოპასუხის მტკიცებები, რომ ისინი მიესალმებოდნენ საკუთარი შრომის დასრულებას შიშის გარეშე, სიმართლეს შეესაბამება. რაც შეეხება მტკიცებას საკვებისა და თავშესაფრის აღკვეთის შესახებ, იძულებითი შრომა არ გულისხმობს სიტუაციებს, როცა დაქირავებულ მუშებს გააჩნიათ არჩევანი მუშაობა-არმუშაობას შორის, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სამუშაოდან წასვლის ეკონომიკური შედეგები შეიძლება უმძიმესი იყოს.¹⁷¹

სამართლებრივი ანალიზი. საბოლოოდ, სასამართლომ მოპასუხის არგუმენტები უფრო დამატებლად მიიჩნია და დააკმაყოფილა შუამდგომლობა ზრდასრულ მუშებთან დაკავშირებული სარჩელის გაუქმების შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის არგუმენტები იძულებითი შრომის შესახებ უსაფუძვლო გახდა მათ მიერ გაცემულმა განცხადებებმა იმის თაობაზე, რომ „მათ ეშინიათ იმავე სამსახურის დაკარგვა, რომლის შესრულებასაც, მათი მტკიცებით, აიძულებენ“.¹⁷² როცა სასამართლომ მოპასუხე მხარის ადვოკატს ჰკითხა, თუ რა უნდა შეცვლილიყო იმისთვის, რომ მოსარჩელის შრომა არ ყოფილიყო იძულებითი, პასუხი ძირითადად, იყო [კაუჩუკის] წარმოების დღიური ნორმის შემცირება და ფაქტიურად, ფაიერსტოუნის პლანტაციაში მიღებული გასამრჯელოს გაზრდა. მოსარჩელის ადვოკატმა განაცხადა, რომ შესაგებელი ასევე გულისხმობდა ინფორმაციის მიწოდებას მუშებისთვის საკუთარი უფლებების შესახებ, ადვოკატის განცხადებას, მათ შორის, უსაფრთხოების ადვოკატის და უსაფრთხოების ზომების შეცვლას. „სასამართლომ მიიჩნია, რომ უსაფრთხოების ზომების შესახებ კომენტარის გარდა, „ანაზღაურებისა და სამუშაო პირობების“ საკითხები სცდებოდა იძულებითი შრომის შესახებ აკრძალვების ფარგლებს.¹⁷³ სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა მოსარჩელის და შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნა, რომ დათხოვნის მექანზიმ ამჟამინდელი სამსახურიდან შეადგენდა „ნებისმიერი დასჯის მეთოდით მექანზიმს“. „არც შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ანგარიში და არც მოპასუხე მხარე განმარტავს, თუ რატომ არის „დასჯის მექანზიმ“ ამჟამინდელი დასაქმებიდან დათხოვნის მექანზიმ, თუ იგი აიძულებს დასაქმებულ პირს შეასრულოს იგივე სამუშაო. ახლანდელი სამუშაოს დაკარგვის შიში აშკარად მიანიშნებს, რომ სამსახური არ წარმოადგენს იძულებით შრომას“.¹⁷⁴

169 Ibid. at 12-13.

170 Defendants' Reply Memorandum in Support of Motion to Dismiss Plaintiffs Complaint at 4 (citing *Aglobal alliance* at para. 31.)

171 Ibid. at 4 (citing *A global alliance* at para. 13).

172 *Roe v. Bridgestone*, 492 F. Supp. 2d 988, 991 (S.D. Ind. 2007).

173 Ibid. at 1016.

174 Ibid. at 1014.



► მოსარჩელე მხარეს გააჩნია საკუთარი სამსახურის დატოვების თავისუფლება

მდგომარეობის გაუმჯობესება, რომელსაც ითხოვს მოსარჩელე და მოაგვარებდა მათ პრეტენზიებს, ცხადყოფს, რომ პირობები, რომელთა თაობაზეც ისინი ჩივიან, არ წარმოადგენს „იძულებით შრომას“, ტერმინის იმ შინაარსით, რომლითაც იგი გამოიყენება საერთაშორისო სამართლის ნებისმიერი კონკრეტული, უნივერსალური თუ სავალდებულო ნორმით. მოსარჩელე არ აცხადებს, რომ ფაიერსტოუნი არ უხდის გასამრჯელოს და არ ამტკიცებს, რომ ფაიერსტოუნი იყენებს ფიზიკურ ძალას მათ სამსახურში დასაკავებლად. იგი არ ამტკიცებს, რომ მათ არ ეძლეოდათ სამუშაოდან თავისუფლად წასვლის საშუალება, რომ ლიბერიაში სადმე ჰქონოდათ უკეთესი პერსპექტივები. მოსარჩელე მხარე არ ამტკიცებს, რომ ისინი დააკავეს მათი სურვილის წინააღმდეგ, აწამებდნენ, აპატიმრებდნენ ან ემუქრებოდნენ ფიზიკური ძალადობით. მოსარჩელე მხარე არ ამტკიცებს, რომ არსებობს საკუთრების ან ტრეფიკინგის რაიმე ფორმა დაქირავებულ მუშებს შორის.

სამაგიეროდ, მოსარჩელე მხარე ამტკიცებს, რომ მუშებს აკავებდნენ სამსახურში სიღარიბის, შიშისა და უცოდინარობის ხარჯზე. რამდენადაც ძლიერი არ უნდა იყოს ეს ფაქტორები, ისინი ხარისხობრივად განსხვავდება შეიარაღებული ჯარების მიერ მუშათა გატაცებისა და სამუშაო ბანაკებში დეპორტირებისაგან. უფრო მაღალი გასამრჯელო, დასვენების დღეები და უქმეები, ნორმალური შრომითი ურთიერთობების უსაფრთხოება, უკეთესი საცხოვრებელი პირობები, განათლება და სამედიცინო მომსახურება — ეს სურვილები სრულიად გასაგებია. თუმცა, უკეთესი გასამრჯელო და სამუშაო პირობები არ წარმოადგენს შესაგებელს იძულებითი შრომისთვის, რომელიც დაგმობილია საერთაშორისო სამართლის მიერ. შესაგებელი ჭეშმარიტი იძულებითი შრომისთვის იქნებოდა დასაქმების შეწყვეტა და გადაადგილების თავისუფლების მოპოვება. თუმცა, ზრდასრული მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ მათ ეშინიათ სწორედ იმ სამსახურის დაკარგვა, რომლის შესრულებასაც მათ აიძულებენ.

ის ფაქტი, რომ მოსარჩელებს უარესი პერსპექტივები ელით ლიბერიის სხვა ნებისმიერ ადგილას, არ გულისხმობს დამსაქმებლის მიერ ძალის გამოყენებას ან მუშების დაშინებას მათ სამსახურში დაკავების მიზნით.

► ფიზიკური ძალისა თუ მუქარის მტკიცებების არარსებობა

საჩივარში არ არის მტკიცება იმის შესახებ, რომ არსებობდა უსაფრთხოების ძალების მიერ ჩადენილი ფიზიკური ძალის, ფიზიკური დაშინებისა თუ მუქარის გამოყენების რაიმე ფაქტი მიმართული მოსარჩელეთა ან პლანტაციის მუშების წინააღმდეგ. მსგავსი მტკიცებების ან იძულებითი შრომის შესახებ სხვა მინიშნებების არარსებობის პირობებში, სასამართლოს არ შეუძლია დაასკვნას, რომ ამჟამინდელი უსაფრთხოების ძალების არსებობამ შესაძლოა განაპირობოს პლანტაციაში არსებული გარემოებების გადაქცევა იძულებითი შრომის შესახებ კონკრეტული, უნივერსალური და სავალდებულო საერთაშორისო ნორმების დარღვევად. გავიხსენოთ, ასევე, რომ მოსარჩელები სისტემატურად ამტკიცებდნენ, რომ მათ ეშინიათ იმავე სამსახურის დაკარგვა, რომლის შესრულებასაც მათ აიძულებენ.

► დამსაქმებელი არ არის პასუხისმგებელი გარე ეკონომიკურ სიტუაციაზე

მოსარჩელები ასევე ამტკიცებენ, რომ ისინი იმდენად იზოლირებულნი არიან პლანტაციაში, რომ არ გააჩნიათ სურვილისამებრ, პლანტაციის დატოვების რეალური შესაძლებლობა. მოსარჩელები ამტკიცებენ, რომ არ არის ტრანსპორტი და შიმშილის პირას იქნებოდნენ სამსახურის დაკარგვის

შემთხვევაში. ძირითადი პრობლემა ამ არგუმენტთან დაკავშირებით იმაში მდგომარეობს, რომ ეს გარემოებები არ არის მოპასუხეების მიერ შექმნილი. მოპასუხეები მუშაობენ კომერციულ სანარმოში ომით განადგურებულ ქვეყანაში, რომელიც ერთ-ერთი უღატაკესი და ყველაზე საშიში ადგილია მსოფლიოში. სასამართლოსთვის არაა ცნობილი საერთაშორისო სამართლის ნორმა, რომელიც აცხადებს, რომ დამსაქმებელმა უნდა უზრუნველყოს ტრანსპორტი, საკვები ან სხვა საჭიროებები მუშისთვის, რომელსაც სურს სამსახურის მიტოვება. სასამართლო ასკვნის, რომ მოსარჩევეებს პრაქტიკულად, არ გააჩნიათ უკეთესი არჩევანი. მაგრამ უკეთესი არჩევანის არქონა არ წარმოადგენს მოპასუხეთა სამართლებრივ პასუხისმგებლობას. არსებობს განსხვავება მკაცრ პირობებს, რომლებზე პასუხისმგებლობა შესაძლოა ჰქონდეს ან არქონდეს დამქირავებელს და იმ პირობებს შორის, რომელიც განსაზღვრულია 1930 წლის შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 29 კონვენციით. იძულებითი შრომა არის „მუშაობა ან მომსახურება“ რომელიც სრულდება პირის მიერ, ნებისმიერი სახის სასჯელის მუქარის ქვეშ და რომლის შესრულების ნებაყოფლობითი სურვილიც არ გამოუხატავს ხსენებულ პირს.

► დასჯის მუქარა

ფრაზა „ნებისმიერი დასჯის მუქარა“ არ ეხება ზიანს, რომელიც შესაძლოა მიადგეს პირს, თუ იგი გადანყვეტს სამსახურის მიტოვებას და ვერ შეძლებს სხვაგან თავის გატანას. დასჯის არსი მდგომარეობს (სამართლიანი თუ უსამართლო) დასჯის მიზნით მიზანმიმართული ქმედების ჩადენაში ხელისუფლების ან სხვა სუბიექტის მიერ რაიმე დანაშაულის გამო და არა იმაში, რომ დარჩე უსახლკაროდ და უსახსროდ დედამიწის ყველაზე უღარიბეს და ყველაზე საშიშ ქვეყანაში. წინასწარგანზრახვით მიყენებული ზიანის ელემენტის გარეშე, იძულებითი შრომის ცნება გულისხმობდა მრავალ ადამიანს, ვინც მუშაობს ნაკლებად მიმზიდველ სამუშაოზე თავის სარჩენად, მხოლოდ იმიტომ, რომ არ გააჩნია უკეთესი ალტერნატივა. 2005 წლის ანგარიშში შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალურმა დირექტორმა გამოიჩინა აშკარა სიფრთხილე ასეთი ფართო განმარტების მიმართ: იძულებითი შრომა არ გულისხმობს მწირ ეკონომიკურ შესაძლებლობებს, როცა მუშა ვერ ტოვებს სამსახურს, რადგან არ გააჩნია ან მისი აზრით, არ გააჩნია დასაქმების სხვა ალტერნატივა.

თუ სამუშაო პირობები ზრდასრულებისთვის ფაიერსტოუნის პლანტაციაში არღვევს საერთაშორისო სამართლის ნორმებს, მაშინ საერთაშორისო სამართლის ფარგლები უნდა გაფართოვდეს უსასრულოდ და მოიცვას ექსპლუატატორული სამუშაო პირობები და დაბალი ხელფასები მთელს მსოფლიოში. მოსარჩელის ძირითადი პრეტენზია — რატომ დავრჩებოდით, სხვაგან რომ გვქონდეს წასასვლელი? შესაძლოა განვავრცოთ მთელი მსოფლიოს ხალხებზე, ვისაც არ გააჩნია უკეთესი ცხოვრების ალტერნატივა.¹⁷⁵

სასამართლომ დაადგინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობდა „საერთაშორისო კონსენსუსი, რომ „იძულებითი შრომად“ წოდებული ზოგიერთი უკიდურესი პრაქტიკა მაინც არღვევს საყოველთაო და სავალდებულო საერთაშორისო ნორმებს“, ფაიერსტოუნის პლანტაციაში არსებული დასაქმების პრაქტიკა მერყეობს“ სადღაც საერთაშორისო კანონის (მონობისა ან სამხედროთა ხიმტების ქვეშ იძულებითი შრომის შესახებ) დარღვევასა და უფრო გაურკვეველ სიტუაციებს შორის, რომელიც გულისხმობს მძიმე სამუშაო პირობებსა და მწირ ან ექსპლუატატორულ ანამდგომლობა ბავშვთა შრომის ნაწილში. „პატარა ბავშვების შრომის ზოგიერთი პრაქტიკა ლიბერიის ფაიერსტოუნის პლანტაციაში შესაძლოა არღვევს საერთაშორისო სამართლის კონკრეტულ, საყოველთაო და სავალდებულო სტანდარტებს, როგორიცაა სარჩელის მეორე მუხლი, და რომელიც

175 Ibid. at 1016-1019 (excerpts).

176 Ibid. at 1010.

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. ეს საქმე არ დასრულებულა და სარჩელი ბავშვთა შრომის შესახებ, ჯერ კიდევ წარმოებაშია.

(1) ამ სასამართლოს აზრით, ის ფაქტი, რომ მოსარჩელებებს არ სურდათ სხვა სამსახური და მხოლოდ სამუშაო პირობების გაუმჯობესებას მოითხოვდნენ ნიშნავდა, რომ მათ თავისუფლად შეეძლოთ სამუშაოს მიტოვება და არ აიძულებდნენ ეშრომათ ფაიერსტოუნში. სასამართლო არ ეთანხმება ეკონომიკური სიღუხეირის იდეას. შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ აღნიშნული საქმის თაობაზე სხვა სასამართლო მივიდეს განსხვავებულ გადაწყვეტილებამდე? როგორ შეხედავდა ამ საქმეს ექსპერტთა კომიტეტი?

(2) შესაძლოა, რომ მოსარჩელებებს უფრო მეტი შედეგისთვის მიეღწიათ თუ თავს შეიკავებდნენ 29 კონვენციით იძულებითი შრომის განმარტების გამოყენებისაგან და სამაგიეროდ, შეეცდებოდნენ რომ დაემტკიცებინათ იძულებითი ყმობის პირობებში მუშაობის ფაქტები, ან ის, რომ მათი სტატუსი გაუტოლდა მონობას? არის თუ არა ნორმები მონობის ან იძულებითი ყმობის შესახებ უფრო ნათელი, ვიდრე აკრძალვა იძულებითი შრომის შესახებ?

(3) როგორც მოსარჩელე, ასევე მოპასუხეც, იყენებენ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მასალებს, მათ შორის, საინფორმაციო ლიტერატურას. რა სახის სამართლებრივი გავლენის მქონედ მიიჩნია სასამართლომ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის საინფორმაციო ლიტერატურა? ხედავენ თუ არა მხარეები ან სასამართლო განსხვავებას შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მასალების წყაროებს შორის?

(4) როგორც ჩანს, სასამართლოს (დანაშაულის აღიარებისთვის) სტიმულები ფიზიკური ძალის ან იძულების მუქარის ფაქტების არსებობა. რა სახის სამართლებრივი დაცვარება არსებობს ამ შემთხვევაში იძულებითი შრომის დანაშაულის ელემენტის მიმართ?

This image shows a blank sheet of white paper with horizontal ruling lines. The lines are evenly spaced and run across the width of the page. There are no margins, text, or other markings on the paper.

94

ფაიერსტონის პლანტაციის პრაქტიკა არ არის გამონაკლისი. იხილეთ შემდეგი კომენტარები პერუს შესახებ, სადაც კომიტეტმა გამოავლინა კონვენციის დარღვევის ფაქტები. თუმცა, მიუხედავად ყურადღება, რომ პერუელ მუშებს არ შეეძლოთ შრომითი ურთიერთობების თავისუფლად განწყვეტა.

**ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების
განხორციელების საკითხებზე (CEACR)**

ინდივიდუალური კომენტარები 29 კონვენციის შესახებ (1993)

**(კომენტარები პერუს მთავრობის ანგარიშის შესახებ, მკვიდრი
მოსახლეობის მდგომარეობის შესახებ შესაქონლეობის
ან ხე-ტყის გადამამუშავებელ სექტორში)**

ანგარიშის მიხედვით, რომელიც მთავრობამ წარადგინა „არსებობს მოსახლეობა, რომელიც თაობიდან თაობამდე მემკვიდრეობით იღებს და ინარჩუნებს მონურ ურთიერთობებს. ხშირია ბავშვთა ძალადობრივი გატაცების ფაქტები, ან გატაცება პატრონაჟის საბაბით, მოსანათლად, თუმცა, სიცოცხლის ბოლომდე მოსამსახურეებად იტოვებენ“. მუშახელის მოპოვების სხვა გზაა „ავანსები“... ანგარიშში ასევე ნათქვამია, რომ „მათი თავისუფალი ნების აღკვეთის შედეგად, სამუშაო პირობების იძულებით თავსმოხვევის გამო, ინდიელები ჩაფლულნი არიან მონობის სისტემაში და აღკვეთილი აქვთ ყველა თავისუფლება და კონსტიტუციური უფლებები“.

რაც შეეხება მათ სამუშაო პირობებს, ანგარიშის მიხედვით, ინდიელები მუშაობენ: „...10-12 საათი ყოველდღიურად, რაც კიდევ მძიმდება იმ გარემოებით, რომ მათ არ უხდიათ არც სასიცოცხლო მინიმუმის ტოლ ხელფასს და არც ზედმეტი სამუშაო დროისთვის ანაზღაურებას... ასევე ირღვევა შრომითი კანონები დასვენების დროსთან, სოციალურ უსაფრთხოებასთან და პროფესიულ ჯანმრთელობასთან მიმართებაში.“ უფრო მეტიც, ანგარიში ასევე აღნიშნავს, რომ „ინდიელთათვის სირთულეს წარმოადგენს, ან საერთოდ შეუძლებელია თავისუფლად გადაადგილდნენ მამულისა თუ ბანაკის საზღვრებს გარეთ და დავალიანებისთვის მათ აპატიმრებენ მამულებში არსებულ იმპროვიზებულ საპატიმროებში.“

კომიტეტი დასძენს, რომ სიტუაციები, რომელიც ზემოთ არის მოტანილი, წარმოადგენს 29 და 105 კონვენციების მნიშვნელოვან დარღვევას. მუშათა იძულებითი ჩართვა შრომით ურთიერთობაში, შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის აკრძალვა და მუშაობის უკიდურესად მძიმე პირობები 29 კონვენციის პრინციპების დარღვევას წარმოადგენს.

7.2.8. იძულებითი შრომა დამატებით საათებში

სასამართლო „როე ბრიტანეთის წინააღმდეგ“ საქმეში არ დაეთანხმა მოსამხრებას, რომ სამუშაო, რომელიც შესრულებულია სამსახურიდან დათხოვნის მექანიზმით, წარმოადგენს სამუშაოს, რომელიც შესრულებულია დასჯის მექანიზმის გეგმით. მართლაც, ექსპერტთა კომიტეტმა მიიჩნია, რომ დათხოვნის მექანიზმით შემთხვევაში, შესაძლოა საკმარისი იყო. ფაიერსტონის მოსარჩევეებს შესაძლოა მეტი შედეგისთვის მიეღწიათ სასამართლოში, თუ ხაზს გაუსვამდნენ მათი მუშაობის მხოლოდ ერთი ასპექტს, როგორც იძულებითი შრომის გამოხატულებას, კერძოდ, სავალდებულო მუშაობას დამატებით საათებში. მიუხედავად იმისა, რომ „დამატებით საათებში მუშაობა“ არ ახდენს გავლენას კონვენციის გამოყენებაზე, როცა იგი თავსდება ადგილობრივი კანონმდებლობით ან ერთობლივი შეთანხმებებით დადგენილი ჩარჩოების ფარგლებში.¹⁷⁸ ექსპერტთა კომიტეტმა ასევე აღნიშნა, რომ დამატებით საათებში შესრულებული სამუშაო, რომელიც დათხოვნის მექანიზმის გეგმით სრულდება წარმოადგენს „მუშის დაუცველობის ექსპლუატაციას, რაც პრაქტიკულად, დასჯას უტოლდება“. 2007 წლის იძულებითი შრომის ზოგად კვლევაში – „იძულებითი შრომის აღმოფხვრა“ კომიტეტმა აღნიშნა, რომ ზოგიერთ

¹⁷⁸ Report of the Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations, International Labour Conference, Report III (Part 1A), International Labour Conference, 85th Session, Geneva, 1998, para. 107.



შემთხვევაში, დამატებით საათებში შრომის ვალდებულება, რომელიც ეროვნული კანონმდებლობით ან კოლექტიური შეთანხმებებით დადგენილი საათების ზღვრულ ოდენობას სცილდება, შესაძლოა წარმოადგენდეს 29 კონვენციის ზოგიერთი პირობის დარღვევას. „მიუხედავად იმისა, რომ მუშებს თეორიულად, შეუძლიათ უარი თქვან დადგენილი სამუშაო საათების შემდეგ მუშაობის გაგრძელებაზე, პრაქტიკულად, მათი დაუცველობა იმაში გამოიხატება, რომ შეიძლება არ ჰქონდეთ არჩევანი და იძულებულები არიან იმუშაონ, რათა გამოიმუშაონ მინიმალური გასამრჯელო, შეინარჩუნონ სამსახური, ან ორივე ერთად“.

კომიტეტმა მიიჩნია, რომ იმ შემთხვევებში, როცა სამუშაო ან მომსახურება დამკვიდრებულია მუშის დაუცველობის ექსპლუატირების, სასჯელის, დათხოვნის ან ანაზღაურების მინიმალურ ზღვარზე მეტად შემცირების მექანიზმების დახმარებით, ექსპლუატაციის ასეთი შემთხვევები სცილდება მუშაობის ცუდი პირობების საზღვრებს და ითხოვს კონვენციით გათვალისწინებული დაცვის მექანიზმების გამოყენებას.¹⁷⁹

იხილეთ კომიტეტის ქვემოთ მოტანილი კომენტარები გვატემალასა და ელ სალვადორის შესახებ.

ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების განხორციელების შესახებ (CEACR)

აუნაზღაურებელი შრომა სტანდარტული სამუშაო საათების შემდეგ და იძულებითი შრომის განსაზღვრება კონვენციის მიზნებისათვის

ინდივიდუალური კომენტარები 29 კონვენციის შესახებ, გვატემალა (2004)

იმ შემთხვევებში, როცა საწარმოები იღებენ გადაწყვეტილებას, რომ ანაზღაურება მოხდეს დაწესებული სამუშაო მიზნების შესრულების მიხედვით, სტანდარტული სამუშაო საათების შემდეგ მუშაობის მოვალეობა გამოწვეულია იმ ფაქტით, რომ არსებობს მინიმალური ანაზღაურების გამომუშავების აუცილებლობა... მუშას შეუძლია „გათავისუფლოს თავი“ მსგავსი პირობისაგან, მაგრამ მხოლოდ ერთი გზით – სამსახურის დატოვებით ან სამსახურიდან გათავისუფლებაზე დათანხმებით, რომელიც წარმოადგენს სანქციას აუნაზღაურებელი შრომის შესრულებაზე.

კომიტეტი ხაზს უსვამს მუშათა დაუცველობის მდგომარეობას, როცა სტანდარტული სამუშაო საათების შემდეგ მუშაობაზე უარის თქმის თეორიული არჩევანი გააჩნიათ, მაგრამ პრაქტიკულად, არჩევანი არარეალურია, იმის გათვალისწინებით, რომ მათ სჭირდებათ მინიმალური შემოსავალი მაინც და სამსახურის შენარჩუნება; რასაც შედეგად მოყვება აუნაზღაურებელი შრომა თუ მომსახურება. კომიტეტი მიიჩნევს, რომ ასეთ შემთხვევაში შრომა თუ მომსახურება დამკვიდრებულია მუშის დაუცველობის, ექსპლუატაციის და დასჯის მექანიზმების დახმარებით, კერძოდ, დათხოვნის ან მინიმალურზე დაბალი ანაზღაურების დაწესებით.

179 *Eradication of forced labour, General Survey of 2007*, at para. 134.

**ექსპერტთა კომიტეტი კონვენციებისა და რეკომენდაციების
განხორციელების საკითხებზე (CEACR)**

ინდივიდუალური კომენტარები ელ სალვადორის შესახებ, (2006)

კომიტეტმა აღრიხედელ დაკვირვებებში გამოკვეთა ელ სალვადორის პროფკავშირ-
თაშორის კომისიის კომენტარები მრავალი მუშის მდგომარეობის შესახებ ქარხნებში,
სადაც დათხოვნის მუქარით აიძულებენ იმუშაონ ანაზღაურების გარეშე ეროვნული
კანონმდებლობით განსაზღვრული სტანდარტული სამუშაო საათების შემდეგ. კომი-
ტეტმა აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ორგანიზაციის მიხედვით, ამ ტიპის ქარხნებში
საწარმოო მიზნების მიღწევას სჭირდება მუშები, რომლებიც იმუშავებენ სტანდარტულ
სამუშაო საათებზე მეტს, ანაზღაურების გარეშე და სამსახურის დაკარგვის საფრთხის
პირობებში.

კომიტეტმა სთხოვა მთავრობას, რომ მიეწოდებინა ინფორმაცია ასეთ სექტორში
მუშების მიერ ნამუშევარი დამატებით საათების საშუალო რაოდენობის და იმ ზომების
შესახებ, რომელიც გატარდა ან დაგეგმილია აღნიშნულ სექტორში სავალდებულო
სამუშაოს დაკისრებისგან მუშების დასაცავად.

7.2.9. იძულებითი ყმობა და იძულებითი შრომა ქვეყნის შიდა სამართლის მიხედვით

ამერიკაში, კლასიკური მონური შრომის ისტორიის არსებობის გამო, აშშ-ს სასა-
მართლოებში იძულებითი ყმობისა და იძულებითი შრომის საკითხებზე არაერთი საქმე
ყოფილა განხილული.¹⁸⁰ იმის მიუხედავად, რომ აშშ-ს სასამართლოებში იძულებითი
შრომის შესახებ არაერთი სარჩელი განხილულა, როგორც საერთაშორისო ჩვეულებითი
სამართლის პირდაპირი დარღვევა, გამოძიებას ერთ-ერთი სტატუტის ფარგლებში,
რომელიც არაკანონიერად აცხადებს მოჯამაგირეობას (peonage), იძულებით ყმობას
(involuntary servitude) ან იძულებით შრომას, გაცილებით უფრო ხშირად მიმართავენ
იძულებითი შრომის შესახებ სარჩელების სამართალწარმოების დროს.¹⁸¹ ყველა ხსე-
ნებულ სტატუტებს კრებითად უწოდებენ ტრეფიკინგის შესახებ სტატუტებს, თუმცა
სტატუტები მოჯამაგირეობისა და იძულებითი ყმობის შესახებ ერთი საუკუნით უსწრებს
გაეროს ოქმს ტრეფიკინგის შესახებ და ამერიკული ძალისხმევის შედეგია, რომელიც
მონათმფლობელობისა და მონობის მსგავსი პრაქტიკის აღმოფხვრას ისახავდა მიზნად.
გამონაკლისი გახდა სტატუტი იძულებითი შრომის შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა
2000 წელს, ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის აქტის ფარგლებში და რომელზეც აშკარა
გავლენა იქონია გლობალურმა დებატებმა ტრეფიკინგის თემაზე. თუმცა, საქმეების
განხილვამდე, ძალაში რჩება სამართლებრივი გარემოს მიმოხილვის პრაქტიკა.

1865 წელს, კონგრესის მიერ რატიფიცირებული იქნა კონსტიტუციის მეცამეტე შესწორება,
რომლის მიხედვითაც, „არც მონობა და არც იძულებითი ყმობა, გარდა სასჯელისა
ჩადენილი დანაშაულისათვის, რომელიც მართებულად დაეკისრა დამნაშავე მხარეს,
იქნება დაშვებული ამერიკის შეერთებულ შტატებში ან ნებისმიერ სხვა ადგილას, სადაც
მისი იურისდიქცია ვრცელდება“. თავიდანვე ნათელი იყო, რომ იძულებით ყმობას უფრო
ფართო მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მონობას. 1872 წელს, უზენაესმა სასამართლომ
დაადგინა, რომ მეცამეტე შესწორების „აშკარა მიზანი“ იყო „აფრიკული მონობის ყველა
გამოვლინებისა და პირობის აკრძალვა“.¹⁸² ტერმინი „იძულებითი ყმობა განკუთვნილი

180 მეოცე საუკუნის დასაწყისში, მოჯამაგირეობის შემთხვევები მკვეთრად გაიზარდა, თუმცა მეოცე საუკუნის
მეორე ნახევარში, თითქმის შემთხვევათა აბსოლუტური უმრავლესობა მოიცავდა იძულებით შრომას აგრარულ
სექტორში. მოჯამაგირეობის ადრეული პრაქტიკის შესახებ იხილეთ: *Pollock v. Williams*, 322 US 4 (1944);
Bailey v. State of Alabama, 219 US 219 (1911); *Clyatt v. United States*, 197 US 207 (1905). აგრარულ
სექტორში იძულებითი შრომის შესახებ იხილეთ: *United States v. Harris*, 701 F.2d 1095 (4th Cir. 1983); *United
States v. Bibbs*, 564 F.2d 1165 11th Cir. 1977); *United States v. Booker*, 655 F.2d 562 (4th Cir. 1981); *United
States v. Shackney*, 333 F.2d 475 (2d Cir. 1964); *United States v. Warren*, 772 F.2d 827 (11th Cir. 1985).

181 იხილეთ: აშშ კანონთა კრებულის მე-18 თავის 1583-ე მუხლი (მოჯამაგირეობა); აშშ კანონთა კრებულის მე-
18 თავის 1584-ე მუხლი (იძულებითი ყმობა); აშშ კანონთა კრებულის მე-18 თავის 1589-ე მუხლი (იძულებითი
შრომა). ასევე არსებობს დებულება, რომელიც კრძალავს ტრეფიკინგს სქესობრივი ექსპლუატაციის მიზნით, აშშ
კანონთა კრებულის მე-18 თავის 1591-ე მუხლი. თუმცა, წინამდებარე ნაშრომში იგი არ იქნება განხილული.

182 *Slaughter-House Cases*, 83 US 36, 68 (1872).



იყო ისეთი იძულებითი შრომის ფორმების გამოსახატავად, რომელიც დამახასიათებელი იყო აფრიკული მონობისათვის და, რომლის პრაქტიკული განხორციელების დროს, უმეტესწილად, არასასურველ შედეგს იღებდა.”¹⁸³

რა თქმა უნდა, როგორც ნებისმიერ ქვეყანაში, შრომა არც დამონებულია და არც თავისუფალი. (labour is Not either enslaved or free). უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ არსებობს არათავისუფალი შრომის სხვადასხვა სახეები. მეცამეტე შესწორებამ გამოყო არათავისუფალი შრომის ყველაზე შეუწყნარებელი ფორმები, თუმცა ეს არ ნიშნავდა, რომ შრომა თავისთავად, სრულად გათავისუფლდა. როგორც ერთ-ერთი ექსპერტ-ანალიტიკოსი აღნიშნავს, „შრომის პირობების იერარქიული სტრუქტურა არსებობდა მეცამეტე შესწორებამდე და მის შემდეგ, მონობიდან, მოჭამაგირეობიდან, ხელშეკრულებითი ყმობიდან, შეგირდობიდან და მოიჯარე-მონილეობიდან დაწყებული და სხვადასხვა ტიპის ანაზღაურებადი სამუშაოთი დამთავრებული... მონათმფლობელობის გაუქმების შემდეგ, სამხრეთის შრომის სისტემა სწრაფად მოერგო მოჭამაგირეობის სისტემას ყოფილი მონების იძულებისათვის საჭირო სამსახურის შესასრულებლად.”¹⁸⁴ თუმცა, მოჭამაგირეობის სისტემა მაინც გათავისუფლდა მონობის ყველაზე ცუდი მახასიათებლებისგან (კაბალური შრომით დაკავებულ მოჭამაგირეობზე არ ვრცელდებოდა საკუთრების უფლება; აკრძალული იყო მოჭამაგირეობის გაყიდვა; მოჭამაგირეობა არ გადადიოდა მემკვიდრეობით მოჭამაგირის შვილებზე), იგი არ იწვევდა „მონობის მრავალ პრაქტიკულ გამოვლინებებს – მშრომელთა უზარმაზარ ქვეკლასს, რომელიც ასრულებდა საქმეს კანონის ძალით და თავისუფლების აღკვეთის მუქარით და თავის დაღწევის თითქმის არანაირი შესაძლებლობა არ ჰქონდა”.¹⁸⁵ მეცამეტე შესწორების განხორციელებისა და დანაშაულებათა აღკვეთისათვის, კონგრესმა სასწრაფოდ მიიღო აქტი მოჭამაგირეობის წინააღმდეგ (1867) (Anti-Peonage Act), რომლითაც არა მარტო გაუქმდა მოჭამაგირეობის (laws enforcing peonage) განმამტკიცებელი კანონები, არამედ დაწესდა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც.¹⁸⁶ მიუხედავად იმისა, რომ კანონის აღსრულება თავდაპირველად, ფრაგმენტული იყო, იგი თანდათან გაძლიერდა და მთელი რიგი მნიშვნელოვანი სარჩელებით დასრულდა, რომლის შედეგადაც დაიხვეწა მოჭამაგირეობის (peonage) განმარტება.

1949 წელს, კონგრესმა დაამტკიცა Involuntary Servitude statute სტატუტი იძულებითი ყმობის შესახებ აშშ კანონთა კრებულის მე-18 თავის 1584 მუხლის მიხედვით. იგი წარმოადგენდა ორი, გაცილებით ადრეული სტატუტის გაერთიანებას, კერძოდ, 1909 წლის სტატუტისა, მონებით ვაჭრობის შესახებ და 1874 წლის პადრონეს სტატუტი (Padrone statute). სტატუტი მონობით ვაჭრობის შესახებ წარმოადგენდა ერთ-ერთ ღონისძიებას, რომელიც სხვებთან ერთად გატარდა ძირითადად, აფრიკული მონებით ვაჭრობის აღმოსაფხვრელად, თუმცა, 1909 წლის ვერსიაში ამოღებულია რასობრივი შეზღუდვა. პადრონეს სტატუტი განპირობებული იყო „იტალიელი ბავშვების დამონების, ყიდვა-გაყიდვის ან გამოყენების პრაქტიკის“ და მათი ქუჩის მათხოვრებად ან ქუჩის მუსიკოსებად იძულებითი შრომის გავრცელებული პრაქტიკით. თუმცა, სტატუტის ფორმულირება ზოგადია და ეხებოდა „ნებისმიერ პირს“, რომელიც „იძულებით შრომაში იყო ჩაბმული“. იძულებითი ყმობის შესახებ სტატუტის ძალაში შესვლის შემდეგ, ამერიკის სასამართლოებს მოუწიათ დიდი შრომის გაწევა იმის დასადგენად, თუ რა ხარისხის და სახის გეწოლა განაპირობებს მუშის შრომის იძულებითად მისაჩნევად. სააპელაციო სასამართლოებს შორის წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა იძულებითი ყმობის საქმეებში გამოსაყენებელი სათანადო სტანდარტის შესახებ. ერთი მხრივ, იყო მეორე გამსვლელი სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე „ამერიკის შეერთებული შტატები შაკნის წინააღმდეგ“, რომელიც რამდენიმე სხვა გამსვლელმა სასამართლომ გაიზიარა და მეორე მხრივ, გაცილებით უფრო ლიბერალური ინტერპრეტირება სტატუტისა, როცა მეცხრე გამსვლელმა სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „ამერიკის შეერთებული შტატები მუსრის წინააღმდეგ“.

„შაკნის“ საქმეში მთავრობა ამტკიცებდა, რომ მოპასუხე იძულებითი ყმობისა და მოჭამაგირეობის/კაბალურ პირობებში ამყოფებდა მექსიკელთა შვიდსულიან ოჯახს მეფრინველეობის ფერმაში, კონეკტიკუტში. ადგილზე ჩასვლისას, ოჯახს გაცილებით

183 Butler v. Perry, 240 US 328, 332 (1916).

184 Julie A. Nice, „Welfare Servitude“, in *Georgetown Journal on Fighting Poverty*, Vol. 1, 1994, p. 340.

185 Tobias Barrington Wolff, op. cit., p. 982.

186 Act of March 2, 1867, 14 Stat. 546.

მძიმე სამუშაო და უარესი საცხოვრებელი პირობები დახვდა დაპირებულთან შედარებით. ხუთი ბავშვი არ დადიოდა სკოლაში და მოპასუხე არ უხდიდა ოჯახს ანაზღაურებას; ამის მაგივრად, იგი უქვითავდა გამომუშავებული ანაზღაურებიდან თანხას სანყისი ვალის ანგარიშში, რომელიც მექსიკიდან მგზავრობის ხარჯების დასაფარად ჰქონდა გაცემული. ოჯახს სურდა მეფრინველეობის ფერმა დაეტოვებინა, მაგრამ არც ერთს არ „უთქვამს ამის შესახებ შაკნისთვის“ და არც „არავის დაუბრკოლებია მათი გამგზავრება ძალით ან მუქარის გამოყენებით“.¹⁸⁷

მთავრობის პოზიციით, ოროსები ვერ ბედავდნენ გათავისუფლების იოლი შესაძლებლობებით სარგებლობას, რადგან მათ ძლევდათ შაკნის მიერ კულტივირებული შიში... წასვლის შემთხვევაში, მათთვის უპირველესი მნიშვნელობის იყო დეპორტირების საფრთხე.

სასამართლომ არ გაიზიარა მთავრობის არგუმენტი, რომ პიროვნების „იძულებითი სამსახურში ყოლა“ („service by duress“) უტოლდება იძულებით ყმობას. სასამართლომ დაადგინა, რომ დეპორტირების მუქარა, არ იყო იგივე, რაც „დაპატიმრების რეალური საფრთხე“. „ყმობის იძულება ჩვენთვის ნიშნავს ბატონის მოქმედებას, რომელიც არ უტოვებს მოსამსახურეს სხვა გზას, ან აიძულებს მას იფიქროს, რომ არა აქვს სხვა არჩევანი გარდა, მუდმივი მსახურებისა ან ტყვეობისა... და არა სიტუაცია, როცა მოსამსახურემ იცის, რომ მას აქვს არჩევანი მუდმივ მსახურებასა და თავისუფლებას შორის, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბატონი აიძულებს მას იფიქროს, რომ არჩევანს შესაძლოა მოჰყვეს უკიდურესად მძიმე შედეგები“.¹⁸⁸ მეორე გამსვლელი სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნაწილი 1584 კრძალავდა მხოლოდ „სამსახურს, რომლის იძულებით შესრულებასაც უზრუნველყოფს კანონი, ძალის გამოყენება ან რაიმე სახის ხანგრძლივი ტყვეობის საფრთხე“.¹⁸⁹

„მუსრის“ საქმეში, მეორე მხრივ, მთავრობამ დაადანაშაულა მოპასუხეები რამდენიმე ინდონეზიელი შინამოსამსახურის, მოჭამაგირეობისა და იძულებითი ყმობის პირობებში ჩაყენებაში. საბრალდებო დასკვნაში ნათქვამია, რომ მოპასუხეები აკავებდნენ მოსამსახურეებს მათი სურვილის წინააღმდეგ „ამერიკის შეერთებულ შტატებში შეტყუებით, შემდეგ სამსახურისთვის მწირი ჯამაგირის გადახდით, მათი პასპორტებისა და დასაბრუნებელი ავიაბილეთების კონფისკაციითა და მათი მგზავრობის ხარჯების დაბრუნების სანაცვლოდ სამუშაოს შესრულების მოთხოვნით“.¹⁹⁰ რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ბრალდების არც ერთი მუხლი, რომელიც არ ასაბუთებდა მოპასუხეთა მიერ კანონის ან ძალის გამოყენების მუქარას მუშების ადგილზე დასაკავებლად, მათი სურვილის წინააღმდეგოდ.

საქმის გასაჩივრებისას, მეცხრე გამსვლელმა სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ „ადამიანების ნების დაქვემდებარების მეთოდები შეიცვალა და მონობის უხეში ფორმები ჩანაცვალა იძულების უფრო დახვეწილმა და ასევე ეფექტიანმა ფორმებმა“.¹⁹¹ „შაკნის“ საქმესთან დაკავშირებით, მეცხრე გამსვლელმა სასამართლომ დაადგინა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ კრიტერიუმს, რომელიც მიზნად ისახავს კანონის ან ფიზიკური ძალის გამოყენების მცდელობის შემთხვევაში, მკვეთრად გამოიჭნოს კანონიერი და უკანონო ქმედება, გააჩნია სიმარტივის აშკარა უპირატესობა, იგი ერთობ შეზღუდულია მე-13 შესწორების მიზნების განხორციელებისათვის“.

მეცხრე გამსვლელმა სასამართლომ დაადგინა, რომ:

„არსებობს სხვა ქმედებებიც, კანონის ან ფიზიკური ძალის გამოყენების ან გამოყენების მუქარის გარდა, რომელთაც შესაძლოა იძულების ისეთივე ეფექტი ჰქონდეს, როგორც იძულების ტრადიციულ ფორმებს, ან კიდევ უფრო მეტად იძულებითი იყოს... გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს, თუ პიროვნება განზრახვით აიძულებს პირს შეასრულოს მისთვის სამუშაო, მისი ნების სხვა პირისთვის დაქვემდებარებით. იძულებითი ყმობის შემთხვევებს ადგილი აქვს მაშინ, როცა ერთი პიროვნება აიძულებს მეორეს ემსახუროს შეუფერებელი

187 *United States v. Shackney*, 333 F.2d 475, 479 (2d Cir. 1964).

188 *Ibid.* at 486.

189 *Ibid.* at 487.

190 *United States v. Mussry*, 726 F.2d 1448, 1450 (9th Cir. 1984).

191 *Ibid.* at 1452.



ან უსამართლო ქცევით, რომელიც გამიზნულია, რომ გამოიწვიოს და იწვევს კიდევ, სხვა პიროვნებაში აზრის განმტკიცებას, რომ მას არ გააჩნია სხვა ალტერნატივა, გარდა სამუშაოს შესრულებისა“.¹⁹²

მეცხრე გამსვლელმა სასამართლომ აღიარა, რომ იძულება შესაძლოა არ იყოს ფიზიკური ან სამართლებრივი ძალდატანების შედეგი, თუმცა, მან იქვე დაამატა, რომ ზენოლის ყველა ფორმა აკმაყოფილებს *სტატუტს იძულებითი ყმობის შესახებ*.

„ვალდარებით, რომ ეკონომიკურმა აუცილებლობამ შესაძლოა აიძულოს ადამიანები დათანხმდნენ სამუშაოს და იმ ანაზღაურებით, რომლის შესრულებასაც არ ისურვებდნენ. მათ შესაძლოა ჰქონდეთ განცდა, რომ აიძულებენ ასეთი სამუშაოების შესრულებას. თუმცა, მსგავსი სახის იძულება გამომწვეულია სოციალური გარემოებებით და არა დამსაქმებელთა ქცევით. მხოლოდ შეუფერებელი ან უსამართლო ქცევა დამსაქმებლის მხრიდან, შეიძლება გახდეს მისი სამართლებრივი დევნის საფუძველი“.¹⁹³

სხვადასხვა სასამართლოში არსებული აზრთა სხვადასხვაობის აღმოსაფხვრელად, იძულებითი ყმობის საკითხებზე, უზენაესმა საბჭომ შეწყვიტა საქმე „ამერიკის შეერთებულ შტატები კომმინსკის წინააღმდეგ“.

7.2.10. ფსიქოლოგიური ზეწოლა იძულებითი ყმობის შემთხვევაში საქმე „ამერიკის შეერთებული შტატები კომმინსკის წინააღმდეგ“, გადანყვეტილება 487 US 931 (1988)

ფაქტობრივი გარემოებები. 1983 წელს, მიჩიგანის რძის ერთ-ერთი ფერმაში ორი გონებრივად შეზღუდული კაცი იპოვეს. ორივეს ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა და მათხოვრულ პირობებში ცხოვრობდნენ. მათ წლების განმავლობაში არ უხდინდნენ ანაზღაურებას. ერთ-ერთი მათგანი ფერმაში 1967 წლიდან მუშაობდა. მეორე, რომელიც მანამდე სახელმწიფოს სულით დაავადებულთა საავადმყოფოში იმყოფებოდა, ფერმაში 1970-იანი წლებიდან მუშაობდა. მთავრობამ სარჩელი აღძრა აიკ და მარგარეტ კომმინსკების და მათი ვაჟის – ჯონის წინააღმდეგ 1584-ე ნაწილის დარღვევის გამო და სასამართლომ მოპასუხე მხარე დამნაშავედ სცნო. მითითებებში ნაფიც მსაჯულების მიმართ განმარტებული იყო, რომ ერთი მხრივ, იძულებითი ყმობა შეიძლება „გულისხმობდეს შემთხვევებს, როცა ადგილი აქვს ფიზიკურ და სხვა სახის იძულებას, ან მათ კომბინაციას, რომელიც აკავებს დასაქმებულ პირებს“. ნაფიც მსაჯულებს ასევე დაევალებათ, რომ დაედგინათ „გამოყენებული იყო თუ არა ძალდატანება, ისეთი სახისა და ხარისხით, რომელიც ჩააყენებდა ზოგადად, ნორმალური მდგომარეობის მქონე ადამიანებს, სავარაუდო დაზარალებულების მსგავსად, ისეთ მდგომარეობაში, რომ ერწმუნათ, რომ მათ არ გააჩნდათ თავის დაღწევის გონივრული საშუალება და სხვა არჩევანი, გარდა დამქირავებლის სამსახურში დარჩენისა“.¹⁹⁴ მოპასუხე მხარის შესაგებელში მითითებული იყო, რომ სასამართლომ არასწორი მითითებები მისცა ნაფიც მსაჯულებს, რომ ფსიქოლოგიური ზეწოლა სტატუტის დარღვევას წარმოადგენს.

მიუხედავად იმისა, რომ მეექვსე გამსვლელი სასამართლოს ნაფიცმა მსაჯულებმა ძალაში დატოვეს გამამტყუნებელი განაჩენი, შემდეგ ხელახლა შედგა საქმის მოსმენა სრული შემადგენლობით და სასამართლომ სრული შემადგენლობით გააუქმა გამამტყუნებელი განაჩენი და საქმე წარმოებაში დააბრუნა. მეექვსე გამსვლელი სასამართლოს ნაფიც მსაჯულთა უმრავლესობა დაეთანხმა მოპასუხეებს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტება იძულებითი ყმობის ზოგადი ფსიქოლოგიური ზეწოლის შემთხვევებსაც, 1584-ე ნაწილის ფარგლებში მოაქცევდა. მოგვიანებით, საქმე უზენაეს სასამართლოს გადაეცა განსახილველად.

სამართლებრივი ანალიზი. ამერიკის შეერთებულ შტატებში აფრიკული მონათმფლობელობის სასტიკი და ძალადობრივი გამოცდილების გათვალისწინებით, უზენაესმა

192 *Mussry*, 726 F.2d at 1453.

193 *Ibid.*

194 487 US 931 at 937 (quoting jury instructions).

სასამართლომ ადვილად დაასკვნა, რომ სტატუტი იძულებითი ყმობის შესახებ შეიძლება დაირღვეს ფიზიკური ძალდატანების გამოყენების გზით. მოჭამაგირეობის შესახებ წინამორბედ საქმეებზე დაყრდნობით, როცა მოვალეები იძულებულნი იყვნენ ემუშავათ ან დამდგარიყვნენ დაპატიმრების საფრთხის წინაშე, უზენაესმა საბჭომ დაადგინა, რომ სამართლებრივი იძულება ასევე წარმოადგენს სტატუტის დარღვევას. თუმცა, მხოლოდ ფსიქოლოგიური ზეწოლა არ არღვევს სტატუტს.

მთავრობის არგუმენტით ჩვენ უნდა შემოვიღოთ „იძულებითი ყმობის“ ფართო სტრუქტურა, რომელიც აკრძალავს ნებისმიერი საშუალებით მომსახურების იძულებას, რომელიც დაზარალებულის აზრით, მას არ უტოვებს რაიმე მისაღებ ალტერნატივას, გარდა მოპასუხის სამსახურისა, ან დაზარალებულს არ უტოვებს არჩევანის ნებას. ასეთი ინტერპრეტაციით, იძულებითი ყმობა გულისხმობს ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ისევე როგორც თითქმის ნებისმიერი სახის საუბარსა, თუ ქცევას, რომელიც განზრახ გამოიყენება, რომ დაარწმუნოს მუშაობის არმოსურნე პირი - შეასრულოს სამუშაო.

უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მთავრობის ინტერპრეტაცია დანაშაულს ზედმეტად სუბიექტურად განიხილავდა. „აკრძალული იძულების სახე დამოკიდებული იქნება მთლიანად მსხვერპლის სულიერ მდგომარეობაზე.“¹⁹⁵ დამსაქმებელს არ უნდა დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა „ყოველთვის, როცა დასაქმებული პირი დაასკვნის, რომ მისი სამსახურიდან წასვლის ნება დაქვემდებარებულია საფრთხეს, რომელიც სერიოზულ გავლენას იქონიებს მის მომავალ კეთილდღეობაზე, თუმცა, როცა მას მაინც აქვს არჩევანი, რაც უნდა მტკიცე იყოს იგი“.¹⁹⁶ მიუხედავად ამისა, უზენაესმა სასამართლომ მაინც ივარაუდა ინდივიდუალური პირის მიმართ გამოყენებულ ზეწოლაზე მისი რეაქციის შეფასებისას. „პატრონეს“ სტატუტის ისტორიის გადახედვისას, უზენაესმა სასამართლომ დასძინა, რომ ისინი სისტემის მსხვერპლი იყვნენ: „მცირეწლოვანი ბავშვები, ვინც პრაქტიკულად, გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ უცხო ქვეყნის მათთვის აგრესიულ ქალაქებში... ამ ბავშვებს არ გააჩნდათ არჩევანი გარდა იმისა, რომ ემუშავათ პატრონებისათვის ან ფიზიკური დაზავების საფრთხის ქვეშ. პატრონები საკუთარ მსხვერპლთა დაუცველობას იყენებდნენ, რომ ჩაეყენებინათ ისინი ისეთ გარემოებაში, საიდანაც ფიზიკურად თავის დაღწევას ვერ შეძლებდნენ“.¹⁹⁷

მსხვერპლის ასაკი ან სპეციფიკური სახის დაუცველობა შესაძლოა რელევანტური იყოს იმის დასადგენად, თუ რა სახისა თუ ხარისხის ფიზიკური ან სამართლებრივი იძულებაა საკმარისი იმისთვის, რომ იყოლიო ადამიანი იძულებით ყმობაში. მაგალითად, ბავშვისთვის იმის თქმა, რომ მას შეუძლია წავიდეს გვიან ღამით სახლში უცხო ადგილიდან, შესაძლოა განაპირობოს ფიზიკურ ზეწოლა, რომლის შედეგადაც ის ადგილზე რჩება, თუმცა ჯანმრთელი ზრდასრული ადამიანი ამას არ გააკეთებს. ასევე, უნარშემღუდულის მდგომარეობით ან ემიგრანტის დეპორტირებით დამუქრება შესაძლოა წარმოადგენდეს სამართლებრივი ზეწოლის მუქარას, რომელიც იწვევს იძულებით ყმობას, თუმცა, იგივე სახის მუქარა ნორმალური გონებრივი უნარების მქონე ზრდასრული მოქალაქის მიმართ ნაკლებად სავარუდოა, რომ იწვევდეს იძულებით ყმობას.

ამრიგად, უზენაესი სასამართლოს მიხედვით, იძულებითი ყმობა ნიშნავს: „ყმობის მდგომარეობას, როცა მსხვერპლს აიძულებენ იმუშაონ მოპასუხეზე ფიზიკური შემღუდღის ან ფიზიკური ზიანის მუქარით, კანონის ძალით ან სამართლებრივი პროცესის მუქარით.“ თუმცა, „მსხვერპლის განსაკუთრებული დაუცველობის“ დამადასტურებელი გარემოებები მაინც რელევანტურად იქნა მიჩნეული „იმის განსაზღვრისთვის, თუ ფიზიკური ან სამართლებრივი ზეწოლა ან მუქარა ნამდვილად აიძულებდა თუ არა მსხვერპლს ემსახურა“. გარდა ამისა, „ზეწოლის სხვა საშუალებების ან უკიდურესად ცუდი სამუშაო პირობების დამადასტურებელი გარემოებები“ შესაძლოა რელევანტური იყოს საკამათო

195 Ibid. at 949.

196 Ibid. at 950 (quoting *Shackney*, 333 F.2d at 487).

197 Ibid. at 948.



საკითხების ან მოპასუხის განზრახვის დადასტურებისათვის.

ჯასტის ბრენანმა ცალკე წერილობითი მიმართვა შეადგინა, სადაც ხაზგასმით არ დაეთანხმა სასამართლო გადაწყვეტილებას იძულებითი ყმობის შესახებ სტატუტის ფიზიკური და სამართლებრივი ზეწოლით განსაზღვრის გამო. მან აღნიშნა, რომ სტატუტი დანაშაულად მიიჩნეოდა სხვა პირის იძულებითი ყმობის მდგომარეობაში ჩაყენებას, მაგრამ არ აკონკრეტებდა თუ რა გზით იქმნებოდა იძულებითი ყმობის მდგომარეობა. მან გააკრიტიკა უმრავლესობის მოსაზრება, რომლებიც პადრონეს სისტემის მსხვერპლთა აღწერდნენ, როგორც ფიზიკური იძულების მსხვერპლთ, მაშინ როცა ზეწოლა ასევე მოიცავდა „როგორც სასამართლომაც აღწერა...“ აშკარა ფსიქოლოგიურ, სოციალურ და ეკონომიკური ხასიათის ზეწოლასაც...“ „სასიხარულოა, რომ სასამართლო აღიარებს, რომ უცხო გარემოს და ფულს, გამოცდილების, განათლებისა თუ ოჯახური ხელშეწყობის ნაკლებობას შეუძლია გამოიწვიოს ზეწოლა, რომელიც აუცილებელია იძულებითი ყმობისთვის, თუმცა მსგავსი იძულებისთვის „ფიზიკურის“ იარაღის მიმაგრება საუკეთესო შემთხვევაში, ფაქტების დამახინჯებას ნიშნავს.¹⁹⁸

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. რამდენადაც არსებობდა საკმარისი მტკიცებულება სხვა სახის ზეწოლის შესახებ, უზენაესმა სასამართლომ არ გაამართლა მოპასუხე. სამაგიეროდ, საქმე წარმოებაში დაბრუნდა. პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვის შემდეგ, კომმინსკებს ნება დაერთოთ თავი ეცნოთ დამნაშავედ შრომის კანონის დარღვევაში სარჩელის თითო მუხლის მიხედვით. მათ დაეკისრათ 34 ათასი აშშ დოლარის გადახდა ორი მამაკაცისთვის.¹⁹⁹

კითხვები განხილვისათვის

(1) შეადარეთ კომმინსკის საქმეში იძულების განმარტება, რომელსაც პადრონეს მსხვერპლნი განიცდიდნენ, თუ როგორ განმარტავს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო მექარას, რომელიც სილიადინის მიმართ იყო გამოყენებული. უკიდურესი დაუცველობა ნიშნავს თუ არა იგივე ფიზიკურ ზეწოლას ან დასჯის მექარას? შესაძლოა თუ არა ამ უკანასკნელის დადგენა დანაშაულის მინიმალური მტკიცებულებების ზღურბლებზე?

(2) გაიხსენეთ საქმე – „ამერიკის შეერთებული შტატები კლიატის წინააღმდეგ“ (იხ. ზემოაღნიშნული ჩანართები), სადაც უზენაესმა სასამართლომ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ პიროვნების მიერ ნებაყოფლობით თუ არანებაყოფლობით ვალის აღება არ არის დაკავშირებული იმასთან, გადაიხარდა თუ არა მდგომარეობა მოჭამაგირეობაში. „მოჭამაგირეობა ზოგჯერ კლასიფიცირდება როგორც ნებაყოფლობითი ან იძულებითი, თუმცა იგულისხმება აღნიშნული გარემოების განსხვავებული წარმოშობა და არა ყმობის ხასიათი.“²⁰⁰ ეთანხმებით თუ არა ჯასტინ ბრენანის მოსაზრებას, რომ გამოძიების ყურადღება კონცენტრირებული უნდა იყოს შედეგად მიღებულ მდგომარეობაზე – იძულებითი ყმობაზე და არა საშუალებებზე, რომლითაც მიიღწევა იგი? თუ ასეა, რა მტკიცებულება იქნება საჭირო იძულებითი ყმობის გამოსავლენად?

(3) ერთი-ერთი ექსპერტის აზრით, კომმინსკის საქმე იყო „უზენაესი სასამართლოს „ნორმატიული წუხილი, რომ ფსიქოლოგიური ზეწოლის კრიტერიუმი ზედმეტად სუბიექტური და ამორფული იქნებოდა იძულებითი შრომასთან დაკავშირებული დანაშაულის დასამტკიცებლად.“²⁰¹ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციამ განაცხადა, რომ „გარე ზეზღუდვამ ან ირიბმა ზეწოლამ“ შესაძლოა გავლენა იქონიოს „მუშის თავისუფლებაზე ნებაყოფლობით შესთავაზოს საკუთარი მომსახურება“ და აღნიშნა, რომ „იქ, სადაც მიგრანტ მუშების იძულებით დამოკიდებულებაში მოქცევა ხდება მოტყუებით, ტყუილი

198 487 US at 958 & n. 5 (Brennan, J., concurring).

199 Suzanne H. Jackson, „To Honor and Obey: Trafficking in Mail-Order Brides“ in *George Washington Law Review*, Vol. 70, June 2002, p. 527.

200 *Clyatt*, 197 US at 215.

201 Kathleen Kim, „Psychological Coercion in the Context of Modern-Day Involuntary Labor: Revising *United States v. Kozminski* and Understanding Human Trafficking“, in *University of Toledo Law Review*, Vol. 38, Spring 2007, pp. 941, 955.



გამიზნული იყო „ტრეფიკინგით დაკავებულ პირთა სულ უფრო დახვეწილ მეთოდებთან „საბრძოლოვლად“, რაც საკუთარ მსხვერპლს აყენებს თანამედროვე მონობის პირობებში, მესამე პირისთვის ზიანის მიყენების მექანიზმით, მათი შეზღუდვით ფიზიკური ძალადობისა თუ ზიანის მიყენების გარეშე, ან საშინელი შედეგების მექანიზმით, რომელიც მიიღწევა ზედმეტად ძალადობრივის გარდა, ყველა ნებისმიერი საშუალებით“.²⁰⁸ პირველი სააპელაციო სასამართლო, რომელმაც განიხილა 1589-ე ნაწილის გამოყენების ფარგლები, იყო პირველი გამსვლელი სასამართლო საქმეზე „ამერიკის შეერთებული შტატები ბრედლის წინააღმდეგ.“

7.2.11. იძულებითი შრომის განსაზღვრება დაუცველობის კონკრეტული სახეების მიხედვით
საქმე „ამერიკის შეერთებული შტატები ბრედლის წინააღმდეგ“, გადაწყვეტილება 390 F.3d 145 (1st Cir. 2004)

ფაქტობრივი გარემოებები. ორმა მოპასუხემ, ბრედლიმ და ო’დელოიმ, დაიქირავეს სემონური მუშები იამაიკიდან ხის სატრელი კომპანიისთვის, რომელსაც ისინი ნიუ ჰემფშირში ამუშავებდნენ. მუშებს დაპირდნენ გასამრჩელოს არანაკლებ 11 აშშ დოლარის ოდენობით საათში და თავშესაფარს. ჩასვლისას, ო’დელოიმ მათ ჩამოართვა პასპორტები, იმ მოტივით, რომ გასულ წელს მუშა გაეცათ, ამასთან ბრედლი იმუქრებოდა, რომ დაიქირავებდა ვინმეს იმ კაცის „გასანადგურებლად“. მუშები მოათავსეს საშინელ საცხოვრებელ პირობებში და მათ ძალიან ცუდად ეპყრობოდნენ. მათ უხდიდნენ საათში 8 აშშ დოლარს, ამასთან ართმევდნენ 50 აშშ დოლარს კვირაში ბინის ქირის სახით. ერთ-ერთ მუშას ბრედლიმ უთხრა, რომ იგი უნდა დარჩენილიყო მხოლოდ იმდენი ხანი, რაც საკმარისი იქნებოდა 1 000 აშშ დოლარის დასაბრუნებლად, რომელიც დაიხარჯა მის მგზავრობაზე. მიუხედავად იმისა, რომ მუშები თავისუფლად გადაადგილდებოდნენ, ბრედლი და ო’დელოი თვალყურს ადევნებდნენ მათ მოძრაობას. საბოლოოდ, მუშები გაიქცნენ და ბრედლი და ო’დელოი სასამართლოს წინაშე წარსდგნენ იძულებითი შრომის მუხლით. პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დამნაშავეებად ცნობის შემდეგ, მათი სააპელაციო განცხადება ეჭვქვეშ აყენებდა პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებებს იძულებითი შრომის შესახებ და ამტკიცებდა, რომ ისინი სამართლებრივად გაუმართავი იყო.

პირველი ინსტანციის სასამართლომ ნაფიც მსაჯულებს მიანოდა შემდეგი სახის ინფორმაცია:

ტერმინი „სერიოზული ზიანი“ გულისხმობს ფიზიკურ და არაფიზიკურ ზიანს. ამიტომ, სერიოზული ზიანის მიყენების მექანა მოიცავს ნებისმიერ საფრთხეს, მათ შორის, ნებისმიერი ფიზიკური თუ არაფიზიკური შედეგების შესახებ მექარას, რომელიც საკმარისია ყველა არსებულ გარემოებებთან ერთობლივად, იმისთვის, რომ იგივე მდგომარეობაში მყოფი განონასწორებული გონებრივი მდგომარეობის მქონე პირი დაექვემდებაროს ზეწოლას ან იძულებას, რომ დაიწყოს ან გააგრძელოს მუშაობა ან მომსახურების გაწევა.²⁰⁹

მოპასუხე მხარის მტკიცებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს მითითებები მიესადაგებოდა „ფართო სპექტრის არადანაშაულებრივ ქმედებებს, როგორიცაა დამსაქმებლის მიერ საკუთარ „მსხვერპლთა“ დარწმუნება, რომ გააგრძელონ მუშაობა, მაგალითად, მომავალი ხელფასის დაკავების მექანიზმით, რომელის მიღებაც მუშაკისთვის მწვავე აუცილებლობას წარმოადგენს.“

საშუალებით, რომელიც გამიზნულია დააჯეროს კონკრეტული პირი, რომ თუ იგი არ შეასრულებს სამუშაოს ან მომსახურებას, მას ან სხვა პირს ფიზიკურად გაუსწორდებიან ან სერიოზულ ზიანს მიადგენენ; (3) კანონის ან სამართლებრივი პროცესების ბოროტად გამოყენებით ან ბოროტად გამოყენების მექანიზმით, შეადგენს [სისხლის სამართლის დანაშაულს]. „1589-ე ნაწილი წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის თავს, სათაურით „მოჯამაგირეობა, მონობა და ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)“.

208 H.R. Conf. Rep. 106-939 at 101. გარდა ამისა, კონგრესმა ნათლად მიუთითა ადამიანის უფლებათა რამდენიმე საერთაშორისო ინსტრუმენტზე, მათ შორის, კონვენციაზე იძულებითი შრომის გაუქმების შესახებ. Ibid. at 6.

209 390 F.3d at 150.

სამართლებრივი ანალიზი. სააპელაციო სასამართლომ მხედველობაში მიიღო მოპასუხე მხარის არგუმენტები და აღიარა ფსიქოლოგიური ზეწოლის გამოყენებისას, მოსალოდნელი პოტენციური პრობლემები.

ვეთანხმებით ამრს, რომ თუ ფრაზა „სერიოზული ზიანი“, გავრცელდება არაფიზიკურ ზეწოლაზე, იგი პოტენციურად, წარმოშობს ნაფიცო მსაჯულების მიერ მისი არასწორი ინტერპრეტირების საფრთხეს, გამოყენებული ზეწოლის ბუნებასთან დაკავშირებით... მისი ნაკითხვა შესაძლებელია ისე, რომ იგულისხმებოდეს ისეთი ქცევა, როგორიცაა დამსაქმებლის „მუქარა“ არ აუნაზღაუროს დაქირავებულ პირს სატრანსპორტო ხარჯები, თუ იგი სამსახურიდან ადრე წავა. კონტრაქტიდან გამომდინარე, ასეთი „მუქარა“ შესაძლოა კანონიერი იყოს დამსაქმებლის მხრიდან.

ამრიგად, შესაბამის შემთხვევებში, ვფიქრობთ, რომ სასამართლომ ნაფიცო მსაჯულებისთვის მითითებების გაცემის დროს უნდა გაიმიჯნოს შეუფერებელი ქცევა ან ზეწოლა და დასაშვები გაფრთხილება უარყოფითი, თუმცა კანონიერი შედეგების შესახებ.²¹⁰

თუმცა, სააპელაციო სასამართლომ არ მიიჩნია ეს კონკრეტული საქმე შესაბამის შემთხვევად. მიუხედავად იმისა, რომ სტანდარტულ მითითებებში უნდა შესულიყო: „დაზუსტება, რომ დამსაქმებლის მხრიდან ზოგიერთი სახის გაფრთხილება შესაძლოა კანონიერი იყოს“, მოპასუხე მხარემ ვერ შეძლო სააპელაციო სასამართლოში ამ პრეტენზიის დაცვა. პირველი ინსტანციის სასამართლოში მათ არ მოუთხოვიათ, რომ მითითებებში არ შესულიყო „უდანაშაულო გაფრთხილებები, რომელიც გამოიყოფოდა მუქარის იმ კატეგორიისგან, რომელიც სტატუტის დარღვევას წარმოადგენდა“.²¹¹ ამ შემთხვევაში, არ არსებობდა მტკიცებულება, რომ მოპასუხეების მხრიდან „ადგილი ჰქონდა კანონიერ მუქარას, შესაბამისად, არ არსებობს საფრთხე, რომ ნაფიცო მსაჯულები დამნაშავედ ცნობდნენ მათ ასეთი მუქარის გამო“. ამიტომ, ადგილი არ ჰქონდა რაიმე გადაცდომას, რომელიც გამოსწორებას მოითხოვს“.²¹²

კანონით მიღებული სამართლებრივი ზომები. ორივე მოპასუხეს მიესაჯა 70-თვიანი პატიმრობა და ერთობლივად, 13 053 აშშ დოლარის გადახდა მსხვერპლთათვის.

კითხვები განხილვისათვის

ბრედლეის საქმის მიხედვით, უნდა განსახვან თუ არა სასამართლოებმა დანაშაულებრივი ზეწოლის მქონე მუქარა და კანონიერი გაფრთხილებები უარყოფითი შედეგების შესახებ?

ფაქტების მოძიებისას, როგორ უნდა გაიმიჯნოს „არაკანონიერი იძულება და კანონიერი ზეწოლა“? შეადარეთ „როე ბრიტისტონის წინააღმდეგ“ საქმე და შემთხვევა, როცა მუშებს მიეცათ გაფრთხილება, რომ თუ ისინი მიატოვებდნენ სამუშაოს „შეუერთდებოდნენ მოშიშშილე უმუშევართა რიგებს“. არის თუ არა ეს კანონიერი თუმცა, უარყოფითი შედეგების მქონე მუქარა?

210 Ibid. at 151.

211 Ibid.

212 Kim, op. cit., p. 970.

აბრევიატურათა ჩამონათვალი

CEACR Committee of Experts on the Application of Conventions and Recommendations	ექსპერტთა კომიტეტი კონვენციისა და რეკომენდაციების განხორციელების საკითხებზე
ICC International Criminal Court	სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო
ICCPR International Covenant on Civil and Political Rights	საერთაშორისო პაქტი ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებათა შესახებ
ICTY International Criminal Tribunal for the former Yugoslavia	სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი ყოფილი იუგოსლავიის შესახებ
ILC International Labour Conference	შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის გენერალური კონფერენცია
ILO International Labour Organization	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
SAP-FL Special Action Programme to Combat Forced Labour	საგანგებო სამოქმედო პროგრამა იძულებითი შრომის წინააღმდეგ
UN United Nations	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNODC United Nations Office on Drugs and Crime	გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნარკოტიკებისა და დანაშაულის ოფისი